

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა
და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

დ. ნაზიეჩიქა

დასავლეთ აზიურკავკასიის
არქეოლოგიური კვლევის
პროექტის არქეოლოგიური საფუძვლები

(გვიანეზოლითი—ენოლითი)



„მეცნიერება“
თბილისი
1986

ნაშრომი ეძღვნება დასავლეთ ამერიკაეკასიის-
ადრესამიწათმოქმედო კულტურის წარმოშობის პრობ-
ლემის კვლევას. ამ პრობლემის სხვა ასპექტებთან ერ-
თად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მწარმოებ-
ლური მეურნეობის ჩასახვის, ჩამოყალიბებისა და გან-
ვითარების გზების შესწავლას.

დასავლეთ ამერიკაეკასიის ადრესამიწათმოქმედო
კულტურის ადრეული საფეხურების დახასიათების სა-
ფუძველზე წარმოჩენილია აღნიშნულ რეგიონში მო-
სახლე ტომთა კულტურულ-სამეურნეო განვითარების
სურათი გვიან მეზოლითიდან ადრებრინჯაოს ხანამდე.

რედაქტორი ისტ. მეცნ. კანდ. დ. თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. კანდიდატები ქ. ესაკია, მ. გაბუნია

შესავალი

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე არქეოლოგიურ მეცნიერებაში გლობალური მასშტაბი მიიღო მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვის, ჩამოყალიბებისა და განვითარების გზების პრობლემის კვლევამ. განსაკუთრებული ინტენსივობით წარიმართა ადრესამიწათმოქმედო კულტურებისა და მასთან დაკავშირებული მწარმოებლური მეურნეობის პირველადი კერების გამოვლენა-შესწავლა წინა, შუა და მცირე აზიაში.

აღნიშნული პრობლემის კვლევას კავკასიაში, ისევე როგორც მთელ მახლობელ აღმოსავლეთში, ხანმოკლე ისტორია აქვს. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პირველი ძეგლი (თეთრამიწა) ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში დასაველეთ საქართველოში აღმოჩნდა, მისი მასალები დღემდე არ არის სათანადო სიღრმით შესწავლილი. უფრო მეტიც, ამავე რეგიონში მას შემდეგ, 30-იან და 40-იან წლებში აღმოჩენილმა ისეთმა მეტყველმა ძეგლებმა, როგორც ოდიშისა და კისტრიკის ნამოსახლარებმა, აღნიშნულ ასპექტში ვერ პოვეს სათანადო აღიარება კავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის მკვლევართა შორის. მსგავსი ბედი ეწია 50-იანი წლების დასაწყისში გათხრილ, კავკასიის პირველ მღვიმურ მრავალფენიან ძეგლს — საგვარჯილეს. მისი მასალები დღემდე შეუსწავლელი და გამოუქვეყნებელია. აღნიშნული ძეგლების კვლევა შემოიფარგლა წინასწარი ანგარიშებითა¹ და მასალების დეტალური დახასიათებით². მათ შესწავლას საფუძველი ჩაეყარა ჩვენი საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებში, როცა საგანგებო ყურადღება მიექცა როგორც ადრე აღმოჩენილ, დიდხანს უყურადღებოდ მიტოვებულ

¹ ალ. კალანდაძე. მეზოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში, ენიშკის მოამბე, ტ. IV, 3, თბ., 1939; ნ. კილაძე (ბერძენიშვილი). მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი „საგვარჯილე“. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 14,9, 1953, გვ. 56.

² А. Л. Луккин. Неолитическое селище Кистрик близ Гудаут—1950, СА, XII; ნ. კილაძე (ბერძენიშვილი). ახალი ქვის ხანის ძეგლები თეთრამიწიდან. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1951, ნაკ. 29.

ადრესამიწათმოქმედო კულტურის კომპლექსებს, ასევე ახალი ძეგლების ძიება-შესწავლას.

60-იანი წლების ბოლო ხანებისათვის დასავლეთ ამიერკავკასიაში უკვე შესწავლილი იყო როგორც ახლად აღმოჩენილი ღია ნამოსახლარები (ქვემო შილოვკა, ანასეული I, II, კინტრიშის ნამოსახლარები, გურიანთა, მამათი), ასევე ადრე აღმოჩენილი ძეგლები³. მათი განზოგადების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ნეოლითურ კულტურაში ადრეული და გვიანი საფეხურების გამოყოფა და დახასიათება, ხოლო გვიანნეოლითურში — ლოკალური ვარიანტების გამოყოფა⁴.

60-იან წლებს ემთხვევა დასავლეთ საქართველოში, მდ. ყვირილის აუზში მღვიმური მრავალფენიანი ძეგლების (სამელე-კლდე, სამერცხლე-კლდე, ძუძუნა, დარკვეთი) ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ფენების აღმოჩენა⁵, რითაც შეიქმნა საფუძველი მღვიმური, სტრატეფიცირებული ძეგლების მეშვეობით დასავლეთ ამიერკავკასიის მწარმოებლური მეურნეობის განვითარების მოგვიანო საფეხურის კვლევისა.

70-იანი წლების კვლევა-ძიებამ საქართველოს შავიზღვისპირეთში გამოავლინა მეორე რიგი ნეოლითური ნამოსახლარებისა (მელოური, ლუმურიში, ვალი I, ჩხორთოლი, მახვილაური და სხვ), რომელთა შესწავლამ გარკვეული წვლილი შეიტანა ადრესამიწათმოქმედო კულტურის კვლევის საქმეში⁶, მაგრამ, მიუხედავად ზემონახსენები

³ А. А. Формозов, А. Д. Столяр. Неолитические и энеолитические поселения в Краснодарском Крае.—СА, 1960, № 2; А. А. Формозов. Неолит Крыма и Черноморского побережья Кавказа.—МИА, 1962, № 102; ლ. ნებერიძე. ადრენეოლითური ხანის ნაშთები ანასეულადან. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, თბ., 1963; ნ. ბერიძე. შვილი. ლ. ნებერიძე. ქვის ხანის ნამოსახლარები კინტრიშის ხეობაში, სამხრეთ საქართველოს ძეგლები, I, თბ., 1954; Л. Д. Неберидзе. Неолит Западного Закавказья. Автореферат канд. дисс., Тбилиси, 1967; ლ. ნებერიძე. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი. თბ., 1972.

⁴ ლ. ნებერიძე. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972

⁵ დ. თუშაბრამიშვილი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები I—VI, 1969—1978 წწ.; გ. ჯავახიშვილი. დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ისტორიისათვის. საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1971; ლ. ნებერიძე. დარკვეთის მრავალფენიანი ეხი, თბ., 1978.

⁶ კ. კალანდაძე. ლუმურიშის ნეოლითურ ნამოსახლარზე 1970 წ. ჩატარებულ სამეშაოთა შედეგები — კრ.: მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. V, თბ., 1973, გვ. 125—139; მისივე. ჩხორთოლის ნეოლითურ ნამოსახლარზე 1971—1973 წწ. ჩატარებული გათხრების შედეგები — კრ.: მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის. ტ. VI, თბ., 1974, გვ. 176—187; Н. З. Бердзенишвили, К. С. Каландадзе. Г. Хубутия. Нео-

კვლევა-ძიებისა, აღნიშნული წლები დასავლეთ ამიერკავკასიაში იყო მხოლოდ მასალების დაგროვების, ახალი ძეგლების აღმოჩენისა და ძირითადი ფაქტობრივი ბაზის შექმნის ხანა. ამ პერიოდში იყო ცდები მასალის თავმოყრა-განზოგადების, ცალკეული მონოგრაფიული პუბლიკაციების შექმნისა და მთის ნეოლითის გამოყოფისა⁷.

დასავლეთ ამიერკავკასიაში მწარმოებლური მეურნეობის პრობლემის კვლევის შემდგომი ეტაპი დარკვეთის მრავალფენიანი ეზის შესწავლას უკავშირდება, სადაც ადრენეოლითურ ფენაში მოპოვებული იყო მწარმოებლური მეურნეობის, კერძოდ, მეცხოველეობის დამადასტურებელი პირველი ფაქტობრივი მასალა⁸.

ზემოაღნიშნული კვლევა-ძიების შედეგად დაგროვილი ფაქტობრივი მასალა აშკარად მიგვანიშნებდა დასავლეთ კავკასიური მწარმოებლური კერის არსებობასა და მისი შესწავლის პერსპექტიულობაზე. აღნიშნულმა გარემოებამ ამიერკავკასიური მწარმოებლური მეურნეობის კერის კვლევის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ჩასახვის, ჩამოყალიბებისა და განვითარების გზების, „ნეოლითური რევოლუციის“ შედეგების შესწავლას.

60-იანი წლები აღინიშნა ადრესამიწათმოქმედო კულტურის ინტენსიური კვლევის დაწყებით საბჭოთა კავშირის სამხრეთ რეგიონებში. განსაკუთრებული სიღრმით აისახა შუააზიური მწარმოებლური მეურნეობის უძველესი კერა⁹. დიდი წარმატებები იყო მიღწეული აგრეთვე ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთის ადრესამიწათმოქმედო კულტურის შესწავლაში¹⁰.

литическое поселение в Гальском районе—из кн. ПАИ в 1977 году, Тбилиси, 1980, с. 20—22; ს. გოგითიძე. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა. თბ., 1977.

⁷ ლ. ნებიერიძე. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი; Р. М. Мунчаев. Кавказ на заре бронзового века, Гл. II—К изучению неолита Кавказа. М., 1975, გვ. 65—80; ს. გოგითიძე. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა. თბ., 1977; გ. გრიგოლია. ცენტრალური კოლხეთის ნეოლითი, პალეოლითი. თბ., 1977.

⁸ ლ. ნებიერიძე. დარკვეთის მრავალფენიანი ეზი. თბ., 1978.

⁹ В. М. Массон. Средняя Азия и Древний Восток, М.-Л., 1964; Древнеземледельческие племена южного Туркменистана и их связи с Ираном и Индией—В кн.: ВДН, 1957, № 1; მისივე. Древнейшая земледельческая культура Средней Азии—В кн., ИАН СССР, 1960, № 1; მისივე. Поселение Джейтун—В кн., МИА, 180, 1971; О. К. Бердиев. Южная Туркмения в эпоху неолита. Ашхабад, 1971; Г. Ф. Коробкова. Орудия труда и хозяйство неолитических племен Средней Азии,—В кн., МИА СССР, № 158. 1969.

¹⁰ В. И. Маркевич. Неолит Молдавии. Автореф. канд. дисс., М., 1968; მისივე, Буго-Днестровская культура на территории Молдавии. Киев,

60-იან წლებამდე აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სამიწათმოქმედო კულტურის უძველეს ძეგლებად ითვლებოდა ე. წ. მტკვარ-არეზის კულტურის ნამოსახლარები. აზერბაიჯანში ქიულ-თეფე I-ის (ნახიჩევანის რ-ნი) მრავალფენიანი ნამოსახლარი ბორცვის შესწავლა გახდა პირველი მათწყებელი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მტკვარ-არეზამდელი ადრესამიწათმოქმედო კულტურის აღმოჩენისა. ამას მოჰყვა აზერბაიჯანის, სომხეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ამ ეპოქის მთელი წყება ძეგლების გამოვლენა.

60-იანი წლების შუა ხანებში აღმოსავლეთ საქართველოში, ქვემო ქართლში მტკვარ-არეზამდელი ე. წ. შომუთეფე-შულავრის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლების აღმოჩენამ (შულავერი, არუხლო I—IV, იმირი, და ხრამის დიდი გორები და სხვ.) და მათმა ინტენსიურმა შესწავლამ ცხადი გახადა, რომ დაიწყო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ადრესამიწათმოქმედო კულტურის კვლევის ახალი ეტაპი. თუმცა, მიუხედავად ამისა, 70-იანი წლების შუა ხანების არქეოლოგიურ ლიტერატურაში ისევ სამართლიანად აღინიშნებოდა ამიერკავკასიური ადრესამიწათმოქმედო კერის სუსტი შესწავლილობა¹¹. სადღეისოდ მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. აღმ. ამიერკავკასიის ახლადაღმოჩენილი კულტურის შესწავლას უკვე მიეძღვნა როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული ხასიათის შრომები¹², რომლებიც ცხადყოფენ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მწარმოებლურ ეკონომიკაზე დამყარებული, ბინადარი მიწათმოქმედ-მესაქონლე ტომების საკმაოდ განვითარებული კულტურის სიძველეს. აღნიშნულმა გამოკვლევებმა მნიშვნელოვნად შეავსეს ხარვეზი ამიერკავკასიური ადრესამიწათმოქმედო კულტურის კერის შესწავლაში. ამჟამად გახდა, რომ შუაზიურ და ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთის მწარმო-

1974; В. Н. Даниленко. Неолит Украины. Киев, 1969; მისივე. Энеолит Украины, Киев, 1974; Д. Я. Телегин. История племен Днестро-Донецкой культуры, Автореф. докт. дисс., М., 1967; მისივე. Среднеостовская культура эпохи меди. Киев, 1973.

¹¹ Р. М. Мунчаев. დასახლებული ნაშრომი, გვ. 7.

¹² К. Х. Кушнарєва. Т. Н. Чубинишвили. Древние культуры южного Кавказа, Л., 1970; Т. Н. Чубинишвили. К древней истории южного Кавказа, Тбилиси, 1971; თ. ჭ ა ჟ ა რ ი ძ ე, ა. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. უძველესი მანათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე. თბ., 1971; А. Н. Джавахишвили. Строительное дело и архитектура поселений южного Кавказа V—III тыс. до н. э. Тбилиси, 1973; თ. კ ი ლ დ რ ა ძ ე. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია. თბ., 1976; И. Г. Нариманов. Культура древнейшего земледельческо-скотоводческого населения Азербайджана. Автореферат докторской диссертации. Тбилиси, 1982.

უმბლური მეურნეობის ცენტრებთან ერთად არსებობდა კიდევ ერთი, ამიერკავკასიური კულტურის მძლავრი კერა. მაგრამ, მიუხედავად ინტენსიური კვლევა-ძიებისა, რომელიც წარმოებდა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და რომელიც დაგვირგვინდა განვითარებული, აღმოსავლეთ ამიერკავკასიური ადრესამიწათმოქმედო კულტურის გამოვლენით, აღნიშნულ რეგიონში, მეზოლით-ადრენეოლითის სუსტი შესწავლის გამო, ჯერჯერობით მაინც არ ხერხდება ადრესამიწათმოქმედო კულტურის ჩასახვისა და პირველადი განვითარების კერის დადგენა¹³. ე. ი. მისი ჩასახვა-განვითარების სრული სურათის მთლიანობაში აღდგენა.

აღნიშნული ხარვეზის გამო ჯერჯერობით კავკასიის არც ერთ რეგიონში არ არის აღდგენილი მწარმოებლური მეურნეობის განვითარების მეტ-ნაკლებად სრული სურათი. ამ მხრივ უკეთესი პერსპექტივაა დასავლეთ ამიერკავკასიაში, სადაც კავკასიის სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, ყველაზე უკეთაა შესწავლილი მეზოლით-ადრენეოლითური კულტურები, ასევე მრავლადაა გამოვლენილი ადრესამიწათმოქმედო კულტურის შემდგომი ეტაპის (გვიანნეოლითი, ენეოლითი) ძეგლები.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ ამიერკავკასიური მწარმოებლური მეურნეობის უძველესი კერის კვლევა არასრული იქნება დასავლეთ ამიერკავკასიური უძველესი, თვითმყობადი კულტურის გაუთვალისწინებლად, მისი განვითარების ხასიათისა და დონის შეფასების გარეშე. მითუმეტეს. რომ დასავლეთ ამიერკავკასიაში სადღეისოდ უკვე ფიქსირდება მწარმოებლური მეურნეობის დამადასტურებელი ახალი მასალები, რომელთა საფუძველზე უკვე შეიძლება თვალი გავადევნოთ მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვას, წარმოშობასა და ჩამოყალიბებას, ე. ი. აღნიშნული კულტურის განვითარებას მთლიანობაში.

განვითარების ეს რთული გზა რამდენიმე თანამიმდევრულ საფეხურს მოიცავდა, რომელიც არქეოლოგიურად ნეოლითისა და ენეოლითის ეპოქებს ემთხვეოდა (VIII—IV ათ. ძვ. წ.).

დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ჩასახვის, პირველადი განვითარებისა და ჩამოყალიბების ხანგრძლივ პროცესში სამ ძირითად საფეხურს გამოვყოფთ, რომლებიც თანამიმდევრობით ასახავენ მწარმოებლური მეურნეობის განვითარების ადრეულ საფეხურებს.

უადრეს, პირველ საფეხურში ვათავსებთ გვიანმეზოლით-ადრენეოლითის ეპოქების ძეგლებს (განიხილება კავკასიის მასშტაბით), რომლებშიც ჩანს მითვისებითი მეურნეობის წიაღში მწარმოებლური ეკო-

¹³ А. И. Джавахишвили. დასახელებული ნაშრომი, გვ. X.

ნომიკის ელემენტების ჩასახვა, მეორე საფეხური არქეოლოგიურად მოიცავს შუა და გვიანნეოლითს, რომლის მანძილზე მიმდინარეობს მეურნეობის ახალი დარგების განვითარება აღმავალი ხაზით. მესამე საფეხურში ვათავსებთ დასავლეთ ამიერკავკასიის ენეოლითურ (ძირითადად მღვიმურ და ზოგიერთ ღია ნამოსახლარებს) ძეგლებს, ზოგ შემთხვევაში კი, სადაც ჰირს ენეოლით-ადრებრინჯაოს გამიჯვნა, ამ უკანასკნელსაც ვეყრდნობით. აღნიშნული საფეხურისათვის ნიშანდობლივია ნეოლითის ძირეული გარდაქმნების შედეგების დამკვიდრება, მწარმოებლური ეკონომიკის ხედრითი წონის განუხრელი ზრდა.

აღნიშნული თემა მრავალმხრივია და გააჩნია რიგი საკვანძო საკითხებისა, რომელთა გადაწყვეტა მთელი სისრულით ერთ გამოკვლევაში შეუძლებელია. ამას აგრეთვე ართულებს დასავლეთ ამიერკავკასიური სპეციფიკური ბუნებრივი პირობებით განპირობებული, ღია ნამოსახლარების არასრულყოფილი დაცულობა. ნაშრომში განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებთ არქეოლოგიური, პალეოზოოლოგიური და პალეობოტანიკური მონაცემების ერთობლივ შესწავლაზე, რათა ცოდნის დღევანდელ დონეზე შეძლებისდაგვარად დახასიათდეს აღნიშნული კულტურის განვითარების ცალკეული საფეხურები და აღდგეს ის ეკოლოგიური გარემო, რომელშიც ჩაისახა და განვითარდა დასავლეთ ამიერკავკასიის უძველეს მიწათმოქმედ-მესაქონლე ტომთა კულტურა. აღნიშნული კულტურის შესწავლისას თვალს ვადევნებთ არა მარტო მწარმოებლური მეურნეობის ახალი დარგების ჩასახვა-განვითარებას, არამედ მითვისებითი მეურნეობის ცალკეული დარგების (ნადირობა, შემგროვებლობა, მეთევზეობა) განვითარების დონესაც, რომლის წიაღშიც ჩაისახა ახალი ეკონომიკის საწყისები.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე დაგროვდა მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მასალა და გვაქვს დასავლეთ ამიერკავკასიის მეზოლით-ნეოლითური კულტურების შესწავლისადმი მიძღვნილი ზოგადი და კონკრეტული ხასიათის ცალკეული ნაშრომები, ჭერჯერობით არ არსებობს სპეციალური გამოკვლევა, რომელშიც ასახული იქნებოდა მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვისა და განვითარების რთული და ხანგრძლივი პროცესი გვიანმეზოლითიდან ადრებრინჯაომდე. სწორედ აღნიშნულ ამოცანას ისახავს წინამდებარე ნაშრომი.

აღნიშნული საკითხების კვლევისას ვიყენებთ როგორც ადრე შესწავლილ ძეგლებს, ასევე მეცნიერულ მიმოქცევაში შემოგვაქვს ახალი არქეოლოგიური მასალებიც. ნაშრომში მოცემულია გვიანმეზოლითური და ნეოლითური ძეგლების სრული ნუსხა კავკასიის მასშტაბით. ნაშრომში დასმული საკითხების კვლევას შევეცადეთ ფართო

კულტურულ-ისტორიულ ფონზე, კავკასიის დანარჩენი მხარეებისა და მიმდებარე ტერიტორიების მასალების გათვალისწინებით.

ავტორი, რა თქმა უნდა, არ თვლის, რომ სადღეისოდ არსებული მასალა საშუალებას იძლევა სრულყოფილად აღვადგინოთ ადრესამიწათმოქმედო კულტურის ჩასახვისა და განვითარების რთული პროცესი. ეს შეუძლებელიცაა აღნიშნული პრობლემის კვლევის დღევანდელ დონეზე. მაგრამ მოტანილი მასალის გააშლიზება და შეჯერება სინქრონულ ძეგლებთან საშუალებას მოგვცემს მიახლოებით აღვადგინოთ ამ პროგრესული განვითარების ძირითადი მიმართულება და მოვნიშნოთ მისი საწყისები.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურების დახასიათების პირველ ცდას. აღნიშნული პრობლემის კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს კავკასიის უძველესი მწარმოებლური მეურნეობის კერის მთლიანობაში შესწავლისათვის.

•

დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმომკმედო კულტურის
უადრესი საფეხური

1. კავკასიის გვიანმეზოლით-ადრენეოლითის პრობლემისათვის

უკანასკნელ ათწლეულში კავკასიის ადრენეოლითურ ძეგლებში აღმოჩენილი მწარმოებლური მეურნეობის დამადასტურებელი მასალა მიუთითებს, რომ ახალ ეკონომიკაზე გადასვლის რთული და ხანგრძლივი პროცესის საწყისი მეზოლითს უკავშირდება¹. აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა გვიანმეზოლით-აღრენეოლითის პრობლემის კვლევის პერსპექტიულობა და მისი რელიეფურად წამოწევა.

გვიანმეზოლით-ადრენეოლითურ ძეგლებზე განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებთ იმის გამო, რომ მათში ჩაისახა ის წინაპირობები, რომლებმაც შემდგომ ხელი შეუწყვეს პირველყოფილი საზოგადოების გადასვლას მითვისებითი მეურნეობიდან მწარმოებლურზე.

ახალი ტიპის ეკონომიკის ჩასახვის პროცესის კვლევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა კავკასიის კარგი სტრატეგრაფიის მქონე, მრავალფენიანი ძეგლების პატარა, მაგრამ მეტყველმა ჯგუფმა, რომელშიც დაცული იყო გვიანმეზოლით-ადრენეოლითის უძრავი კულტურული ფენები (ცივი მღვიმე, აცი, აფიანჩა, დარკვეთი, ჩოხი, სოსრუყო და სხვ.). დიდი და მკაფიო კომპლექსი მოგვცა ეძანის ეხმა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს კავკასიაში აღმოჩენილი გვიანმეზოლითური ერთფენიანი ნამოსახლარების რაოდენობის მატება. ესენია: კვირიკეს ჯგუფის ძეგლები აჭარაში, ფიჭვიგვინას ტიპის ძეგლები შიდა ქართლში, კოზმა-ნოხო დაღესტანში და სხვა, რომელთა დიდი ნაწილი ღია ნამოსახლარებია.

კავკასიის ადრენეოლითური ძეგლების რიცხვიც დღეისათვის არ

¹ ლ. ნე ბ ი რ ი ძ ე. დარკვეთის მრავალფენიანი ეხი. თბ., 1978, გვ. 89; X. A. Амирханов. Начало земледелия в Дагестане—„Природа“, 1983, № 2. с. 52—57.

არის დიდი. მაგრამ თუ ამ თვალსაზრისით შევადარებთ ოციოდე წლის წინანდელ პერიოდს, როდესაც მათი რაოდენობა დასავლეთ ამიერკავკასიაში მხოლოდ ანასეული 1-ითა და მასთან ქრონოლოგიურად ახლო მდგომი კინტრიშის ნამოსახლარებით იფარგლებოდა, მდგომარეობა უკეთესისაკენ შეიცვალა. ინტენსიური კვლევა-ძიების შედეგად მათი რიცხვი გაიზარდა, თუმცა ისინი კვლავინდებურად არათანაბრადაა განწილებული კავკასიის არქეოლოგიურ რუკაზე და ჭერ კიდევ ბევრია ისეთი კუთხე, სადაც აღნიშნული პერიოდის ძეგლები აღმოჩენილი არ არის. კავკასიის მღვიმურ ძეგლებს ემატება ადრენეოლითური ღია ნამოსახლარები — ანასეული 1, მელოური, ხორში, ხევი, ფირუზ I, ფირუზ II, ბუინაკსკი, ტარნაირი და სხვ.

კავკასიის გვიანმეზოლითური და ადრენეოლითური ძეგლების რაოდენობა ზემოჩამოთვლილი კომპლექსებით არ იფარგლება. იგი გაცილებით უფრო დიდია. აღნიშნული ეპოქების დახასიათებისას ძირითადად ვეყრდნობით სრულფასოვან ძეგლებს (როგორცია სტრატეგრაფიის მქონე სუფთა კომპლექსები, შესწავლილი და გამოქვეყნებული), თუმცა დანარჩენებიც მხედველობაში გვაქვს და ვითვალისწინებთ.

მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვის პრობლემის კვლევასთან დაკავშირებით გვიანმეზოლით-ადრენეოლითური ძეგლების ეს მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელიც ჩვენ ადრეც მიმოვიხილეთ კავკასიის მასშტაბით², საშუალებას იძლევა მეტ-ნაკლები სისრულით აღვადგინოთ გვიანმეზოლით-ადრენეოლითელი ტომების კულტურულ-სამეურნეო განვითარების ძირითადი მიმართულება.

წინამდებარე ნაშრომში ფართოდ ვიხილავთ აღნიშნულ კომპლექსებს და ამასთანავე ვითვალისწინებთ ახლად აღმოჩენილ ძეგლებსაც, რათა მათ საფუძველზე ზოგადად დავახასიათოთ კავკასიური გვიანმეზოლითური და ადრენეოლითური კულტურები, კაჟის ინდუსტრიაში გამოვეყოთ ეპოქალური ნიშნები, რათა ცოდნის დღევანდელ დონეზე, კავკასიის მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვისა და ჩამოყალიბების გზების ძიებისას, მიახლოებით მაინც აღვადგინოთ ამ მნიშვნელოვანი პროცესის ზოგადი მიმართულება. მხოლოდ შემდეგ შევხებით კავკასიის სხვადასხვა რეგიონების ლოკალურ თავისებურებებს და შევეცდებით კავკასიის ცალკეულ მხარეებში დაახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ ეკონომიკის მოდელები.

კავკასიის ძეგლების მიმოხილვას დასავლეთ ამიერკავკასიით ვიწყებთ, რადგან მათი ყველაზე დიდი ჯგუფი ამ რეგიონიდანაა ცნობილი. ამასთანავე, კავკასიის პირველი მრავალფენიანი ნამოსახლარებთ

² ლ. ნეზირიძე. დარკვეთის მრავალფენიანი ეხი. გვ. 40—59.

გვიანმეზოლით-ადრენეოლითური ფენებით სწორედ აქ იყო აღმოჩენილი. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ კულტურების ურთიერთმიმართების, მემკვიდრეობითობის და რაც მთავარია, მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლის პროცესის უკეთ წარმოჩენის მიზნით მრავალფენიანი ძეგლების ადრენეოლითურ კომპლექსებს განვიხილავთ გვიანმეზოლითურის კვალდაკვალ.

დასავლეთ ამიერკავკასიის პირველი მრავალფენიანი ძეგლი — მღვიმე ხუპინიშპახვა (ცივი) — აღმოჩენილი და გათხრილი იყო 1938 წ. ლ. სოლოვიოვის მიერ-წებელდის რაიონში, მდ. კოდორისა და ამტყელას შესაყართან. ზედა, პირველ ფენას ლ. სოლოვიოვი თავდაპირველად მეზოლითურად თვლიდა, ხოლო უფრო მოგვიანებით გამოსულ ნაშრომში აღნიშნავდა, რომ ამ ფენაში არის გვიანმეზოლითისათვის უჩვეულო მასალა. ერთ-ერთ ბოლო გამოკვლევაში კი ვარაუდობდა მასში უკერამიკო ნეოლითს³. დღეს უკვე მკვლევართა უმრავლესობა სრულიად სამართლიანად I ფენას ადრენეოლითურად მიიჩნევს.

ზემოაღნიშნული ფენის ქვეშ აღმოჩენილი იყო ტიპური გვიანმეზოლითური კომპლექსი, რომელიც შეიცავდა მოკლე ანატკეცებზე დამზადებულ კიდურა და მრგვალ საფხეკებს, კუთხის საჭრისებს, ლამელის განივკვეთებს, სახვრეტებს. ცოტა იყო გრავეტისებური იარაღები, ტრაპეციები და სეგმენტები. ამ კომპლექსში გვხვდება კოდორის ფიქალისაგან დამზადებული საჩეხი იარაღი, ცულების უხეში პროტოტიპები და სატეხები. ძვლის იარაღები წარმოდგენილია ორან ოთხკბილა ჭვილთებითა და მათი ნატეხებით, არის ორაგულის ძვლებიც. ფაუნა წარმოდგენილია გარეულ ცხოველთა ნაშთებით (კეთილშობილი ირემი, გარეული ღორი, ლოსი და სხვ.)⁷

ადრენეოლითურ (I ფენა) ფენაში გვიანმეზოლითური იერის მასალასთან (მიკროლამელებთან, მრგვალ და მიკროლითურ საფხეკებთან, ტრაპეციებთან და სეგმენტებთან) ერთად ნაპოვნი იყო რიყის ქვის სხვადასხვა ქანებისაგან დამზადებული ხელსაფქვავეები, სახეხსასრესები, გაობილი რიყის ქვის „თოხები“, ფიქალისა და ქვიშაქვის იარაღები, ძვლის სადგის-სახვრეტები და ჭვილთები. ამავე ფენაში ნაპოვნი იყო რამდენიმე ათეული გარეული ფეტვის დანახშირე-

³ Л. Н. Соловьев. Значение археологического метода для изучения карста северной части черноморского побережья Кавказа.—В кн.: Вопросы Карста на юге Европейской части СССР. АН УССР, 1956, гл. 43—75; მისივე. Об итогах археологических раскопок в гроте Хупинишпахва в 1960 г.—В кн.: Тр. Абхазского ИЯЛИ, XXXII. 1961, гл. 194; მისივე. Неолитические поселения черноморского побережья Кавказа; Нижнешиловское и Кистрик.—В кн.: Материалы по археологии Абхазии, Тбилиси, 1967.

ბული მარცვალი, ორაგულის ხერხემლის მალეები და გარეული ცხოველების ძვლები ქვედა ფენის ანალოგიური სახეობებით⁴.

კავკასიის მეორე მრავალფენიანი ძვლი — მღვიმე კეპ-ბოლაზი (აფიანჩა) — ისევ აფხაზეთში აღმოაჩინა ლ. სოლოვიოვმა 1940 წ., მაგრამ მოკლე ხანში დაწყებული სამამულო ომის გამო აღნიშნულ ძეგლებზე სტაციონარული გათხრები არ დაწყებულა. აქ გაკეთებულ სადაზვერვო თხრილში დადასტურდა ოთხი კულტურული ფენა. ამკვლევარი მღვიმეში ვარაუდობდა ზედაპალეოლითური და მეზოლითური ფენების არსებობას⁵.

სტრატეგრაფიის დადგენისა და ძვლის კომპლექსური შესწავლის მიზნით 1976 წ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კოდორის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღ. ლ. წერეთელი) აღნიშნულ მღვიმეში დაიწყო სტაციონარული გათხრები. სადღეისოდ უკვე აფიანჩას მღვიმეში დადგენილია ხუთი კულტურული ფენა⁶. ზემოდან პირველი, ადრენეოლითური ფარავდა გვიანმეზოლითურს.

გვიანმეზოლითურ ფენაში ნაპოვნია კონუსისებური ნუკლეუსები, დანისებური მიკროლამელები, დუბლირებული და გვერდითი საფხეკები, ლამელები, ანატკეცებზე ნაკეთები სახვრეტები, მოგრძო ფორმის სეგმენტები და ტრაპეციები (ტიპური ფორმები ცოტაა), გრავეტისებური მიკროწვეტანა, ძვლის საპრიალებლები, სადგისები და ჰვილთების ნატეხები⁷.

ადრენეოლითური ფენის კაჟის მასალაში წამყვანი ადგილი უჭირავს წარმოების ნაშთებს, რომელთა შორის მრავლადაა ანატკეც-ანატეხები, ნუკლეუსები წარმოდგენილია ფანქრისებური, კონუსისებური, ბრტყელი და პრიზმული ფორმებით. იარაღთა წამყვანი სახეებია საფხეკები და საჭრისები. საფხეკები ნაკეთებია როგორც ლამელებზე, ასევე ანატკეცებზე, სჭარბობს მიკროსაფხეკები. საჭრისები ძირითადად კუთხისა და გვერდისაა. მიკროიარაღებს შორის წამყვანი ადგილი ორფერდამუშავებულ ტრაპეციებს უჭირავს. სეგმენტები ერთეულების სახითაა. არის აგრეთვე სამგვერდამუშავებული მოგრძო სწორკუ-

⁴ Л. Н. Соловьёв. Значение..., გვ. 69; მისივე. О5 итогах... 194—195; Н. К. Верещагин. Млекопитающие Кавказа. М., 1955; Н. И. Бурчак-Абрамович. Фауна пещерных стоянок южной Абхазии.—В кн.: Пещеры Грузии, т. III. Тбилиси, 1975.

⁵ Л. Н. Соловьёв. *დასახ. ნაშრომები*, გვ. 194—195.

⁶ Л. Д. Цоретели, Н. Б. Клопотовская, Е. Н. Куренкова. Многослойный памятник Апианча (Абхазия).—В кн.: Четвертичная система Грузии к XI ИНКВА. М., 1982. Тбилиси, 1982, გვ. 198—301.

⁷ იქვე, გვ. 201.

თხედები. აღსანიშნავია ზურგდაბლაგველ, ცხვირმოხრილ ლამელაზე დამზადებული იარაღი, რომელიც სამკელ დანადაა მიჩნეული⁷.

რიყის ქვის იარაღები კოლექციაში ცოტაა, ამასთანავე, მათ არა აქვთ მკაფიო ნეოლითური იერი. აქ ნაპოვნი იყო სანაყები, სატეხები, სახეხები, ორმხრივნახეხი, ასტამისებური იარაღის ნატეხი და ლარიანი იარაღის ფრაგმენტი. მიუხედავად აღნიშნულ მასალის სიმცირისა, იგი მაინც მოწმობს ახალი ეპოქის დასაწყისს. ძვლის ნაეკეთობებიდან აღსანიშნავია ეშვისაგან დამზადებული თოხისებური იარაღი და ანკესი. კერამიკა ამ კომპლექსს არ ახასიათებს.

დაახლოებით იმავე პერიოდში დ. კრაინოვის მიერ მდ. აცის მარჯვენა ნაპირზე (ქ. სოჭის მახლობლად), აცის მღვიმეში აღმოჩენილი იყო შავიზღვისპირეთის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მრავალფენიანი ძეგლი, რომელშიც ექვსი კულტურული ფენა დადასტურდა. IV და III ფენებს მკვლევარი მეზოლითით ათარიღებდა⁸.

IV ფენაში ნაპოვნია ბლაგვევრდა ლამელები, მომრგვალო მიკროსაფხეკები, სეგმენტები. დიდი რაოდენობითაა ნიჟარები (Helix), თავ- და გვერდრეტუშიანი ლამელები, საჭრისებრი, გრავეტის ტიპის მიკროიარაღები, სახვრეტები, გვერდამოღარული ისრისპირი, ფაუნა წარმოდგენილია გარეული ხარით, მღვიმის დათვით, ჭეირანით და კეთილშობილი ირმით.

III ფენა ხასიათდება ტრაპეციებით, მიკროსახვრეტებით, მიკროსაჭრისებით, თავრეტუშიანი ლამელებით. ტიპოლოგიურად III ფენის მასალა ახლოს დგას ადრენეოლითურთან. ამიტომ ჩვენ გვეჩვენება, რომ III ფენა ადრენეოლითს უნდა ეკუთვნოდეს, ხოლო IV ფენა — გვიანმეზოლითს. II ფენაში უკვე ნაპოვნია კერამიკა და რიყის ქვის იარაღები.

დასავლეთ ამიერკავკასიაში მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვის პრობლემის გადაწყვეტაში ზემოჩამოთვლილ ძეგლებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დარკვეთის მრავალფენიან ეხს. ეს კავკასიის პირველი გამოქვეყნებული მრავალფენიანი ძეგლია⁹, რომელიც შეიცავს ოთხი ეპოქის კულტურულ ნაშთებს (გვიანი მეზოლითი — ადრე ბრინჯაო). გარდა ამისა, დარკვეთი საკვანძო ძეგლია იმის გამო, რომ მასზე, ჭერჯერობით ერთადერთ ძეგლზე კავკასიაში, ადრენეოლითში დადასტურდა შინაური ცხოველების ძვლები. α

⁷ Д. А. Крайнов. Отчет Сочинского отряда Северо-Кавказской экспедиции о раскопках Ацинской пещерной стоянки 1958 г.—В кн.: Архив ИА АН СССР, р. 1, № 1830.

⁹ ლ. ნებერიძე. დასახ. ნაშრომი.

გვიანმეზოლითურ ფენაში (V) აღმოჩნდა კიდურა საფხეკები, ასომეტრიული სამკუთხედები, ბლაგვზურგა და მიკროლამელები, რიყის ქვის საწაფი და შურდულის ქვები. ძვლოვანი ნაშთები წარმოდგენილია გარეული ფაუნით, (კეთილშობილი ირემი, შველი, გარეული ღორი, ცხვარი, თხა და სხვ. — განსაზღვრა ო. ბენდუქიძემ).

ძველს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მეზოლითური ფენის ზემოთ მდებარე, სტერილური შრით გამოყოფილი ადრენეოლითური ფენა, რომელიც სტრატეგრაფიულ ჭრილში ზევიდან რიგით მეოთხე იყო და წარმოადგენდა 25—27 სმ სისქის ლორღნარევი ნაქროვან ფენას. რომლის ქვედა ნაწილში დადასტურდა კერის ნაშთი. კაჟის ინდუსტრია ხასიათდება ლამელური და მიკროლითური ტექნიკით. გეომეტრიული ფორმის მიკროლითები წარმოდგენილია ორფერდ-დამუშავებული ტრაპეციებით, მიკროიარაღებიდან დამახასიათებელია მომრგვალო მიკროსაფხეკები და მიკროსაჭრისები. გვხვდება დაკბილული იარაღები. მეზოლითური ტრადიციების მქონე კაჟის ინვენტართან ერთად თანაარსებობს თვისებრივად სრულიად ახალი ეპოქის ნიშნები — მოგრძო, ოვალური ფორმის ხელსაფეკვავები, რიყის ქვის გახეხილ-გაპრიალებული ბრტყელი ცული, სატეხ-სათლევები, და რაც მთავარია, შინაური ცხოველების ძვლები. კერამიკა ამ ფენას არ ახასიათებს.

პალეონტოლოგიური მასალის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ეხის მცხოვრებლებს უკვე ადრენეოლითურ ხანაში მოშინაურებული ჰყავდათ: ძროხა (*Bos taurus*), ღორი (*Sus domesticus*), წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი (*Ovis aut capra*) და ძალი (*Canis familiaris*). როგორც ირკვევა, ყველაზე ჰარბად ღორის ძვლები იყო წარმოდგენილი. გარეული ცხოველებიდან აღსანიშნავია: კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus*), შველი (*Capreolus capreolus*), ღორი (*Sus scrofa*), თხა (*Capra sp.*), ცხვარი (*Ovis sp.*) (განსაზღვრეს ო. ბენდუქიძემ და ნ. ბურჩაქ-აბრამოვიჩმა).¹⁰

შავიზღვისპირეთის მღვიმური მრავალფენიანი ძველების შემდეგ განვიხილავთ ამავე რეგიონის ღია ნამოსახლართა პატარა ჯგუფს, რომელიც ტიპოლოგიურად და ქრონოლოგიურად ახლოს დგას ზემოდანახასიათებულ გვიანმეზოლითურ კომპლექსებთან. ესაა აქარაში, მდ. კინკიშასა და მდ. ჩოლოქის ხეობების ტერასებზე აღმოჩენილი ღია ნამოსახლარები — კვირიკე, ჩოლოქი და ჯიხანჭური¹⁰.

¹⁰ ს. გოგითიძე. ადრენეოლითური ხანის ნამოსახლარი კინკიშას ხეობაში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძველები, 111, 1973, თბ., გვ. 45—55; მისივე. Гогитидзе С. И. Неолитическая культура юго-восточного Причерноморья: Автореферат кандидатской диссертации, 1975, Тбилиси, с 6—10.

კვირიკეს ჯგუფის (კვირიკე, ჩოლოქი, ჯიხანჯური) ძეგლების ქვის ინდუსტრია მიკროლითურ ხასიათს ატარებს¹¹. იარაღები უპირატესად ლამელბუნა ნაკეთები, კომპლექსები არ გამოირჩევა მასალის მრავალფეროვნებით. მათ ახასიათებთ მცირე ზომის ფანქრისებური და მიკროკონუსური ნუკლეუსები. იარაღები ძირითადად წარმოდგენილია ლამელის კუთხეზე დამზადებული მარტივი საჭრისებით და გვიანმეზოლითისათვის დამახასიათებელი სტანდარტული ფორმის — ოვალურპირიანი კიდურა — საფხეკებით. გვხვდება თავგამოყვანილი, ამოღარული და გვერდრეტუშიანი ლამელები, სახვრეტები და ხერხები. ქვის იარაღებიდან აქ ნაპოვნია ბაზალტისაგან დამზადებული საჩხისებური იარაღი¹².

როგორც მასალის ზოგადი დახასიათებიდან ჩანს, ეს კომპლექსები ტიპოლოგიურად ძალიან ახლოსაა გვიანმეზოლითურ ძეგლებთან. აქ სახეზეა ყველა ის ძირითადი ეპოქალური ნიშანი, რაც კავკასიის გვიანმეზოლითის ახასიათებს. გამონაკლისს შეადგენს გეომეტრიული ფორმის იარაღები. მათი არარსებობა ამ შემთხვევაში უფრო ძეგლების თავისებურებაზე უნდა მეტყველებდეს, ვიდრე ქრონოლოგიურ მომენტზე.

კვირიკეს ჯგუფის ძეგლები ხუცუბან-ქობულეთის კომპლექსების თანადროულადაა მიჩნეული¹³.

აღნიშნული ძეგლების ტიპოლოგიური ანალიზისა და მათი დასავლეთ ამიერკავკასიის სხვა გვიანმეზოლითურ და ადრენეოლითურ ძეგლებთან შედარების საფუძველზე ჩვენ შესაძლებლად მივიჩნიეთ კვირიკეს კომპლექსის მიკუთვნება დასავლეთ ამიერკავკასიის გვიანმეზოლითური ძეგლების ჯგუფისადმი და მისი ქრონოლოგიური გამოყვანა კინტრიშის ნამოსახლარებისაგან¹⁴.

მრავალფენიანი მღვიმეების გვიანმეზოლით-ადრენეოლითური კომპლექსებისა და ერთფენიანი გვიანმეზოლითური ღია ნამოსახლარების მიმოხილვის შემდეგ გადავდივართ მათთან ქრონოლოგიურად ყველაზე ახლო მდგომ, გვიანმეზოლითიდან ადრენეოლითზე გარდამავალი ჯგუფის ძეგლებზე, რომლებიც უფრო მეტ სიახლოვეს იჩენენ ადრენეოლითთან, ვიდრე გვიანმეზოლითთან. აღნიშნული საფეხური (გარდამავალი) დასავლეთ ამიერკავკასიაში წარმოდგენილია კინტრიშის ნამოსახლარებით (ხუცუბანი, ქობულეთი)¹⁵ (ტაბ. V).

¹¹ С. И. Гогитидзе დასახ. ნაშრომი, გვ. 7—8.

¹² ს. გოგითიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

¹³ С. И. Гогитидзе. დასახ. ნაშრომი. გვ. 18.

¹⁴ ლ. ნეზერაძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 49.

¹⁵ ნ. ბერძენიშვილი, ლ. ნეზერაძე. ქვის ხანის ნამოსახლარები კინტრიშის ხეობაში. — კრ.: სამხრეთ-დასავლეთ სიქართველოს ძეგლები, 1. თბ.,

ქობულეთის უძრავი და ხუცუბნის დარღვეული ფენებიდან მომდინარე მასალების ერთგვაროვნების გამო კინტრიშის ნამოსახლარების ქვის ნაწარმს ერთობლივად განვიხილავთ.

ხუცუბნისა და ქობულეთის ნამოსახლარების ქვის ინდუსტრია ძირითადად კაჟისა და ობსიდიანის მასალითაა წარმოდგენილი, კაჟის მცირე რაოდენობრივი უპირატესობით. ქვის დამუშავების ტექნიკას მიკროლითური ხასიათი აქვს. იარაღების უმრავლესობა ლამელებზეა ნაკეთები. ყურადღებას იქცევს დახვეწილი მოყვანილობის პრიზმისებური, კონუსისებური და ფანქრისებური ნუკლეუსები. დიდი რაოდენობითაა სწორწახნაგა დანისებური, ხშირად გვერდრეტუშიანი ლამელები. მათ შორის არის რამდენიმე ბლაგვზურგა მიკროლამელაც. კომპლექსის იარაღთა წამყვანი ტიპებია ლამელებზე ნაკეთები მარტივი და თავრეტუშიანი საჭრისების სერიები და ლამელებსა თუ თხელ ლამელისებურ ანატაკეცებზე დამზადებული, მომრგვალო, ოვალური, მაღალი და ორმაგი სამუშაო პირის მქონე საფხეკები. დანარჩენი იარაღები კოლექციაში რაოდენობრივად ნაკლებია და წარმოდგენილია სახვრეტებით, დაკბილული იარაღებით, ხოწებით, დანებით, ისრისმაგვარი და კომბინირებული იარაღებით. გეომეტრიული ფორმის მიკროლითები ნამოსახლარებს არ ახასიათებს. რიყის ქვის იარაღებიდან ხუცუბანში ნაპოვნია შურდულის ქვა და საწაფი, ხოლო ქობულეთში მხოლოდ შურდულის ქვები.

კინტრიშის ნამოსახლარების ქვის დამუშავების ტექნიკისა და იარაღების შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზი გვიჩვენებს¹⁶, რომ ამ ძეგლებს გვიანმეზოლითურთან შედარებით განვითარების გარკვეული გზა აქვთ გავლილი და დიდ სიახლოვეს იჩენენ ადრენეოლითურ კომპლექსებთან, თუმცა რიგი ნიშნებით მათთან შედარებით არქაულად გამოიყურებიან. ძეგლების შედარება ცხადყოფს, რომ კინტრიშის ნამოსახლარებს შუალედური ადგილი უჭირავთ გვიანმეზოლითურსა და ადრენეოლითურ კომპლექსებს შორის¹⁷.

პირველი ძეგლი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ კულტურაში განვითარების ადრეული საფეხურის გამოყოფა, იყო ანაჟელი I¹⁸ (მახარაძის რ-ნი) (ტაბ. VI).

1964, გვ. 7—16; ლ. ნე ბ ი ე რ ი ძ ე. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი; ს. გო გ ი ტ ი ძ ე. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა. თბ., 1977; ლ. ნე ბ ი ე რ ი ძ ე. დარკვეთის მრავალფენიანი ები.

16 ლ. ნე ბ ი ე რ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი. გვ. 51.

17 ს. გო გ ი ტ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი. გვ. 99.

18 ლ. ნე ბ ი ე რ ი ძ ე. ადრენეოლითური ხანის ნაშთები ანაჟელიდან. — იქ-

ანასეული I ნამოსახლარზე იარაღების დასამზადებელ მასალად ძირითადად ობსიდიანი გამოიყენებოდა, შედარებით იშვიათად კაჟი და რიყის ქვის ქანები:

ობსიდიანისა და კაჟის ნაწარმს მიკროლითური და ფართოდ განვითარებული ლამელური ტექნიკა ახასიათებს. კინტრიშის ნამოსახლართა მსგავსად, იარაღების წამყვან სახეებად აქაც საჭრისებუ და საფხეკეები რჩება. საჭრისები სიმრავლითა და ფორმების მრავალფეროვნებით ხასიათდება. ისინი დამზადებულია თხელ, სწორ, დანისებურ მიკროლითურ ან საშუალო ზომის ლამელების გვერდებსა ან კუთხეებზე, რომელთა უმრავლესობა მარტივი ფორმებითაა წარმოდგენილი. ანასეულის მრავალრიცხოვანი საფხეკეები გამოირჩევა დახვეწილი ფორმებით და საგულდაგულო დამუშავებით. მათ შორის განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიყოფა მომრგვალო და მიკროლითურ საფხეკეთა სერია. ნამოსახლარზე მრავლადაა ნაპოვნი სხვადასხვა სახის დანები და სამკელი დანების ჩასართები¹⁹. ლამელური ტექნიკის განვითარების აშკარა მაჩვენებელია სწორწახნაგა დანისებური ლამელების სიმრავლე ატკეცისა და მათი მეორადი დამუშავების მაღალი ხარისხი. რეტუში ლამელებზე უმეტესად დამრეცია, წვრილფაცეტისანი, იარაღებზე კი ხშირად მომადლო „მცოცავი“ რეტუშის სახეს იღებს. კომპლექსი არ ხასიათდება გეომეტრიული მიკროლითების სიჭარბით, ისინი წარმოდგენილია მხოლოდ მცირეოდენი ორფერდამუშავებული ტრაპეციით. ასევე შედარებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი სხვადასხვა სახის კომბინირებული და ხერხისებური იარაღი, სახვრეტი, დანა, რეტუშორი. ერთი ეგზემპლართაა წარმოდგენილი ცალფრთიანი ისრისპირი. მეზოლითური ტრადიციის გადმონაშთს უნდა წარმოადგენდეს რამდენიმე ბლაგვზურგა მიკროლაშელი.

ძველი ფორმის იარაღების დახვეწასთან ერთად ჩნდება სრულიად ახალი სახის იარაღები — რიყის ქვის სხვადასხვა ქანებისაგან გახეხვა-გაპრიალების გზით დამზადებული ცული, სატეხ-სათლელი, საპრიალებლები, სახეხი, შურდულის ქვა, გრდემლი, ჩაქუჩები და თოხისებური იარაღი. ნამოსახლარს კერამიკა არ ახასიათებს.

ადრენეოლითურ ძეგლებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი კოლექცია მოგვცა წყალტუბოს რ-ში, მდ. სემისწყლის (გუბისწყლის შენაკადი) მარცხენა, პლატოსმაგვარ ტერასაზე (ზღვის დონიდან 350 მ) მდებარე მელოურის ნამოსახლარმა. კოლექციის დიდი ნაწილი

ტორის ინსტიტუტის შრომები, ტ. 7. 1963; მისივე. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი.

¹⁹ Г. Ф. Коробкова, К. М. Эсакия, Первые жатвенные ножи Кавказа (ხელნაწერი).

დაზიანებული კულტურული ფენებიდან მომდინარეობდა²⁰: 1977—1982 წლებში მელოურში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს თანამედროვე ნიადაგის ფენის ქვეშ აღმოჩნდა უძრავი კულტურული ფენა — განამარხებული ჰუმუსი, რომელმაც მოგვცა ნამოსახლარის გადახნულ ფართობზე მოპოვებულის ანალოგიური მასალა. იარაღების დასამზადებლად მელოურის ნამოსახლარზე ძირითადად კაეს და რიყის ქვას იყენებდნენ. იშვიათად ხმარობდნენ ობსიდიანს. კერამიკა ნამოსახლარზე აღმოჩენილი არ ყოფილა.

მელოურის კაეის ნაწარმის მთავარი თავისებურება მკაფიოდ გამოხატული მიკროლითური ხასიათია. მიკროიარაღებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გეომეტრიული ფორმის მიკროლითების — ორფერდამუშავებული ტრაპეციებისა და მიკროსაფხეკების — სიმრავლე. ეს იარაღები კოლექციის წამყვანი ფორმებია. მელოურის კომპლექსი აგრეთვე ხასიათდება დაკბილული იარაღების დიდი რაოდენობით. მათში ერთიანდება ნამგლისებური და ხერხისებური იარაღები. მრავლადაა სხვადასხვა სახის ლამელები (გვერდრეტუშიანი, თავსწორ და თავირიბრეტუშიანი). შედარებით პატარა სერიებითაა წარმოდგენილი საჭრისები, დანები, სახოკები, ასტამები. რიყის ქვის იარაღები წარმოდგენილია ცულებით, სატეხებით, სათლელებით, ჩაქუჩებით, საღესებით, ხელსაფეკავისა და შურდულის ქვებით. დიდი რაოდენობითაა წარმოების ნარჩენები — ნუკლეუსები, ანატეც-ანატეხები, კაქრები, ნახევარფაბრიკატები, დაზიანებული იარაღები. წარმოების ნარჩენების სიმრავლე ცხადყოფს, რომ იარაღების დამამზადებელი სახელოსნო ნამოსახლარის ტერიტორიაზე ყოფილა (ტაბ. VII).

მასალის შედარებით-ტიპოლოგიური შესწავლა მოწმობს, რომ მელოურის კომპლექსი მიეკუთვნება ანასეული I-ის ტიპის ადრენეოლითურ ნამოსახლართა ჯგუფს.

ადრენეოლითური ხანის საცხოვრებელი ნაგებობის გეგმაზე გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ცხაკაიას რ-ში, მდ. მალაკონის მარცხენა ნაპირის, 20 მ სიმაღლის ტერასაზე (ზღვის დონიდან 132 მ) მდებარე ხორშის ნამოსახლარი²¹. ნამოსახლარზე მიკვლეული იყო 30—35 სმ, ზოგ შემთხვევაში 35—42 სმ სისქის უძრავი კულტურული ფენა. მასში ნაპოვნი იყო დაახლოებით 20—25 სმ დიამეტრის მქო-

²⁰ К. С. Каландадзе, Н. З. Бердзенишвили, Л. Д. Небнеридзе и др. Краткие итоги Цхалтубской археологической экспедиции ПАИ в 1977 г. Тбилиси, 1980, с. 15—20; კ. კალანდაძე. ქვის ხანის ნამოსახლარები მელოურთან.—*ეურნ.* „მაცნე“, თბ., 1978, № 4, გვ. 64—79.

²¹ Г. К. Григолия, Н. Мгеладзе. Предварительные результаты работ археологической экспедиции изучающей памятники каменного века Самегрело.—*В сб.:* ПАИ в 1977 г. Тбилиси, с. 13—15.

ნე ბოძების საყრდენი ცილინდრული ორმოები, რომელთა შიგნითაც ვერტიკალურად ჩადგმული იყო ქვები. ორმოების განლაგების მიხედვით გაირკვა, რომ ნაგებობას სწორკუთხა გეგმა ჰქონია (ტაბ. VIII). ნამოსახლარზე დადასტურებული იყო სამი ნაგებობის კვალი. ყველა მათგანი დამხრობილი იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ორი ნაგებობის ფართობი დაახლოებით ტოლია: 1. $3,90 \times 3,15$ მ; 2. $3,90 \times 3,06$ მ; მესამე ნაგებობა უფრო მოზრდილია — $4,80 \times 4,0$ მ. მათი გადახურვა უნდა დაყრდნობოდა 10 ბოძს — სამ-სამი ბოძი სიგრძივ და განივ ხაზზე და ყოველი ნაგებობიდან ერთ მეტრში კიდევ ერთი ბოძი. ხორშის ნამოსახლარის უძრავ ფენაში, ნაგებობის იატაკის დონეზე ნაპოვნი იყო ხელსაფქვავეები და კერის ოვალური ორმოები. ფენაში ნაპოვნი იყო საბეგველები, მაკროლითური ტექნიკით დამუშავებული წერაქვისებური იარაღები, სათლელები, დაკბილული იარაღები. გეომეტრიული იარაღები ძირითადად ტრაპეციებითაა წარმოდგენილი. ხორშის ნამოსახლარს, ისევე როგორც ყველა ადრენეოლითურ ძეგლს, კერამიკა არ ახასიათებს. კომპლექსი ნეოლითის პირველი ნახევრით თარიღდება²².

აფხაზეთის ადრენეოლითური ხანის ღია ნამოსახლარები ჯერჯერობით მხოლოდ ზემო ლემსის (გულრიფშის რ-ნი) კომპლექსითაა წარმოდგენილი (ზღვის დონიდან 560 მ)²³.

ზემო ლემსას ნამოსახლარზე კულტურული ფენები დარღვეული აღმოჩნდა. მასზე ადრენეოლითური კოლექცია მოპოვებული იყო მოგვიანო მასალებთან ერთად. იარაღების დასამზადებელ მასალად ძირითადად კაჟს, იშვიათად ობსიდიანსა და რიყის ქვას იყენებდნენ. ობსიდიანის იარაღები დამზადების ტექნიკითა და ფორმებით არ განსხვავდება კაჟისაგან.

— კაჟისა და ობსიდიანის ნაწარმი ხასიათდება ლამელური ტექნიკით და გეომეტრიული ფორმის მიკროლითებით. კოლექციაში ყველაზე მრავლადაა დამუშავებისა და გამოყენების კვალის მქონე ლამელები. მათში აღსანიშნავია თავგამოყვანილ ლამელათა სერია, რომელიც დამახასიათებელია აგრეთვე აფხაზეთის გვიანნეოლითისათვის. ლემსას გეომეტრიულ მიკროლითებს ბევრი საერთო აქვს კისტრიკის მიკროლითებთან. ისინი ძირითადად წარმოდგენილია დიდი ზომის ორფერდ-დამუშავებული ტრაპეციებით, არის მოგრძო სამფერდდამუშავებულებიც. სეგმენტები შედარებით ნაკლებია. საფხეკებში გამოიყოფა

²² იქვე.

²³ Ю. Н. Воронов. Раскопки ранненеолитического поселения в пос. Верхняя Лемса (Цебельда). — ПАИ в 1976 г. Тбилиси. 1979, с. 20—27.

ლამელებსა და ანატკეცებზე დამზადებული კიდურა, მომრგვალო, მიკროლითური და მასიური საფხეკები. საჭრისები ნაკეთებია ლამელებზე, ანატკეცებსა და ნუკლეუსის ნატეხებზე. ლამელებზე დამზადებულ ცალებში არის მარტივი და თავრეტუშიანებიც. სახვრეტები და დაკბილული იარაღები შედარებით ცოტაა. ნუკლეუსების წამყვანი ფორმაა კონუსური და პრიზმული, ისინი ძირითადად ცალი მხრიდანაა გამოყენებული. მკაფიო სერიას ქმნიან მიკრონუკლეუსები, რომლებშიც გამოიყოფა აგრეთვე კონუსური და პრიზმული ფორმები.

• რიყის ქვის იარაღები ცოტაა. აღსანიშნავია სათლელი, სახეხები და რიყის ქვები ამოღარვის ნიშნებით. კერამიკა არ აღმოჩენილა.

აღრენეოლითურ კოლექციებს შორის ყველაზე მცირერიცხოვანია ს. ხევში (ჩოხატაურის რ-ნი), მდ. გუბაზოულისა და სატობის ღელის შესაყართან, მდინარის მარჯვენა ტერასაზე (ზღვის დონიდან 260 მ) მოპოვებული ნაშთები²¹.

ნამოსახლარზე უძრავი კულტურული ფენა არ დადასტურდა. მასზე მოპოვებული იყო შემდეგი მასალა: კაკრები, ნუკლეუსები, ანატკეცები, ლამელები, საჭრისები, სახვრეტ-საფხეკები, ერთეულებითაა წარმოდგენილი დანა-საფხეკი, დაკბილული იარაღი, შუბისპირები, თავრეტუშირებული ლამელა, თავამოღარული ლამელა და სხვ.

რიყის ქვის მხოლოდ სამი ნივთია: ხელსაფქვევის ფრაგმენტი, მოგრძო სახეხ-სანაყი და დაზიანებული იარაღის ნაწილი.

სამხრეთ საქართველოს პირველი მეზოლითური ძეგლი აღმოჩენილი იყო 1936 წ. ბ. კუფტინის მიერ მდ. ხრამის ხეობაში, დაბა წალკის მიდამოებში, ყოფ. სოფ. ბარმაქსიზის (ეძანი) ეხში. მკვლევარმა ძეგლი ზედა პალეოლითის დასასრულს მიაკუთვნა²⁵.

1963—1964, 1967—68 წლებში ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ხრამის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ განაახლა ძეგლზე არქეოლოგიური გათხრები, რის შედეგადაც მოპოვებული მრავალრიცხოვანი კოლექცია მონოგრაფიულად იყო შესწავლილი და გვიანმეზოლითით დათარიღებული²⁶. ეძანის კომპლექსისთვის დამახასიათებელია ისეთი ფორმები, როგორცაა ფანქრისებური, პრიზმისებური, კონუსისებური და ბრტყელი ნუკლეუსები, სხვადასხვა ტიპის საფხეკები, საჭრისები, სახვრეტები, ბლაგვზურგა და თავრეტუშიანი ლამელები, განვითარებული მიკროლითური ტექნიკა

²⁴ К. С. Каландадзе. М. К. Габуня. Цхалтубская археологическая экспедиция.—В кн. ПАИ в 1980 г..., Тбилиси, 1982, с. 12.

²⁵ Б. А. Куфтин. Археологические раскопки в Тrialeti, т. I. Тбилиси, 1941, გვ. 119—123.

²⁶ ი. ჯავახიშვილი. თრიალეთის მეზოლითური კულტურა. თბ., 1976.

და გეომეტრიული მიკროლითები (სამკუთხედები, ტრაპეციები, სეგმენტები), რომელთა შორის წამყვანი ადგილი ასიმეტრიულ სამკუთხედებს უჭირავს.

ედანის ეხის სტრატეგრაფიული მონაცემების, კომპლექსის ტიპოლოგიურ-შედარებითი შესწავლისა და ანასეულ I-თან არსებული მნიშვნელოვანი პარალელების გათვალისწინების საფუძველზე მივედი დასკვნამდე, რომ ედანის ეხის სახით საქმე გვაქვს მრავალფენიან ძეგლთან, რომელშიც მძლავრ გვიანმეზოლითურ ფენასთან ერთად იყო აგრეთვე ადრენეოლითურიც²⁷. ედანის ფაუნისტური მასალა, თავისი მცირერიცხოვნობის მიუხედავად, გარკვეულ წარმოდგენას იძლევა სადგომის ეკოლოგიურ გარემოზე²⁸. აქ აღმოჩნდა გაურკვეველი სახეობის გარეული ცხენი (კუფტინის კოლექცია)²⁹, კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus*), ჯეირანი (*Gasella sp.*), კანჯარი (*Equus hemionus*), ძროხა (*Bos. sp.*) და გარეული ღორი (*Sus scrofa ferrus*) (განსაზღვრა³⁰ა. ვეკუამ),

აღნიშნული კომპლექსი ეკოლოგიურ მსგავსებას ამჟღავნებს ზურტაეცტის (თრიალეთი) ფაუნასთან³⁰ — გარეული ცხენები (*Equus Caballus L.* და *Equus cf. przewalskii pol*)? კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus maral Ogilby*), ბიზონი (*Bison of bonasus L.*) კავკასიის ჯიხვი (*Capra cylindricornis Blyth*)? მუფლონი (*Ovis cf. ophion. Blyth*), კულანი (*Fquus cf. hemionus*), გარეული ცხენი (*Equus przewalskii pol*) და სხვ.

თრიალეთის მეზოლითური ფაუნა მაჩვენებელია სტეპური, ნახევრადსტეპური და შედარებით ტენიანი ბიოტომის წარმომადგენლების შერწყმისა³¹.

გარკვეულ ინტერესს იწვევს შიდა ქართლის მთისწინა ზოლში აღ. კალანდაძისა და ვ. ლუბინის მიერ მიკვლეული გვიანმეზოლითურ-ადრენეოლითური ძეგლების ჯგუფი³² (სელო, ჯერმუხი, ფიჭვიგვინა,

27 ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი. გვ. 52—56.

28 მ. გ ა ბ უ ნ ი ა. დასახ. ნაშრომი. გვ. 25.

29 Б. А. К у ф т и н. დასახ. ნაშრომი.

30 იქვე, გვ. 26.

31 იქვე.

32 აღ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე. სამხრეთ ოსეთის არქეოლოგიური ექსპედიცია 1952 წლისა. — ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1952 წ. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. თბ., 1953, გვ. 8—10; В. П. Л ю б и н. Первые сведения о мезолите горного Кавказа (Осетия).—МИА, 1966, № 126, გვ. 155—263; ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, ლ. შ ე რ ე თ ე ლ ი. საქართველოს შუა მთიანეთის ზოგიერთი მეზოლითური ძეგლი. —

ძალინა, წიფლეთი, ნაგუთნი I, II, ლაშე-ბალთა, ზურა-ახო, ჭიჭოეთი და სხვ.). მიუხედავად იმისა, რომ ეს კოლექციები მცირერიცხოვანია და დარღვეული ფენებიდან მომდინარეობენ, მათში მაინც კარგად ჩანს ქრონოლოგიური და სტადიალური ნიშნები, რამაც საშუალება მისცა ვ. ლუბინს ამ ძეგლებში ორი ჯგუფი გამოეყო — მეზოლითური (სელო, ჭერმუხი, ფიჭვიგვინა, ძალინა, წიფლეთი), რომლებსაც ფიჩიჩინის ტიპის ძეგლები უწოდა და ადრენეოლითური-ნაგუთნის ტიპისა (ნაგუთანი, I, II, ლაშე-ბალთა, ზურა-ახო, ჭიჭოეთი და სხვ.)³³.

საქართველოს ბარის მეზოლითური ნამოსახლარების მსგავსად ფიჭვიგვინას ტიპის ძეგლების ქვის პირველადი დამუშავების ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ლამელური ტექნიკა და მიკროლითური ხასიათი (ფიჭვიგვინას ქვის მასალის თითქმის ერთ მესამედს სწორკუთხა, დანისებური და მიკროლამელები წარმოადგენს)³¹, რისი უდავო მაჩვენებელიცაა დიდი რაოდენობით ვიწრო, დანისებური და მიკროლამელები, მათ განივკვეთებზე დამზადებული მიკროიარალები, კონუსური და ბრტყელი ნუკლეუსები ლამელების ატკეცვის კვალით, ცოტაა მზა ნაწარმი — საფხეკეები, სახვრეტები, ამოღარულ-დაკბილული იარაღები, გვერდრეტშიანი ლამელები, თითო-ოროლა სეგმენტი და სამკუთხედიანი, ამ ძეგლებს პარალელები მოეძებნება სოსრუყოს I და II ფენებში³⁵.

ფაუნა ნამოსახლარებზე არ შემოინახა და არც პალინოლოგიურადაა შესწავლილი. ამის მიუხედავად მასალის ტიპოლოგია, ქვის იარაღების დამუშავების მიკროლითური ხასიათი და გეომეტრიული ფორმის მიკროლითები უნდა მიუთითებდეს აქ მოსახლე თემების ცხოვრებაში მითვისებითი მეურნეობის სხვადასხვა დარგების წამყვან მნიშვნელობაზე.

აღსანიშნავია, რომ ფიჭვიგვინას ტიპის გვიანმეზოლითური და ნაგუთნის ტიპის ძეგლების ჯგუფი ერთ ლანდშაფტურ-კლიმატურ ზონაში, კერძოდ მთისწინა ზოლში, მდებარეობენ, აქვთ ბევრი საერთო, თუმცა მათ შორის გარკვეული განსხვავებაც შეიმჩნევა, რასაც ვ. ლუბინი ასაკობრივი ხასიათით ხსნის. მას ეს ჯგუფი უფრო გვიანდელად მიაჩნია და სავარაუდოდ ადრენეოლითს აკუთვნებს³⁶. კერძოდ, გან-

ივ. ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ., 1971, გვ. 62—78.

³³ В. П. Лубин. Дасახ. ნაშრომი. გვ. 163.

³⁴ იხ. ს. ჭანაშვიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის ქვის ხანის ფონდი, 3—58—415—625; გ. გ რ ი გ ო ლ ი ა. ცენტრალური კოლხეთის ნეოლითი პალეონ. თბ., 1977, გვ. 90—91.

³⁵ В. П. Лубин. Дасახ. ნაშრომი. გვ. 163.

³⁶ იქვე.

სხვაგვება მდგომარეობს იმაში, რომ ნაგუთნის ტიპის ძეგლებში ნაკლებია სწორი დანისებური ლამელები, სამაგიეროდ ბევრია ამოღარული იარაღები, რომლებსაც ს. ზამიატნიჩი „ლეკალას“ უწოდებდა. ამ იარაღებს აქვთ მცოცავი წნევეთი, შემღწვევი, პარალელურღარებიანი რეტუში, რომელიც ან მოპირდაპირე სიბრტყეზე ან მუცლის მხრიდანაა განლაგებული³⁷.

აღნიშნული კოლექციები მეტად მცირერიცხოვანი და ამასთანავე მასალები ზედაპირულია. გამონაკლისს წარმოადგენს ფიჭვიგვინა, რომელზედაც ზედაპირულის გარდა მასალა აგრეთვე სამი სადაზვერვო თხრილიდან იყო მოპოვებული, რის შედეგადაც მისი რაოდენობა 3000 ერთეულს აღწევს. საგანგებო, არქეოლოგიური შესწავლა ამ ძეგლებისა არ მომხდარა, ამის მიუხედავად ისინი შევიდნენ სამეცნიერო ლიტერატურაში და მათზე დაყრდნობით გამოთქმულია რიგი სადავო მოსაზრებისა³⁸, რომლებსაც ჩვენ აქ არ შევეხებით, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ამ კოლექციების სიმცირის მიუხედავად მათში დადასტურებული ქვის იარაღები და მათი დამუშავების ხასიათი (ლამელური და მიკროლითური ტექნიკა, საფხეკები, „ლეკალოები“) გვიჩვენებენ, რომ აქ მოსახლე ტომების მეურნეობა დამყარებული იყო მითვისებით-კომპლექსური მეურნეობის დარგებზე.

მეზოლით-ადრენეოლითის პრობლემის შესწავლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღმოსავლეთ ამიერკავკასიის განაპირა მხარეში, გობუსტანში (აზერბაიჯანის სსრ) აღმოჩენილ მრავალფენიან ძეგლებს მეზოლით-ნეოლითური კულტურული ფენებით (კიანიზა, ფირუზ I, II, ოკუზლარ 2, გაიალტი და სხვ.). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ძეგლები ჭერჭერობით საფუძვლიანად არ არის შესწავლილი და მათი კომპლექსები გაუმიჯნავია, ისინი მაინც გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ამ მხარის ადრეული კულტურების (მეზოლით-ნეოლითი) შესახებ.

კიანიზას ნამოსახლარი აღმოჩენილი იყო მთა ბეიუკდაშის ზედა ტერასის ორთვალა ეხში. აქ მეზოლითური ფენის ზემოთ იდო ნარევი ფენა ნეოლითური და უფრო გვიანდელი მასალით. გვიანმეზოლითურ ფენაში ნაპოვნი იყო დანისებურ ლამელებზე დამზადებული მიკროწვეტანები, ლამელებსა და ანატეკეებზე ნაკეთები საფხეკები, სახვრეტები, უმნიშვნელო რაოდენობით გეომეტრიული მიკროლითები, ასტამისებური იარაღი, რიყის ქვის საჩხებები, სახეხები, ჩაქუჩები; შესაძ-

37 იქვე .

38 გ. გ რ ი გ ო ლ ი ა. დასახ. ნაშრომი.

ლოა ნეოლითურ ფენას ეკუთვნოდეს ადგილობრივი კირქვის ქურ-
კლის ფრაგმენტები, სახეხები, საწაფები და ქალის ქანდაკებები³⁹.

იმვე მთის ზედა ტერასაზე, ოკუპლარ 2 სადგომზე მიწის ზედა-
პირიდან 0,7—0,8 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა დაახ. ამავე პერიოდის კულ-
ტურული ფენა, რომელშიც ნაპოვნი იყო კაუის კიდურა, გვერდითი და
ოვალური საფხეკები, საჭრისი, საჩეხი, სეგმენტისებური და ასტამისე-
ბური იარაღები, რიყის ქვის ანატკეცები და ლამელები.

არსებულ ძეგლებთან შედარებით უფრო არსებითი მასალა მო-
გვცა გობუსტანში, მთა კიჩიკდაშის კლდოვან ეხებში — ფირუზ I
და ფირუზ II — აღმოჩენილმა სადგომებმა⁴⁰. ამთავან უფრო მეტყვე-
ლი კომპლექსი გამოვლინდა აღმოსავლეთის ეხში — ფირუზ I-ში,
რომელშიც კულტურული ფენა დიდ ფართობზეა დადასტურებული
და უკეთესადაა შესწავლილი. აქ აღმოჩენილ დაახ. 20 სმ სისქის ნეო-
ლითურ ფენაში (ზემოდან რიგით მეორე) ნაპოვნია: მიკროლამელები,
ლამელებსა და ანატკეცებზე დამზადებული კიდურა საფხეკები,
სწორი, მომრგვალო, ირიბი და ამოღარული სამუშაო პირით; წვრილი
პრიზმული ნუკლეუსები, ხშირად მიკროლამელების ცალმხრივად
ატკეცვის კვალით; გეომეტრიულ მიკროლითებს შორის წამყვანი ად-
გილი უჭირავთ ტრაპეციებს, რომლებიც ნეოლითური ფენის მთელი
მონაპოვრის 25%-ს შეადგენენ; არის კარგად დამუშავებული მიკრო-
სეგმენტი და სეგმენტისებური იარაღი. რიყის ქვის იარაღები წარმოდ-
გენილია სახეხებით, საწაფებით, ჩაქუჩებით და საჩეხი იარაღებით.

ფირუზ I და II ეხების გათხრისას კლდის ზედა ნაწილში ნაპოვ-
ნი იყო გამოსახულებები, რომელთა კუთვნილება სადგომისადმი სტრა-
ტიგრაფიულად საბუთდება. მართო ფირუზ II-ზე აღმოჩნდა 50-ზე
მეტე ნახატი, რომელთა შორის აღსანიშნავია ღორების გამოსახუ-
ლებები.

ფირუზ II-ის ძვლოვანი მასალა წარმოდგენილია გარეული ცხო-
ველებით, რომელთა შორის სჭარბობს კულანი (50% მთელი ძვლოვა-
ნი მასალისა), არის აგრეთვე ხარის, თხის, ჭეირანისა და მტაცებელთა
ძვლები (განსაზღვრა დ. გაჭიევემა).

გობუსტანის მასალა გვიჩვენებს, რომ მათი მცხოვრებლების მე-
ურნეობის მთავარი დარგი ნადირობა იყო, რომლის მთავარი ობიექ-

³⁹ Д. М. Рустамов, Ф. М. Мурадова. Раскопки на стоянке Кяниза в Гобустане.—АО, 1975, М., 1976, გვ. 504—505.

⁴⁰ Д. М. Рустамов, Ф. М. Мурадова. Раскопки в Кобыстане.—АО, 1970, М., 1971, გვ. 391; Д. М. Рустамов, Ф. М. Мурадова. Работы в Кобыстане.—АО, 1971, М., 1972, გვ. 477—478.

.ტი კულანი და გარეული ღორი ყოფილა. კომპლექსის ქვისა და ძვლის ინვენტარი მოწმობს რთული შემგროვებლობისა და მეთევზეობის არსებობასაც.

სადგომი თავდაპირველად დათარიღებული იყო გვიანმეზოლით-ადრენეოლითით, ხოლო შემდეგ ნეოლითის ბოლო პერიოდით⁴¹. ჩვენ მართებულად უფრო პირველი თარიღი მიგვაჩნია. თუმცა ძეგლები შესწავლის პროცესშია.

ბეიუჯ-დაშის ნეოლითს ა. ფორმოზოვი კულტურულად უფრო ჩამორჩენილად მიიჩნევს კამენომოსტსკაიას შუა ფენისა და სამელეკლდესთან შედარებით, რასაც იმით ასაბუთებს, რომ წინააზიური გავლენები არ შეეხო სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიას მაშინ, როდესაც მათ მოიცვას კავკასიის შავიზღვისპირა რაიონები⁴². ეს მოსაზრება ძნელი გასაზიარებელია, რადგან ბეიუჯ-დაშის არქაულობა მისი ქრონოლოგიური მომენტით არის განპირობებული და არა მისი კულტურული ჩამორჩენილობით. ეს ძეგლები გვიანმეზოლით-ადრენეოლითის ქრონოლოგიურ ჩარჩოებში თავსდება, მაშინ, როდესაც კამენომოსტსკაიას შუა ფენა გვიანნეოლითით თარიღდება, სამელეკლდის კომპლექსი კი კიდევ უფრო ახალგაზრდაა ბეიუჯ-დაშთან შედარებით და გვიანნეოლით-ენეოლითს, უფრო კი ენეოლითის ხანას განეკუთვნება. სინამდვილეში ბეიუჯ-დაშის ძეგლების შედარება კავკასიის სინქრონულ მასალებთან გვიჩვენებს, რომ ისინი ვითარდებოდნენ აღნიშნულ პერიოდში კავკასიისათვის დამახასიათებელი საერთო გზით და ძეგლების საერთო ფონზე სრულიად არ იგრძნობა მათი კულტურული ჩამორჩენილობა.

კავკასიის მწარმოებლური მეურნეობის ადრეული ეტაპის შესწავლისათვის განსაკუთრებულ მასალას იძლევა დაღესტნის მეზოლით-ნეოლითის ხანის ძეგლები. აქედან ცნობილია როგორც ერთფენიანი მეზოლითური ნამოსახლარები — კოზმა-ნოხო (გუნიბის რ-ნი) და მეკეგი (ლევაშინის რ-ნი), ასევე გვიანმეზოლით-ადრენეოლითური ფენების შემცველი ჩოხის (გუნიბის რ-ნი) მრავალფენიანი ძეგლი. ადრენეოლითი წარმოდგენილია აგრეთვე ტარნარისა და ბუინაკის ღია ნამოსახლარებით.

კოზმა-ნოხო და მეკეგიზე მხოლოდ დაზვერვითი სამუშაოები იყო ჩატარებული, რის გამოც მათი მასალები შედარებით მცირერიცხოვანი და ნაკლებ მეტყველია. ჩვენთვის საინტერესო პერიოდის შესწავლისათვის დაღესტნის ძირითად ძეგლად სადღეისოდ ისევ რჩე-

41 იქვე.

42 А. А. Формозов. О соотношении неолитических и энеолитических культур Кавказа.—КСИА, 1973, вып. 137, гл. 40.

ბა ვ. კოტოვიჩის მიერ აღმოჩენილი და შესწავლილი ჩოხის ნამოსახლარი⁴³, რომელშიც მან ექვსი კულტურული ფენა გამოყო. I—II ფენებს იგი გვიანმეზოლითით ათარიღებდა. აღნიშნულ თარიღს ა. ფორმოზოვიც იზიარებდა⁴⁴.

ჩოხის ზედა ფენის იარაღების ანალიზისა და მათ შორის უნიკალური ნივთის — ნამგლის გათვალისწინების საფუძველზე ვ. კოტოვიჩი თვლიდა, რომ აქ სახეზე უნდა ყოფილიყო მწარმოებლური მეურნეობის უადრესი ეტაპი. ფენაში ნაპოვნი კერამიკა კი მას გვიანდელად მიაჩნდა⁴⁵, შესწავლილი ძვლების 99% ეკუთვნის წვრილ წყვილ-ჩლიქოსნებს — მუფლონისებურ ცხვრებს (78%) და თხებს⁴⁶. შედარებით მცირე რაოდენობითაა ნაპოვნი კეთილშობილი ირმის, გარეული ღორისა და სხვა ცხოველების ძვლები. ფაუნის ნაშთების რაოდენობრივი შეფარდება აშკარად მოწმობს, რომ ნადირობის მთავარი ობიექტი გარეული ცხვარი და თხა ყოფილა⁴⁷.

ცხოველთა მოშინაურების საკითხზე მსჯელობისას მხედველობაში უნდა გვექონდეს ჩოხის ძელოვანი ნაშთები (მუფლონისებური ცხვარი), რომლებსაც ნ. ვერეშაგინი გარეულ ფაუნას აკუთვნებდა, თუმცა იქვე დასძენდა, რომ არსებული მასალის საფუძველზე შეუძლებელია კატეგორიული მტკიცება, რომ ისინი უცილობლად ეკუთვნოდნენ გარეულ და არა შინაურ ფორმებს⁴⁸. როგორც ჩანს, ამ მასალაში მორფოლოგიური ნიშნები მკვეთრად არ იყო გამოკვეთილი. არ არის გამორიცხული, რომ აქ წარმოდგენილი იყო გარდამავალი ფორმა. ნ. ვერეშაგინის სიფრთხილზე შესაძლოა იმითაც იყო გამოწვეული, რომ ეს მასალა მეზოლითური ფენიდან მომდინარე ითვლებოდა და აგრეთვე თვით ვ. კოტოვიჩიც დარწმუნებული იყო, რომ უძრავი მეზოლითური ფენიდან მომდინარე მასალაში არ უნდა ყოფილიყო შინაური ფორმები⁴⁹.

ჩოხის კომპლექსების განსაკუთრებულმა მნიშვნელობამ გამოი-

⁴³ В. Г. Котович. Чохская стоянка—первый памятник Каменного века в горном Дагестане.—Уч. зап. ИИЯЛ, т. III. 1957, Махачкала; მისივე. Каменный век Дагестана. Махачкала, 1964; მისივე. Проблемы культурного и хозяйственного развития древнего населения Дагестана. Махачкала, 1982, გვ. 229.

⁴⁴ А. А. Формозов. Обзор исследования мезолитических стоянок на Кавказе.—СА, 1963, № 2, გვ. 184.

⁴⁵ В. Г. Котович. Чохская стоянка... გვ. 138.

⁴⁶ В. Г. Котович. იქვე. გვ. 153; Н. К. Верещагин. Млекопитающие Кавказа. М., 1959, გვ. 193, 195.

⁴⁷ В. Г. Котович. იქვე.

⁴⁸ Н. К. Верещагин. დასახ. ნაშრომი, გვ. 195.

⁴⁹ В. Г. Котович. დასახ. ნაშრომი, გვ. 153.

წვია აქ გათხრების განახლება. კომპლექსური შესწავლის შედეგად ძეგლი ახლებურად იქნა გააზრებული. განთხარი მასალის დეტალური პუბლიკაცია ჯერჯერობით არა გვაქვს, მაგრამ უახლესი მონაცემები ცნობილია ხ. ამირხანოვის ზოგადი ხასიათის შრომებიდან⁵⁰, საიდანაც ირკვევა, რომ ახალი გათხრების საფუძველზე დაზუსტდა ჩოხის გეოლოგიური და არქეოლოგიური სტრატეგრაფია, რის გამოც ძეგლის ზედა ორი ფენა (მეზოლითურად ცნობილი) აღრენეოლითს მიეკუთვნა⁵¹. ამ უკანასკნელში მოპოვებული მასალები შუქს ჰფენს ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვის აღრეულ საფეხურს.

ჩოხში ახალი გათხრების შედეგად აღმოჩენილი იყო კირქვის ფლეთილი ქვისაგან, მაკავშირებელი ნივთიერების გარეშე ნაშენ ნაგებობათა ნაშთები, კაჟის წვრილი ლამელები; გეომეტრიული ფორმის მიკროლითები — სამკუთხედები, ტრაპეციები; არქაული იერის ნუქა-ლეუსები; ხელსაფქვავის ფრაგმენტები; სამკელი დანის ძვლის ჩარჩოს ნატეხი ლამელების ჩასამაგრებელი გვერდითი ჭრილით; ცხოველის ნეკნისაგან ნაკეთები სამკელი დანა (დაუმთავრებელი) და ცხვრის ლულოვანი ძვლისაგან დამზადებული სალამური. ნაპოვნი იყო აგრეთვე რამდენიმე ათეული კულტივირებული მარცვალი, რომლებშიც გ. ლისიციანამ ხორბალი და ქერი დაადგინა. ლამელების ტრასოლოგიური ანალიზით (გააკეთა გ. კორობკოვამ) გაირკვა, რომ მათი ნაწილი გამოიყენებოდა შედგენილი სამკელი დანების ჩასართებად ან პრიმიტიულ ნამგლებად⁵². აქვე ნაპოვნი იყო მოგვიანო იერის კერამიკა, რომელსაც, როგორც ხ. ამირხანოვი აღნიშნავს, ახასიათებს ფორმების მსგავსება ამიერკავკასიის მოგვიანო სამიწათმოქმედო ძეგლების თიხის ნაკეთობებთან⁵³. აქვე უნდა მოვიგონოთ ვ. კოტოვიჩის კატეგორიული განცხადება, რომ კერამიკა მის მიერ ჩოხის ნამოსახლარზე დადასტურებული იყო მხოლოდ ფენის დარღვეულ მონაკვეთზე, ამას გარდა, იგი ამ კერამიკის პარალელებს ხედავდა იქვე, მახლობლად მდებარე ბრინჯაოს ხანის სამაროვანზე⁵⁴. ზემოთქმულის გარდა, ვფიქრობთ, აღნიშნულ კომპლექსში უჩვეულოდ გამოიყურება კაჟის არქაული იარაღებისა (სამკუთხედები) და კერამიკის თანაარსებობა..

⁵⁰ X. A. Амирханов. Становление производящего хозяйства на северном Кавказе (по раскопкам в Чохе).—В кн.: Культурный прогресс в эпоху бронзы и раннего железа. Ереван, 1983; მ-სივე. Начало земледелия в Дагестане.

⁵¹ X. A. Амирханов. Начало земледелия... გვ. 53.

⁵² იქვე, გვ. 54.

⁵³ იქვე, გვ. 54.

⁵⁴ Б. Г. Котович. Чохская стоянка..., გვ. 138.

როგორც ცნობილია, სამკუთხედები კავკასიის კერამიკიან კომპლექსებში არ გვხვდება და მითუმეტეს, მოგვიანო იერის კერამიკასთან ერთად. საერთოდ, ადრენეოლითში (უკერამიკო) სამკუთხედები უკვე აღარ გვხვდება, ტრაპეციები კი ძირითადად ადრენეოლითის ერთ-ერთი დამახასიათებელი ფორმაა. ზემოთქმულის გამო, კერამიკის კუთვნილება ძირითადი კომპლექსისაღმი ეჭვს იწვევს.

ჩოხის ზედა ფენების ძველი და ახალი მასალის გათვალისწინების საფუძველზე, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ აქ საქმე გვაქვს გვიანმეზოლით-ადრენეოლითის კომპლექსებთან გვიანდელი კერამიკის მიწარევით, რომელშიაც. როგორც სრულიად სამართლიანად თვლის ხ. ამირხანოვი⁵⁵, ასახულია მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვის ადრეული ეტაპი. ამიტომ ძირითადი ფენისათვის ხ. ამირხანოვის მიერ მიღებული თარიღი⁵⁶ — ძვ. წ. VI ათ. I ნახევარი — გვიანდელად მიგვაჩნია, რადგან ეს ის პერიოდია. როდესაც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში უკვე ცნობილია ჩამოყალიბებული ადრესამიწათმომქმედო კულტურები, რომლებსაც განვითარების საკმაოდ ხანგრძლივი გზა აქვთ გავლილი. ამ თარიღს თუ ვერწმუნეთ, მაშინ გამოდის, რომ ჩოხის კულტურა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმომქმედო კულტურის სინქრონულია, რომელიც ასახავს მწარმოებლური მეურნეობის არა ჩასახვის, არამედ უკვე ჩამოყალიბებულ ეტაპს. სინამდვილეში კი ჩოხის ზედა ფენის კაჟის მთელი ინდუსტრია მეტყველებს მის შედარებით არქაულობაზე და სრულ საფუძველს იძლევა, იგი მწარმოებლური მეურნეობის უადრესი საფეხურის მაჩვენებლად მივიჩნიოთ.

დალესტნის მაღალმთიან გუნბის რაიონში ვ. კოტოვიჩის მიერ აღმოჩენილი იყო ღია გვიანმეზოლითური ნამოსახლარი — კოზმანოხო⁵⁷. აქ წარმოების ნარჩენებსა და ლამელა-ანატეკებთან ერთად ნაპოვნი იყო მიკროლამელები, გეომეტრიული ფორმის მიკროლითები: ასიმეტრიული და ტოლფერდა სამკუთხედები. ორიოდე ტრაპეცია, მომრგვალო საფხეკები, დაკბილული და გვერდამოღარული იარაღები, კუთხის საჭრისი, ქვის იარაღების პირველადი დამუშავება დამყარებული იყო ლამელურ ტექნიკაზე და ჰქონდა მიკროლითური ხასიათი. ფაუნა წარმოდგენილი იყო გარეული ცხვრებისა და თხების ძვლებით. აღმოჩენილი მასალა მოწმობს, რომ აქ მოსახლეთა მეურნეობა ნადირობასა და შემგროვებლობაზე იყო დამყარებული.

⁵⁵ X. A. Амрханов. დასახ. ნაშრომი, გვ. 53—55.

⁵⁶ იქვე.

⁵⁷ В. Г. Котович. დასახ. ნაშრომი, გვ. 155; მისივე. Каменный век... გვ. 55.

დაღესტნის ნეოლითური კულტურის ადრეული ეტაპის ძეგლები წარმოდგენილია მთისწინა (ბუინაკსკი), ზღვისპირა (ტარნაირი) და მაღალმთიან ზოლში აღმოჩენილი ძეგლებით, რომელთა შორის, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ჩოხის სრავალფენიანი ნამოსახლარი. როგორც ვხედავთ, ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში ადრენეოლითურ ხანაში ადამიანთა კოლექტივები სრულიად განსხვავებულ ლანდშაფტურ-კლიმატურ ზოლში სახლობდნენ.

ბუინაკსკის კომპლექსი ერთგვაროვანია, ტარნაირისა კი ნარევი, რომელიც მოგვიანო, ენეოლითთან ახლო მდგომ მასალასაც შეიცავს⁵⁸. ბუინაკსკის კაჟის ინდუსტრიის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია მიკროლითურობა. მასალა წარმოდგენილია კაჟის მიკროლაშელებით, ორფერდა ტრაპეციებით, ფანქრისებური ნუკლეუსებით, მორგვალო საფხეკებით, რიყის ქვისაგან დამზადებული გახეხილი, სოლისებური ცულ-სათლეით⁵⁹ და მსგავსი იარაღების ნამზადებით. კაჟის ინდუსტრიის განვითარება აქ მიკროლითურობის გზით წასულა⁶⁰. როგორც ვხედავთ, აღნიშნული კომპლექსი ხასიათდება იმავე მთავარი წამყვანი ნიშნებით, რითაც დასავლეთ ამიერკავკასიის ადრენეოლითური ძეგლები. ეს ფაქტი ცხადად მოწმობს, რომ კავკასიის ორ განაპირა მხარეში ადრენეოლითის ხანაში კაჟის ინდუსტრია ვითარდებოდა საერთო კანონზომიერებით.

ტარნაირში კი ბუინაკსკის ანალოგიურ ადრენეოლითურ კომპლექსთან ერთად არის აგრეთვე ენეოლითური მასალაც: კაჟის ორმხრივდამუშავებული ფუძეამოღარული ისრისპირი, ღარიანი უროები, მსხვილი დანისებური ლამელები და მათზე დამზადებული იარაღები⁶¹, როგორებიც გვხვდება აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებში.

კავკასიის მწარმოებლური მეურნეობის უადრესი ეტაპის შესწავლისათვის მნიშვნელოვან მასალას იძლევა ჩრდილო კავკასიის ძეგლები, თუმცა აქ მათი რიცხვი დიდი არ არის. ამ მხარის ძეგლებიდან შედარებით მეტყველი მასალა მოგვცა ს. ზამიატინისა და პ. აკრიტა-

⁵⁸ В. И. Марковин, Р. М. Мунгаев. Неолитическая стоянка близ г. Буншакска (Дагестан).—КСИИМК, 1957, 67, გვ. 78—82; В. Г. Котович. დასახ. ნაშრომა, გვ. 185—186.

⁵⁹ იქვე. გვ. 187, ნახ. 41, 13.

⁶⁰ იქვე. გვ. 186—187.

⁶¹ В. И. Марковин. Археологические находки с территории Тарнаира (Дагестан).—В кн.: КСИИМК, 67. 1957, გვ. 117—125; В. Г. Котович. დასახ. ნაშრომი, გვ. 186—188.

სის მიერ მდ. ბაქსანის ხეობაში მიკვლეულმა სოსრუყოს მრავალფენიანმა მღვიმემ⁶².

პირველ ორ ზედა ფენას ($M_1—M_2$) გამთხრელები გვიანმეზოლითით ათარილებდნენ⁶³.

სოსრუყოს I—II ფენა ხასიათდება ფანქრისებური, პრიზმული და კონუსური ნუკლეუსებით, დანისებური ლამელებით, ბლაგვკვერდა და გვერდამოღარული ლამელებით, მრგვალი საფხეკებით, ძვლის გვერდლარიანი იარაღით. საჭრისების რაოდენობა მცირდება, ძვლის იარაღები კი წინა ეპოქასთან შედარებით მატულობს. დიდი რაოდენობით იყო ნაპოვნი ნიჟარების (Helix) გროვები. საინტერესოა ფენაში ნაპოვნი სამკელი დანის ძვლის ტარი, მის სწორ სამუშაო პირზე შერჩენილი იყო ორი მიკროლამელა⁶⁴. ეს იარაღი ითვლება სამკელი დანის პირველ აღმოჩენად საბჭოთა კავშირში⁶⁵, რომელსაც პარალელი მოექმბნება ჩრდილო ერაყის (ზავი—ჩემი—შანიდარი) ადრეულ მასალებთან. აღნიშნული მონაპოვრის საფუძველზე ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ ჩრდილო კავკასიის ზოგიერთი მხარე შედიოდა მარცვლეულის კულტურების კერაში⁶⁶.

მიმოხილული ძეგლების კომპლექსების შესწავლის საფუძველზე შევეცდებით დავახასიათოთ (რამდენადაც ამის შესაძლებლობას მასალა იძლევა) კავკასიის გვიანმეზოლითური და ადრენეოლითური ინდუსტრიები, წამოვწიოთ ეპოქალური თავისებურებები, რათა ზოგადის გამოყოფის შედეგად რელიეფურად გამოჩნდეს კავკასიის ცალკეული მხარეების ლოკალურობა, როგორც წარმოების წესში (ქვის იარაღების დამზადების ტექნიკურ-ტიპოლოგიური და საიარაღე ნედლეულის ტრადიციები), ასევე მეურნეობის ხასიათში, რადგან წარმოების წესში დადასტურებული ლოკალური თავისებურებები პირდაპირ კავშირშია მეურნეობის ამა თუ იმ დარგის სპეციფიკასთან.

განვიხილავთ აგრეთვე კომპლექსების დანარჩენ ელემენტებს (ფაუნას, პალეობოტანიკურ და პალინოლოგიურ მონაცემებს, ძვლის იარაღებს და სხვ.), რომლებიც წარმოდგენას იძლევიან ცალკეული მხარეების ეკოლოგიისა თუ მეურნეობის დარგების განვითარების ხასიათისა და დონის შესახებ.

⁶² С. Н. Замятнин, П. Г. Акритас Раскопки грота Сосруко в 1955 г.—Уч. зап. КБНИИ, т. XIII, 1957, Нальчик, гв. 439—452.

⁶³ იქვე. გვ. 452.

⁶⁴ С. Н. Замятнин, П. Г. Акритас. დასახ. ნაშრომი, გვ. 440—442 ნახ. 7.

⁶⁵ С. Н. Бибииков. Из истории каменных серпов на юго-востоке Европы.—СА, № 3. 1962, гв. 23—24.

⁶⁶ В. Г. Котович. დასახ. ნაშრომი, გვ. 133.

მხოლოდ აღნიშნული კვლევის შედეგად მიგვაჩნია შესაძლებლად მიახლოებით მაინც მოვნიშნოთ კავკასიის გვიანმეზოლით-ადრენეოლითელი ტომების კულტურულ-სამეურნეო განვითარების როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული მიმართულებები.

გვიანმეზოლითური კომპლექსების ანალიზმა გვიჩვენა, რომ აღნიშნული ეპოქის ქვის ნაწარმის ერთ-ერთი არსებითი თავისებურებაა ლამელური და მიკროჩასართების ტექნიკის წარმოქმნა და მისი განვითარება მიკროიარაღების სრულყოფის ხაზით. განვითარების ამ რთულ გზაზე გვიანმეზოლითი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფეხურია. ქვის იარაღების წარმოების განვითარება მთელი მეზოლითის მანძილზე მიემართებოდა სწორწახნაგა ლამელების ატაკეცვის ტექნიკის გაუმჯობესებისა და დახვეწის გზით, რადგან ამ ეპოქაში ლამელები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ, იმის გამო, რომ წარმოადგენდნენ ნაშაღს, რომლისგანაც მზადდებოდა იარაღების უმრავლესობა, ამასთანავე, მათი ნაწილი მეორადი დამუშავების გარეშეც იხმარებოდა რთული იარაღების შემადგენელ ჩასართებად. აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა ქვის ნაწარმში მათი რიცხობრივი უპირატესობა. მეზოლითური ლამელები ხასიათდება სწორწახნაგოვნებით, მცირე ზომებით, ხშირად მიკროლითურობით. სწორწახნაგა დანისებური ლამელები გვიანმეზოლითური კომპლექსების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად იქცა და თავის მხრივ განაპირობა ჩასართების ტექნიკის განვითარება. ლამელების განვითარების ტენდენციამ მიკროლითურობისაკენ ჩასართების ტექნიკის განვითარებაც ამავე მიმართულებით წარმართა. მღვიმეებისა და ეხების გვიანმეზოლითური ფენების ერთ-ერთი მთავარი ელემენტია გეომეტრიული მიკროლითი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ასიმეტრიული სამკუთხედები, თუმცა მათი რაოდენობრივი შეფარდება კომპლექსებში ყოველთვის ერთნაირი არ არის. კავკასიაში ისინი პირველად ჩნდება ზედა პალეოლითის ბოლო საფეხურზე, გვარჯილას კლდის ტიპის ძეგლებში და გვხვდება მთელი მეზოლითის მანძილზე. კავკასიის ადრენეოლითის ასიმეტრიული სამკუთხედები აღარ ახასიათებს, ამიტომ ისინი ძირითადად მეზოლითის დამახასიათებელ და დამათარიღებელ ფორმას წარმოადგენენ. კავკასიის გვიანი მეზოლითისათვის დამახასიათებელია ტრაპეციების გაჩენა. ამ ეპოქის ძეგლებში სეგმენტები იშვიათადაა. მიკროლამელების ატაკეცვის ტექნიკის გაუმჯობესებისა და ლამელების წარმოების გაფართოების ერთ-ერთი უტყუარი მოწმეა აგრეთვე სტანდარტული ფორმის ფანქრისებური ნუკლეუსები. ისინი დამახასიათებელია კავკასიის თითქმის ყველა გვიანმეზოლითური ძეგლისათვის. ადრემეზოლითსა და ზედაპალეოლითში ამგვარი ნუკლეუსები არ გვხვდება. აღსანიშნავია ისიც, რომ კავკასიის სხვადასხვა კუთხის ნუკლეუსებს დიდი მსგავ-

სება აქვთ ერთმანეთთან. გვიანმეზოლითურ ძეგლებს ახასიათებს ძველი ფორმის ნუკლეუსებისა (პრიზმისებური და კონუსისებური) და ფანქრისებური ნუკლეუსების თანაარსებობა.

გვიანმეზოლითის კაჟის მასალაში დიდი ადგილი უჭირავთ საფხეკებს. აქ გვხვდება ოვალურ სამუშაოპირიანი, მოკლე ანატეცებსა და მოგრძო ლამელებზე დამზადებული კიდურა საფხეკები, ფაქიზი და თანამიმდევრული რეტუსით. ასევე გვხვდება მრგვალი, ირგვლივდამუშავებული მცირე ზომის საფხეკები, რომლებიც მაქსიმალურ სიჭარბეს ადრენეოლითში აღწევენ და უფრო სრულყოფილ სახეს იღებენ. გვიანმეზოლითი საქრისების სიმრავლით ხასიათდება. ისინი მარტივი ფორმისაა და ძირითადად დამზადებულია ლამელაზე ან ანატეცზე სასაქრისე ჩამონატეხის საშუალებით.

გვიანმეზოლითისათვის დამახასიათებელია აგრეთვე დაკბილული და გვერდამოღარული იარაღები, თუმცა მათი რაოდენობა კომპლექსებში დიდი არ არის. გვიანმეზოლითის ქვის დამუშავების ტექნიკაში ადრემეზოლითთან შედარებით გარკვეული პროგრესი შეინიშნება. უმჯობესდება იარაღების მეორადი დამუშავება, დიდი ყურადღება ექცევა მათ საერთო იერსა და სამუშაო პირის გაფორმებას. რეტუსი ფაქიზდება. გვიანმეზოლითში იწყება რიყის ქვის დამუშავება, ჩნდება პირველი უხეში იარაღები (საწაფები, შურდულის ქვები, სანაყები, სახეხები), რომლებსაც გახეხვა-გაპრიალება ჯერ არ ახასიათებს.

ამგვარად, კავკასიის გვიანმეზოლითური ძეგლების ქვის ინდუსტრიების დამახასიათებელი ნიშნების განხილვა გვიჩვენებს, რომ ამ კომპლექსებს, მიუხედავად მათი ტერიტორიული დაშორებისა, აქვთ მკაფიოდ გამოხატული ზემოჩამოთვლილი საერთო ეპოქალური ნიშნები, რაც კომპლექსების შემადგენელი ელემენტების მსგავსებაში ვლინდება.

წინა ეპოქების ქვის დამუშავების ტექნიკის გადმონაშთად უნდა მივიჩნიოთ თითო-ოროლა გაცვეთილი, დისკოსებური ნუკლეუსიდან ან მასიური უხეში ანამტერევისაგან დამზადებული საჩხისებური იარაღი, გრავეტისა და შატელპერონის ტიპის წვეტანები, დანები, და სხვ.

კავკასიის გვიანმეზოლითური ძეგლების ურთიერთშედარება გვიჩვენებს, რომ ამ კულტურას ჰქონდა საერთო, ზოგად კანონზომიერებაზე დამყარებული, განვითარების ერთიანი, ძირითადი ხაზი, რაც ძეგლების ზოგად მსგავსებაში აისახა. მაგრამ ამ ზოგად მსგავსებასთან ერთად შეიმჩნევა ცალკეული იარაღების დამზადების თავისებურება, განსხვავება იარაღთა ფორმებსა და მათ რაოდენობრივ ურთიერთშეფარდებაში. აღნიშნული განსხვავება განპირობებული უნდა ყოფილიყო ამა თუ იმ მხარის ლოკალური (ლანდშაფტურ-კლიმატურ-

რი, ფლორა, ფაუნა, საწარმოო ტექნიკური ტრადიციები და სხვ.) თავისებურებებით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ძეგლებს შორის მსგავსება უფრო დიდია, ვიდრე განსხვავება.

ადრენეოლითური ხანის ქვის ინდუსტრიის ეპოქალური თავისებურებაა იარაღების დასამზადებელ ტრადიციულ ნედლეულთან — კაუთან და ობსიდიანთან ერთად ახალი ნედლეულის — ქვის სხვადასხვა ქანების (რიყის ქვის, ბაზალტის, არგილიტის და სხვ.) გამოყენება და მათგან მანამდე სრულიად უცნობი ტექნიკით — გახეხვა-გაპრიალებით — იარაღების დამზადება. საიარაღე ნედლეულისა და ტექნიკის სიახლემ განაპირობა იარაღთა ახალი ფორმების წარმოქმნა. ჩნდება გახეხილ-გაპრიალებული ცულები, სატეხები, სათლელები, ჩაქუჩები, საპრიალებლები, სახეხები, ხელსაფქვავეები, შურდულის ქვეები, საბერეგლები, საწაფები, თოხისებური იარაღები, აღნიშნული ცვლილებები ქვის დამუშავების ტექნიკასა და იარაღთა ტიპოლოგიაში ეპოქალურია და განასხვავებს ამ კომპლექსებს გვიანმეზოლითურისაგან.

კავკასიის ადრენეოლითური ქვის ინდუსტრიების განხილვა გვიჩვენებს, რომ განურჩევლად იმისა, თუ კავკასიის რომელ რეგიონში მდებარეობს ესა თუ ის ძეგლი — შავიზღვისპირეთის, კასპისპირეთის, მთისწინა ბორცვოვან ზოლში, ყვირილის ხეობის შუა წელზე თუ მაღალმთიან დაღესტანში, მათ მთავარ დამახასიათებელ ნიშნად რჩება მიკროლითური ტექნიკა.

ადრენეოლითური ქვის ინდუსტრიის მეორე ნიშანი, რომელიც საყოველთაოდ დასტურდება კავკასიის ძეგლებში, არის ლამელა-ჩასართების ტექნიკის დიდად განვითარება და მათი უპირატესობა სხვა სახის მიკროიარაღებთან. ჩასართების ტექნიკა უშუალოდ ემყარება და სწორწახნაგა დანისებური ლამელების წარმოების გაფართოებას. სწორწახნაგა, თავ-ბოლო გადატეხილი ლამელა, მისი მარტივი დამზადების ხერხისა და დაკარგული და გაცვეთილი ნაწილების ადვილად შეცვლის გამო, ჩასართების ყველაზე მოხერხებულ ფორმას წარმოადგენდა. აღნიშნული გარემოება უნდა ყოფილიყო მიზეზი ადრენეოლითურ კომპლექსებში მათი სიჭარბისა. დანისებური ლამელების მნიშვნელობის ზრდამ განაპირობა მათი ატკეცვის ხარისხისა და ნუქლეუსების მომზადების ტექნიკის გაუმჯობესება.

როგორც საქართველოს ქვის ხანის ძეგლების მიკროლითური ტექნიკისა და გეომეტრიული მიკროლითების ანალიზმა გვიჩვენა⁸⁷,

⁸⁷ ლ. ნეზირაძე, მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები საქართველოს ქვის ხანის ძეგლებში. — „სურნ. „მაცნე“, № 3. 1975, იანხის სერია, გვ. 83—103.

ჩასართების ტექნიკა მითვისებითი მეურნეობის სხვადასხვა დარგებს ემსახურებოდა. ამიტომ შესაძლოა მითვისებითი მეურნეობის დიდი განვითარებით ყოფილიყო გამოწვეული ლამელა-ჩასართების განსაკუთრებული როლი. აქედან გამომდინარე, კანონზომიერი უნდა ყოფილიყო მისი სიჭარბე კავკასიაში, სადაც შემგროვებლობას ფართო სარბიელი ჰქონდა.

საფიქრებელია, რომ ლამელა-ჩასართების უპირატესობამ სხვა ფორმის ჩასართებთან განაპირობა გეომეტრიული ფორმის მიკროლითების შედარებითი სიმცირე და ერთფეროვნება ზოგიერთ ადრენეოლითურ ძეგლში. აღსანიშნავია, რომ ადრენეოლითის ძეგლებს გეომეტრიული ფორმებიდან უპირატესად ტრაპეციები ახასიათებს. ესეც ერთ-ერთი თავისებურებაა კავკასიის ადრენეოლითისა. ცხადია, აქ იგულისხმება ის ძეგლები, რომლებშიც საერთოდ ჩნდება გეომეტრიული მიკროლითები. ამგვარივე თავისებურებათა რიგს უნდა მივაკუთვნოთ ასიმეტრიული სამკუთხედების საყოველთაო გაქრობა ადრენეოლითში. აღნიშნულ ძეგლებში გადმონაშთის სახით გვხვდება თითო-ოროლა ბლაგვზურგა მიკროლამელა.

კავკასიის ადრენეოლითის საერთო, ეპოქალურ თავისებურებებს მიეკუთვნება საჭრისების სიმრავლე. ეს ნიშანი განასხვავებს მას მეზობელი რეგიონების კულტურებისაგან. საჭრისების სიჭარბე განპირობებული უნდა ყოფილიყო ძვლისა და ხის დამუშავების გაზრდილი მოთხოვნილებით, რაც თავის მხრივ უკავშირდებოდა ჩასართების ტექნიკის განვითარებას.

კავკასიის ადრენეოლითის ერთ-ერთ თავისებურებათა რიგს მიეკუთვნება აგრეთვე საფხეკების სიმრავლე და ფორმების მრავალგვარობა. სამ პერიოდის კომპლექსებში გვხვდება ოვალურპირიანი, კიღურა საფხეკები, დამზადებული მოკლე ანატეცეცებზე და მომრგვალო ან ოვალური საფხეკები, ხშირად მიკროლითური. იარაღების სამუშაო პირის გასაფორმებლად ფართოდ იყენებდნენ წნევით რეტუშს. უმჯორესდება მეორადი დამუშავების ხარისხი, ვითარდება და იხვეწება მათი ფორმები. ძველი, გვიანმეზოლითური იერის იარაღებთან ერთად ჩნდება ახალიც. საფხეკების სიმრავლე პირდაპირ კავშირში უნდა იყოს ნადირობისა და მეცხოველეობის ერთ-ერთი ძირითადი პროდუქტის, ტყავის დამუშავებასთან. ადრენეოლითური და გვიანმეზოლითური ქვის ინვენტარის შედარება გვიჩვენებს, რომ ადრენეოლითური იარაღების ფორმები და მათი დამუშავების ტექნიკა მკიდროდ უკავშირდება გვიანმეზოლითურს. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ცივი მღვიმის ადრენეოლითური და გვიანმეზოლითური ფენების, დარკვეთის ეხის IV და V ფენების, ჩოხისა და სოსრუყოს ზედა ფენების შედარებიდან.

გვიანმეზოლითში ჩანასახში მყოფი რიყისქვის იარაღების გამოყენება შემდგომ განვითარებას აღწევს ადრენეოლითში. გვიანმეზოლითურ უხეშ ტრაპეციებთან შედარებით იხვეწება ადრენეოლითური ტრაპეციები და მათი რაოდენობაც მატულობს. ადრენეოლითური საფხეკების დიდ ნაწილს (მომრგვალო და კიღურა) პროტოტიპები გვიანმეზოლითში მოეძებნება. ადრენეოლითში გრძელდება გვიანმეზოლითში დაწყებული ფანქრისებური ნუკლეუსების გამოყენება. მაგრამ ამ ძველ ფორმებთან ერთად უკვე სჭარბობს კიდეც პრიზმისებური და კონუსური ნუკლეუსები, მიკროსწორწახნაგა ლამელების ატკეცვის კვალით. როგორც ჩანს, ლამელა-ჩასართების ტექნიკის განვითარების მზარდ მოთხოვნილებას უფრო აკმაყოფილებდა პრიზმისებური ნუკლეუსები.

ანალოგიური სურათი ჩანს დასავლეთ ამიერკავკასიის გვიანმეზოლით-ადრენეოლითის ღია ნამოსახლარების (ანასეული I, კინტრიშის ნამოსახლარებისა და კვირიკეს ჭგუფის ძეგლების) შედარებისას. ამ ძეგლების მაგალითზე კიდეც უფრო მკაფიოდ ჩანს მათი გენეტიკური კავშირი.

ადრენეოლითური ქვის ინდუსტრიის დახასიათებიდან მკაფიოდ ჩანს მისი სიახლოვე გვიანმეზოლითურთან. კარგად ჩანს, რომ ამ ორ კულტურას აქვს რიგი საერთო ნიშნებისა, რომლებიც მთავარი და წამყვანია, როგორც ერთის, ისე მეორისათვის. განსხვავება მათ შორის ამ უკანასკნელის განვითარებასა და სრულყოფაშია. მაგრამ ამ განვითარებად ნიშნებთან ერთად არის აგრეთვე არსებითი ხასიათის ცვლილებებიც, რომელთა შორის თვისებრივი სიახლეცაა.

ამგვარად, კავკასიის გვიანმეზოლითური და ადრენეოლითური ინდუსტრიების შედარება გვიჩვენებს, რომ ადრენეოლითური კულტურა თავისი ფესვებით მკიდროდ უკავშირდება გვიანმეზოლითურს, აგრძელებს და ავითარებს ქვის იარაღების დამუშავების ტექნიკისა და კულტურულ მიღწევათა ტრადიციებს. -

გვიანმეზოლით-ადრენეოლითის კაუის ინდუსტრიაში მომხდარი ცვლილებები განპირობებული იყო მეურნეობაში მომხდარი ძვრებით⁵⁸.

კავკასიის გვიანმეზოლითურ ფენებში ნაპოვნი არქეოლოგიური და პალეონტოლოგიური მასალების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ გვიანმეზოლითური ეპოქის მცხოვრებთა ეკონომიკა ძირითადად დამყარებული იყო მითვისებითი მეურნეობის სხვადასხვა დარგებზე. კერძოდ, განსაკუთრებული როლი უნდა ჰქონოდა ნადირობას. პირველ

⁵⁸ ლ. ნ ბ ი რ ი ძ ე. დარკვეთის მრავალფენიანი ეხი. გვ. 43—48.

რიგში ამას მოწმობს კავკასიის გვიანმეზოლითურ ფენებში ნაპოვნი მრავალრიცხოვანი გარეული ცხოველის ძვლები. მათი საშუალებით გაირკვა, რომ ჰოლოცენის დასაწყისში მთელ კავკასიაში საყოველთაოდ ყოფილა გავრცელებული კეთილშობილი ირემი, შველი, გარეული ღორი, ცხვარი, თხა და ტყის სხვა ბინადარი⁶⁹, ბუნებრივია, რომ აღნიშნული ცხოველები მეზოლით-ნეოლითელი ტომების ნადირობის ობიექტს წარმოადგენდნენ.

ამიერკავკასიის ჰოლოცენის პალეონტოლოგიური⁷⁰ და პალინოლოგიური⁷¹ მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ პლეისტოცენის კლიმატური პირობებიდან გამყინვარების შემდგომ ეპოქის თბილ კლიმატზე გადასვლა დაკავშირებული იყო მშრალი ფლორის გავრცელებასთან, რამაც გამოიწვია ნესტიანი ბიოტომების შემცირება და შედარებით ფართო გავრცელება მშრალი ჰავის მოყვარე ხერხემლიანებისა, რომელთა შორის მრავლად იყვნენ წინა და სამხრეთ აზიის ფაუნის წარმომადგენლები. მაგრამ, ამის მიუხედავად, ადრეპოლოცენის ზოოცენოზებში ქსეროფიტულ ცხოველებს მაინც დაქვემდებარებული მდგომარეობა ჰქონდათ⁷². ამის საბუთს წარმოადგენს ადრეპოლოცენის მტვრიანებში წიწვიანებისა და მეზოფიტური ჯიშების აღმოჩენა, რაც მოწმობს ნესტიანი ბიოტომების შედარებით ფართო, საყოველთაო გავრცელებას⁷³.

აღნიშნული მოსაზრება დადასტურდა ადრეპოლოცენის კულტურულ ფენებში ნესტიანი ბიოტომებისათვის დამახასიათებელი ცხოველების აღმოჩენით (ირემი, შველი, გარეული ტახი, თახვი და სხვა). საინტერესოა; რომ ჭვემო ქართლის არუხლო I- არუხლო III და წოფის ნამოსახლარებზე აღმოჩნდა თახვის ძვლები⁷⁴.

ქსეროფიტული ფაუნის შეჭრა თითქმის არ შეეხო დასავლეთ საქართველოს, სადაც პალინოლოგიური მონაცემების თანახმად, შეიმჩნეოდა ლანდშაფტური პირობების გარკვეული კონსერვატულობა,

⁶⁹ И. К. Верещагин. Млекопитающие Кавказа (История формирования фауны), М., 1953, гл. III, 193, 195.

⁷⁰ О. Г. Бендукидзе. დასახ. ნაშრომი, გვ. 119.

⁷¹ И. И. Тумаджанов, Л. К. Гогичайшвили. Основные черты послехвалинской истории лесной растительности иорской низменности— Сб.: „Голоцен“, М., 1969. Л. К. Гогичайшвили. История лесной растительности средненорской низменности в Голоцене. Автореф. канд. дисс., Тбилиси, 1969.

⁷² О. Г. Бендукидзе. დასახ. ნაშრომი, გვ. 121.

⁷³ И. И. Тумаджанов, Л. К. Гогичайшвили. დასახ. ნაშრომი.

⁷⁴ О. Г. Бендукидзе. Бобр в Голоцене Грузии.—საქართველოს მეცნ. აკად. მოამბე, 58, № 2, 1970. გვ. 85.

რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ადგილობრივ ხერხემლიანთა ფაუნის უცვლელობას⁷⁵.

პალეონტოლოგიური და გეოლოგიური მონაცემების საშუალებით ირკვევა, რომ კავკასიის ადრეპოლოცენში შედარებით თბილი ჰავა იყო და იმ დროს გავრცელებული იყო ისეთი ფაუნა, რომელიც ახლოსაა თანამედროვესთან⁷⁶. პალეოზოოგეოგრაფიულმა მონაცემებმა ცხადყო, რომ ცხოველთა ეს სახეები, გვიანმეზოლითიდან მოყოლებული, ამ რეგიონებში უკანასკნელ ხანებამდე ბინადრობდნენ და გადაშენდნენ მხოლოდ ანთროპული ფაქტორების წყალობით.

გამყინვარების შემდგომმა ეკოლოგიურმა ცვლილებებმა, მოსახლეობის ზრდამ მეზოლით-ნეოლითის ხანაში, რაც მთავარია, ანთროპულმა პირდაპირმა და არაპირდაპირმა ფაქტორებმა შეამცირეს დიდი ჯოგური ცხოველების რაოდენობა და მათი გავრცელების არეალი. რის გამოც მსხვილფეხა ჯოგურ ცხოველებზე ნადირობა თანდათანობით შეიცვალა წვრილფეხა ჯოგურ ცხოველებზე ნადირობით, რასაც უპირატესად ინდივიდუალური ხასიათი მიეცა⁷⁷, დასავლეთ საქართველოს ზედაპალეოლითური ძეგლების ფაუნისტური ნაშთების განხილვა გვიჩვენებს, რომ ოსტეოლოგიური მასალის ყველაზე დიდი ნაწილი მოდის მსხვილ ჩლიქოსნებზე (Ungulata), კერძოდ დომბაზე, კეთილშობილ ირემზე, ცხენზე და ჯიხვზე. შედარებით მცირერიცხოვანია შვლის, ქურციკის და გარეული ღორის ძვლები. მტაცებელი ცხოველების ნაშთებიდან (Carnivora) ყველაზე მეტი რაოდენობა მღვიმის დათვზე და მგელზე მოდის⁷⁸.

კავკასიის მეზოლითური ძეგლების ფაუნის ნაშთების შედარება ზედაპალეოლითურთან აშკარად გვიჩვენებს ნადირობის ობიექტის ცვლილებას. თუ ზედაპალეოლითში ნანადირევის ყველაზე მეტი პროცენტი მსხვილჩლიქოსნებზე მოდიოდა, გვიანმეზოლითში მდგომარეობა იცვლება — მატულობს წვრილ ჩლიქოსანთა მნიშვნელობა, როგორც ნადირობის ობიექტისა. დომბას ნაშთები თითქმის აღარ გვხვდება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გარეულ ღორს, კეთილშობილ ირემს, შველს, გარეულ ცხვარსა და თხას. დასავლეთ ამიერკავკასიის გვიანმეზოლითურ ძეგლებში წვრილჩლიქოსანთა შორის რიცხობრივი უპირატესობა გარეული ღორის ძვლებს ეკუთვნის.

⁷⁵ О. Г. Бендукидзе, იქვე, გვ. 120.

⁷⁶ В. И. Громов, Палеонтологическое и археологическое обоснование стратиграфии континентальных отложений четвертичного периода на территории СССР — Труды ин-та геол. наук, вып. 64, серия № 17, 1948 гв. 233, 247.

⁷⁷ А. А. Формозов, Этнокультурные области на территории Европейской части СССР в каменном веке, М., 1959.

⁷⁸ გ. ნიორაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 38. იხ. ცხრილი 2.

რაც შეეხება ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიას, კერძოდ, დაღესტანს, გვიანმეზოლითური კოლექტივების (ჩოხი, კოზმა-ნოხო, მეკევი) მეურნეობის საფუძველს აქაც ნადირობა წარმოადგენდა. როგორც ფაუნის ნაშთები გვიჩვენებენ, აქაც ნადირობდნენ კეთილშობილ ირემზე. შევლზე, გარეულ ღორზე, კავკასიურ ჯიხვზე, ზუბრსა და სხვა ცხოველებზე, მაგრამ ნადირობის ძირითადი ობიექტი წვრილფეხა წყვილჩლიქოსნები — მუფლონისებური ცხვრები და ბეზოარის თხები — იყო, რომელთა ხვედრითი წონა ძვლოვან მასალაში ყველაზე დიდია⁷⁹. ცხოველთა აღნიშნული სახეობა ყველაზე მეტად სწორედ კავკასიის ამ მხარეში იყო გავრცელებული. მთიან დაღესტანში ნადირობის ძირითად ობიექტს რომ წვრილფეხა რქოსანი ცხოველები შეადგენდნენ, საბუთდება აგრეთვე ჩოხისა და კოზმა-ნოხოს მახლობლად, იმავე, გუნების რაიონში მდებარე მღვიმეების ჩუვალ-ხვარაბ-ნოხოსა და ჩინა-ხიტას მეზოლითური ეპოქის კელლის მხატვრობითაც. ჩინა-ხიტას გამოსახულებებში რაოდენობრივად ყველაზე დიდი ადგილი ბეზოარის თხებს უჭირავთ⁸⁰.

საინტერესოა დაღესტნის ერთფენიან მეზოლითურ სადგომ მეკევიზე (ლევაშინის რაიონი) ძალის ძვლების პოვნის ფაქტი.

საყურადღებოა, რომ პალეობიოლოგების მიერ სწორედ მადლენის ეპოქა (III ვიურმი) ითვლება კავკასიის ცხოველთა სამყაროს გარდატეხის მომენტად, აშკარაა ამ ეპოქის ეკოლოგიაში მომხდარი ცვლილებები, კერძოდ, გვიანპლეისტოცენში ფართოდ გავრცელებული ფორმების ამოწყდომა, რის შემდეგაც უკვე არსებობს თანამედროვესთან ახლომდგომი ფაუნა⁸¹.

აღნიშნულმა ცვლილებებმა გარკვეული გავლენა მოახდინეს მონადირულ მეურნეობაზე, შემცირდა ნადირობის შესაძლებლობები, იგი ვერ აკმაყოფილებდა მზარდი მოსახლეობის მოთხოვნებს. წარმოიშვა გარკვეული უთანაბრობა ნადირობის მოთხოვნილებასა და შესაძლებლობას შორის, რამაც გამოიწვია მონადირული მეურნეობის თავისებური კრიზისი. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის ძებნა დაიწყო თვით მონადირული მეურნეობის წიაღში, რამაც ადამიანი მიიყვანა ცხოველების მოშინაურების ცდებამდე. ამისი მკაფიო მაგალითი უნდა იყოს შინაური ცხოველების ძვლების პოვნა დარკვეთის ადრენეოლითურ ნამოსახლარზე, სადაც მეურნეობის მნიშვნელოვან დარგად ჭერ კიდევ ნადირობა და შემგროვებლობა რჩებოდა. აღნი-

⁷⁹ Н. К. Верещагин. Дасახ. ნაშრომი, გვ. 111, 193, 195, ტაბ. 82.

⁸⁰ В. М. Котович. Древнейшие писаницы горного Дагестана. М., 1976, გვ. 60, 64, 40.

⁸¹ О. Г. Бендукидзе. Дасახ. ნაშრომი, გვ. 112.

შნული ფაქტი კარგად გვიჩვენებს მეზოლითური მეურნეობის წიაღში მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვას⁸².

ფაუნისტურ ნაშთებს გარდა, ნადირობის დამადასტურებელ სხვა არაპირდაპირ მასალებს შორის, გვიანმეზოლითურ კომპლექსებში უნდა აღინიშნოს ძვლის შედგენილი (ჩასართებიანი) სატყორცნი იარაღების და ნანადირევის ტყავის დასამუშავებელი საფხეკების დიდი რაოდენობა. ადრემეზოლითურ კომპლექსებში გვხვდება იარაღები, რომლებიც ნადირობისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. ასეთი იარაღების რიგს უნდა ეკუთვნოდეს მიკროწვეტანების, წვეტანებისა და ისრისპირების სერები. კავკასიის გვიანმეზოლითში ისრისპირები ან არ გვხვდება ან იშვიათია. საფიქრებელია, რომ სანადირო იარაღის ფუნქციას აქ სხვა სახის იარაღები ასრულებდნენ.

ნადირობის განსხვავებულ ობიექტთან დაკავშირებით ამა თუ იმ ცხოველის ინდივიდუალური თვისებების შესაბამისად, სანადირო იარაღები და ხერხებიც სხვადასხვა უნდა ყოფილიყო. ზოგ შემთხვევაში კაჟის იარაღები (ისრისპირები და წვეტანისებური იარაღები) იქნებ არ ყოფილიყო ეფექტური, რის გამოც ნადირობა ხდებოდა სრულიად სხვადასხვა წესებით და იარაღებით (შენიღბული ორმოები, ხაფანგები, რთული შედგენილი იარაღები და სხვ.). ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, შემცირებულიყო ან შეცვლილიყო კაჟის სანადირო იარაღების სახე და რაოდენობა. შენიღბული ორმოებითა და ხაფანგებით ნადირობას ხშირად უნდა მოჰყოლოდა ნადირის ცოცხლად შეპყრობა და მისი მიყვანა სადგომის ტერიტორიაზე. უკანასკნელს კი, უნდა წარმოექმნა იდეა საკვების თავისებური მარაგის შექმნისა, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა ცხოველთა ზოგიერთი ჯიშის მოშინაურობა. გვიან მეზოლითში ფართოდ განვითარებულ მონადირეობას თავისებური საფუძველი უნდა შეექმნა მომდევნო ეპოქაში ცხოველთა მოშინაურობაზე გადასასვლელად.

მაგრამ მიუხედავად შექმნილი წინაპირობებისა, მეცხოველეობის დამადასტურებელი პირდაპირი მასალა დიდხანს არ ჩანდა კავკასიის ადრენეოლითური ძეგლების სუსტი შესწავლის გამო. მიუხედავად ამისა, გამოთქმული იყო ვარაუდი⁸³, რომ დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნი (ანასეული I) მითვისებითი მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად პრიმიტიულ მეცხოველეობასაც მისდევდნენ, რის გამოც მათ გარკვეული ურთიერთობა ჰქონდათ ობსიდიანით მდიდარ სამხრეთის რაიონებთან. აღნიშნული ვარაუდის საფუძველს წარმოადგენდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გვიანმეზოლითიდან ადრე-

⁸² ლ. ნებერიძე. დარკვეთის მრავალფენიანი ეხი. გვ. 46.

⁸³ ლ. ნებერიძე. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი. გვ. 101.

ნეოლითზე გარდამავალ პერიოდში (ხუცუბან-ქობულეთი) და შემდეგ ადრენეოლითში (ანასეული I) ობსიდიანის ინდუსტრიების გაჩენა, მაშინ როდესაც ობსიდიანი დასავლეთ ამიერკავკასიაში არ მოიპოვება. რაც შეეხება კაუს, მისი ბუდობები აქ მრავალადა მდინარეთა გაშიშვლებებში, რომელსაც წარმატებით იყენებდნენ დასავლეთ ამიერკავკასიის როგორც პალეოლითელი, ასევე გვიანნეოლითელი და ენეოლითელი მცხოვრებლები. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვარაუდს აღნიშნულ რეგიონში ობსიდიანის ინდუსტრიის სამხრეთიდან შემოტანის შესახებ⁸⁴, რის დადასტურებად შეიძლება მივიჩნიოთ თრიალეთისა (ეძანი) და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ხუცუბანი, ქობულეთი, ანასეული I) ობსიდიანის ინდუსტრიების გარკვეული სიახლოვე⁸⁵.

თუ აღნიშნული ვარაუდებიდან ერთ-ერთი მაინც სწორია, ჩვენ აქ სახეზე გვაქვს დას. საქართველოს გვიანმეზოლითიდან ადრენეოლითზე გარდამავალი და ადრენეოლითური ხანის ტომების მოძრაობისა თუ სამხრეთ საქართველოსთან ურთიერთობის ამსახველი ფაქტი. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვვარაუდობთ, რომ აღნიშნული მოძრაობისა თუ ურთიერთობის მიზეზი უნდა ყოფილიყო ახალი მეურნეობის ელემენტების ჩასახვა, რამაც, როგორც ჩანს, ადრე იჩინა თავი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ ტომებში. შესაძლოა, სპეციალიზებული, რთული მითვისებითი მეურნეობისათვის ხელსაყრელი სავარგულების ძიებამ ტომთა გარკვეული ნაწილი მიიყვანა ფლორითა და ფაუნით ისეთ მდიდარ და მრავალფეროვან რეგიონში, როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი იყო.

მწარმოებლური მეურნეობის ინტერესებით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი ამ ტომების მიერ მთისწინა ბორცვოვანი ზოლისა და მდინარეთა ხეობების ნაყოფიერი ტერასების ათვისება. როგორც თრიალეთისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლების შედარებიდან ჩანს, ეს კონტაქტები გვიანმეზოლითის შემდეგ თანდათან ინტენსიურდება. ამის მკაფიო მაჩვენებელი უნდა იყოს ზემოაღნიშნულ ნამოსახლარებზე ობსიდიანის ხვედრითი წონის ურთიერთშეფარდება⁸⁶.

დასავლეთ საქართველოს ძეგლებში, რომლებშიც ფართოდაა წარმოდგენილი ობსიდიანის ინდუსტრია, შეიმჩნევა აღნიშნული ნედლეულის რაოდენობის მატება გარკვეული ქრონოლოგიური თანმიმ-

84 დ. თუ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. რეცენზია ლ. ნებიერიძის ნაშრომზე „დასავლეთ-ამიერკავკასიის ნეოლითი“, 1967, ხელნაბეჭდი.

85 ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი. გვ. 68.

86 ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე. დარკვეთის მრავალფენიანი ეხი. გვ. 67.

დევრობით (კვირიკე, ხუცუბან-ქობულეთი ანასეული I). ამ ძეგლების პროცენტული შეფარდება გვიჩვენებს, რომ ობსიდიანის გამოყენების დასაწყისი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გვიანმეზოლითის ემთხვევა (კვირიკე). მეზოლითიდან ნეოლითზე გარდამავალ ხანაში (ქობულეთ-ხუცუბანი) მისი რაოდენობა მატულობს, ხოლო ადრენეოლითში (ანასეული I) განსაკუთრებულ სიჭარბეს აღწევს.

მეორე მხრივ, თრიალეთისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლებიდან ჩანს, რომ პირველ ეტაპზე (მეზოლით-ადრენეოლითი) ეს კონტაქტები გრძელდება, რაც ჩანს როგორც ობსიდიანის იმპორტში, ასევე თვით ეძანის კომპლექსში იარაღების ადრენეოლითური (ანასეული I, ხუცუბან-ქობულეთი) ფორმების არსებობაში. ეს კონტაქტები რომ გვიანმეზოლითის შემდგომ პერიოდს და გვიანმეზოლითიდან ადრენეოლითზე გარდამავალ ხანას უკავშირდება, ამის მაჩვენებელი უნდა იყოს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს აღნიშნულ კომპლექსებში (ხუცუბან-ქობულეთი, ანასეული I) ეძანის გვიანმეზოლითისათვის დამახასიათებელი ასიმეტრიული სამკუთხედებისა და ზოგიერთი სხვა ადრეული ფორმების არარსებობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ობსიდიანის იმპორტი და სამხრეთ საქართველოსთან ინტენსიური კავშირი შეიმჩნევა მხოლოდ ნეოლითის ადრეულ ეტაპზე, შემდეგ ეს კავშირი სუსტდება საქართველოს შავიზღვისპირეთის გვიანნეოლითში (ანასეული II, გურიანთა, მამათი, ოდიში), რომლის ინდუსტრიები აშკარა გენეტიკურ კავშირს ავლენენ ამავე რეგიონის ადრენეოლითთან. ობსიდიანის იმპორტი მინიმუმამდე დადის და ძირითადად კაუჩის ნედლეულის ბაზაზე ხორციელდება იარაღების წარმოება.

ძეგლების სიმცირის პირობებში, ამ ტომების მოძრაობისა თუ ურთიერთობების მიმართულებებისა და გზების დადგენა ჭირს. არ არის გამორიცხული, რომ ეს ურთიერთობა ხორციელდებოდა აჭარის ქედის წყალგამყოფებით, კერძოდ, აჭარა-გურიის ქედის გადასასვლელებით, უფრო სავარაუდოა გოდერძის უღელტეხილით და ზოგ შემთხვევაში ზღვისპირითაც. ყოველ შემთხვევაში, თითქმის არ გვაპარება ეპკვი, რომ ეს მოძრაობა თუ ურთიერთობა განპირობებული იყო მითვისებითი მეურნეობის წიაღში ჩასახული ახალი ეკონომიკისათვის ხელსაყრელი სარბიელის ძიებით.

ზემომოტანილი მსჯელობით ჩვენ არ გვინდა იმის თქმა, რომ შავიზღვისპირეთსა და საერთოდ დასავლეთ ამიერკავკასიაში მწარმოებლური მეურნეობა თითქოს მზამზარეული სახით სამხრეთ საქართველოდან შემოვიდა. საამისო პირდაპირი მასალა არა გვაქვს. თრიალეთისა და ხუცუბან-ქობულეთის კოლექციებში ჭერჭერობით აშკარად არ ჩანს მწარმოებლური მეურნეობის დამადასტურებელი საბუ-

თები. უფრო მეტიც, აღნიშნული ნამოსახლარების ობსიდიანის ინდუსტრიების ტრასოლოგიურმა შესწავლამ⁸⁷ ვერ გამოავლინა სამიწათმოქმედო დანიშნულების იარაღები (სამკელი დანები), ისინი დადასტურდა მხოლოდ ადრენეოლითში (ანასეული I). მაგრამ ჩვენ ამის გამო, რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავთ აღნიშნულ რეგიონებში რთული შემგროვებლობის არსებობას. თუნდაც იმის გამო, რომ ამის საბუთი უკვე გვაქვს კიდეც ცოვი მღვიმედან. ამას გარდა, ცნობილია, რომ სამკელი დანების გამოყენება მიზანშეწონილი უნდა ყოფილიყო მხოლოდ კულტივირებული მარცვლეულის ასაღებად, ხოლო ველური ჭიშებისა, საერთოდ და კერძოდ. დასავლეთ საქართველოში დამოწმებული ენდემური ჭიშების მარცვლეულის ასაღებად ისინი სრულიად გამოუსადეგარი უნდა ყოფილიყო მათი თავისებურების (თვითგანთესვის თვისების მქონე, ადვილად მსხვრევადი ღეროებით) გამო. ამიტომ არ უნდა გამოვრიცხოთ ვარაუდი, რომ ისტორიულ ხანაში დასავლეთ საქართველოში მარცვლეულის ენდემური ჭიშების ასაღებად დამოწმებული ხის სპეციალური მოწყობილობა — შნაკვი — თავისი წარმოშობით რთული შემგროვებლობის ეპოქას უკავშირდებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ სამხრეთ საქართველოდან ტომების მოძრაობა შაგიზღვისპირეთის მიმართულებით განპირობებული უნდა ყოფილიყო რთული შემგროვებლობისა და ნადირობისათვის აქ არსებული ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებით.

• მოტანილი ფაქტები მკაფიოდ მოწმობენ, რომ დასავლეთ საქართველოსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს კულტურული ურთიერთობა გვიანმეზოლითიდან დაწყებული უკვე გარკვეული მასშტაბისაა, ხოლო ადრენეოლითში პროგრესულობს. აღნიშნული კულტურული კონტაქტების მასშტაბის თანდათანობითი ზრდა განპირობებული უნდა ყოფილიყო წარმოებითი მეურნეობის ჩასახვით და მისი შემდგომი ზრდით, მასთან დაკავშირებული კულტურული მიღწევების დიფუზიით. სადღეისოდ მეტად მცირე მასალა გავაჩნია კულტურული მიღწევების ინფილტრაციის მიმართულების დასადგენად.

• გვიანმეზოლითელი და ადრენეოლითელი ტომების ერთი ნაწილი აგრძელებს ცხოვრებას მდინარისპირა მღვიმეებსა თუ ეხებში და ეს ხელს არ უშლის მათ დაეუფლონ მწარმოებლური მეურნეობის ახალ დარგებს. 1

⁸⁷ ტრასოლოგიური ანალიზი გაკეთდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის უმც. მეცნ. თანამშრომლის, ისტორიულ მეცნ. კანდიდატ. ე.საკიას მიერ. მან ანასეული I-ის ობსიდიანის მასალაში აღმოაჩინა სამკელი დანები. იხ. Г. Ф. Коробкова, К. М. Эсакия. Первые жатвенные ножи Кавказа (ხელნაწერი).

მღვიმეების ერთი ნაწილი ადასტურებს გვიანმეზოლითელი ტომების ამოძრავებას — ძველი საცხოვრისების მიტოვება და მაღალმთიანი ზოლიდან უფრო დაბლა, მდინარეთა ხეობებში ჩამოსვლა. ამის შესანიშნავი მაგალითია წებელდის რაიონის მაღალმთიან ზოლში მდებარე ქვაჭარის მღვიმე. აქ ადამიანი ცხოვრობს ადრეპალეოლითსა და ადრემეზოლითში (ამ უკანასკნელში დასტურდება რთული შემგროვებლობის არსებობა), გვიანმეზოლითში კი მასში ცხოვრება წყდება. ანალოგიური მდგომარეობაა წონისა და ქვედის მაღალმთიან მღვიმეებში. აქ ადამიანის ცხოვრების კვალი ქვედა პალეოლითიდან (წონა) იწყება, გვაქვს ადრემეზოლითური ფენები, მაგრამ გვიანმეზოლითში ცხოვრება აქაც წყდება. სამაგიეროდ იწყება მდინარეთა ხეობების, მდინარისპირა მღვიმეების, ეხების, მდინარისპირა ტერასებისა თუ მთისწინა ბორცვების უფრო ფართო ათვისება. მაღალმთიანი, მიუვალი მღვიმეებისა და ეხების მიტოვების პროცესი გვიანმეზოლითში უთანაბროა და გარკვეული გამონაკლისებითაც ხასიათდება. მაგალითად, დარკვეთისა და ჩოხის ნამოსახლარებზე ცხოვრება ადრენეოლითში გრძელდება და აქვე დასტურდება წარმოებით მეურნეობაზე გადასვლა. გვიანმეზოლითური ტომების ამგვარი ამოძრავება კარგად ჩანს როგორც ღია ნამოსახლარების, ასევე მღვიმური მასალების მაგალითზე, რაც მითვისებითი მეურნეობის დარგების განვითარებისა და სპეციალიზების შედეგი უნდა იყოს.

უკანასკნელ ხანებამდე ამიერკავკასიაში არ იყო აღმოჩენილი ძეგლები, რომელზედაც დამოწმებული იქნებოდა წარმოებითი მეურნეობის ჩასახვისა და მასზე გადასვლის პროცესი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს შავიზღვისპირეთის ადრენეოლითურ ნამოსახლარებზე არ იყო მიკვლეული მეცხოველეობის მაჩვენებელი პირდაპირი მასალა. არაპირდაპირი მონაცემები კი მხოლოდ ვარაუდის საშუალებას იძლეოდა.

პირველი ნეოლითური ძეგლი, რომელმაც კავკასიის მეცხოველეობის დამადასტურებელი საბუთი მოგვცა, იყო კამენოტოსტაკაის მღვიმე. აქ უძრავ გვიანნეოლითურ ფენაში გარეული ცხოველების (კეთილშობილი ირმის, შვლის, დათვის და სხვ.) ძვლებთან ერთად ნაპოვნი იყო შინაური ცხოველების (ხარის, თხის თუ ცხვრის, ღორისა და ძაღლის) ძვლებიც⁸⁸. ამით ამოიწურებოდა ჩვენი ცოდნა კავკასიის მწარმოებლური მეურნეობის ამ მეტად მნიშვნელოვანი დარგის შესახებ.)

⁸⁸ А. А. Формозов. Каменный век и энеолит Прикубанья. М., 1965, с. 57.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დასავლეთ ამიერკავკასიის მეცხოველეობის შესწავლის თვალსაზრისით საყურადღებო მასალები იქნა მოპოვებული ზემო იმერეთის მღვიმეებში. კერძოდ, დარკვეთის მრავალფენიანი ეხის ადრენეოლითურ ფენაში გარეული ცხოველების მრავალრიცხოვან ძეგლებთან ერთად აღმოჩენილი იყო შინაური ცხოველების ძვლები. ახალი ოსტეოლოგიური მასალა გვიჩვენებს, რომ დარკვეთის მცხოვრებლებს უკვე ადრენეოლითში ჰყავდათ მოშინაურებული როგორც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (ძროხა), ასევე წვრილფეხა რქოსანი საქონელი (თხა, ცხვარი). შინაურ ცხოველებს შორის წამყვანი ადგილი ღორს ეკია. ამისი მაჩვენებელია ოსტეოლოგიურ მასალაში მათი ძვლების სიმრავლე. მეცხოველეობის განვითარების ადრეულ სტადიაზე ეს სრულიად ბუნებრივი ჩანს. ამ ცხოველს მისი სასარგებლო თვისებების გამო (ადვილად შინაურდება, იოლი გამოსაკვებია და აქვს დიდი ნამატი)⁸⁹ გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდნენ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დასავლეთ ამიერკავკასიაში, კარგად განვითარებული ტყის მასივების პირობებში, შეიმჩნეოდა წიფლისა და მუხის ჯიშების განსაკუთრებული სიჭარბე, ცხადი ზდება, რომ ღორის მოშენება განსაკუთრებით ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო. მათ გამოსაკვებად სრულიად საკმარისი იქნებოდა ნამოსახლარების მიკრორაიონებში არსებული ტყის მასივები და მდინარეთა ქალები. რაც შეეხება მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსან საქონელს, ღათთვის შესანიშნავი საკვები ბაზა უნდა მიეცა სადგომების მიკრორაიონებში (ზემო იმერეთი) მდებარე დარკვეთ-ზოდისა და ითხვისის მთისძირა პლატოების საძოვრებს. ამ ვრცელ პლატოებს მტკიცე სამეურნეო ბაზის შექმნა შეეძლოთ წარმოებითი მეურნეობის საწყის საფეხურზე როგორც მეცხოველეობისათვის, ისე მიწათმოქმედებისათვის: საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მეცხოველეობის საოჯახო ხასიათი. შემდგომ, წარმოებითი მეურნეობის გაფართოებასა და კერძოდ, მიწათმოქმედების დაწინაურებასთან ერთად ირღვევა მეურნეობის დარგების ძველი წონასწორობა, იცვლება მათი ხვედრითი წონის თანაფარდობა (წარმოებით მეურნეობაში წამყვან მნიშვნელობას მიწათმოქმედება იძენს), მაგრამ ეს ზდება ნეოლითის შემდგომ ეპოქაში.

მიუხედავად იმისა, რომ საბუთდება დასავლეთ საქართველოს გვიანხედაპალოლით-მეზოლითური და ზაგროსის მთიანეთის (ზარზი)

⁸⁹ Г. П. Адлерберг. К вопросу о происхождении домашних свиней.— В сб.: Труды лаборатории ин-та геотики АНСССР, вып. I, А. 1933.

კულტურების კავშირთა თეორია⁹⁰, რის საფუძველზეც არ არის გამოიციხული გარკვეული იმპულსების ტალღა სამხრეთიდან⁹¹, ჩვენ მაინც გვეჩვენება, რომ დასავლეთ ამიერკავკასიის გვიანმეზოლითში, ისევე როგორც კავკასიის სხვა მხარეებშიც ფართოდ განვითარებული მონადირული მეურნეობის ბაზაზე იყო ადგილობრივი საფუძვლები ცხოველთა მოშინაურებაზე გადასასვლელად, რაც ნაწილობრივ უნდა განხორციელებულიყო კიდევ ადრენეოლითში.

ღვიანმეზოლით-ადრენეოლითელი ტომების მეურნეობაში გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა შემგროვებლობას. დასავლეთ ამიერკავკასიის გეოკლიმატური პირობები) — თბილი და ნოტიო სუბტროპიკული ჰავა, საკვებად გამოსაყენებელ მცენარეთა მრავალრიცხოვანი სახეები, მარცვლელი კულტურების ენდემური ჯიშები, (ქმნიდნენ ხელსაყრელ პირობებს რთული შემგროვებლობის განვითარებისათვის. დასავლეთ კავკასიის აღნიშნული პერიოდის ძეგლები ღარიბია პალეობოტანიკური მასალით. ამ უკანასკნელის შემონახვას ხელს უშლიდა დასავლეთ ამიერკავკასიის სპეციფიკური მუჟავე ნიადაგები და დიდი ტენიანობა. მეზოლით-ნეოლითური ძეგლების უმეტესობა კი, როგორც ცნობილია, აღნიშნულ რეგიონზე მოდის. ,

ერთული შემგროვებლობისა და ველური ჯიშების კულტივირების დასაწყისის საუკეთესო მაჩვენებელია ცივი მღვიმის ადრენეოლითურ ფენაში აღმოჩენილი ველური ფეტვის დანახშირებული მარცვლები⁹², რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ნამოსახლარის მცხოვრებთა მეურნეობაში. როგორც ჩანს, ამ მცენარის კულტივირება ადრენეოლითის ხანაში უკვე დაწყებულია, რაზეც უნდა მიუთითებდეს საქართველოს ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხა-

⁹⁰ С. Н. Замятнин. О возникновении локальных различий в культуре палеолитического периода.—В сб.: ГИЭ, т. XVI, 1951; А. А. Формозов. Этнокультурные общности на территории Европейской части СССР в каменном веке. М., 1958, გვ. 51; Н. О. Бадер. О соотношении верхнепалеолитических и мезолитических культур Крыма, Кавказа и Ближнего Востока. — VII МКАЭИ. М., გვ. 6; 1964, მისივე. Варианты культуры Кавказа конца верхнего палеолита и мезолита.—СА, № 4. 1965, გვ. 15; მისივე. Различия между верхнепалеолитическими культурами Закавказья и Ближнего Востока.—В кн.: Археология Старого и Нового Света. М., 1966, გვ. 135—142; მისივე. Поздний палеолит Кавказа.—В кн.: Палеолит. СССР, 198. М., 83-287.

⁹¹ В. А. Шнирельман. Происхождение скотоводства. М., 1980, გვ. 71.

⁹² Л. И. Соловьев. Об итогах..., გვ. 194.

ნის (ძვ. წ. VI—III ათ.) ნამოსახლართა ფენებში (არახლო I, II⁹³, ამირის-გორა⁹⁴, ანაკლიის დიხა-გუძუბას ქვედა ფენა⁹⁵, ქვაცხელა⁹⁶) კულტურული ფეტვის აღმოჩენა, რაც გვაპარულებინებს მათი კულტურების სიძველეს და ამ პროცესის ნეოლითის ადრეულ ეტაპთან დაკავშირების შესაძლებლობას იძლევა.

ცივი მღვიმის ადრენეოლითურ ფენაში ნაპოვნი ხელსაფქვაეები და სახეხ-საბეგველები უნდა მიუთითებდეს ამავე მღვიმეში დადასტურებული მარცვლეულის დამუშავებაზე. ფეტვისნაირნი უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი იმ კულტურათაგანი, რომელმაც სათავე დაუდო მიწათმოქმედებას დასავლეთ ამიერკავკასიაში⁹⁷. ფეტვის ნაადრევი კულტივირებისათვის ხელი უნდა შეეწყო იმას, რომ იგი მთის საადრეო მცენარეა⁹⁸, გვალვაგამძლე და განსაკუთრებულ მოსავალს იძლევა ახომი⁹⁹.

ცივი მღვიმის მასალების საფუძველზე ლ. სოლოვიოვი თვლიდა, რომ აქ შესაძლოა ადგილი ჰქონოდა მიწათმოქმედების პირველ ცდებს და რომ ამ მასალებში შეიძლება დაინახოთ მითითება მითვისებითი მეურნეობიდან მწარმოებლურზე გადასვლისა¹⁰⁰. ამას გარდა, მეტად საინტერესო ფაქტებია დადასტურებული ქვაჭარის (წებელდის რ-ნი) მღვიმის ადრემეზოლითურ ფენაში: ჭერიანის რქის თოხისებური მიწის გასაფხვიერებელი იარაღისა და, აფიანჩას მღვიმისა და ანასეული I-ის ადრენეოლითურ ფენაში სამკელი დანის¹⁰¹ აღმოჩენა.

⁹³ ტ. ჩუბინიშვილი. ახალი მასალები ქვემო ქართლის ადრეამიწათმოქმედო კულტურის ისტორიისათვის. — «ძეგლის მეგობარი», № 33. თბ., 1973, გვ. 19.

⁹⁴ თ. ჭაფარიძე, ალ. ჭავჭავაძე, უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე. თბ., 1972, გვ. 63—77.

⁹⁵ ნ. ხოშტარია. «დიხა-გუძუბა» კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა. — სნამ, ტ. 5, № 2. 1944, გვ. 210.

⁹⁶ ალ. ჭავჭავაძე, ლ. დონტი. ურბნისი, 1. თბ., 1962, გვ. 61.

⁹⁷ ნ. კილაძე (ბერძენიშვილი). მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი «საკვარჯილე». გვ. 563—566; თ. კაკეიძე. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბ., 1976, გვ. 18; ლ. ნებიერიძე. დაკვეთის მრავალფენიანი ეხი.

⁹⁸ ნ. კეცხოველი. კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში. თბ., 1958, გვ. 293—294.

⁹⁹ Г. Читайа. Горное земледелие на Кавказе.—კრ.: შუე, XI, გვ. 58.

¹⁰⁰ Л. Н. Соловьев. დასახ. ნაშრომი, გვ. 194.

¹⁰¹ ლ. წერეთელი. შავი ზღვის მეზოლითური კულტურა. თბ., 1973, გვ. 75; Л. Д. Церетели, Н. Б. Клопотовская, Е. Н. Куренкова. Многослойный памятник Апианча (Абхазия); Г. Ф. Коробкова, К. М. Эсакия. Первые жатвенные ножи Кавказа (ხელნაწერი).

დარკვეთის ადრენეოლითურ ფენაში აღმოჩენილი ხელსაფქვაკვი და სახეხ-საბეგველები, შესაძლოა, უკვე ემსახურებოდა როგორც შემგროვებლობის, ისე პირველი სამიწათმოქმედო პროდუქტების დამუშავებასაც.

დასავლეთ საქართველოში მიწათმოქმედების უტყუარი მოწმე უნდა იყოს გვიანნეოლითური ძეგლების მრავალრიცხოვანი სამიწათმოქმედო იარაღები და რაც მთავარია, კისტრიკის (გულაუთის რ-ნი) ნეოლითური ნამოსახლარის ორმოში აღმოჩენილი დანახშირებული მარცვლები, რომლის სახეობის განსაზღვრა არ მოხერხდა¹⁰². აღნიშნული გვიანნეოლითური მასალები დავიმოწმეთ მხოლოდ იმიტომ, რომ მცენარეთა კულტივირებისა თუ ცხოველთა მოშინაურების დასაწყისი უნდა ვივარაუდოთ გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე გაჩნდებოდა ნებისმიერი უძველესი სამიწათმოქმედო თუ მესაქონლეთა კულტურა¹⁰³.

ჩოხის ზედა ფენის იარაღების ანალიზისა და მათ შორის უნიკალური ნივთის — ნამგლის ტარის — გათვალისწინების საფუძველზე ვ. კოტოვიჩი თვლიდა, რომ აქ სახეზე უნდა იყოს მწარმოებლური მეურნეობის უადრესი ეტაპი. შესწავლილი ძვლების 99% ეკუთვნოდა წვრილ წყვილჩლიქოსნებს — მუფლონისებურ ცხვრებს (78%) და თხებს¹⁰⁴. შედარებით მცირე რაოდენობითაა ნაპოვნი კეთილშობილი ირმის, გარეული ღორისა და სხვა ცხოველების ძვლები. ფაუნის ნაშთების რაოდენობრივი შეფარდება აშკარად მოწმობს, რომ ნადირობის მთავარი ობიექტი გარეული ცხვარი და თხა ყოფილა¹⁰⁵.

ცხოველთა მოშინაურების საკითხზე მსჯელობისას მხედველობაში უნდა გვქონდეს ჩოხის ძვლოვანი ნაშთები (მუფლონისებური ცხვარი), რომლებსაც ნ. ვერეშაგინი გარეულ ფაუნას აკუთვნებდა, ოუმცა იქვე დასძენდა, რომ არსებული მასალის საფუძველზე შეუძლებელია კატეგორიული მტკიცება, რომ ისინი უცილობლად ეკუთვნოდნენ გარეულ და არა შინაურ სახეობებს¹⁰⁶. როგორც ჩანს, ამ მასალაში მორფოლოგიური ნიშნები მკვეთრად არ იყო გამოკვეთილი. არ არის გამორიცხული, რომ აქ წარმოდგენილი იყო გარდამავალი ფორმა. ნ. ვერეშაგინის სიფრთხილე, შესაძლოა, იმითაც იყო გამოწვეუ-

¹⁰² Л. Н. Соловьев. Неолитические поселения Черноморского побережья Кавказа. Нижне-Шилловское и Кистрик. 1967, с. 27.

¹⁰³ Ю. Ф. Новиков. О возникновении земледелия в его первоначальных формах.—СА, № 4. 1959, с. 33.

¹⁰⁴ М. Г. Котович. Чохская стоянка..., с. 153: К. Н. Верещагин и И. Млекопитающие Кавказа, с. 193, 195.

¹⁰⁵ В. Г. Котович. დასახ. ნაშრომი, გვ. 153.

¹⁰⁶ Н. К. Верещагин. დასახ. ნაშრომი, გვ. 195.

ლი, რომ ეს მასალა მაშინ მეზოლითური ფენიდან მომდინარედ ითვლებოდა და აგრეთვე თვით ვ. კოტოვიჩიც დარწმუნებული იყო, რომ მასში არ უნდა ყოფილიყო შინაური სახეობები¹⁰⁷. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ფაუნის ახალი მასალების შესწავლის შედეგად.

◀ დაღესტანში, კავკასიის სხვა მხარეების მსგავსად, განვითარებული მიმთვისებლური (მონადირულ-შემგროვებლური) მეურნეობის წიაღში ჩაისახა მწარმოებლური მეურნეობა¹⁰⁸. ეს პროცესი გვიანმეზოლითისა და ადრენეოლითის ეპოქებს მოიცავდა. ჩოხის ზედა ფენაში ნაპოვნი რამდენიმე ათეული დანახშირებული მარცვლეული, კულტივირებული ხორბლისა და ქერის რამდენიმე სახეობა¹⁰⁹ და ხელსაფქვავეები, ასევე ტრასოლოგიური ანალიზის შედეგად დადასტურებული რთული შედგენილი სამკელი დანებისა და პრიმიტიული ნამგლების ჩასართები, სამკელი დანის ძვლის ტარი, სამკელი დანის ნატეხი ღრმა ჭრილით ლამელა-ჩასართების ჩასამაგრებლად — ყოველივე ეს მაჩვენებელია მთიან დაღესტანში მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლისა, რომლის ერთ-ერთი წამყვანი დარგი მიწათმოქმედება იყო¹¹⁰.

ჩოხის მასალები გარკვეულ წარმოდგენას იძლევა კავკასიის მიწათმოქმედების ადრეული ეტაპის დროის შესახებ და მისი წარმოშობის გეოგრაფიულ ზონაზე. ეს პროცესი ნეოლითის პირველ ნახევარს ემთხვევა¹¹¹.

ზემოგანხილული კომპლექსების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ გვიანმეზოლითის ხანაში მთელს კავკასიაში არსებობდა ეკონომიკის ერთიანი ზოგადი მოდელი. კერძოდ, მითვისებით-კომპლექსური მეურნეობა (ნადირობა, შემგროვებლობა, მეთევზეობა). არსებული მასალები გვიჩვენებენ, რომ კავკასიის არც ერთ მხარეში მეურნეობის საფუძვლად არ დასტურდება მხოლოდ ერთი რომელიმე დარგი. როგორც ჩანს; მეურნეობის ერთ, ცალკე აღებულ დარგს არ შესწევდა უნარი დაეკმაყოფილებინა მეზოლითელი მეთემეების მოთხოვნილება საარსებო საშუალებებზე, რის გამოც ადგილობრივი მეურნეობრივი პირობების შესაძლებლობების შესაბამისად ვითარდებო-

¹⁰⁷ В. Г. Котович. დასახ. ნაშრომი, გვ. 153.

¹⁰⁸ В. Г. Котович. Проблемы культурно-исторического и хозяйственного развтия населения древнего Дагестана. М., 1980, с. 213.

¹⁰⁹ მარცვლეული განსაზღვრულია გ. ლისიციანს მიერ.

¹¹⁰ Х. А. Амирханов. დასახ. ნაშრომი, გვ. 52.

¹¹¹ იქვე.

და მითვისებითი მეურნეობის სამივე დარგი, რომელთა შორის წამყვანი მაინც ნადირობა იყო. ამის დამამტკიცებელია კავკასიის გვიანმეზოლითურ ძეგლებზე მოპოვებული ცხოველთა ძვლები, მიკროლითური ჩასართების ტექნიკაზე დამყარებული სანადირო კომბინირებული იარაღები და საფხეკები. აღნიშნული მასალა აშკარად გვიჩვენებს ნადირობის ხვედრითი წონის უპირატესობას მეთევზეობასა და შემგროვებლობასთან შეფარდებით. მითვისებითი მეურნეობის დანარჩენ დარგებთან შედარებით, როგორც ჩანს, ნადირობა უფრო მუდმივ საარსებო წყაროს წარმოადგენდა, ვიდრე სეზონური შემგროვებლობა და მეთევზეობა. იმის ნათელსაყოფად, რომ კავკასიის გვიანმეზოლითის ეპოქაში მეურნეობას მითვისებით-კომპლექსური ხასიათი ჰქონდა, საგანგებოდ შევჩერდებით განსხვავებული რეგიონების (თრიალეთი, აფხაზეთი) სწორედ იმ ძეგლებზე, რომელთა მეურნეობის წამყვან დარგად მეთევზეობაა მიჩნეული (ეძანი, ცივი მღვიმე)¹¹².

ეძანის კომპლექსის მონაცემების შეჭერების საფუძველზე მიგვაჩნია, რომ ეკონომიკა აქაც ძირითადად დამყარებული იყო მითვისებით-კომპლექსურ მეურნეობაზე, რომლის მთავარ დარგს ნადირობა წარმოადგენდა. ამის უდავო საბუთია ეძანის მასალის სტატისტიკური ანალიზის¹¹³ შედეგად გამოვლენილი იარაღთა წამყვანი ფორმები და მათი შესაბამისი მეურნეობის ძირითადი დარგები. იარაღების სრული ინდექსი კარგად ასახავს მათი რომელიმე ტიპის შეფარდებით ოდენობას¹¹⁴. ამის წყალობით გაირკვა, რომ წამყვანი ადგილი კომპლექსში სჭერია საფხეკებს (369 ცალი, სრული ინდექსი 19,74), რომელთა ძირითადი ფუნქცია, როგორც ცნობილია, ტყავების დამუშავება იყო. გარეული ფაუნა კი გვიჩვენებს, რომ ამ შემთხვევაში საფხეკები მხოლოდ ნანადირევის ტყავის დასამუშავებლად შეიძლებოდა გამოყენებულიყო. ამდენად, გამოდის, რომ ფაუნის ნაშთებთან ერთად მეორე საბუთიც გვაქვს ნადირობის მთავარი როლის დამადასტურებელი. ამასთანავე, სტატისტიკურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ეძანელების მეურნეობაში არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მეთევზეობას. ამას მოწმობს სამკუთხედების სიჭარბე, რომლებიც ძირითადად სათევზაო

112 ლ. წერეთელი. დასახ. ნაშრომი; მ. გაბუნია. თრიალეთის მეზოლითური კულტურა. თბ., 1976, გვ. 62; М. К. Габуния, Л. Д. Церетели. Мезолит Грузии.—КСИА, № 149. 1977. с. 34—40.

113 სტატისტიკური ანალიზი გაცემებული იქნა მ. გაბუნიას მიერ. იხ. მ. გაბუნია. დასახ. ნაშრომი. გვ. 62.

114 იქვე.

იარაღებადაა მიჩნეული (356 ცალი, სრული ინდექსი 18,6)¹¹⁵. როგორც ვხედავთ, მათი რაოდენობა ოდნავ ჩამორჩება საფხეკებისას.

აღნიშნული ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე თრიალეთის გვიანმეზოლითური ეპოქის შეფასებისას უფრო მართებული იქნება ვისაუბროთ მითვისებით-კომპლექსურ მეურნეობაზე, რომლის მთავარ დარგს ნადირობა წარმოადგენდა. თუმცა მეთევზეობასაც საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ, ჩვენი აზრით, თრიალეთის გვიანმეზოლითური კულტურა ლოკალურია არა იმიტომ, რომ მეთევზეობა მეურნეობის წამყვანი დარგია¹¹⁶ (მეურნეობის წამყვანი დარგი, როგორც აღვნიშნეთ, ნადირობა უნდა ყოფილიყო), არამედ იმიტომ, რომ ზეურნეობის ამ დარგს შავიზღვისპირეთთან შედარებით თავისი სპეციფიკა ჰქონდა.

მითვისებით-კომპლექსური მეურნეობის არსებობის სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე ცივი მღვიმის გვიანმეზოლით-ადრენეოლითის კომპლექსებიც. აქ დადასტურდა მითვისებითი მეურნეობის სამივე დარგის მანიშნებელი მასალა. ნადირობასა და შემგროვებლობაზე მიუთითებს გარეულ ცხოველთა ძვლები, სანადირო იარაღები, საფხეკები, გარეულ ფეტვისნაირთა მარცვლები, განვითარებული მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები. ძვლის ქვილთები, ანკესები და თევზის ძვლები ადასტურებს მეთევზეობის მნიშვნელოვან და არა წამყვან როლს. მასალები მოწმობენ, რომ მიუხედავად მეთევზეობის განვითარებისა აღნიშნულ მიკრორაიონში, მისი ხვედრითი წონა მაინც ჩამორჩებოდა ნადირობისას. ზემოთქმულის საფუძველზე რეგიონში უნდა ვივარაუდოთ მითვისებით-კომპლექსური მეურნეობა თავისი სამივე დარგით.

ამგვარად, მოტანილი მასალები გვიჩვენებენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის ცალკეული მხარეები ხასიათდებოდა განსხვავებული მიკროკლიმატით და ეკოლოგიით (კავკასიური რეგიონის ჩარჩოებში), რაც აისახა ლოკალურ თავისებურებებში. მთელ კავკასიაში დადასტურდა მეურნეობის საერთო მოდელი — მითვისებით-კომპლექსური მეურნეობა სამივე დარგით, რომელთა შორის წამყვანს ნადირობა იყო.

გვიანმეზოლითურ სადგომებზე ნაპოვნი ცხოველების ძვლები ასახავენ როგორც ძირითადად კავკასიის ადრეპოლოცენისათვის, ასევე ამა თუ იმ მიკრორაიონისათვის დამახასიათებელ ფაუნას, რის გამოც ძვლოვან მასალაში გვხვდება სხვადასხვა ლანდშაფტური ზონების

¹¹⁵ იქვე.

¹¹⁶ М. К. Габуния, Л. Д. Церетели. *დასახ. ნაშრომი.*

ბინადართა წარმომადგენლები. მაგალითად, ჩოხის ფაუნაში კარგად ჩანს, რომ წამყვანი ადგილი ეჭირა მაღალმთიან ზოლში მობინადრე ცხოველებს, მაგრამ, ამასთანავე, აქ დადასტურდა აგრეთვე ტყისა და სტეპისათვის დამახასიათებელი სახეობებიც¹¹⁷.

იგივეს მოწმობს თრიალეთის (ზურტაკეტი, ეძანი)¹¹⁸ ფაუნა, რომელშიც დადასტურდა ადგილობრივი, სტეპური და ნახევრადსტეპური ლანდშაფტებისათვის დამახასიათებელი ცხოველთა სახეები — პრეველსკის ცხენი, კულანი, კანჯარი და ჭივრანი; ამავე დროს, მასში არის აგრეთვე კავკასიის ადრეპოლოცენის ტყის ბინადართა ნაშთები (ყეთილშობილი ირემი, შველი, გარეული ღორი); ტყე-სტეპის ტიპური წარმომადგენელი — დომბა; მაღალმთიანი ზონისა — ჭიხვი და გორაკიანი ზეგნების მობინადრე — მუფლონი¹¹⁹.

როგორც ვხედავთ, თრიალეთის აღნიშნული სადგომების ფაუნაში ადგილობრივ, სპეციფიკურ ფორმებთან ერთად გვხვდება ტყის, მაღალმთიანი ზონის და ჰალის ტყეების ბინადარნი¹²⁰.

მოტანილი ფაქტები აშკარად მოწმობენ მონადირეთა კოლექტივების დიდ მობილურობას და მათ მიერ სანადირო სავარგულების ფართო გამოყენებას.

მეურნეობის საერთო, ზოგადი მოდელის (მითვისებით-კომპლექსური) ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს კავკასიის მეზოლითური ძეგლების (განვითარების საერთო კანონზომიერებით განპირობებული) ზოგადკავკასიური ეპოქალური ნიშნები. რაც შეეხება მითვისებით-კომპლექსური მეურნეობის ცალკეულ დარგებს, მათ ჰქონდათ თავისი ადგილობრივი სპეციფიკა, რასაც აპირობებდა მიკრორაიონის ეკოლოგიური (კლიმატი, ფაუნა, ფლორა და სხვ.) თავისებურებები. ფაუნისა და პალეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით საბუთდება, რომ მეზოლითის ხანაში სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში შავიზღვისპირეთისაგან განსხვავებული გეოკლიმატური პირობები იყო, რაც, თავის მხრივ, აისახა ძეგლების ლოკალურ ნიშნებშიც¹²¹. განსაკუთ-

¹¹⁷ В. Г. Котович. დასახ. ნაშრომი.

¹¹⁸ ზურტაკეტის მასალა განაზღვრა ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩმა და ო. ბენდუკიძემ, ეძანისა: — ა. ვეჯამ. Н. И. Бурчак-Абрамович, О. Г. Бендукидзе. Фауна оппалеолитической стоянки Зуртакети. — Сообщения АН ГССР, т. 55, № 3ა 1969. Н. И. Бурчак-Абрамович. Фауна эппалеолитической стоянки в Триа-лети. — В кн.: Сообщения АН ГССР, т. 12, № 52.

¹¹⁹ გაბუნია. თრიალეთის მეზოლითური კულტურა. თბ., 1976, გვ. 26—27; И. К. Верещагин. Млекопитающие Кавказа (История формирования фауны). 1959, М.

¹²⁰ მ. გაბუნია. დასახ. ნაშრომი. გვ. 26—27.

¹²¹ М. К. Габуния, Л. Д. Церетели. დასახ. ნაშრომი.

რებით მკაფიოდ შეინიშნება ლოკალური განსხვავება აცისა და ცივი მღვიმეების ეძანთან შედარებისას. აღნიშნული მღვიმეების მცხოვრებნი მეთევზეობაში ძირითადად ჰვილთებსა და ანკესებს იყენებდნენ, ეძანისა კი — ასიმეტრიულ სამკუთხედებს. არსებითი განსხვავება ჩანს აგრეთვე ამ მხარეების საიარაღ ნედლეულშიც. ეძანის ინდუსტრია ცხყარებოდა ობსიდიანის ნედლეულს, შავიზღვისპირეთისა კი — კაჟისას¹²².

განსხვავება შეინიშნება აგრეთვე კავკასიის სხვადასხვა რეგიონის იარაღებს შორისაც. დასავლეთ ამიერკავკასიური კომპლექსები ხასიათდება ჩასართებიანი ძვლის იარაღებით, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში ძვლის იარაღების ნაკლებობაა, რის გამოც ვარაუდობენ, რომ რთული იარაღების ძირითადი ღერო აქ ხისა უნდა ყოფილიყო¹²³. ასევე. თუ დასავლეთ ამიერკავკასიურ ძეგლებს ახასიათებს ძვლის დასამუშავებელი იარაღების (საჭრისები, საჭრეთლები) სიმრავლე, ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის მასალებში ამგვარი იარაღები ნაკლებადაა. სწორედ ეს სპეციფიკა განსაზღვრავდა ამა თუ იმ მხარის ქვის იარაღების წარმოებაში ლოკალურ ტრადიციებს. ორივე ერთად კი ცალკეული რეგიონების კულტურებს ლოკალურ თავისებურებებს სძენდა მეურნეობის ზოგადკავკასიური მოდელისა და ეპოქალური ნიშნების ჩარჩოებში.

ვმასალები მოწმობენ, რომ მეზოლით-ადრენეოლითის ხანაში კავკასიის შავიზღვისპირეთში ნადირობის მთავარი ობიექტი იყო კეთილშობილი ირემი. შველი, გარეული ღორი და სხვ. დასავლეთ ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში კი აღნიშნულ ცხოველებთან შედარებით უპირატესობა გარეულ ღორს ენიჭებოდა¹²⁴. ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში ნადირობის მთავარი ობიექტი იყო მუფლონისებური ცხვარი და ბეზოარის თხა. სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში კი — ძირითადად კულანი და გარეული ღორი. როგორც ვხედავთ, განსხვავებაა აგრეთვე კავკასიის ცალკეული მხარეების ნადირობის მთავარ ობიექტშიც. ადრეპოლოცენისათვის დამახასიათებელ ზოგადკავკასიურ ცხოველთა სახეობებზე ნადირობასთან ერთად, კავკასიის ცალკეულ მხარეებში ადგილობრივი ფაუნის შესაბამისად ხდებოდა მონადირეთა კოლექტივების ამა თუ იმ სახეობებზე ნადირობაში დასპეციალება.

კავკასიის გვიანმეზოლითური ძეგლების კომპლექსების ზემომოტანილი ანალიზის საფუძველზე მივდივართ დასკვნამდე, რომ ძვ. წ.

122 იქვე. გვ. 40.

123 В. Г. Котвиль. დასახ. ნაშრომი.

124 ლ. ნე ბი ე რ ი ძ ე. დარკვეთის მრავალფენიანი ეხი. გვ. 69.

XI—X ათასწლეულებში კავკასიის მაღალმთიანი, მთისწინა და განსაკუთრებით ზღვისპირა მხარეები დასახლებული იყო მეზოლითელი მეთემეებით, რომელთა სამეურნეო ბაზისს შეადგენდა მითვისებით-კომპლექსური მეურნეობა თავისი სამივე დარგით, რომელთა შორის ნადირობას წამყვანი მნიშვნელობა ჰქონდა. კავკასიის გვიანმეზოლითელი მონადირეები ნადირობდნენ ცხოველთა ისეთ სახეებზე, რომლებიც საერთო იყო მთელი კავკასიისათვის, მაგრამ ამავე დროს ცალკეული მიკრორაიონის ადგილობრივი ფაუნის თავისებურების შესაბამისად გააჩნდათ აგრეთვე ნადირობის მთავარი ობიექტიც. მისდევდნენ რთულ შემგროვებლობასაც როგორც მარცვლეულის ენდემური ჯიშებისა, ისე საკვებად ვარგისი ნაყოფებისა. იქ, სადაც ბუნებრივი პირობები იძლეოდა ამის შესაძლებლობას, ვითარდებოდა მეთევზეობა.

კავკასიის რიგ მხარეებში განვითარებული მითვისებითი მეურნეობის წიაღში ჩაისახა წინაპირობები მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასავლელად. აღნიშნული წინაპირობები გვიანმეზოლითის ხანაში საყოველთაოდ იქმნებოდა კავკასიაში, მაგრამ მიუხედავად ამისა მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლის ხანგრძლივი და რთული პროცესი მთელ კავკასიაში მაინც არაერთდროულად მიმდინარეობდა.

(როგორც ჭერჯერობით არსებული მასალებით ფიქსირდება, მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა ყველაზე ადრე კავკასიის უკიდურეს მხარეებში — დასავლეთ საქართველოსა და დაღესტანში — დაიწყო. ეს პერიოდი ნეოლითის პირველ ნახევარს მოიცავდა. პროგრესული ელემენტების ნაადრევი ჩასახვა, შესაძლოა, განაპირობა ამ მხარეების საგანგებოდ ხელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა, რომლებიც აქ უკეთესი იყო სხვა მიკრორაიონებთან შედარებით. მაგრამ არ იქნება სწორი თუ დავუშვებთ, რომ აღნიშნული ცვლილებები მეურნეობასა და კულტურაში მიმდინარეობდა მხოლოდ დასავლეთ საქართველოსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში. მიუხედავად მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლის პროცესის დადასტურებული უთანაბრობისა, იგი კავკასიისათვის მაინც უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ზოგადად ერთიანი ისტორიული პროცესი, რომელიც, მართალია, სხვადასხვა სიმძლავრით, მაგრამ მაინც საყოველთაოდ მიმდინარეობდა მთელ კავკასიაში. ეს გადასვლა განპირობებული უნდა ყოფილიყო ადგილობრივი ტომების განვითარების ისეთი დონით, რომლებიც მზად იყვნენ გაძლიერდნენ მეურნეობის ახალ დარგებს. ინოვაციური ელემენტების თანდათანობითმა რაოდენობრივმა ცვლილებებმა ნეოლითის პირველ ნახევარში უკვე მოგვცეს თვისებრივი ცვლილებები. მწარმოებლური მეურნეობა კავკასიის ადრენეოლითში უკვე ჩასახული იყო და დგამდა პირველ ნაბიჯებს მიწის დამუშავებასა და მეცხოველეობაში.

ადრენეოლითის ხანაში დასავლეთ საქართველოსა და დაღესტანში უკვე ფიქსირდება მითვისებით-კომპლექსური მეურნეობის ბაზაზე გადასვლა მეურნეობის შერეულ ფორმაზე, რომელსაც მითვისებითი მეურნეობის სამივე დარგთან ერთად საფუძვლად ედო აგრეთვე მწარმოებლური მეურნეობის დარგებიც — მეცხოველეობა და მიწათმოქმედება.

როგორც მასალებიდან ჩანს, კავკასიაში მწარმოებლურ მეურნეობას საფუძველს უყრის მითვისებითი მეურნეობის დარგები. აღნიშნული კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვა და პირველყოფილი საზოგადოების თვისებრივად ახალ ეტაპზე გადასვლის დასაწყისი ადრენეოლითზე მოდის.)

როგორც ვხედავთ, სადღეისოდ კავკასიის გვიანმეზოლითური და ადრენეოლითური ძეგლები უკვე იძლევა საშუალებას მიახლოვებით მაინც წარმოვიდგინოთ როგორც კულტურულ-სამეურნეო განვითარების ზოგადი მიმართულება, ასევე მისი შესაბამისი კონკრეტული სამეურნეო მოდელები.

კავკასიის მასშტაბით ზემომოტანილი მასალა საკმაოდ მკაფიოდ გვიჩვენებს გვიანმეზოლითური კულტურის ისტორიულ მნიშვნელობას მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვის საქმეში. კავკასიის გვიანმეზოლით-ადრენეოლითელმა ტომებმა შექმნეს საფუძველი ადრესამიწათმოქმედო კულტურების წარმოქმნისათვის. დასავლეთ ამიერკავკასიის ძეგლების საშუალებით შესაძლებელი გახდა თვალი გაგვედევნებინა გვიანმეზოლითური კულტურის თანდათანობით განვითარებისათვის ძვ. წ. X ათასწლეულიდან მოყოლებული მის საფუძველზე აღმოცენებული უძველესი ადრესამიწათმოქმედო კულტურის (ოლიში-თეთრაშიწა) წარმოქმნამდე.

2. მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული ფორმის მიკროლითები საქართველოს ჰვის ხანის ძეგლებში

მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული ფორმის მიკროლითები საქართველოს ჰვის ხანის ძეგლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. იგი მოიცავს საკმაოდ ვრცელ პერიოდს — ზედა პალეოლითიდან ენეოლითის ჩათვლით. მიკროლითურ ტექნიკა და გეომეტრიული ფორმის იარაღები ჰვის ხანის ცალკეულ საფეხურებზე განვითარების გარკვეულ გზას გადის. სხვა იარაღებისაგან განსხვავებით, მათ უფრო მკაფიოდ ემჩნევათ ეპოქალური ცვლილებები. ამგვარი კანონზომიერების გამო, ჰვის ხანის კომპლექსებში გეომეტრიული მიკროლითები დანარჩენ ელემენტებთან შედარებით ქრონოლოგიის ყველაზე მგრძობიარე მაჩვენებელია. ამიტომ თვალის გადევ-

ნება მათი განვითარების ზოგად კანონზომიერებებზე ხელს შეუწყობს კავკასიის ქვის ხანის ქრონოლოგიისა და პერიოდიზაციის საკითხების კვლევას.

გეომეტრიული მიკროლითებიანი ინვენტარის მქონე სადგომებს ფართო ტერიტორიული და ქრონოლოგიური გავრცელება აქვს, რის გამოც ამ საკითხით არაერთი საბჭოთა და უცხოელი არქეოლოგი დაინტერესებულა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად დიდი ინტერესისა დღემდე არ არსებობს სპეციალური გამოკვლევა, რომელშიც გაშუქებული იყოს მიკროლითური ტექნიკისა და გეომეტრიული მიკროლითების განვითარების ზოგადი საკითხები, სადაც შესაძლებელი იქნებოდა დაგვეჩვენა ამ ტექნიკისა და იარაღთა ფორმების ეპოქალური ცვლილებები. ამ მხრივ ეს საკითხი ყველაზე სუსტად კავკასიაში შესწავლილი. მასზე არათუ არ არსებობს სპეციალური ნაშრომი, არამედ თვით მიკროლითებიანი სადგომებიც უკანასკნელ ხანებამდე მცირე რაოდენობით იყო გამოვლენილი და შესწავლილი.

ზოგადი საკითხების კვლევისას რიგი მეცნიერებისა (ეფიმენკო, ზამიატინი, ბიბიკოვი და სხვ.) იყენებდნენ გეომეტრიული მიკროლითების შედარებით ანალიზს. ამასთან დაკავშირებით მათ არქეოლოგიურ ლიტერატურაში ფართოდ შეიტანეს კავკასიური მასალებიც.

კავკასიის ზედაპალეოლითური და მეზოლითური კულტურების ლოკალური ვარიანტების საკითხების კვლევისას ნ. ბადერმა გააყეთა მიკროლითური ნაწარმის ანალიზი და აჩვენა მიკროლითური ტექნიკის შესაძლებლობა ლოკალური კულტურების საკითხების შესწავლისას!

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ნეოლითური ძეგლების შესწავლის საფუძველზე ა. ფორმოზოვმა² მიკროლითური ტექნიკის შესახებ გამოთქვა საყურადღებო მოსაზრებები.

უკანასკნელ ათწლეულში საქართველოში ჩატარებული კვლევადიების შედეგად აღმოჩენილ და შესწავლილ იქნა არაერთი ზედაპალეოლითური, მეზოლითური, ნეოლითური და ენეოლითური ძეგლი, რომლებიც კარგად ასახვენ მიკროლითური ტექნიკისა და გეომეტრიული ფორმის იარაღების განვითარებას ქვის ხანის სხვადასხვა საფეხურების მიხედვით. აღნიშნული კომპლექსები კავკასიის ადრე მიკვლე-

¹ Н. О. Бадер. О соотношении верхнепалеолитических и мезолитических культур Крыма, Кавказа и Ближнего Востока, 1964; მისივე. Варианты культуры Кавказа конца верхнего палеолита и мезолита.—СА, М., 1965, с. 4.

² А. А. Формозов. Неолит Крыма и Черноморского побережья Кавказа.

ულ ძეგლებთან ერთად საშუალებას იძლევა მიკროლითური ტექნიკისა და გეომეტრიული მიკროლითების შესწავლის საკითხის დასმისა.

წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით თვალი გავადევნოთ მიკროლითური ტექნიკისა და გეომეტრიული მიკროლითების წარმოშობა-განვითარებას ქვის ხანის ცალკეული საფეხურების მიხედვით.

მიკროლითური ტექნიკა საქართველოში ზედა პალეოლითის დასაწყისში ჩნდება. მისი ჩასახვა-განვითარება მჭიდრო კავშირშია ზედა პალეოლითის ქვის ინდუსტრიის ძირეულ სიახლესთან — დანისებური ლამელების ტექნიკის წარმოშობასთან. ზედა პალეოლითის ქვის დამუშავებაში მომხდარი ახალი ძვრები განპირობებული იყო ამ პერიოდის სამეურნეო ცხოვრებაში მომხდარი გარდატეხით. ამასთან დაკავშირებით ისახება პრიზმისებური ნუკლეუსებიდან დანისებური ლამელების ატკეცვის ტექნიკა, რომელიც აღმავალი ხაზით ვითარდება ზედა პალეოლითიდან ლითონის ხანამდე.

ქვედა პალეოლითის ქვის ინდუსტრიასთან შედარებით, პრიზმისებური ნუკლეუსებიდან ატკეცილი დანისებური ლამელების ტექნიკა იყო ახალი, დიდი შინაგანი შესაძლებლობის მქონე, რომლის წიაღში ჩაისახა და შემდეგ ფართოდ განვითარდა ჩასართების ტექნიკა. ლამელებისა და ჩასართების ტექნიკამ — ჩასახვის დროიდან (ზედა პალეოლითის დასაწყისი) ლითონის ხანამდე — განვითარების დიდი გზა განვლო. მისმა განვითარებამ განაპირობა იარაღების მიკროლითურობა. ჩასართების ტექნიკის მთავარ კომპონენტად მიკროლითი იქცა, რამაც დასაბამი მისცა მიკროლითური ინდუსტრიის განვითარებას. აღნიშნული ტექნიკის განვითარების ხაზი ძირითადად მიკროიარაღების სრულყოფის გზით წარიმართა.

ბ ლ ა გ ვ ზ უ რ გ ა და ბ ლ ა გ ვ გ ვ ე რ და მ ი კ რ ო ი ა რ ა ლ ე ბ ი. ზედა პალეოლითის ძეგლებში მიკროლითური ტექნიკა ძირითადად წარმოდგენილია ბლაგვზურგა და ბლაგვგვერდა მიკროიარაღებით — სხვადასხვა ტიპის მიკროწვეტანებითა და დანებით. აღნიშნული იარაღები ძალიან დამახასიათებელია საქართველოს ზედა პალეოლითისა და მეზოლითისათვის. მათ ფართო ქრონოლოგიური და ტერიტორიული გავრცელება აქვთ. ბლაგვზურგა და ბლაგვგვერდა მიკროიარაღები დამახასიათებელია მთელი კავკასიისათვის, წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის სამყაროს ზედა პალეოლითისა და მეზოლითისათვის.

მიკროლითები საქართველოში ზედაპალეოლითის დასაწყისში

3 აღნიშნული იარაღების ჩჯღუში ვაერთიანებთ ყველა ბლაგვზურგა და ბლაგვგვერდა მიკროიარაღებს გეომეტრიული მიკროლითების გამოკლებით.

ჩნდება (სვანთა სავანე⁴, ხერგულის კლდე⁵). ამ ძეგლებში ისინი ძირითადად წარმოდგენილია ბლაგვზურგა და ბლაგვკვერდა მიკროწვეტანებითა და დანებით (ტაბ. 11, სურ. 1—8, 11, 12). ზედა პალეოლითის ადრეულ საფეხურზე ჩნდება ირგვლივ რეტუშირებული მიკროწვეტანები. ეს იარაღები ზედა პალეოლითის დასასრულამდე არსებობენ და თანდათანობით სრულყოფილ სახეს იღებენ. აღსანიშნავია ხერგულის კლდის მიკროიარაღებზე ფუძის ათლა (მუცლის მხრიდან) ბრტყელი რეტუშით⁶.

ზედა პალეოლითის შუა საფეხურის ძეგლებში (დევის ხერგელო, საკაჟია)⁷ (ტაბ. 11, სურ. 23—26, 29, 32, 42—44) ბლაგვზურგა და ბლაგვკვერდა მიკროიარაღების რაოდენობა მატულობს, ზომები მცირდება. დევის ხერგელში მიკროიარაღები იარაღების საერთო რაოდენობის 15% შეადგენს, საკაჟიაში კი — 20%-ს. მიკროიარაღებიდან წამყვანი ადგილი წვეტანებს უჭირავს. ისინი გამოირჩევიან ფორმის მრავალფეროვნებით. გრძელდება ტრადიცია იარაღების შესწორებისა მუცლის მხრიდან ბრტყელი რეტუშით, რაც შემჩნეული იყო ხერგულის კლდეში. მცირე რაოდენობით გვხვდება ირგვლივ რეტუშირებული წვეტანები.

ზედა პალეოლითის მოგვიანო საფეხურზე (გვარჯილას კლდე⁸) ბლაგვზურგა და ბლაგვკვერდა მიკროიარაღების რაოდენობა საგრძობლად მატულობს. გვარჯილას კლდეში ისინი იარაღების საერთო რაოდენობის 38% შეადგენს. აღნიშნული იარაღებიდან წამყვანი ადგილი წვეტანებს უჭირავს. მათში ჰვარბობს ნემსისებური წვეტანები. წინა საფეხურთან შედარებით მათი ფორმები იხვეწება. ზომები მცირდება. დიდი ადგილი უჭირავს ისევ ე. წ. გრავეტის ტიპის წვეტანებს. ძალიან დამახასიათებელია გვარჯილას კლდისათვის ფუძემომრგვალებული მშვილდწვეტანები. მათ წვერი ხშირად უმახვილდებოდათ, ხოლო ბოლო უთხელდებოდათ ბრტყელი რეტუშით მუცლის მხრიდან.

გვარჯილას კლდეში მცირე რაოდენობით ნაპოვნია დახვეწილი ფორმის, ირგვლივ რეტუშირებული წვეტანები, რომლებსაც გრავეტ-წვეტანებსაც უწოდებენ.

ადრემეზოლითში ბლაგვზურგა და ბლაგვკვერდა მიკროლაშელები

4 ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის ქვის ხანის ფონდი. კოლ. № 30--973.

5 იქვე, კოლ. 29--26.

6 С. Н. З а м я т н и и. Палеолит Западного Закавказья, I; Он же. Палеолитические пещеры Ичкерии.—В сб. МАЭ. XVII, 1957, с. 461.

7 ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის ქვის ხანის ფონდი. კოლ. № 21—32—91—32; 2—55.

8 იქვე, კოლ. № 16—54.

კვლავ ინარჩუნებენ წამყვან მნიშვნელობას (ქვაქარა, იაშთხვა, კეპ-
ბოლაზი, ენწერი, ჭახათი)⁹.

ჩრდილო კავკასიის მეზოლითურ ძეგლებშიც შეინიშნება ბლაგვ-
ზურგა და ბლაგვევრდა მიკროიარაღების გავრცელება¹⁰. ასეთი ძეგ-
ლების რიცხვს მიეკუთვნება ჩოხის ცნობილი სადგომიც, რომელიც
საკმაოდ მდიდარია ბლაგვევრდა ლამელებით. იგივე მდგომარეობაა
კოზმა-ნოხოში¹¹ და გუბის მეშვიდე ეზში. ამ ძეგლებში ყველა იარა-
ღთაგან ჭარბობს ბლაგვევრდა მიკროლამელები. ბევრია ბლაგვევრ-
და მიკროლამელები სოსრუყოს¹² სადგომში და შავ მღვიმეში¹³
(ჩრდილო ოსეთი), ისინი ნაპოვნია აგრეთვე წონას (სამხრ. ოსეთი)
მეზოლითურ ფენაში.

გვიან მეზოლითის ძეგლების დიდ ნაწილში, ადრემეზოლითთან
შედარებით, ბლაგვევრდა მიკროლამელების რაოდენობა კლებუ-
ლობს (აცი, ცივი მღვიმე), თუმცა ზედა პალეოლითის შუა საფეხუ-
რიდან ბლაგვევრდა მიკროიარაღების პარალელურად, ჩნდება გეო-
მეტრიული ფორმის იარაღები (სამკუთხედები, სეგმენტისმაგვარი
იარაღები).

ადრენეოლითში (ანასეული I, მელოური, დარკვეთი IV) და გეან-
ნეოლითში (ანასეული II, კისტრიკი, ოდიში) ბლაგვზურგა და ბლაგვ-
ვევრდა მიკროლამელები ან სულ არ გვხვდება ან იშვიათად — თითო-
ოროლა¹⁵.

უხერხულობას იწვევს აღნიშნული იარაღების ერთი საერთო სა-
ხელწოდების უქონლობა. არქეოლოგიურ ლიტერატურაში ერთი და
იმავე ტიპის იარაღები ხშირად სხვადასხვა სახელწოდებითაა მოხსენ-
ნიებული (და პირუკუ — სხვადასხვა ტიპის იარაღებს ზოგჯერ ერთი
და იგივე სახელწოდება აქვს) — გრავეტის ტიპის დანები, გრავეტის
ტიპის წვეტანები, მშვილდის ფორმის დანები, შატელპერონის ტიპის

⁹ ლ. წერეთელი. დასახ. ნაშრომი.

¹⁰ В. Г. Котович. Чолская стоянка, первый памятник каменного века в горном Дагестане.—В кн.: Уч. записки НИИЯЛИ Даг. ФАН. СССР, III. Махачкала, 1957.

¹¹ В. Г. Котович. დასახ. ნაშრომი.

¹² С. Н. Замятнин. Раскопки грота Сосруко в 1955 г.—Уч. записки Кабардино-Балкарского научно-исследовательского института, т. XIII, 1967.

¹³ В. П. Лубин. Первые сведения о мезолите горного Кавказа (Осетия) у истоков древних культур (эпоха мезолита). — МИА СССР, № 126, 1966.

¹⁴ ა. კალანდაძე. ზემო რაქისა და სამხ. ოსეთის პალეოლითური ექსპე-
დიციის მუშაობის შედეგი, 1958, ისტორიის ინსტიტუტის სამეცნ. სესია (მოხსენ-
ებათა თეზისები), თბ., 1959.

¹⁵ ლ. ნებიერიძე. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი. გვ. 93.

დანები, მშვილდწვეტები, გრავეტ-წვეტანები, ზურგ- და გვერდდაბლა- გვეული ლამელები და სხვ. ხშირად ეს ცნებები ერთმანეთს ფარავს. სინამდვილეში, ამ სახელწოდებებში გვაქვს ძირითადად ორი სხვა- დასხვა დანიშნულების იარაღი — მიკროწვეტანები და მიკროდანები, რომლებიც განვითარების გზაზე იცვლიან ფორმას და იხვეწებიან. ამ იარაღებს აერთიანებს ერთი საერთო ნიშანი — იარაღის ზურგისა და გვერდის დაბლაგვება.

ბლაგვზურგა მიკროიარაღებში გამოიყოფა დიდი ჯგუფი, რომ- ლებსაც წვერი აქვთ წამახვილებული და გარეგნობით მიკროწვეტა- ნებს წააგავენ. ამ იარაღების მთელი ცალეები ან მათი ნაწილები კარ- გად მოწმობს იმას, რომ წვერი მათ საგანგებოდ უკეთდებოდათ და ხშირ შემთხვევაში, დამატებით უმუშავდებოდათ როგორც ზურგის, ასევე მუცლის მხრიდან. ეს კარგად ჩანს ზედაპალეოლითური ძეგ- ლების იარაღების მაგალითზე. აღნიშნული წვეტანების წვერის სა- განგებოდ წამახვილება განპირობებული უნდა ყოფილიყო მისი და- ნიშნულებით. როგორც ჩანს, ეს წვეტანები სატყორცნ ან საძგერებელ იარაღებს წარმოადგენდნენ. ამიტომ ამგვარ ბლაგვზურგა და წვერ- წამახულ იარაღებს მართებული იქნება ვუწოდოთ ბლაგვზურგა ან ბლაგვგვერდა მიკროწვეტანები. ამ ტერმინში ჩანს როგორც იარა- ლის დანიშნულება, ასევე მისი დამუშავების თავისებურება. ამგვა- რი სახელწოდება უფრო გასაგები იქნება, ვიდრე სახელწოდება „გრა- ვეტი“.

საქართველოს ზედაპალეოლითური ძეგლების მიკროწვეტანებში ძირითადად გამოიყოფა სამი ჯგუფი: 1. სწორი ბლაგვზურგა წვეტა- ნები, 2. მშვილდის ფორმის წვეტანები და 3. ირგვლივ რეტუშირებული წვეტანები.

პირველ ქვეჯგუფში შეიძლება გაერთიანდეს გრავეტისმაგვარი და ნემსისებური წვეტანები, რადგან ტიპოლოგიურად და ფუნქციონალუ- რად ისინი ახლოს დგანან ერთმანეთთან. აღნიშნულ იარაღებს და- ბლაგვებული აქვთ ცალი სწორი მხარე, ხოლო წვერი ან ფუძე მუც- ლის მხრიდან ბრტყელი რეტუშით აქვთ შესწორებული. ამ იარაღებს ზედაპალეოლითურ ძეგლებში, სხვა ტიპის წვეტანებთან შედარებით, რიცხობრივი უპირატესობა აქვთ. საფიქრებელია, რომ ე. წ. ბლაგვ- ზურგა ლამელების უმეტესობა დაზიანებული ბლაგვზურგა სწორი წვეტანების ან სამკუთხედების შუა ნაწილები იყოს და არა დამოუ- კიდებელი იარაღები.

მშვილდის ფორმის წვეტანებს მორკალული, დაბლაგველი ზურ- გი და კარგად წაწვეტებული წვერი აქვთ. ზოგჯერ მათი ფუძე მორ-

კალულია რეტუმით. ნ. ბადერი¹⁶ თვლის, რომ ეს იარაღები ძალიან დამახასიათებელია გვარჯილას კლდისათვის, ამიტომ იგი მათ გვარჯილას კლდის ტიპის წვეტანებს უწოდებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ იგივე იარაღები წარმოდგენილია საკაუიას მღვიმეშიც. განსხვავება იმაშია, რომ გვარჯილას კლდეში მათი ჩაოდენობა მატულობს და ფორმები იხვეწება, რაც სრულიად ბუნებრივია. უფრო მართებული იქნება ზოგადად მათ აღსანიშნავად ბლაგვზურგა მშვილდწვეტანები ვიხმაროთ. მით უმეტეს, რომ ეს სახელწოდება ახალი არ არის, მას ყეენებდა პროფ. გ. ნიორაძე, ხოლო ახლაც ხმარობენ არქეოლოგები: (დ. თუშაბრამიშვილი, გ. გრიგოლია, ლ. წერეთელი).

ბლაგვზურგა სწორი წვეტანები და ბლაგვზურგა მშვილდწვეტანები უნდა დამზადებულიყო ე. წ. წვეტიანი ლამელებისაგან, რომლებიც ძალიან ბევრია ამ კომპლექსებში (დევის ხერელი, საკაუია, გვარჯილას კლდე). კონუსისებური ნუკლეუსებიდან ატყეცილი წვეტიანი ლამელები აღნიშნული იარაღების ნამზადები უნდა იყოს. მათ მთელი გვერდის გასწვრივ უკეთდებოდათ დამაბლაგვებელი რეტუმში, წვერი კი საგანგებოდ მუშავდებოდა.

ზედაპალეოლითურ ძეგლებში მიკროიარაღების მეორე დიდი ჯგუფია ბლაგვგვერდა დანები. შემორჩენილი მთელი ეგზემპლარები გვიჩვენებენ, რომ მათ წვერი არ უკეთდებოდათ, ხოლო სამუშაო პირს გვერდი წარმოადგენდა. ამგვარ იარაღებს არქეოლოგიურ ლიტერატურაში გრავეტის ტიპის დანების ან გვერდდაბლაგვებული და ზურგდაბლაგვებული ლამელების სახელწოდებით ვხვდებით.

ზედაპალეოლითურ მასალებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ წვეტიანი იარაღების დიდ ნაწილს დაბლაგვებული ჰქონდა ზურგი, ბლაგვგვერდა დანების უმეტესობას კი წვერი არ ჰქონდა წამახვილებული, რასაც მოწმობს დევის ხერელის კოლექციის მთელი ცალები (კოლ. № 86—32; 2138). ზიანდებოდა უმეტესად სამუშაო პირი. არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც იარაღის წვერი ხელუხლებლადაა გადარჩენილი.

მიკროიარაღების ყველაზე ადრეული ფორმა უნდა ყოფილიყო ბლაგვზურგა სწორი წვეტანები, შემდეგ კი უნდა განვითარებულიყო ბლაგვზურგა მშვილდწვეტანები. საკაუიაში უკვე გვხვდება როგორც ბლაგვზურგა სწორი წვეტანები, აგრეთვე პარალელურად ჩნდება ბლაგვზურგა მშვილდწვეტანებიც.

საკაუიასა და სარეკის¹⁷ მღვიმის მასალების მაგალითზე კარგად

¹⁶ Н. О. Бадер. Варианты культуры Кавказа..., с. 9.

¹⁷ დ. თუშაბრამიშვილი, ლ. წერეთელი. პალეოლითური ნაშთები სარეკის ეზიდან. შურნ. «ქეგლის მეგობარი», № 1. 1975.

ჩანს ბლაგვზურგა მშვილდწვეტანების გადასვლა სეგმეხტისძაგვარ იარაღებში (კოლ. № 2—55—2217—2225), ხოლო გვარჯილას კლდის მასალებში ბლაგვზურგა მშვილდწვეტანების გადასვლა ასიმეტრიულ სამკუთხედებში (კოლ. 16—54—94).

მოტანილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ საქართველოს ზედაპალეოლითურ ძეგლებში კარგად ჩანს მიკროლითური იარაღების ჩასახვის, გეომეტრიული მოყვანილობის მიკროლითებზე გარდამავალი ფორმების წარმოქმნისა და გეომეტრიულ ფორმებზე გადასვლის პროცესი. დროის გარკვეულ მონაკვეთზე ეს ფორმები თანაარსებობენ, შემდეგ კი ბლაგვზურგა მიკროწვეტანები კარგავენ მნიშვნელობას და ბოლოს წყვეტენ არსებობას.

ამ პროცესის პარალელურად ხდება ახალი გეომეტრიული ფორმების სამკუთხედების, სწორკუთხედების, სეგმენტებისა და ტრაპეციების გაჩენა და განვითარება.

ამგვარად, საქართველოს ზედაპალეოლითური ძეგლების ბლაგვზურგა და ბლაგვგვერდა წვეტანებსა და დანებზე დაკვირვება გვიჩვენებს მათი ჩასახვისა და განვითარების რთულ გზას. ჩანს, რომ მყარად დადგენილი იარაღების ფორმები არ არსებობდა, კარგად შეიმჩნევა მათი ფორმების ძიება, რის გამოც გვაქვს მთელი სერიები, რომლებიც ნათლად ასახავენ იარაღების ერთი სახედან მეორეში გადასვლის პროცესს. ბლაგვზურგა წვეტანები და ბლაგვზურგა დანები მიკროლითური ტექნიკის განვითარების პროდუქტია. აღნიშნულ იარაღებს განვიხილავთ, როგორც ყველაზე ადრეულ მიკრონაწარმს.

ს ა მ კ უ თ ხ ე დ ე ბ ი. გეომეტრიული ფორმის ჩასართებს შორის ყველაზე ადრეულ ფორმად სამკუთხედები ითვლება. მათი ქრონოლოგიური ჩარჩოები დიდი არ არის. ისინი ჩნდებიან ზედა პალეოლითის შუა საფეხურზე და არსებობენ მეზოლითის ბოლომდე.

ყველაზე ადრეული ძეგლები, სადაც ნაპოვნია რამდენიმე ასიმეტრიული სამკუთხედი, ზედა პალეოლითის შუა საფეხურის სადგომებია (დევის ხვრელი, საკაჟია; ტაბ. II, სურ. 27—28, 30—31). ასიმეტრიულ სამკუთხედებს გარდა საკაჟიაში არის დიდი ზომის სამკუთხედისმაგვარი იარაღები, რომლებიც შესაძლოა მათ პროტოტიპებს წარმოადგენენ. ს. ზამიატინი¹⁸ მათ თავრეტუშირებული ლამელების ვარიანტად მიიჩნევს, ნ. ბადერი¹⁹ კი მათში ადრეული ფორმის წვეტანებს ხედავს.

ზედა პალეოლითის გვიან საფეხურზე (გვარჯილას კლდე) ასიმეტრიული სამკუთხედების რაოდენობა მატულობს (ტაბ. I, სურ.

¹⁸ С. Н. Замятин. დასახ. ნაშრომი, გვ. 473

¹⁹ Н. О. Бадер. დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

50—53). გვარჯილას კლდის მიკროიარაღებში ნ. ბადერმა²⁰ გამოყო ბოლოდამუშავებული ბლაგვზურგა ლამელების ჯგუფი. ჩვენი აზრით, ეს იარაღები დაზიანებული სამკუთხედები და სწორკუთხედებია, რომელთა მთელი ნიმუშები გვაქვს კოლექციაში.

ადრემეზოლითში (ქვაჭარა) სამკუთხედები ინარჩუნებენ წამყვან მნიშვნელობას (ტაბ. III, სურ. 57—58). ჩოხში²¹ და კოზმანოხოში²² ნაპოვნია ასიმეტრიული სამკუთხედები. დარკვეთის ეხის მეზოლითური ფენის (V ფენა) გეომეტრიული მიკროლითები ძირითადად სამკუთხედებითაა წარმოდგენილი. აღნიშნული იარაღების სიჭარბე შეიმჩნევა ეძანის გვიანმეზოლითურ კომპლექსში (ტაბ. III, სურ. 42—48), თუმცა მასში საგრძნობლად იმატა ტრაპეციებისა და სეგმენტების რიცხვმა (ტაბ. III, სურ. 49—53).

ადრენეოლითურ კომპლექსებში (ანასეული I, მელოური დარკვეთის ეხის IV ფენა) სამკუთხედები ჭერჭერობით არ არის აღმოჩენილი, თუმცა გამორიცხული არ უნდა იყოს მათი გადმონაშთის სახით შემორჩენაც.

ს ე გ მ ე ნ ტ ე ბ ი. გეომეტრიული ფორმებიდან ყველაზე დიდი ქრონოლოგიური ჩარჩოები სეგმენტებს აქვთ. აღსანიშნავია სეგმენტისმაგვარი იარაღის პოვნის ფაქტი ხერგულის კლდეში (ტაბ. II, სურ. 9). მიკროიარაღების გამოჩენა ზედა პალეოლითის ადრეულ ძეგლებში საეჭვოდ იყო მიჩნეული და გამოთქმული იყო მოსაზრება მისი გვიანდელი ფენებიდან მომდინარეობის შესახებ. უკანასკნელ ხანებში ხერგულის კლდეში არქეოლოგ ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული გათხრების შედეგად შესაძლებელი გახდა მღვიმის სტრატეგრაფიის შემოწმება და მისი საბოლოო დადგენა. გაირკვა, რომ ხერგულის კლდის ქვის მასალა ერთი ფენისეულია²³, რის შედეგადაც მიკროლითური ტექნიკის ჩასახვის ფაქტი ზედა პალეოლითის ადრე საფეხურს უნდა დაეუკავშიროთ.

სავანგებო შესწავლას მოითხოვს საკითხი — გეომეტრიული მიკროლითების გაჩენა ამიერკავკასიაში ასეთ ადრეულ საფეხურზე ახალი ტექნიკის დამოუკიდებელი ძიების შედეგი იყო, თუ სამხრეთ რაიონებთან ურთიერთობისა? ამ საკითხებთან დაკავშირებით აქვე იმის თქმა შეიძლება, რომ ამ პერიოდში უკვე ჩანს კონტაქტი საქართველოს სამხრეთ რაიონებთან (ოზსიდიანის შემოტანა), რომლებსაც, თა-

²⁰ იქვე, გვ. 8.

²¹ В. Г. Котович, დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

²² В. Г. Котович, Каменный век Дагестана. 1964, с. 156.

²³ გ. დოჩანაშვილი. ხერგულის კლდეში ჩატარებული არქეოლოგიური მუშაობის შედეგები, სავსე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წელს (მოკლე ანგარიშები). 1973, გვ. 12—15.

ვის მხრივ, ურთიერთობა ჰქონდათ სამხრეთის ქვეყნების ძველ კულტურებთან (ზარზი, ნატუფი, კაფსია), რომლებიც ხასიათდებიან განვითარებული მიკროლითური ტექნიკით, ამიტომ მიკროლითური ტექნიკის სამხრეთიდან შემოსვლის გზას ვერ გამოვრიცხავთ. ყოველ შემთხვევაში, ერთი ცხადია, რომ ამიერკავკასიაში ზედა პალეოლითის დასაწყისში უკვე არსებობდა შინაგანი აუცილებლობა და სათანადო ნიადაგი ახალი ტექნიკის დანერგვისათვის.

ზედა პალეოლითის შუა საფეხურიდან სეგმენტების არსებობა უკვე ეპკვარეშეა (დევის ხვრელი. საკაჟია: ტაბ. II, სურ. 33—37, 40—41), თუმცა მათი რაოდენობა აქ მცირეა, ამასთანავე, ისინი ჯერ კიდევ საკმაოდ უხეში და მარტივია. დევის ხვრელის მსხვილ სეგმენტისმაგვარ იარაღებს პ. ფეიმენკო²⁴ და ს. ზამიატინი²⁵ ჩვეულებრივ სეგმენტჩასართად მიიჩნევენ. ნ. ბადერი კი დევის ხვრელისა და საკაჟიას სიმეტრიულ და ასიმეტრიულ სეგმენტებს სეგმენტწვეტანებად თვლის და სრულიად სამართლიანად მიიჩნევს, რომ დევის ხვრელისა და საკაჟიას სეგმენტები ტიპოლოგიურად და ფუნქციონალურად ახლოსაა წვეტანებთან²⁶.

ზედა პალეოლითის მიწურულში (გვარჯილას კლდე) სეგმენტების რაოდენობა მატულობს (ტაბ. II, სურ. 45—49), გრძელდება ფორმების დახვეწა, ზომები მცირდება. გვარჯილას კლდეში არის მცირე ზომის მომადლო და დაბალი, მოგრძო სეგმენტებიც. უკანასკნელთ წვერი და ბოლო მუცლის მხრიდან წამახვილებული აქვთ ბრტყელი რეტუშით. ამ იარაღებსაც ნ. ბადერი²⁷ სეგმენტ-წვეტიანებს უწოდებს. გვარჯილას კლდის სეგმენტებს ს. ზამიატინი²⁸ ისრისპირებად მიიჩნევს. ქვაპარის მღვიმეში (ადრემეზოლითი) სეგმენტები ცოტაა (ტაბ. III, სურ. 59). საინტერესოა ეძანის დახვეწილი მოყვანილობის სეგმენტები, რომლებიც იერით გვიანეოლითურს უახლოვდება, თუმცა პროცენტულად მათი რაოდენობა დიდი არ არის. არ ჩანან სეგმენტები ჯერჯერობით ადრენეოლითში. ანასეულ I-ში (უკერამიკო) არც ერთი სეგმენტი არ არის, მაშინ, როდესაც ტრაპეციები მასალის საერთო რაოდენობის 2,2 პროცენტს შეადგენს. იგივე მდგომარეობა დადასტურდა მელოურის ნამოსახლარსა და დარკვეთის ეხის ადრენეოლითურ ფენაში (უკერამიკო). აქაც არ არის სეგმენტები, მაშინ როდესაც ტრაპეციები ჰარბადაა (ტაბ. III). მატულობს სეგმენტების რა-

²⁴ П. П. Ефименко. Первобытное общество. Киев, 1953, с. 601.

²⁵ С. Н. Замятин, დასახ. ნაშრომი, გვ. 486—487.

²⁶ Н. О. Бадер, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

²⁷ იქვე. გვ. 9.

²⁸ იქვე, გვ. 492.

ოდენობა ღუმურიშისა²⁹ და ჩხორთოლის³⁰ ნეოლითურ ნამოსახლარებზე. ანასეულ II-ში სეგმენტები 8,12%-ია. ძირითადად ისინი მცირე ზომის რკალდაბლაგვებული ფორმებითაა წარმოდგენილი.

წოფის ენეოლითურ კომპლექსში გადანაშთის სახით გვხვდება მცირე ზომის რკალდაბლაგვებული სეგმენტები (ტაბ. IV, სურ. 43—44). ისინი ცნობილია მაიკოპის კულტურის, მეშოკოს ნამოსახლარიდან და აგრეთვე მაიკოპის ყორღანიდან. როგორც ვხედავთ, სეგმენტები გაღმონაშთის სახით კიდევ განაგრძობენ არსებობას ლითონის ხანის ძეგლებში.

სწორკუთხედეები და ტრაპეციები გეომეტრიული მიკროლითების ყველაზე გავრცელებული სახეა. მათი ქრონოლოგიური ჩარჩოები მოიცავს ზედა პალეოლითის გვიან საფეხურს — ლითონის ხანამდე. აქ ჩვენ ერთად განვიხილავთ სწორკუთხედებსა და ტრაპეციებს, რადგან ზოგიერთ რაიონში სწორკუთხედები, შესაძლოა, ტრაპეციების პროტოტიპი ან მათი ლოკალური ფორმა იყოს. ეს საკითხი ჯერ კიდევ დაკვირვებას საჭიროებს. გვიანხედაპალეოლითში (გვარჯილას კლდე) ჩნდება გეომეტრიული იარაღების ახალი ფორმები — სწორკუთხედები, ეს თავბოლო და ბლაგვეკერდება ან ორგვერდრეტუშირებული სწორკუთხედებია (კოლ. № 6—54, 86, 87). ამგვარი იარაღები განაგრძობენ არსებობას ადრემეზოლითში (ქვაჭარა, ტაბ. III, სურ. 60—61). იერით ისინი მარტივ ტრაპეციებს ჰგვანან, ამასთანავე, მათი ზომები მცირდება, ჯამპალის მღვიმეში (შუა მეზოლითი³¹) უკვე გვხვდება ტრაპეციები (ტაბ. III, სურ. 64). როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ასევე შავიზღვისპირეთის გვიანმეზოლითში (ეძანი, ცივი მღვიმე, აცი 111) შეინიშნება ტრაპეციების რაოდენობის ზრდა და ფორმების დახვეწა.

ადრენეოლითში (ანასეული I, დარკვეთი IV) ორფერდამუშავებული ტრაპეციები ჯერჯერობით გეომეტრიული ფორმის ერთ-ერთი სახეა.

გვიანნეოლითში ტრაპეციების რაოდენობა მატულობს, ორფერდამუშავებულ ტრაპეციებთან ერთად გვხვდება სამგვერდამუშავებულებიც. ამ იარაღებს „პერპენდიკულარული“ რეტუშით დამუშავებული აქვთ ორი ფერდი და ზედა ფუძე. ქვედა ფუძეზე ეტყობა გამოყენების კვალი. ეს ჯგუფი ხასიათდება მცირე ზომებით, მოგრძო

²⁹ კ. კალანდაძე, ღუმურიშის ნეოლითურ ნამოსახლარზე 1970 წ. ჩატარებულ სამუშაოთა შედეგები. — კრ.: მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, V, 1973, გვ. 136.

³⁰ კ. კალანდაძე, ჩხორთოლის ნეოლითური ნამოსახლარი. — წიგნ.: არქეოლოგიური კვლევები 1972 წელს (მოკლე ანგარიშები). 1973, გვ. 15—20.

³¹ ლ. წერეთელი, დასახ. ნაშრომი. 1973, გვ. 68.

და დაბალი მოყვანილობით, მათში არის ორმხრივდამუშავებული ცალეებიც. სამგვერდდამუშავებული ტრაპეციები მცირე რაოდენობით ცნობილია ეძანის მეზოლითური ფენიდან. ანალოგიური ტრაპეციები ნაპოვნია მახვილაურის³² (ბათუმის რ-ნი), ლუმურიშისა და ჩხორთოლის (გალის რ-ნი) ნეოლითურ ნამოსახლარებზე, რაც შეეხება ორფერდამუშავებულ ტრაპეციებს, ისინი არსებობას განაგრძობენ ლითონის ხანის ძეგლებშიც (სამელე კლდე, დარკვეთის II და III ფენები, ძუძუნა). თითო ცალი ნაპოვნია არუხლო I-ისა და იმირის ნამოსახლარებზე.

ზურგათლილი, მაღალი ტრაპეციები და სწორკუთხედები ჩნდება მხოლოდ გვიანნეოლითის განვითარებულ კომპლექსებში (შილოვკა, კისტრიკი, ანასეული II, გურიანთა, ოდიში, მახვილაური). ისინი ცნობილი არ არის ზედაპალეოლითური, მეზოლითური და ადრენეოლითური კომპლექსებიდან.

კისტრიკისა (ტაბ. IV, სურ. 26—37) და შილოვკისაგან განსხვავებით, ანასეულ II-ში ზურგათლილი მაღალი ტრაპეციები მეტად თავისებური სერიითაა წარმოდგენილი (ტაბ. IV, სურ. 23—25). ამ იარაღებს აქ უფრო ზურგათლილი მაღალი სწორკუთხედების სახე აქვთ, ვიდრე ტრაპეციებისა, თუმცა მათ შორის არის რამდენიმე ზურგათლილი ტრაპეციაც. აღსანიშნავია, რომ ანასეული II-ის მთელი ეს სერია ობსიდიანისგანაა დამზადებული, მაშინ, როდესაც ისინი დანარჩენ ძეგლებში ძირითადად კაჟისაა. ზურგათლილი სწორკუთხედების ანალოგიური ფორმები ჭერჭერობით უცნობია. საფიქრებელია, რომ მათი სახით გვაქვს ამ იარაღების ლოკალური ფორმა.

ზურგათლილი მაღალი ტრაპეციები დამახასიათებელია ჩრდილო კავკასიისათვის, ისინი გვხვდება ყუბანისპირეთში³³, სტავროპოლის მხარეში, კავკასიისპირა დიუნებში³⁴, ყირიმის გვიანნეოლითურ ფენებში (ტაშ-აირ³⁵ 1—5ა ფენა, კაია-არასი³⁶, ატ-ბაში³⁷, ჭვილაუ-ბა-

³² ს. გოგტიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლის ქვის ხანის ძეგლები. — კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, 111. თბ., 1973, გვ. 66—67, ტ. VII.

³³ В. П. Любин, Доклад на секции неолита пленума ИИМК, 1957.

³⁴ Т. М. Мишаева, Кремневая индустрия Нижнего Поволжья. — Труды нижеволжского об-ва краеведения, вып. 36, I, Саратов, 1929.

³⁵ Д. А. Крайнов, Пещерная стоянка—Таш Аир I как основа для периодизации послепалеолитически: культур Крыма. — МИА, № 91, М., 1960, с. 156, таб. XXXIII, рис. 1—6.

³⁶ А. А. Формозов, დასახ. ნაშრომი. გვ. 110, ნახ. 9, სურ. 29. 30; ბახჩისარაის ისტორიული მუზეუმის კაია-არასის კოლექცია.

³⁷ А. А. Формозов დასახ. ნაშრომი. გვ. 99, ნახ. 3, სურ. 15; მოსკოვის უნივერსიტეტის ანთროპოლოგის მუზეუმის ატ-ბაშის კოლექცია.

ში³⁸, ზამილ-ყობა³⁹ 11, შან-ყობა⁴⁰ 1 ა ფენა, ფატმა-ყობა⁴¹, იუსუ-ფოვის აუზი⁴². ზუია⁴³). მსგავსი ტრაპეციები ნაპოვნია აზოვისპირეთში⁴⁴, კორომისპირეთში (სობაჩკი, სურსკის კუნძული, ვოჩეკი⁴⁵, მე-8 ივრენი, დონეცზე — ზლივკა, იზიუმ 5, სავინცი-1⁴⁶).

ზემოჩამოთვლილ ძეგლებში ზურგათილი ტრაპეციები არსად არა გვხვდება გვიანნეოლითზე ადრე. იშვიათად ისინი ადრენეოლითამდეც აღწევენ. საინტერესოა მათი პოვნის ფაქტი ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებში (არუხლო I, არუხლო III). არუხლო I-ის მრავალრიცხოვან ობსიდიანის მასალაში ნაპოვნია სამი ზურგათილი ტრაპეცია და ერთი სეგმენტი⁴⁷.

ს. ბიბიკოვმა⁴⁸ ყირიმის ნეოლითური ძეგლების შესწავლის შედეგად დაასაბუთა, რომ ზურგათილი ტრაპეცია წარმოადგენს ყირიმის ნეოლითის დამახასიათებელ და დამათარიღებელ ფორმას, ხოლო უფრო გვიან, ყირიმში ნეოლითის უკეთესი სტრატეგრაფიის მქონე ახალი ძეგლების აღმოჩენისა და შესწავლის შედეგად ეს მოსაზრება დ. კრაინოვმა⁴⁹ კიდევ უფრო დააზუსტა. მან დაასაბუთა, რომ ზურგათილი ტრაპეციები ყირიმის ნეოლითის მხოლოდ გვიანი საფეხურის დამახასიათებელი და დამათარიღებელია.

აღნიშნული ნეოლითური კომპლექსების ტიპოლოგიურ-შედარე-

³⁸ О. Н. Бадер. Изучение эппалеолита Крымской пщлы.—СА, вып. V, 1940.

³⁹ მოსკოვის სახ. ისტორიული მუზეუმისა და იალტის მუზეუმების კოლექცია.

⁴⁰ მოსკოვის სახ. ისტორიული მუზეუმის ზამილ-ყობა II-ის კოლექცია.

⁴¹ С. Н. Биби́ков. Предварительный отчет о работе крымской экспедиции. 1935; СА, 1936.

⁴² С. Н. Биби́ков, Доклад на секции палеолита пленума ИИМК. 1957.

⁴³ А. А. Формозов. დასახ. ნაშრომ გვ. 101, ნახ. 4, სურ. 14—16.

⁴⁴ სიმფეროპოლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კოლ. № 524³, 524⁴, 915⁴.

⁴⁵ О. Н. Бадер, Очерк работ Азово-чернысскскскй экспедиции. КСИИМК, вып. XXXI. 1950, с. 652.

⁴⁶ უკრაინის მეცნ. აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის კოლექციები (ივევი).

⁴⁷ М. В. Сибильов, Старовности изюмщины, вып. IV. Изюм, 1930, таб. XXII.

⁴⁸ ტ. ჩუბინიშვილი, ლ. ქელიძე. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, სველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წელს (მოკლე ანგარიში). 1973, გვ. 29—35.

⁴⁹ С. Н. Биби́ков. К вопросу о неолите в Крыму.—КСИИМК, IV, 1940, с. 26—31.

ბითი ანალიზი, გამორიცხვის მეთოდით, ანალოგები ყირიმის ძეგლებში, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ზურგათლილი მაღალი ტრაპეციები და სწორკუთხედები ყირიმთან ერთად დასავლეთ ამიერკავკასიის გვიანი ნეოლითის დამათარილებელი ფორმაა.

ზურგათლილი ტრაპეციების გავრცელების სამხრეთი საზღვარი ამიერკავკასიაზე გადის. წინა აზიის ძეგლებისათვის ეს ფორმები უცნობია. ისინი არ გვხვდება აგრეთვე ტყის ზონაში, დნეპრის დასავლეთით და მდ. ურალის აღმოსავლეთით. აღნიშნული იარაღები, ზემოჩამოთვლილი გავრცელების რაიონებიდან მხოლოდ ამიერკავკასიის შავიზღვისპირეთში და ყირიმში გვხვდება დიდი რაოდენობით. გამოირიყული არ უნდა იყოს შავიზღვისპირეთში მათი წარმოშობა და აქედან გავრცელება უფრო ჩრდილოეთით.

ამგვარად, გეომეტრიული მიკროლითების განხილვამ ქვის ხანის საფეხურების მიხედვით გვიჩვენა, რომ მთელი ზედა პალეოლითისა, მეზოლითისა და ნეოლითის მანძილზე მიკროლითური ტექნიკა ვითარდება აღმავალი ხაზით — შეიმჩნევა გეომეტრიული მიკროლითების განვითარება, ფორმების ძიება და ერთი ფორმიდან მეორეში გადასვლის პროცესი.

შევეხეთ რა გეომეტრიული მოყვანილობის მიკროჩასართების ყველა ტიპს, ახლა გვინდა შევეხეთ მიკროლითურ ტექნიკას. მიკროლითურმა ტექნიკამ, ისევე როგორც გეომეტრიული ფორმის მიკროლითებმა, განვითარების საკმაოდ დიდი გზა განვლო. მიკროლითების დამუშავების ესა თუ ის ხერხი ქვის ხანის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე გაჩნდა.

მიკროლითების ორმხრივი დამუშავების ხერხი ფართოდ იყო გავრცელებული კავკასიის შავიზღვისპირეთის გვიანნეოლითში. გვიანნეოლითური ძეგლებიდან ყველაზე ხშირად იგი კისტრიკში გამოიყენებოდა. თუ არაფერს ვიტყვით ლუკინის კოლექციაზე, სადაც ძალიან ხშირია მიკროლითების ორმხრივი დამუშავება, მარტო ჩვენ მიერ კისტრიკში მოპოვებულ მასალაში 16 გეომეტრიული ფორმიდან 13 ორმხრივდამუშავებულია (ტაბ. IV, სურ. 26—28, 31, 33, 35—36). მიკროლითების ორმხრივი დამუშავება ძალიან ხშირია შილოვკაში. იქ თითქმის ყველა მათგანი ორმხრივდამუშავებულია. სხვაგვარი მდგომარეობაა ოდიშსა და ანასეულ II-ში, აქ ორმხრივდამუშავების მხოლოდ ორიოდ შემთხვევაა⁸⁰. აღნიშნული ხერხით დამუშავებული ტრაპე-

⁸⁰ Д. А. Крайнов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 100.

ციები ცნობილია მეშოკოდან⁵¹ (კრასნოდარის მხარე), სტაეროპოლის⁵² მხარედან. სამაგიეროდ ყირიმში ეს ხერხი თითქმის უცნობია.

მიკროლითების ორმხრივი დამუშავების ხერხი, თავდაპირველად ა. ფორმოზოვის⁵³, მიერ წმინდა კავკასიურად იყო მიჩნეული, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ამის სამტკიცებლად მას მასალა თითქმის არ გააჩნდა. შემდეგ, როდესაც ა. ფორმოზოვმა გაითვალისწინა, რომ გეომეტრიული მიკროლითების ორმხრივი დამუშავება დამახასიათებელია პალესტინის ნატუფის კულტურისა (ელ-ხიამი, ელ-ახმარი, აბუსიფი მკვდარი ზღვის რაიონიდან; მუგარეთ-ელადი და აბუ-უზბა კარმელის მთაზე) და ჰელუანის სადგომებისათვის, რომლებიც გაცილებით უფრო ძველია, ვიდრე კავკასიური ძეგლები, მან გამოთქვა ახალი მოსაზრება: ეს ტექნიკა წინა აზიიდან სანაპირო ზოლის მეშვეობით უნდა გავრცელებულიყო, როგორც ამიერკავკასიაში, ასევე უფრო ჩრდილოეთით. უკანასკნელ ხანებში დას. ამიერკავკასიის გეომეტრიული მიკროლითებიანი კომპლექსების განმეორებითმა და უფრო დეტალურმა შესწავლამ გამოავლინა შემდეგი: დას. საქართველოს ზედაპალეოლითურ ძეგლებში უკვე გვხვდება აღნიშნული ტექნიკით დამუშავებული მიკროლითები. ორმხრივდამუშავების შემთხვევა ცნობილია უკვე თარო-კლდიდან⁵⁴. იქ ნაპოვნი სეგმენტისმაგვარი იარაღები ორმხრივად დამუშავებული. დამუშავების ეს ხერხი დადასტურებულია აგრეთვე ეძანის⁵⁵ ზოგიერთ მიკროიარაღზე.

მიკროლითების დამუშავებაში პირველ რიგში აღსანიშნავია ე. წ. „მეოცავი“ წნევითი რეტუშის გამოყენება. მიკროლითების ზურგის ათლა წნევითი რეტუშის საშუალებით უცნობია მეზოლითური და ადრენეოლითური ძეგლებისათვის. ამ ხერხით მიკროლითების დამუშავება კავკასიასა და ყირიმში გვიანნეოლითში იწყება. მის გაჩენასთან ერთად ჩნდება ტრაპეციების ახალი სახე — „მეოცავი“ რეტუშით ზურგათლილი ტრაპეციები და სწორკუთხედები (ტაბ. IV, სურ. 23—29, 38—40, 42). წნევითი რეტუშის გაჩენას წინ უსწრებდა მიკროლითების დამუშავება ბრტყელი რეტუშით. მიკროლითების განვითარების ადრეულ საფეხურზე გამოიყენებოდა ციცაბო, დამაბლაგვებელი და დამრეცი რეტუში. დამაბლაგვებელი რეტუში ჩნდება ბლაგვ-

51 სახელმწიფო ერმიტაჟის პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის განყოფილების კოლექცია.

52 Т. М. Минаева, Стоянка с микролитическим инвентарем на черных землях. КСИИМК, вы. 59. 1955, рис. 13.

53 А. А. Формозов. დასახ. ნაშრომი, გვ. 147—148.

54 ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის ფონდები, კოლ. № 30—26—71.

55 იქვე, კოლ. № 16—55.

გვერდა იარაღების გაჩენასთან ერთად. ზედა პალეოლითის შემდგომ საფეხურზე მიკროლითების დამუშავების ახალ ხერხებთან ერთად ძველიც არ არის დავიწყებული.

მიკროლითების დანიშნულების შესახებ არქეოლოგიურ ლიტერატურაში საყოველთაოდ აღიარებული მოსაზრება არსებობს, რომლის თანახმად ისინი რთული, შედგენილი იარაღების ჩასართებადაა მიჩნეული⁵⁶, რომლებიც ძვლის ან ხის ტარში მაგრდებოდა ბიტუმისმაგვარი ნივთიერებით. ქვის ხანის ძეგლებში ნაპოვნია ძვლის გვერდამოღარული იარაღები, რომლებიც ჩასართების მოსათავსებელ ჩარჩოებად ითვლება.

სადავოა საკითხი, თუ რა დანიშნულებისა იყო ეს რთული შედგენილი იარაღები, რომელთა ჩასართებასაც წარმოადგენდნენ მიკროლითები. ამის შესახებ არქეოლოგიურ ლიტერატურაში უანაზვავებელი მოსაზრებები იყო გამოთქმული.

ყველაზე გავრცელებული მოსაზრების თანახმად გეომეტრიულ მიკროლითებს სატყორცნი იარაღების დანიშნულებას მიაწერენ. უკანასკნელის სასარგებლოდ მრავალი მოსაზრება და ფაქტიური მასალა მოტანილი არქეოლოგიურ ლიტერატურაში, რომლის ამომწურავად წარმოდგენა წინამდებარე ნაშრომის ჩარჩოებში შეუძლებელია, მოვიყვანო მხოლოდ იმ მკვლევართა მოსაზრებებს, რომლებსაც უმუშავიათ ამ საკითხებზე და თავისი მოსაზრებები დასაბუთებული აქვთ ფაქტიური მასალით.

პირველ ყოვლისა საინტერესოა გ. ჩილდის⁵⁷ მოსაზრება ამ საკითხის შესახებ. იგი უყოყმანოდ თვლის, რომ გეომეტრიული მიკროლითები (სეგმენტები, სამკუთხედები, ტრაპეციები) ევროპაში თუ აფრიკაში წარმოადგენდნენ შედგენილი სატყორცნი იარაღების ჩასართებს, სანადირო დანიშნულების იარაღებს.

გ. ჩილდი არ ეთანხმება ადრე გავრცელებულ მოსაზრებას, რომლის თანახმად ევროპაში გეომეტრიული მიკროლითების გავრცელება ემთხვეოდა პირველ მიწათმოქმედ-მესაქონლეთა გამოჩენას. ეს მოსაზრება მან უარყო იმის საფუძველზე, რომ ევროპაში პალეოლითელი მონადირე თემები (უკანასკნელი გამყინვარების პერიოდში) იყენებდ-

⁵⁶ С. Н. Бибиков. Производственная роль костяного инвентаря в хозяйстве позднелеолитических обществ Крыма.—Уч. записки ЛГУ. № 95, сер. ист. наук. вып. 13. 1949; В. М. Массон, Средняя Азия и Древний Восток. М.—Л., 1964, с. 14—15; Г. Ф. Коробкова. Орудия труда и хозяйство неолитических племен Средней Азии.—МИА, СССР. № 158, 1969, с. 24.

⁵⁷ Г. Чейлд. Древнейший Восток в свете новых раскопок. М., 1956, с. 51—52.

წენ გეომეტრიულ მიკროლითებს. ამით იგი გამორიცხავდა გეომეტრიული მიკროლითების სამიწათმოქმედო დანიშნულებას. თუმცა იგი ამასთანავე აღნიშნავდა, რომ გეომეტრიული მიკროლითები არ გამოდის ხმარებიდან ამ ადგილებში მიწათმოქმედ-მესაქონლეთა მოსვლის შემდეგაც. ს. სემიონოვის აზრით, მიკროლითური ტექნიკა ნადირობისათვის საჭირო იარაღის დამზადების შესაძლებლობას იძლეოდა⁵⁸.
ც. მასონი გეომეტრიული ფორმის იარაღებს ეკვვარეშე მიიჩნევს რთული, შედგენილი სატყორცნი იარაღების ჩასართებად⁵⁹.

ზოგადი საკითხების კვლევისას არქეოლოგებს — პ. ეფიმენკოს⁶⁰, ს. ზამიატინის⁶¹, ა. ფორმოზოვს⁶², ნ. ბადერს⁶³ — მოუხდათ კავკასიის ქვის ხანის ძეგლების გათვალისწინება, კერძოდ კი, მიკროლითური ტექნიკისა და გეომეტრიული მიკროლითების შედარებითი ანალიზის გაკეთება. ყველა მათგანი თვლიდა, რომ გეომეტრიული მიკროლითები, რთული, შედგენილი სატყორცნი იარაღების ჩასართები სანადირო დანიშნულების იარაღებია. არქეოლოგიურ ლიტერატურაში არაერთი ფაქტია მოყვანილი იმის საბუთად, რომ გეომეტრიული მიკროლითები, კერძოდ, სეგმენტები და ტრაპეციები, სატყორცნი იარაღების შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ.

დანიში ნაპოვნია ხის ისრები, რომელთა წვერის მაგივრობას სწევდნენ მაღალი სამკუთხედები⁶⁴. კუნძულ ტევისზე მეზოლითურ სამარხში აღმოჩენილი ჩონჩხის ერთ-ერთ მალაში გარკობილი იყო მიკროლითი, ხოლო მეორე მალაზე მიყენებული ნაქდვეი შეიმჩნეოდა⁶⁵. ანალოგიური სამარხი იყო აღმოჩენილი უკრაინის ტერიტორიაზე. ჩონჩხის ხერხემალში გარკობილი იყო მიკროლითი.

რაც შეეხება გეომეტრიული მიკროლითების სამიწათმოქმედო დანიშნულებას, ამის შესახებ უკანასკნელი წლების არქეოლოგიურ ლიტერატურაში საკითხი არ ისმის.

ცნობილია არქეოლოგ ლ. ლიკის მიერ 1931 წ. აღმ. აფრიკის

⁵⁸ С. А. Семенов. Первобытная техника, МИА СССР, № 54, с. 83.

⁵⁹ В. М. Массон. დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

⁶⁰ П. П. Ефименко. დასახ. ნაშრომი, გვ. 600—601.

⁶¹ С. Н. Замятин. დასახ. ნაშრომი, გვ. 492.

⁶² А. А. Формозов. Неолит Крыма и Черноморского побережья Кавказа; მისივე. Этнокультурные области на территории Европейской части СССР в каменном веке. с. 70.

⁶³ Н. О. Бадер. Варианты культуры..., с. 7—9.

⁶⁴ А. А. Формозов. დასახ. ნაშრომი, გვ. 70; M. et S. J. Pequart. 'La nécropole mésolithique de Teviec (Morbihan)—L' Antropologic, t. XXXIX, № 5—6. 1929.

⁶⁵ С. Н. Бибииков. დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

(კენია) ერთ-ერთი გამოქვეყნების გათხრის საფუძველზე გამოთქმული მოსაზრება. აქ მან შენიშნა, რომ სეგმენტები რკალისებურად იყო განლაგებული. მისი აზრით, ისინი ნამგლის ჩასართებს წარმოადგენენ⁶⁶. მაგრამ უფრო მოგვიანებით, როდესაც ლ. ლიკი დაინტერესდა გეომეტრიული მიკროლითების დანიშნულებით და პრაქტიკული ექსპერიმენტებიც ჩაატარა, მივიდა დასკვნამდე, რომ გეომეტრიული მიკროლითები წარმოადგენენ ეფექტურ სანადირო იარაღებს. ხოლო გ. ჩაილდი კენიის ამ აღმოჩენის შესახებ აღნიშნავდა, რომ ისინი პალეოლითურ ფენაშია ნაპოვნი და მით გამორიცხავდა მათ სამიწათმოქმედო დანიშნულებას⁶⁷.

მეორე გავრცელებული მოსაზრების თანახმად გეომეტრიული მიკროლითები ერთი გარკვეული სახის იარაღებს არ ეკუთვნოდნენ. სხვადასხვა ფორმის მიკროლითების ხისა ან ძვლის ტარში გარკვეული ხერხით ჩამაგრებას განსხვავებული დანიშნულების იარაღი უნდა მოეცა.

ჩასართების ტექნიკასთან დაკავშირებით ს. ბიბიკოვმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სატყორცნი იარაღების ჩასართები აღიდებდნენ ნადირობის პროდუქტიულობას და იძლეოდნენ დაკარგული ნაწილების ადვილად შეცვლის შესაძლებლობას. მაგრამ მას ამასთანავე შესაძლებლად მიაჩნდა, აგრეთვე, ტრაპეციების ერთი ნაწილის გამოყენება ისრისპირებად, მეორე ნაწილისა კი ხერხებად, დანებად და სატყეხების ჩასართებადაც კი⁶⁸. სამკუთხედებს ს. ბიბიკოვი სათევზაო დანიშნულების იარაღებად მიიჩნევდა⁶⁹, ე. ი. ყველა შემთხვევაში იგი მათ მითვისებითი მეურნეობისათვის განკუთვნილ იარაღებად თვლიდა.

საინტერესოა გ. კორობკოვას მიერ ჯეიტუნის (შუა აზია) მიკროლითებზე ჩატარებული ტრასოლოგიური გამოკვლევების შედეგები. უკანასკნელის მიხედვით ჯეიტუნის ზოგიერთი ტრაპეცია და სეგმენტი გამოიყენებოდა შედგენილი ნამგლის ჩასართებად, ზოგიერთი კი საფხეკი იარაღებისა. გეომეტრიული მიკროლითების ნაწილი კი შესაძლებელია გამოყენებული იყო სატყორცნი იარაღების წვერებად⁷⁰.

ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, მიკროლითებს მიკროსაჭრისე-

⁶⁶ L. S. Leakey. The stone age cultures of Kenya colony. Cambridge, 1931, ტაბ. XVII.

⁶⁷ Г. Чайлд. დასახ. ნაშრომი, გვ. 52.

⁶⁸ С. Н. Бибииков. დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

⁶⁹ С. Н. Бибииков. Раскопки в навесе Фатъма-Коба.—КСИА, т. 8. Киев, 1950.

⁷⁰ Г. Ф. Коробкова. Орудия труда и хозяйство неолитических племен Средней Азии.—МИА СССР, 1960, 158, გვ. 24.

ბის დანიშნულება უნდა ჰქონოდა⁷¹. საინტერესოა წინა აზიის უძველეს ძეგლებში ე. წ. სამკელი დანების პოვნა. ეს სამკელი დანები წარმოადგენს სწორი ფორმის ძვლის ტარს შუაში ღარით, რომელშიც ჩასმული უნდა ყოფილიყო კაუჩის ჩასართები. მსგავსი ნამგლები ნაპოვნია გვიან ნატუფში. მათ ყველა მკვლევარი სამკელ დანებად თვლის და შემგროვებლობისათვის განკუთვნილ იარაღად მიიჩნევს. გამონაკლისია რ. ბრეიდვუდი, რომლის აზრითაც ეს დანები უკვე მწარმოებლურ მეურნეობას უკავშირდება⁷².

აღსანიშნავია, რომ ეს სამკელი დანები ყველა შემთხვევაში წარმოადგენს ცარიელ ტარებს, რომლებშიც არ არის შერჩენილი ჩასართები, გამონაკლისია ფაიუმში აღმოჩენილი სამკელი დანა, რომელშიაც ჩასმულია სწორი ლამელები და არა მიკროლითები. ასე რომ, გეომეტრიული მიკროლითების პოვნა სამკელ დანებში ჭერჯერობით არ არის დამოწმებული. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ წინა აზიის ჩამოყალიბებულ სამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებში აღმოჩენილია ამგვარივე იარაღები (სიალკი). მათში არ უნდა ვივარაუდოთ გეომეტრიული მიკროლითების ჩასმა, რადგან მაშინ ისინი უნდა ყოფილიყვნენ სიალკისა და ხასუნას ნამოსახლარების ფენებში, სადაც ამგვარი და ზოგ შემთხვევაში უკვე მოხრილი ნამგლებიც გვაქვს. როგორც ვიცით, სიალკში და ხასუნაში გეომეტრიული მიკროლითები, და საერთოდ მიკროლითური ტექნიკა, აღარ გვხვდება. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ გეომეტრიული მიკროლითები სამკელ დანებს არ უნდა უკავშირდებოდეს.

სადღეისოდ გეომეტრიული მიკროლითების დანიშნულების საკითხის გადასაწყვეტად კავკასიის ძეგლებში პირდაპირი მასალა არ მოგვეპოვება. თუმცა ამის მიუხედავად ერთი რამ ცხადია — მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები კავკასიაში ჩაისახა და განვითარდა გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე მიწათმოქმედება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები ჩნდება ზედა პალეოლითის დასაწყისში და ვითარდება მის შემდგომ საფეხურებზე, ე. ი. ჩნდება ზედა პალეოლითის იმ ეტაპებზე, როდესაც მიწათმოქმედება არ არის საგულისხმებელი.

მიკროლითური იარაღები, როგორც რთული, შედგენილი იარა-

⁷¹ L. Romendo. Lásite 51 collections préhistoriques du (R. A. P. E) Libyca IX—X, 1961—1962.

⁷² R. J. Braidwood, B. How. Prehistoric Inversignation in Iraqí Kurdistan. Ciicago, 1960.

ღების ჩასართები, გამოყენებული უნდა ყოფილიყო ნაწილობრივ შემგროვებლობისა, ნაწილობრივ კი სანადირო და სათევზაო იარაღების ჩასართებად, ე. ი. ყველა შემთხვევაში მიკროლამელების ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები წარმოიშვა და განვითარდა მითვისებებითი მეურნეობის წიაღში, მისი საჭიროებისათვის.

ზედა პალეოლითის დასაწყისიდან შეიმჩნევა მითვისებითი მეურნეობის მასშტაბების თანდათანობითი ზრდა. ვითარდება შემგროვებლობა, მეთევზეობა, ნადირობა. ყოველივე ამან განაპირობა მეურნეობის ამ დარგებისათვის საჭირო იარაღების განვითარება. მითვისებითი მეურნეობის გაფართოებასთან ერთად ვითარდება მიკროლითური ტექნიკა და პირუკუ, ამ ტექნიკის აღმავლობამ ხელი შეუწყო მითვისებითი მეურნეობის შემდგომ განვითარებას. ეს მოვლენები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში და ურთიერთგანპირობებულობაშია.

როგორც აღვნიშნეთ, დასავლეთ ამიერკავკასიის ზედა პალეოლითის, მეზოლითისა და მთელი ნეოლითისათვის დამახასიათებელია კარგად განვითარებული მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები. ამავე ტერიტორიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებში, სადაც ჩამოყალიბებულ მიწათმოქმედებასთან გვაქვს საქმე (ნასახლარები „სოჭი-ადლერის“ ტიპის თოხებით), აღნიშნული ტექნიკა ქრება. ანალოგიური მდგომარეობაა ცენტრალურსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. აქაურ მეზოლითს (ეძანი, ზურტაკეტი, კობისტანი) და ნეოლითს (კობისტანი) ახასიათებს მაღალ დონეზე განვითარებული მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული ფორმის იარაღები. ამავე ტერიტორიის ადრესამიწათმოქმედო შულავერ-შომუ-თეფეს კულტურას (შულავერი, იმირის-გორა, შომუ-თეფე. თიორა-თეფე, ქიულთ-თეფე I) კი მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები აღარ ახასიათებს. გადმონაშთის სახით მათ ვხვდებით წოფეს, არუხლო I და არუხლო III ნამოსახლარებზე.

ანალოგიური სურათია წინა აზიაში. აქ მეზოლითის ხანაში უკვე გამოიყოფა ორი კულტურული არეალი. პირველი მოიცავს პალესტინას, ნაწილობრივ სირიას და მცირე აზიის სამხრეთ ნაწილს, მეორე — ჩრდილო ერაყსა და ირანის ქურთისტანს. პირველ არეალში გავრცელებულ ნატუფის კულტურას მის სამივე ფაზაში ახასიათებს განვითარებული მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული ფორმის მიკროლითები. ამ კულტურის ყველა მკვლევარი (გაროდი, ნევილი, კენიონი), მათ შორის საბჭოთა არქეოლოგები, რომლებიც მუშაობდნენ ამ კულტურის საკითხებზე (ბადერი, მასონი, ფორმოზოვი) ერთხმად აღიარებენ, რომ ნატუფის კულტურის მატარებელი ტომების მეურნეობა დამყარებული იყო მითვისებითი მეურნეობაზე. კერძოდ, ნადირობასა და შემგროვებლობაზე. ფართოდ განვითარებული მითვის-

სებითი მეურნეობის წიაღში, ნატუფის კულტურის მესამე ეტაპზე ჩნდება მწარმოებლური მეურნეობის ცალკეული ელემენტები, რის გამოც რ. ბრეიდვუდმა⁷³ გამოთქვა მოსაზრება ნატუფის კულტურის მესამე ეტაპის მწარმოებლური მეურნეობისადმი მიკუთვნების შესახებ. აღნიშნულმა მოსაზრებამ, ისევე როგორც რ. ბრეიდვუდის მთელმა პერიოდოლიზაციამ, აღიარება ვერ პოვა. ე. მასონს უსაფუძვლოდ მიაჩნია ნატუფის კულტურის მესამე ეტაპის მიკუთვნება მწარმოებლური მეურნეობისადმი. მისი აზრით, ნატუფის კულტურის მესამე ეტაპი მითვისებით მეურნეობას უნდა უკავშირდებოდეს⁷⁴. ამ შემთხვევაში ჩვენი საკითხისათვის არა აქვს არსებითი მნიშვნელობა ნატუფის კულტურის მესამე ეტაპის კუთვნილების საკითხის გადაწყვეტას. ჩვენთვის საინტერესოა, რომ ნატუფის კულტურის მესამე ეტაპზე მწარმოებლური მეურნეობის ელემენტების გაჩენის მიუხედავად გეომეტრიული ფორმის მიკროლითების რაოდენობა უცვლელია, რაც განპირობებული იყო მითვისებითი მეურნეობის ჭერ კიდევ დიდი როლით. ამასთანავე საინტერესოა, რომ ნატუფის კულტურის წინა ორ ეტაპს ყველა მკვლევარი უყოყმანოდ აკუთვნებს მითვისებით მეურნეობას, რომლის დროსაც ფართოდაა წარმოდგენილი მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები.

მსგავსი მდგომარეობაა წინა აზიის მეორე არეალში. აქაური გვიანი ზედა პალეოლითისა და მეზოლითის ძეგლებისათვის დამახასიათებელია განვითარებული მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული ფორმის იარაღები (ზარზი, შანიდარი, იაბრუდი, გარი-კამარბანდი). აღიარებულია, რომ აღნიშნული კულტურის მატარებელი გვაროვნული ჯგუფების მეურნეობის საფუძველი მითვისებითი მეურნეობა იყო. როგორც ჩანს, იგივე დასკვნა გამოდის წინა აზიის მეორე არეალის გვიანი ზედა პალეოლითისა და მეზოლითის ძეგლების განხილვიდანაც — მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები მითვისებითი მეურნეობის საჭიროებას ემსახურებოდა.

წინა აზიის უძველესი კულტურების მკვლევარნი თვლიან, რომ ზარზის, ნატუფისა და კასპიისპირა მეზოლითური კულტურების ბაზაზე წარმოიქმნა წინა აზიის ადრესამიწათმკმედო კულტურები. მათი წარმოქმნის ადრეულ სტადიაზე (მასონის პერიოდოლიზაციის მიხედვით)⁷⁵ სადაც გვაქვს შერწყმა მითვისებითი მეურნეობისა | (ნადი-

⁷³ R. I. Braidwood, დასახ. ნაშრომი.

⁷⁴ В. М. Массон. К вопросу о мезолите Передней Азии, — МИА СССР, № 126, გვ. 170.

⁷⁵ В. М. Массон. Средняя Азия и Древний Восток. М.-Л. 1964,

რობა და შემგროვებლობა) და დამჯდარი მიწათმოქმედების არქაული ფორმებისა, მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული ფორმები ჭერ კიდევ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ (ჯარმო, იერიხონი, ბელდისის ფენა, ჭეიტუნი). მაგრამ ადრე სამიწათმოქმედო კულტურის მეორე ეტაპზე, სადაც უკვე ჩამოყალიბებულია მიწათმოქმედ-მესაქონლეთა კულტურა⁷⁶, სადაც უკვე იმარჯვებს მწარმოებლური მეურნეობა, მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები მთლიანად ქრება. ამ ეტაპს მიეკუთვნება ხაჯილარი, ჩათალ-პუიუკი, მერსინი, ამუკი, ხასუნა, სიალკი 1, ნამაზგა 1.

ზემოთქმული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ: 1. მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები არ არის სამიწათმოქმედო დანიშნულების იარაღები და ამდენად, დამახასიათებელი მწარმოებლური მეურნეობისათვის; 2. მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები არქეოლოგიურ კომპლექსებში წარმოადგენენ მითვისებითი მეურნეობის განვითარების ხარისხის საკმაოდ მგრძობიარე მაჩვენებელს, მითვისებითი მეურნეობის ხვედრითი წონის მაჩვენებელს.

ამგვარად, მიკროლითური ტექნიკისა და გეომეტრიული მიკროლითების განხილვა ქვის ხანის საფეხურების მიხედვით გვიჩვენებს, რომ დაწყებული ზედა პალეოლითის ადრეული საფეხურიდან, ე. ი. მისი ჩასახვის დროიდან, აღნიშნული ტექნიკა და გეომეტრიული ფორმის იარაღები განიცდიან განვითარებას აღმავალი ხაზით, მათი თვისებრივი და რაოდენობრივი ცვლილებების გზით, რამაც უმადლეს განვითარებას მიაღწია გვიანწეოლითში. აღნიშნული ინდუსტრიის სრულყოფა ხდებოდა პრიზმული მიკროლამელების ფართოდ განვითარების ბაზაზე.

ჩვენ მიერ გამოანგარიშებულმა მიკროლითური ტექნიკის ინდექსებმა გვიჩვენა მიკროლითური ტექნიკის ზრდა აღმავალი ხაზით ქვის ხანის საფეხურების შესაბამისად (ზედა პალეოლითი, მეზოლითი, ნეოლითი): საჯაია — 5,5%, გვარჯილას კლდე — 7,2%, ქვაპარა — 3,8%, ანასეული II — 43%. მიღებული პროცენტული მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ ყველაზე მაღალი ინდექსი აქვს გვიანი ნეოლითის მიკროლითურ ტექნიკას. სამწუხაროდ ტექნიკური მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა ჭერჭერობით ყველა ძეგლის ინდექსების გამოანგარიშება, რაც უფრო ნათელს გახდიდა მიკროლითური ტექნიკის განვითარების თავისებურებებს.

როგორც ცნობილია, ფართოდ განვითარებული მითვისებითი მე-

ურნეობის წიაღში ჩაისახა მწარმოებლური ეკონომიკა (მიწათმოქმედება). ახალმა მზარდმა ეკონომიკამ ჯერ შეაფერხა, ხოლო შემდეგ შეამცირა მითვისებითი მეურნეობის როლი უძველესი ტომების მეურნეობაში. მისი მნიშვნელობის შესუსტებამ კი გამოიწვია მიკროლამელების ტექნიკის დაცემა და მიკრონაწარმის შემცირება. ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ოდიშის ნამოსახლარი, სხვა გვიანნეოლითურ ნამოსახლარებთან შედარებით მასში ყველაზე მეტია მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული იარაღები, ხოლო იმავე ძეგლები-საგან განსხვავებით მიკროლითური ტექნიკა აქ უკვე შეზღუდულადაა წარმოდგენილი.

გვიანნეოლითის შემდეგ მიკროლითური ტექნიკის მზარდი განვითარება წყდება, იგი დაღმავალი ხაზით მიმდინარეობს. ამის გამო კავკასიის ადრელითონის ხანის ძეგლებში მიკროლითური ტექნიკის ხვედრითი წონა საგრძნობლად მცირდება. ამის მაგალითია სამეღე კლდის, დარკვეთის I, II, III ფენები, წოფისა და არუხლო I ნამოსახლარები. ეს კი უნდა ნიშნავდეს, რომ ენეოლითში, აღმავლობის გზაზე მდგარი მწარმოებლური მეურნეობის პირობებში მცირდება იმ მეურნეობის როლი (მითვისებითი), რომელსაც ემსახურებოდა მიკროლითური ტექნიკა და მისი ნაწარმი. ქვისა და ლითონის ხანის ძეგლებში არსებული მიკროლითური ტექნიკის რაოდენობრივი მაჩვენებელი პირდაპირპროპორციული უნდა იყოს მითვისებითი მეურნეობის ხვედრითი წონისა.

ძეგლებში, რომლებშიც სავარაუდებელია (ან ჩნდება) პირველი ლითონის ნივთები, ქვის ინდუსტრიის ხასიათი იცვლება. წყდება მიკროლითური ტექნიკის განვითარება, მცირდება გეომეტრიული მიკროლითებისა და წვრილი პრიზმული ლამელების რაოდენობა. მნიშვნელოვნად იცვლება იარაღთა სერიები. კლებულობს ან ქრება მიკროლითური იარაღები (გეომეტრიული მიკროლითები, მიკროსაფხეკები, მიკროსაჭრისები, მიკროსახვრეტები, მიკრობურღები და სხვ.), ფართოდ იკიდებს ფეხს იარაღების ორმხრივი დამუშავება, იხვეწება „წნევიითი რეტუში. ისახება ახალი — მსხვილი ლამელების ტექნიკა, რაც უფრო შორსაა კომპლექსი ლითონის პირველი ნივთების გაჩენის დროიდან, მით უფრო კლებულობს ნეოლითის ნიშნები.

აღნიშნული პროცესი არ უნდა იქნეს გაგებული ისე. თითქოს მითვისებითი მეურნეობა მთლიანად ქრება ენეოლითის ხანის ისეთ კულტურებში, რომლებშიც არ არის წარმოდგენილი მიკროლითური ტექნიკა. მითვისებითი მეურნეობა სხვადასხვა ეპოქებში განსხვავებული მასშტაბით განაგრძობს არსებობას, როგორც მეურნეობის დამხმარე დარგი. მიკროლითური ტექნიკისა და მისი ნაწარმის გაქრობა

ძეგლებში უნდა აიხსნას, ერთი მხრივ, იმით, რომ მცირდება. მითვისებითი მეურნეობის როლი და მეორე მხრივ, ძველის ახალით შეცვლით. მწარმოებლური მეურნეობის (მიწათმოქმედება) საქროებისათვის გაჩენილი ქვის დამუშავების ახალი ტექნიკა (მსხვილი ლამელების) პირველ ხანებში ნაწილობრივ, ხოლო შემდეგ მთლიანად აგრეთვე უნდა ჩამდგარიყო მითვისებითი მეურნეობის სამსახურში.

ენეოლითის ხანის ძეგლების ქვის მასალის ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ ახალი ტექნიკის განვითარება (მსხვილი ლამელების) ერთხანს აღმავალი ხაზით მიდის, მაგრამ ლითონის ნაწარმის მატებასთან ერთად, მეტალურგიის გაჩენის დროისათვის, ქვის ინდუსტრია მთლიანად ეცემა.

ქვის ინდუსტრიის განვითარების ეს ზოგადი კანონზომიერება დამახასიათებელია არა მარტო საქართველოს ქვისა და ენეოლითის ხანის კულტურებისათვის, არამედ იგი საერთოა მთელი კავკასიისათვის. იგივე კანონზომიერება მეორდება ყირიმისა და შუა აზიის ნეოლით-ენეოლითური ხანის ინდუსტრიაში ლოკალური ნიშნების თანხლებით. მოტანილი ფაქტები ცხადყოფენ, რომ ჩვენს წინაშეა წინა აზიისა და მისი ჩრდილო პერიფერიის (კავკასია) ქვის ინდუსტრიის განვითარების ზოგადი კანონზომიერება.

მიკროლითური ტექნიკისა და გეომეტრიული მიკროლითების დეტალური შესწავლა (ძეგლის დანარჩენ ელემენტებთან მჭიდრო კავშირში), აღნიშნული კანონზომიერების გათვალისწინებით, შესაძლებლობას მოგვცემს გავმიჯნოთ ადრესამიწათმოქმედო კულტურის პირველი ეტაპის (ნეოლითი) და მეორე ეტაპის (ენეოლითი) ძეგლები.

დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმომკმედო
კულტურის მეორე საფეხური

1. შუა და გვიანი ნეოლითი

მას შემდეგ, რაც შევეცადეთ კავკასიის მასშტაბით, შეძლებისდაგვარად, გვეჩვენებინა ის საფუძველი, რომელზედაც შემდგომ წარმოიქმნა და ჩამოყალიბდა მწარმოებლური მეურნეობის მქონე კულტურები, წინამდებარე თავში განვიხილავთ დასავლეთ ამიერკავკასიის უაღრეს ადრესამიწათმომკმედო კულტურას, რომელიც მისი პირველი და ყველაზე ტიპური ძეგლის მიხედვით ოდიშის სახელითაა ცნობილი. აღნიშნული კულტურა გვიანნეოლითის ქრონოლოგიურ საზღვრებში თავსდება და მკაფიოდ გვიჩვენებს მემკვიდრეობით კავშირს ადგილობრივ ადრენეოლითთან. გენეტიკური კავშირი ამ ორ საფეხურს შორის პირველად დადასტურდა ანასეულში ადრე- და გვიანნეოლითური ძეგლების აღმოჩენის შედეგად¹, ხოლო შემდეგ კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოჩნდა უკანასკნელ წლებში აღმოჩენილი ძეგლების (ღუმურიში. ვალი I) საფუძველზე, რომელთა საშუალებით შესაძლებელი გახდა მათ შორის გარდამავალი, შუა საფეხურის გამოყოფა².

შუა- და გვიანნეოლითის ანუ ოდიშის კულტურის ძეგლებს დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმომკმედო კულტურის მეორე საფეხურში ვაერთიანებთ.¹

აღნიშნული საფეხური ხასიათდება შერეული ტიპის მეურნეობით-მითვისებით-კომპლექსური მეურნეობისა და მწარმოებლური (ბინადარი მიწათმომკმედების არქაული ფორმები) მეურნეობის ფორმების შერწყმით. იგი შეესატყვისება ვ. მასონისეული პერიოდიზაციის I

¹ ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი.

² К. С. К а з и а н д а д з е. Неолитическая культура Западной Грузии в свете новых археологических открытий. Автореф. канд. диссер., Тбилиси, 1969, გვ. 11.

ეტაპს, რომელშიც თავსდება ჩეიტუნი, ჯარმო, იერიხონი და სხვა მათი სინქრონული ძეგლები.

1 აღნიშნულ საფეხურზე მითვისებით მეურნეობას ჯერ კიდევ გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა მისი განვითარება ამ ეტაპის შემდეგ მკვეთრად შეიზღუდა. რაც შეეხება მწარმოებლური მეურნეობის დარგებს, ისინი უკვე წინა საფეხურზე იყო ჩასახული და აღმავალი ხაზით ვითარდებოდა, რისი მაუწყებელიცაა აღმოჩენილი ოსტეოლოგიური ნაშთები (დარკვეთი IV) და სამიწათმოქმედო დანიშნულების იარაღები (ოდიში, კისტრიკი და სხვ.).

მიკროლითური ტექნიკისა და გეომეტრიული მიკროლითების შესწავლის შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ იარაღთა ეს სახეობა და საერთოდ (მიკროლითური ტექნიკა მითვისებით მეურნეობას ემსახურებოდა. ოდიშის კულტურის ძეგლებში მიკროლითურ ტექნიკას და გეომეტრიული ფორმის იარაღებს გარკვეული ხვედრითი წონა ჰქონდა. ის კი გვაფიქრებინებს, რომ მითვისებითი მეურნეობის ტრადიციულ დარგებს ჯერ კიდევ გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ნეოლითური ტომების სამეურნეო ბაზისში. როგორც ვხედავთ, ამ კომპლექსებში მკაფიოდ იჩენს თავს ტრადიციული და ინოვაციური ელემენტების შერწყმა. ამკარაა, რომ პროგრესული ელემენტები მეურნეობის ახალ, განვითარებად დარგებს უკავშირდებოდა. 1

2 დასავლეთ ამიერკავკასიაში სადღეისოდ ცნობილი შუა და გვიან-ნეოლითური ძეგლები გავრცელებულია შავიზღვისპირეთის მთისწინა ბორცვოვან ზოლში, მდინარისპირა და ზღვისპირა ტერასებზე ღია ნამოსახლარების სახით. მღვიმეებსა და ეხებში ისინი ჯერჯერობით არ არის მიკვლეული. ამ უკანასკნელებში აღმოჩენილია მხოლოდ ადრენეოლითური ძეგლების ერთი ნაწილი (ცივი მღვიმე, დარკვეთი, აფიანჩა), მეორე ნაწილი კი ღია ნამოსახლარებია (ანასეული 1, მელოური, ხორში და სხვა). 1

როგორც ვხედავთ, აღნიშნული ნამოსახლარები ძირითადად თავმოყრილია შავიზღვისპირა ზოლში. არქეოლოგიურ ლიტერატურაში არაერთხელ დასმულა საკითხი, თუ რამ განაპირობა ამ რეგიონში მეზოლით-ნეოლითური ნამოსახლარების თავმოყრა.

უნდა ვიფიქროთ, რომ დასავლეთ ამიერკავკასიის შავიზღვისპირეთში არსებული ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, კერძოდ, თბილი და ნოტიო სუბტროპიკული ჰავა, ნოყიერი ნიადაგები, მდინარეთა ხშირი ქსელი, კარგი სასმელი წყაროები, მრავალფეროვანი ფლორა და ფაუნა ერთობლიობაში ქმნიდა პირველყოფილი ადამიანისათვის აუცილებელ პირობებს ტრადიციული მითვისებით-კომპლექსური მეურნეობის დარგების ფართოდ განვითარებისათვის, რაც, თავის მხრივ, აპი-

რობებდა ამ რეგიონში მეზოლითელი მეთემეების საცხოვრისების მომრავლებას. /

რადგან, როგორც აღნიშნეთ, მწარმოებლური მეურნეობის დარგები ჩაისახა ადგილობრივი მაღალგანვითარებული მითვისებით-კომპლექსური მეურნეობის წიაღში, კერძოდ, სრული შემგროვებლობისა და ფართოდ განვითარებული მონადირეობის ბაზაზე, ბუნებრივია მათ იმავე რეგიონში გაეგრძელებინათ არსებობა მეურნეობის დამოუკიდებელ დარგად გადაქცევამდე. ამ ბუნებრივი განვითარების პროცესს კი მხოლოდ მეურნეობის შერეული ფორმის წარმოქმნის გზით უნდა გაეზარდა იგი წარმოებითი მეურნეობის დამოუკიდებელ დარგებად. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ეს რეგიონი სხვებთან შედარებით ოპტიმალურად ყველაზე უფრო ხელსაყრელი იყო შერეული მეურნეობის წარმოებისათვის. /

შესაძლოა, სწორედ ამ მიზეზით იყო ნაკარნახევი არქეოლოგიურად დადასტურებული სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს გვიან-მეზოლითური კულტურის სწრაფვა შავიზღვისპირეთისაკენ. არ არის გამორიცხული, რომ ბუნებრივი პირობებით (კასპიის ზღვის ფაქტორი) იყო განპირობებული ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში მწარმოებლური მეურნეობის ნაადრევი ჩასახვა-ჩამოყალიბება.

აღნიშნული მასალების საფუძველზე შესაძლოა მთლიანად არ გამოთლდეს ზოგიერთ მკვლევართა ვარაუდი, რომ დასავლეთ საქართველოს მიწათმოქმედების პირველადი კერა მხოლოდ და მხოლოდ მთის ზოლში, მთისძირა პლატოებზე უნდა ვეძებოთ, სადაც ხელსაყრელი ეკოლოგიური პირობები (ზომიერი სუბტროპიკული ჰავა და მარცვლეულის მრავალრიცხოვანი ენდემური ჯიშები) იყო მიწათმოქმედებისათვის. რაც შეეხება ვარაუდს — ენდემური ჯიშების ლოკალურ გავრცელებას რაჭა-ლეჩხუმში, შესაძლოა ეს ფაქტი არ შეეფერებოდა რეალურ ვითარებას. უნდა ვიფიქროთ, რომ მათ მეზოლითნეოლითის ხანაში უფრო ფართო გავრცელება ჰქონდა, ვიდრე ეს დღეს ფიქსირდება. ისინი შესაძლოა შუა მთისა და მთისწინა ზოლის მეშვეობით საკმაოდ უახლოვდებოდნენ მეზოლითნეოლითური ძეგლების მდებარეობის მიკრორაიონებს (ცხადია, არ ვგულისხმობთ დასავლეთ საქართველოს დაბლობის ზოლს). მაგრამ სწორედ ამ ეპოქებში, აღნიშნული რეგიონის ინტენსიური ათვისების შედეგად, მოხდა მათი კულტივირება ან მთლიანი გაქრობა, ანთროპულ ფაქტორს უნდა დაეუკავშიროთ მათი თავდაპირველი, შედარებით ფართო არეალის შემცირება და სწორედ აქ შემორჩენა, სადაც ეს ფაქტორი მეზოლითნეოლითში და-საერთოდ, შემდგომაც შედარებით სუსტი იყო. ამის საბუთს უნდა წარმოადგენდეს დღესდღეობით ის ფაქტი, რომ სწორედ ეს ტერიტორია: (რაჭა, ლეჩხუმი) სუსტადაა დასახლებული ამ პერიოდში.

ოღში. აღნიშნული ძეგლების აღმოჩენის მიზნით ჩატარებულმა რამდენიმე სეზონის არქეოლოგიურმა დაზვერვებმა ჯერჯერობით საგულისხმო შედეგი არ გამოიღო. კანტი-კუნტად ნაპოვნი ადრეული კაჟის მასალა სეზონური შემგროვებლობის ნაკვალევზე უნდა მიუთითებდეს. ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით მასალები მხოლოდ ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა. ხოლო რაც შეეხება ნეოლითური ძეგლების გავრცელების მიკრორაიონებს, ვფიქრობთ, რომ სწორედ აქ უნდა მომხდარიყო მითვისებითი მეურნეობის ბაზაზე მწარმოებლური ეკონომიკის ჩასახვა.

დასავლეთ ამიერკავკასიის მეზოლითურ და ნეოლითურ ღია ნა-მოსახლარებზე საცხოვრებელი ნაგებობების ნივთიერი ნაშთი არ შემორჩა. მაგრამ ამის მიუხედავად აღნიშნულ ძეგლებზე დადასტურებული ფრაგმენტული მასალა საშუალებას იძლევა მიახლოებით მანც წარმოვიდგინოთ საცხოვრებელი ნაგებობის სახე.

ქობულეთის ნამოსახლარზე უძრავ კულტურულ ფენაში ნაპოვნი იყო ბოძების საყრდენი ორმოები.¹ მათი განლაგების საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ საცხოვრებელ ნაგებობას აქ ოთხკუთხა ფორმა უნდა ჰქონოდა.² დარკვეთის ეხის ადრენეოლითური ფენის მოტკეპნილ იატაკზე აღმოჩენილი სარ-ლასტის მრგვალი ღრმულების სწორხაზოვანი განლაგება მოწმობს, რომ ეხში უნდა ყოფილიყო სწორკუთხედის ფორმის მოწნული ნაგებობა.³ საცხოვრებელი ნაგებობის ტიპის დასადგენად ჯერჯერობით ყველაზე საინტერესო მასალა დადასტურდა ხორშის ნამოსახლარის უძრავ ნეოლითურ თენაში. აქ აღმოჩენილი იყო მოტკეპნილი იატაკის ფრაგმენტი და ბოძების საყრდენი 12 ცილინდრული ორმო (დიამეტრი მერყეობდა 12—50 სმ, სიღრმე კი — 15—30 სმ შორის), მათში ნაპოვნი ბოძების გასამაგრებელი რიყის ქვებით. რამდენიმე შემთხვევაში ორმოს შიგნით შერჩენილი იყო ქვების თავდაპირველი წყობა.⁴ ორმოების განლაგების მიხედვით გ. გრიგოლიას მიერ აღდგენილი გეგმიდან ჩანს, რომ ნაგებობას ჰქონდა მოგრძო სწორკუთხედის ფორმა.⁵

¹ С. Н. Гогитидзе. Неолитическая культура Юговосточного Причерноморья. Автореферат канд. диссер. 1975. გვ. 7; მისივე. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა.

² ლ. ნებიერიძე. დარკვეთის მრავალფენიანი ეხი. გვ. 62.

³ Г. К. Григолия, Г. И. Мирцхулава. Итоги работ археологической экспедиции по изучению каменного века Мегрелии.—ПАИ в 1974 году (краткие сообщения). Тбилиси, 1976, с. 11.

⁴ Г. К. Григолия, Н. Мгеладзе. Предварительные результаты работ археологической экспедиции изучающей памятники каменного века Самегрело.—В кн.: ПАИ в 1977 году. Тбилиси, 1980, с. 14, таб. V.

ანასეულის დიდ ტერიტორიაზე ნეოლითური ნაშთები ცალკეული „კერების“ სახით იყო დადასტურებული. კულტურულ ფენას ლოკალური გავრცელება ჰქონდა ანასეულის ცენტრალური ბორცვის ჩრდილო ნაწილში (ანასეული I) — „მეტეოსადგურის“ ფართობზე, მისგან დაახლოებით 150—200 მეტრის დაშორებით, ანასეულის ბორცვის ცენტრალურ ნაწილში (ჩაის ფაბრიკის ტერიტორია) და ანასეულის ბორცვის ჩრდილო-აღმოსავლეთით 0,5 კმ-ის მანძილზე მდებარე სოფ. ექადიას ბორცვზე. თვით ექადიაზეც შეიმჩნეოდა მასალის დაჯგუფება ბორცვის ცენტრსა და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ანასეული I-ის ცენტრში ნაპოვნი იყო ბათქაშის ნატეხები, მათ შორის იყო წნელის ანაბეჭდიანიც⁷. ანასეულის ძირითადი ბორცვის სამხრეთით, დაახლოებით 1 კმ-ში მდებარე ბორცვ „მიწის ციხეზე“ (ანასეული II) აგრეთვე შეიმჩნეოდა მასალის თავმოყრის ცალკეული „კერები“ — ბორცვის სამხრეთ, სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო მხარეებში, ფერდების ზედა ნაწილებში და ბორცვის თავზე (სულ 5 დაჯგუფება)⁸. ნაშთების ამგვარი თავმოყრა ნასახლარების ტერიტორიაზე უნდა მიგვანიშნებდეს. აქ, როგორც ჩანს, ნეოლითურ სოფელთან უნდა გვქონდეს საქმე, რომელსაც მთელი ანასეულის ფართობი ეჭირა. ანასეული I-ის ნამოსახლარზე წნელის ანაბეჭდიანი ბათქაშების პოვნა უნდა მოწმობდეს, რომ აქ არსებობდა თიხით შელესილი მსუბუქი, წნული ნაგებობა⁹, რომელსაც, თუ დავეყრდნობით ზორშის, ქობულეთისა და დარკვეთის მონაცემებს, ოთხკუთხა ან სწორკუთხა ფორმა უნდა ჰქონოდა. ჩნეოლითურ ნამოსახლარებზე კერების ნაცარიანი ლინზების დადასტურება მიუთითებს აგრეთვე აქ საცხოვრებელი ნაგებობის არსებობაზე.¹

ჩხორთოლის ნამოსახლარის უძრავ კულტურულ ფენაში გამოვლენილი იყო მრგვალგეგმიანი საცხოვრებლის იატაკი, კერები, სამეურნეო დანიშნულების ორმოები და რიყის ქვებით შემოწყობილი საყრდენი ღრმულები¹⁰. აღსანიშნავია ლუმურიშის ნამოსახლარზე, ტერასის ოდნავ შემადღებულ მონაკვეთში მიკვლეული ნეოლითური დასახლების ნაშთი — ოვალურად განლაგებული შვიდიოდე ნასახ-

7 ლ. ნე ბ ი ე რ ი ძ ე. აღრენეოლითური ხანის ნაშთები ანასეულიდან. გვ. 174.

8 ლ. ნე ბ ი ე რ ი ძ ე. „მიწის ციხეზე“ ნეოლითური რაზმის 1962 წ. მუშაობის შედეგები. სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1962 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი (მოხსენებათა ანოტაციები). თბ., 1963, გვ. 10.

9 ლ. ნე ბ ი ე რ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 10; მისივე. აღრენეოლითური ხანის ნაშთები ანასეულიდან. გვ. 174.

10 კ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე. ჩხორთოლის ნეოლითურ ნამოსახლარზე 1971—1973 წწ. ჩატარებული გათხრების შედეგები. — წიგნ.: მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, VI. 1974, გვ. 176—187.

ლარი, რომელთა შორის მანძილი დაახლოებით 200—300 მ უდრიდა¹¹. როგორც ვხედავთ, მასალები მეტად მცირეა საცხოვრებელი ნაგებობის სახის აღსადგენად, მაგრამ ერთი მიზნით ცხადია, რომ ექვს გარეშეა აქ თიხით შელესილი ხისა თუ წნული ნაგებობების არსებობა, შესაძლოა, ფაცხისა თუ ჯარგვალის ტიპისა, რომლის მსგავსი უკანასკნელ დრომდე შემორჩა დასავლეთ საქართველოს სინამდვილეს. თიხით შელესილი მოწნული ნაგებობა თიხატყეპნილი იატაკით დადასტურებული იყო მაიკოპის კულტურის დოლინსკოეს (ნალჩიკის მიდამოებში) ნამოსახლარზე¹², რომლის მეურნეობას ამავე დროს სამიწათმოქმედო ხასიათიც ჰქონდა. აღნიშნული ნაგებობები, როგორც ჩანს, გავრცელებული იყო დასავლეთ კავკასიაში მოგვიანო ხანაშიც.

დარკვეთის ეხის, ცივი მღვიმის, აფიანჩასა და აგრეთვე ხორშის სავარაუდო საცხოვრებელი ნაგებობის მცირე ფართობი და აგრეთვე დარკვეთის ადრენეოლითურ ფენაში ერთი დიდი კერის პოვნის ფაქტი უნდა გვიჩვენებდეს, რომ ამ მღვიმეებსა თუ საცხოვრებელ ნაგებობებში ცხოვრობდა საერთო კერის მქონე თითო ოჯახი¹³.

დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური ნამოსახლარების კულტურული ფენები დიდი სიმძლავრით არ ხასიათდება. მათი სისქე საშუალოდ 0,4—0,6 მ-ია. როგორც მასალების გავრცელების სურათი გვიჩვენებს, ნამოსახლარებს ძირითადად ბორცვის თავი და მისი მიმდებარე ფერდების ზედა ნაწილები ეჭირა. ეს ფართობი საშუალოდ დაახლოებით 1—1,5 ჰა უდრიდა.

იმის გამო, რომ დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ ნამოსახლარებზე არ შემორჩა „მყარი“ საცხოვრებელი ნაგებობების კვალი, ხოლო კულტურული ფენები თხელია, არქეოლოგიურ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული თავისებურება უკავშირდება მწარმოებლური მეურნეობის ჩამოყალიბების პროცესის ადგილობრივ სპეციფიკას, რომელმაც განაპირობა განვითარების დაბალი ტემპი, კულტურისა და სამეურნეო ცხოვრების, კერძოდ, სახლთმშენებლობის ჩამორჩენილობა¹⁴ და ა. შ.

„მყარი“ ნაგებობების ქვეშ იგულისხმება ცენტრალურ და აღმო-

¹¹ კ. კალანდაძე. ლემურიის ნეოლითურ ნამოსახლარზე 1970 წელს ჩატარებულ სამუშაოთა შედეგები. — წიგნ.: მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. V. თბ., 1973, გვ. 125—139.

¹² А. П. Круглов, Г. В. Подгаецкий. Долинское поселение близ Нальчика.—МИА, 1941. № 3.

¹³ ლ. ნებიერიძე. დარკვეთის მრავალფენიანი ები. გვ. 62.

¹⁴ А. И. Джавахишвили. Строительное дело и архитектура поселений южного Кавказа V—III тыс. до н. э. Тбилиси., 1973, с. XIV—XV.]

საველეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლების მსგავსი ალიზისა და თიხატკეპნილი სახლები. ამგვარი ნაგებობები სრულიად გამოუსადეგარი იქნებოდა დასავლეთ საქართველოს ნოტიო კლიმატის პირობებში. როგორც ცნობილია, აქ ერთადერთი სამშენებლო მასალა უძველეს ხანაშიც და ისტორიულ პერიოდშიც ყოველთვის ხე-ტყე იყო. ზემომოტანილი მასალები აშკარად მიგვანიშნებს აქ ხისა თუ მოწნული ნაგებობების არსებობას, რომელიც არ შემოინახა. ეს გასაკვირიც არ არის, რადგან შავიზღვისპირეთის ტენიანი ჰავისა და მუკვე კარბონატული ნიადაგების პირობებში არ ინახება არავითარი ორგანული ნივთიერება, რაც შეეხება დიხა-გუძუბასა და ნაოხვამუს მაგალითს¹⁵, რომლებზედაც ხის ნაშთები იყო შემონახული, ვფიქრობთ, რომ იგი აქ ნაკლებ გამოგვადგება, რადგან, ჯერ ერთი, ეს ნამოსახლარები საკმაოდ გვიანდელია და მათსა და ნეოლითურ ძეგლებს შორის რამდენიმე არქეოლოგიური ეპოქაა, მეორეც, ამ ნამოსახლარებზე ხის ნაგებობათა ნაშთები დანახშირებულ მდგომარეობაში იყო, რამაც ხელი შეუწყო მათ შენახვას. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ხის ნაგებობათა დადასტურება ამ ნამოსახლარებზე, ჩვენი აზრით, შეიძლება, სწორედ იმის საბუთად გამოვდგეს, რომ დასავლეთ საქართველოს ხითხურობის მდიდარი ტრადიცია თავისი ფესვებით ოდიშის ტიპის ძეგლებს უკავშირდებოდა.

(ამგვარად, მთავარ ნიშნად ყველა არქეოლოგიური კულტურისათვის არ უნდა ჩაითვალოს ალიზისა თუ თიხატკეპნილი ნაგებობების გაჩენა. ეს ნიშანი აუცილებელია წინა აზიისა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის რეგიონის ადრეული კულტურებისათვის. ხოლო რაც შეეხება დასავლეთ ამიერკავკასიას, მას სხვა ნიშნებთან ერთად სახლთმშენებლობის ტექნიკაც განსხვავებული ჰქონდა. რასაც განაპირობებდა ადგილობრივი ეკოლოგიური პირობები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თიხატკეპნილი ნახევრადმიწურები სრულიად გამოუსადეგარი თავმესაფარი იქნებოდა შავიზღვისპირეთის ჰარბი ნალექიანობისა და ტენიანობის პირობებში. ამიტომ აქ, როგორც ზემომოტანილი ფრაგმენტული მასალა გვიჩვენებს, უნდა ყოფილიყო მიწისზედა ხის, ფაცხისა თუ ჯარგვლის ტიპის წნული, მსუბუქი, თიხით შელესილი ნაგებობები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგ შემთხვევაში ეს ნაგებობები მთლად მსუბუქი, შესაძლოა, არც ყოფილიყო. საინტერესოა დასავლეთ საქართველოში უკანასკნელ ხანებამდე შემორჩენილი ორმაგი წნული კედლების მქონე ფაცხის ტიპის ნაგებობები, შუაში ხეიწკისა და ღორღის შემავსებელით. აღნიშნული ნაგებობე-

ბი დასავლეთ საქართველოს ეკოლოგიის გათვალისწინებით იმდენად რაციონალურად იყო შექმნილი, რომ შემდგომ ეპოქებში მათ პრინციპული ცვლილებები არ განუცდიათ. ეს ფაქტი ჩვენ არ მიგვაჩნია სახლთმშენებლობის ტემპების ჩამორჩენისა და განვითარების დაბალი დონის მაჩვენებლად. მითუმეტეს არ მიგვაჩნია მართებულად ამ „ჩამორჩენილობის“ ახსნა კარსტული მღვიმეების ბრინჯაოს ხანამდე საცხოვრებლად გამოყენების მიზეზით¹⁶. საქმე ისაა, რომ ნეოლითური ძეგლების დიდი უმრავლესობა, საერთოდ და კერძოდ, ოდიშის ტიპის (გვიანნეოლითი) არც ერთი ძეგლი არ უკავშირდება მღვიმეს. მღვიმეს არ უკავშირდება აგრეთვე ჭრჭერობით ცნობილი არც ერთი შუა ნეოლითის ხანის ძეგლი (ღუმურიში, გალი I). უფრო მეტიც, ჩვენ გვაქვს იმის მაგალითიც, როდესაც ნეოლითური ღია ნამოსახლარის (ჯრთა) მახლობლად მდებარე მღვიმე საცხოვრებლად არ გამოუყენებიათ. ქალნიშნული ძეგლები კი ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარებს წარმოადგენენ. მომდევნო პერიოდის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებიც — თეთრამიწა, ახალსოფელი, ჩიხორი, სოჭი-ადღერის ტიპის თიხებიანი სადგომები — აგრეთვე ღია ნამოსახლარებია. აღსანიშნავია, რომ თეთრამიწის მიკრორაიონში მდებარე ჭახათისა და იაზონის მღვიმეები და ჩიხორის ნამოსახლარის მახლობელი მღვიმე (მუჭირეთი) ამ პერიოდში გამოუყენებელია.

ამგვარად, მოტანილი მასალის საფუძველზე გვინდა აღვნიშნოთ, რომ დასავლეთ საქართველოს მასალების შუქზე ჩანს, რომ მიწათმოქმედი ტომების საცხოვრისები მღვიმეებს არ უკავშირდება; ამიტომ ამ მიზეზით სრულიად შეუძლებელია შეფერხებულიყო დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლით-ენეოლითელი მიწათმოქმედი ტომების სახლთმშენებლობის განვითარების ტემპი. სულ სხვა მიზეზი აქვს ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანაში მღვიმეებისაკენ მიბრუნებას, რომელსაც ჩვენ ქვემოთ, მომდევნო თავში შევეხებით.

| რაც შეეხება ამ ნამოსახლარებზე კულტურული ფენების სითხელის საკითხს, პირველ ყოვლისა, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ხისა თუ წნული ნაგებობების წყობიდან გამოსვლა და მისი განახლება კულტურული ფენის სიმძლავრეს, ალიზის ნაგებობების ნაშთების მსგავსად, არ გაზრდიდა. ამას ემატება აგრეთვე გადარეცხვისა და ეროზიის ფაქტორები, მაგრამ | არსებითი მიზეზი მაინც მეურნეობის თავისებურებაში უნდა ყოფილიყო¹⁷. |

| ანგარიშგასაწევია მოსაზრება, რომ ურწყავი მიწათმოქმედება

¹⁶ А. И. Джавахишвили. დასახ. ნაშრომი, გვ. XV.

¹⁷ იქვე.

უფლებას იძლეოდა კოლექტივების/ცალკე დასახლებისა, რის გამოც ისინი შედარებით მობილურები იყვნენ¹⁸. მაგრამ აქვე პირველ რიგში უნდა დაუშვათ, როგორც ამას ალ. კალანდაძე ვარაუდობდა¹⁹, საცხოვრებელი ნაგებობების ადგილმონაცვლეობა სამოსახლოს ფარგლებში, რასაც შესაძლოა ნაწილობრივ გამოეწვია კულტურული ფენების ფართობის ზრდა, ხოლო აქედან გამომდინარე კი, ფენის მცირე სიმძლავრე. მაგრამ ამასთანავე უნდა დაუშვათ სამოსახლოს გარეთ ადგილმონაცვლეობაც როგორც რაიმე ყოფითი გართულებების დროს, ასევე უკეთესი სავარგულის შერჩევის მიზნით, რაც არც ერთ შემთხვევაში არ უნდა გაიგივდეს არაბინადრობასთან, რადგან მას რეგულარული ხასიათი არ უნდა ჰქონოდა²⁰.

დასავლეთ საქართველოში უკანასკნელ ხანებამდე, ქვის ნაგებობების შემოღებამდე კარგად შეიმჩნეოდა საცხოვრებელი ნაგებობის ადგილმონაცვლეობა სამოსახლოს ფარგლებში თუ მთელი გორის მიდამოებში სახლის დაქველებისა თუ მისი განახლების შემთხვევაში, რომლებსაც თითქმის ყოველი ახალი თაობა მიმართავდა. საფიქრებელია, რომ ხის ნაგებობები შედარებით უფრო გამძლე უნდა ყოფილიყო ალიზისაზე, ამიტომ მათი განახლების შუალედი შესაძლოა უფრო ხანგრძლივი ყოფილიყო.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ველის პირობებში მცხოვრებნი შედარებით უფრო ექაპეებოდნენ იმ ბუნებრივ თუ მათივე სამოსახლოს ნანგრევების ხარჯზე წარმოქმნილ ხელოვნურ შემადლებებს, რომლებზედაც ისინი იჯდნენ. დასავლეთ საქართველოს ზეგნებსა თუ ბორცეოვან რელიეფზე მცხოვრებთ კი ეს პრობლემა არ აწუხებდათ, ისინი ყველა შემთხვევაში (სამოსახლოს ტერიტორია იქნებოდა ეს თუ მისგან მოშორებული) მაინც მსგავს რელიეფზე ჯდებოდნენ და ამიტომ მათთვის არაფერი არ იცვლებოდა, უფრო მეტიც, ისინი, როგორც ჩანს, ჰირიქით, ცდილობდნენ ძველი საამშენებლო ნარჩენებისაგან გაცლას და მახლობლად ახლის დაწყებას. დროთა ვითარებაში კი ეს ნაშთები (ხე-ტყე-წნელი) ან სწავებ მასალად გამოიყენებოდა, ან საერთოდ უკვალოდ ქრებოდა.

[ამგვარად, „მყარი“ საცხოვრებელი ნაგებობების არარსებობა და თხელი კულტურული ფენები არ მიგვაჩნია ნეოლითური ნამოსახლარების არაბინადრობის მაჩვენებლად.]

დასავლეთ ამიერკავკასიის უადრესი სამიწათმოქმედო კულტურის წარმომავლობის, განვითარებისა და მისი ხასიათის უკეთ გაშუქების

¹⁸ Я. А. Киквидзе. დასახ. ნაშრომი, გვ. 18—20.

¹⁹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. 1. თბ., 1970, გვ. 124.

²⁰ ი. კიკვიძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 24.

მიზნით მოკლედ დავახასიათებთ ამავე კულტურის II საფეხურის ძეგლებს. შუა ნეოლითის კომპლექსებს შედარებით დეტალურად შევხებით. რადგან ისინი ოდიშის კულტურის ძეგლებზე მოგვიანებითაა აღმოჩენილი და ამის გამო ჭერჭერობით ფართოდ არაა შესული მეცნიერულ მიმოქცევაში. ხოლო რაც შეეხება გვიანნეოლითურ კომპლექსებს, ყველა მათგანი გამოქვეყნებულია და კარგადაა ცნობილი არქეოლოგიურ ლიტერატურაში²¹. ამის გამო, გამეორებების თავიდან აცილების მიზნით, ამ ძეგლებს მხოლოდ ზოგადად დავახასიათებთ. ეს მითუმეტეს გვეჩვენება გამართლებულად, რომ ეს კომპლექსები ძირითადად ერთგვაროვანია.

1 ნეოლითის შუა საფეხური დასავლეთ საქართველოში სადღეისოდ სუსტადაა გამოვლენილი. იგი ჭერჭერობით მხოლოდ ორი ნამოსახლართაა წარმოდგენილი, რომლებიც უმეტესად ადრენეოლითიდან გვიანნეოლითზე გარდამავალი ნიშნების მქონე ძეგლებია; ვიდრე მყარი საეტაპო ნიშნებისა. მათში კარგად აისახა ადრენეოლითისათვის დამახასიათებელი ნიშნების შემდგომი განვითარება გვიანნეოლითისაკენ. ქრონოლოგიურად მათ შუალედური ადგილი უჭირავთ ადრე- და გვიანნეოლითურ ძეგლებს შორის. ;

ზემოთქმულის ნათელსაყოფად საინტერესო შესალა მოგვცა ქ. გალის ჩრდილოეთით 11 კმ მანძილზე, მდ. ოქუმის მარცხენა ნაპირის მესამე ტერასაზე (ზღვის დონიდან 415 მ) აღმოჩენილია ლუმურიშის ნამოსახლარმა²². 1

ნამოსახლარის კულტურული ფენის ზედა ნაწილი დარღვეული აღმოჩნდა, ქვედა კი ნაწილობრივ უძრავ მდგომარეობაში იყო გადარჩენილი. მისი საერთო სიმაღლე 45—60 სმ უდრიდა. იარაღების დასამზადებელ მასალად უპირატესად კაეს იყენებდნენ, შედარებით იშვიათად — რიყის ქვას, ობსიდიანს, ბაზალტსა და არგილიტს (ტაბ. X).

ლუმურიშის ნამოსახლარზე მოპოვებულ მრავალრიცხოვან კოლექციაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს წარმოების ნაშთების სიმრავლე, რომელშიც წარმოდგენილია კაჭრებით, ანატკეც-

21 აღ. კალანდაძე. მეზოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში; А. П. Луккин. დასახ. ნაშრომი. ლ. ნებიერიძე. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი. მისივე. დარკვეთის მრავალფენიანი ეხი. ს. გოგიტიძე. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა. კ. კალანდაძე. ჩხორთლის ნეოლითურ ნამოსახლარზე 1971—1973 წწ. ჩატარებული გათხრების შედეგები. გვ. 176—187.

22 კ. კალანდაძე. ლუმურიშის ნეოლითურ ნამოსახლარზე 1970 წელს ჩატარებულ სამუშაოთა შედეგები. გვ. 125—139.

ანატეხებით და სხვადასხვა სახის ნუკლეუსებით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სამკელი დანების დიდი სერიები.

იარაღებიდან წამყვანი ადგილი საფხეკებს უჭირავს, რომლებიც დამზადებულია ვიწრო ლამელების ბოლოზე, მომრგვალო ანატეხეებსა ან განიერ ლამელისებურ ანატეხეებზე. იარაღების მომრგვალო სამუშაო პირი დამრეცი, თანმიმდევრული ან ნაწილობრივი რეტუშითაა გამოყვანილი.

რაოდენობის მიხედვით შემდეგ ადგილზეა საჭრისები. მათი უმრავლესობა ლამელებზეა დამზადებული, შედარებით ნაკლებია ლამელისებურ ანატეხეებზე ნაკეთები ცალები. სამუშაო პირის მიხედვით მათში გამოიყოფა მარტივი და თავრეტუშიანი საჭრისების ჯგუფები.

კომპლექსის დანარჩენი იარაღები წარმოდგენილია საფხეკებით, გომეტრიული ფორმის მიკროლითებით, დანებით, სახვრეტებით, რეტუშორებით, დაკბილული და კომბინირებული იარაღებით, ანატეხეებით, ასტამებით, შალაშინებით, „ხოწებით“, შუბისპირებით და ისრისპირებით. რიყის ქვის იარაღები უმეტესად წარმოდგენილია ხეხვის ტექნიკით დამზადებული ნაკეთობებით. მათგან აღსანიშნავია ცულები, სატეხ-სათლელები, სახეხ-სასრესები, საბეგველები თავბოლო-წამახვილებული წერაქვისებური და თოხისებური იარაღი, შურღულის ქვები, სალესები. შედარებით იშვიათია გაპრიალებული ცალები, დადასტურებულია ქვის ამოღარვისა და გახვრეტის ცდის ორიოდ შემთხვევა²³.

გარდამავალი საფეხურის ნიშნები შედარებით სუსტადაა გამოხატული გალი 1-ის ნამოსახლარზე. ეს შესაძლებელია ნაწილობრივ იმიტაც იყოს გამოწვეული, რომ კოლექციის საკმაოდ დიდი ნაწილი სადღესოდ ჯერჯერობით შეუსწავლელია. ჩვენი მსჯელობა ემყარება 1977 წ. მოპოვებულ, შედარებით მცირერიცხოვანი კოლექციის მონაცემებს²⁴. ამიტომ დღესდღეობით გალი 1-ის კომპლექსების ერთობლივ შესწავლამდე შესაძლებელია მხოლოდ წინასწარული მოსაზრებების გამოთქმა (ტაბ. IX).

გალი I-ის ნეოლითური ნამოსახლარი მდებარეობს ქ. გალის ჩრდილოეთით 8 კმ მანძილზე ს. პირველ გალში, მშრალი ხევის — ქუბურწყარის მარცხენა ნაპირის ტერასაზე, ზღვის დონიდან 12 მ სი-

²³ იქვე.

²⁴ Н. З. Бердзенишвили, К. С. Каландадзе, Г. Хубутия. Неолитическое поселение в Гальском районе. — ПАИ в 1977 году. Тбилиси, 1980, с. 20—22.

მალღებე. კულტურული ფენები ნამოსახლარზე მთლიანად დარღვეული აღმოჩნდა.

გალი I ნამოსახლარის კაყის ინდუსტრიის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია განვითარებული ლამელური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები, რომლებიც წარმოდგენილია ძირითადად ორფერდამუშავებული ტრაპეციებით, თუმცა ერთეულების სახით უკვე ჩნდება სეგმენტებიც. ნუკლეუსების წამყვანი ფორმაა კონუსური. მკაფიო სერიას ქმნიან თავრეტუშირებული ლამელები. საჭრისები დაზუღებულია ვიწრო და მოკლე ლამელების გვერდებზე. საფხეკები წარმოდგენილია ანატეკებზე დამზადებული მომრგვალო ან სწორპირიანი ცალებით. მომრგვალო, მიკროლითური საფხეკები უკვე აღარ არის ამ ნამოსახლარის იარაღებში წამყვანი. რიყის ქვის გახეხილი იარაღები შემდეგი სახეებითაა წარმოდგენილი: ცულები, ხელსაფქვავები, სახეხ-სასრესები, საბეგველები, იარაღების სახეა საპრიალებლები; ნაპოვნია ორმხრივამოღარული სახრელის ტიპის ნივთი, მაკროლითური ტექნიკით ათლილი წერაქვისნაირი იარაღი და შურდულის ქვები.

გვიანნეოლითისათვის დამახასიათებელი ზურგათლილი მალალი ტრაპეციები და სწორკუთხედები²⁵, აგრეთვე კერამიკა ლუმურიშსა და გალი I-ს არ ახასიათებს.

აღნიშნული ნამოსახლარების მასალა აშკარად გვიჩვენებს გარდამავალ ნიშნებს (იარაღთა დამუშავების ტექნიკასა და ფორმებში) ადრენეოლითიდან გვიანნეოლითზე.

დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის მეორე საფეხურის ძეგლებს შორის თვითმყოფადობითა და თავისებურებით გამოირჩევა ოდიშის ნეოლითური კულტურის ძეგლები.

კავკასიის პირველი ნეოლითური ძეგლი მიკვლეული იყო ს. ოდიშში (ზუგდიდის რ-ნი), მდ. ჭუმას მარჯვენა ნაპირის ზეგანზე, ზღვის დონიდან 273 მ სიმაღლეზე. მისმა აღმოჩენამ საბოლოოდ დაადასტურა ამ რეგიონში ნეოლითური კულტურის არსებობა. კავკასიის ძეგლთა შორის ჭერჭერობით იგი ყველაზე მკაფიო და მრავალმხრივი კომპლექსია. ამავე პერიოდის ნამოსახლარები გათხრილი და შესწავლილი იყო მახარაძის რ-ნის სოფ. ანასეულში, ბორცვ „მიწის ციხეზე“ (ანასეული II), და გურიანთის თემის სოფ. ციხისფერდში, მდ. სკურდუმის მარჯვენა ნაპირზე. ყველაზე პატარა კოლექცია მოპოვებული იყო ს. მამათში (ლანჩხუთის რ-ნი), მდ. სუფსას მარჯვენა ნაპირზე. განსხვავებული ტოპოგრაფიული მდებარეობა აქვს გუდაუთში, ზღვისპირა ტერასაზე (დელე კისტრიკის შესართავთან შავ ზღვაში) აღმოჩენილ კისტრიკის ნამოსახლარს. ზღვასთან სიახლოვე

25 ლ. ნ ბ ი რ ი ძ ე. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი. თბ., 1912, გვ. 13.

აკავშირებს აგრეთვე ბათუმის მახლობლად, მდ. ქოროხის მარჯვენა ნაპირის ტერასაზე აღმოჩენილ მახვილაურის ნამოსახლარს.

აღნიშნულ ნეოლითურ ნამოსახლარებზე კულტურული ფენები დარღვეულია. უძრავი ნეოლითური ფენის მქონე პირველი ძეგლი აღმოჩენილი იყო ადღერის მახლობლად, მდინარე ფსოუს მარჯვენა ნაპირზე ს. ქვედა შილოკაში. ნაწილობრივ უძრავი კულტურული ფენა მიკვლეული იყო გალის რ-ნის ს. ჩხორთოლში. ზემოჩამოთვლილი გვიანნეოლითური ძეგლების საფუძველზეა შესწავლილი ოდიშის ნეოლითური კულტურა, მათი შედარება წინა საფეხურის ძეგლებთან გვიჩვენებს, რომ იგი უნდა აღმოცენებულიყო ანასეული I-სა (ადრენეოლითი) და ლუმურიშის (შუანეოლითი) ტიპის ნამოსახლართა კულტურის საფუძველზე.

დასავლეთ ამიერკავკასიის გვიანნეოლითურ ნამოსახლარებზე გათხრებისა და ზედაპირული მასალების შეგროვების გზით მოპოვებული იყო მრავალრიცხოვანი კოლექციები.

კავკასიის ნეოლითურ ძეგლებს შორის ჩხორთოლის კოლექცია ყველაზე დიდია (22024 ერთ.). რაოდენობის მიხედვით შემდეგ ადგილზეა კისტრიკის კომპლექსი. მარტო ა. ლუკინის კოლექცია 13500 ერთეულს შეადგენდა. მასში გაუთვალისწინებელია უკანასკნელი წლების განათხარი მასალა; ანასეული II—12 310 ერთ.; ოდიში — 5050 ერთ.; მახვილაური — 2000 ერთ.; გურიანთა — 1488 ერთ.; მამათი — 230 ერთეული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს რიცხობრივი მონაცემები სრული არ არის, რადგან არც ერთი ნამოსახლარი ბოლომდე არ არის გათხრილი.

იარაღების დასამზადებელ ნედლეულად ამ ნამოსახლარებზე ძირითადად იყენებდნენ კაჟს და რიყის ქვის სხვადასხვა ქანებს. იშვიათად ობსიდიანს, ბაზალტს და არგილიტს. უკლებლივ ყველა ნამოსახლარის ქვის მასალაში წამყვანი ადგილი წარმოების ნარჩენებს უჭირავს. ისინი წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი, სხვადასხვა სახის ანატეც-ანატეხებით, განსხვავებული ფორმის ნუკლეუსებით (პრიზმისებური, კონუსისებური, ფანქრისებური), მათი ნალევებით, ნატეხებით და იარაღთა ნამზადებით. კაჟის მასალის დიდ ნაწილს შეადგენს ფორმით, ზომით და დამუშავებით ერთმანეთისაგან განსხვავებული ლამელების მრავალრიცხოვანი სერიები, რომელთა შორის ყველაზე მკაფიოდ გამოიყოფა თავრეტუმიან ლამელათა ჯგუფი.

აღნიშნული ძეგლების მრავალმხრივი შესწავლის შედეგად დადგენილია, რომ დასავლეთ ამიერკავკასიის შავიზღვისპირეთში გავრცელებული იყო ერთგვაროვანი ნეოლითური კულტურა²⁶. დასავლეთ

საქართველოს ნეოლითური ძეგლების (ადრე- და გვიანნეოლითი) შედარებით-ტიპოლოგიური შესწავლისა და გამორიცხვის მეთოდის მოშველიებით გამოიყო გვიანნეოლითის დამახასიათებელი ნიშნები²⁷.

კაჟისა და ობსიდიანის ინდუსტრიების განხილვისას ყურადღებას იქცევს გეომეტრიული მიკროლითების მრავალფეროვნება. მათ ახასიათებს ორ- და სამფერდამუშავებული ტრაპეციები, რკალათლილი და რკალდაბლაგვეული სეგმენტები, „მცოცავი“ წნევეთი რეტუსით-ზურგათლილი მაღალი ტრაპეციები და ზურგათლილი მაღალი სწორკუთხედები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მათგან უკანასკნელები საკუთრივ გვიანნეოლითური ფორმებია. აღსანიშნავია, რომ კისტრიკისა და შილოვკის მიკროლითების უმრავლესობა ორმხრივდამუშავებულია. მკაფიო, მანამდე უჩვეულო სერიებს ქმნიან სახვრეტ-ბურღები, ზურგისანი დანები და დაკბილული იარაღები. წინა ეპოქებთან შედარებით უფრო დიდი და დახვეწილი ჯგუფებითაა წარმოდგენილი თავრეტუსიანი დანა-საფხეკები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს საფხეკების დამუშავებასა და ფორმებში მომხდარი ცვლილებები. წინა საფეხურთან შედარებით, გვიანნეოლითური საფხეკები ხასიათდება შედარებით უხეში დამუშავებით (მსხვილფაცეტიანი რეტუსი), დაუხვეწავი ფორმებითა და ნაშადის ხარისხის გაუარესებით. მრავალრიცხოვანი სერიებითაა წარმოდგენილი საჭრისები. ისრისპირები თითო-ოროლაა ნაპოვნი ნამოსახლარებზე. გვხვდება ლამელაზე დამზადებული სამკუთხა მოყვანილობის ყუნწიანი და ანატკეცზე ნაკეთები ორმხრივდამუშავებული ფრაამოღარული ცალები.

გვიანნეოლითური ძეგლები ხასიათდება რიყის ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღების სიჭარბითა და ფორმების მრავალფეროვნებით. აღნიშნულ იარაღებზე (ცულები, სატეხ-სათლელები, ჩაქუჩები) გვერდითი წახნაგები და წიბოები ერთ-ერთ მთავარ დამახასიათებელ ნიშნად იქცა. ამავე რიგის ნიშნებს მიეკუთვნება წერაქვისებური და წვერწამახვილებული მაკროლითები, სახნისისებური იარაღი, გვერდ-წახნაგიანი ცულები და სატეხ-სათლელები, ხელსაფქვავეები, სახეხები, ქვიჩები, საბეგველები, გრდემლები, საპრიალებლები, შურდულის ქვეები და სხვა. საყურადღებოა, რომ ასეთ დიდ კოლექციებში იარაღის გახვრეტის მხოლოდ ორიოდ შემთხვევაა. ამასთანავე, გახვრეტილი იარაღების ფორმა უცხოა კომპლექსისათვის.

ქვის, დამუშავების ტექნიკის სიახლეთა რიგს ეკუთვნის „მოკოდვის“ ტექნიკა. ფართოდ იყენებდნენ იარაღების გაპრიალებისა და გაპრიალება-„მოკოდვის“ კომბინირებულ ტექნიკას.

ეპოქალურ ნიშნებს მიეკუთვნება მეთუნეობის გაჩენა. თიხის ჭურ-

ქელი გვიანეოლითურ ძეგლებზე წარმოდგენილია ხელით ნაძერწი, ქილისებური ფორმის, სწორკედლა, ბრტყელძირა, უყურო, პირგადა-
უშლელი, არათანაბრად გამომწვარი ნაკეთობებით, ზოგ შემთხვევა-
ში სუსტი გაპრიალების კვალით, ზოგჯერ ტალღოვანი, უფრო ხშირად
კი სწორი ან სხვადასხვაგვარი ჭდეებიანი და ღრმულებიანი ბაკოთი.
ჭურჭლები შემკული იყო „წიწვისებურ-თავთავისებური“ ორნამენ-
ტით. იშვიათად გვხვდება კოპისებური მინაძერწები, თიხაში ურევია
კირი, კვარცი და ქარსი.

გვიანეოლითური ეპოქალური ნიშნების განხილვისას მკაფიოდ გა-
მოირჩევა ტრადიციული და ინოვაციური ელემენტები. უკანასკნელებს
მიეკუთვნება: კერამიკა. სახნისისებური იარაღი, მაკროლითები, ზურგ-
ათლილი მაღალი ტრაპეციები და მაღალი ზურგათლილი სწორკუთხე-
დები, „მოკოდვის“ ტექნიკა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამახასიათებელი ნიშნები ძეგლებ-
ში სხვადასხვა თანაფარდობით გვხვდება, იმის მიხედვით, თუ ძეგლს
რა ადგილი უჭირავს ეპოქის ქრონოლოგიურ ჩარჩოში.

დასავლეთ საქართველოს გვიანეოლითურ ერთიან კულტურაში
ცალკეულ ძეგლებს ან ძეგლების ჯგუფს ზოგად, საერთო ნიშნებთან
ერთად ჰქონდა თავისი სპეციფიკური თავისებურებები, რომელთა სა-
ფუძველზეც შესაძლებელი გახდა ამ კულტურაში ძეგლების ორი
ლოკალური ჯგუფის გამოყოფა²⁸: პირველ მათგანში შედიოდა ოდიში,
ურთა, ანასეული II, გურიანთა და მამათი, მეორეში კი — კისტრი-
კი, ჩხორთოლი და ქვედა შილოვკა.

ძეგლების პირველი ჯგუფისათვის დამახასიათებელია ორნამენ-
ტირებული კერამიკა — „წიწვისებურ-თავთავისებური“, უფრო იშვია-
თად ტალღისებური და ტეხილხაზიანი ორნამენტი. ჭურჭლებს ხში-
რად ჭდეებიანი, ღრმულებიანი ან ტალღისებური ბაკო ჰქონდათ.
მეორე ლოკალური ჯგუფის კერამიკას ორნამენტი არ ახასიათებს.
ჭურჭლებს კი გლუვი პირი აქვთ, შეიმჩნევა განსხვავება ზურგათლილ
გეომეტრიულ ფორმებში. პირველ ჯგუფში ისინი წარმოდგენილია
მაღალი, ზურგათლილი სწორკუთხედებით, მეორეში კი — მაღალი,
ზურგათლილი ტრაპეციებით. პირველისაგან განსხვავებით, მეორე
ჯგუფი ხასიათდება რეტუშით თავგამოყვანილი ლამელებით. მართა-
ლია, ეს ნიშნები ჯერ კიდევ მთლიანად საკმარისი არ არის, მაგრამ
დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური ძეგლების შემდგომი გამო-
კვლევები უფრო მკაფიოდ გამოავლენს ამ თავისებურებებს და და-
ახუსტებს როგორც მთელი კულტურის, ისე მისი ლოკალური ვარიან-
ტების საზღვრებს.

28 ლ. ნ ბ ი ე რ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი. გვ. 90.

ღვახანსიათეთ რა ზოგადად დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმომქმედო კულტურის ნამოსახლარებზე მოპოვებული ნივთიერი მასალა, გვინდა შევეხოთ მათ მცხოვრებთა მეურნეობის ხასიათს. აღნიშნული საკითხის გარშემო არქეოლოგიურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა.

ყველაზე ადრე ამ საკითხს ა. ფორმოზოვი შეეხო. იგი თვლიდა, რომ წინააზიურ კულტურებთან ურთიერთობის შედეგად შავიზღვისპირეთში ჩაისახა მწარმოებლური მეურნეობა²⁹. მოგვიანებით კი მან ეპკის ქვეშ დააყენა დასავლეთ კავკასიის ნეოლითური ძეგლების სამიწათმომქმედო ხასიათი³⁰. მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ კავკასიის მწარმოებლური მეურნეობა ყალიბდებოდა და დგამდა პირველ ნაბიჯებს მიწის დამუშავებისა და ცხოველთა მოშინაურებისაკენ, მაინც კარდინალური ცვლილებები მეურნეობაში ჯერჯერობით არ იყო მომხდარი³¹.

ალ. ჯავახიშვილი არ უარყოფს მიწათმომქმედების არსებობას დასავლეთ ამიერკავკასიაში, მაგრამ თვლის, რომ აქ იყო ურწყავი მიწათმომქმედება, რომელიც განაპირობებდა მეურნეობის ექსტენსიურობას, კულტურის ჩამორჩენილობასა და „კონსერვატიზმს“, და რომ აქ ადგილი არ უნდა ჰქონოდა „ნეოლითურ რევოლუციას“ და სხვ. ...მისი აზრით, ის რევიონი, სადაც თავმოყრილია ნეოლითური ნამოსახლარები. უნდა გამოირიცხოს მიწათმომქმედების წარმოქმნის პირველადი ოლქებიდან³².

სრულიად განსხვავებული მოსაზრება აქვს გამოთქმული რ. მუნჩაევს. იგი თვლის, რომ კავკასია წარმოადგენდა მწარმოებლური მეურნეობის ერთ-ერთ უძველეს კერას, დაფუძნებულს მიწათმომქმედებასა და მესაქონლეობაზე³³.

ყველაზე ვრცლად დასავლეთ ამიერკავკასიაში მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვის საკითხს ი. კიკვიძე შეეხო³⁴. მას, მართალია, ეს პროცესი ცალმხრივად ჰქონდა წარმოდგენილი, იმის გამო, რომ ნეოლით-ენეოლითის ხანაში მთლიანად გამოირიცხა მწარმოებლური

²⁹ А. А. Ф о р м о з о в. Неолит Крыма... с. 136—137; მისივე. Неолит и энеолит Северо-западного Кавказа в свете последних исследований.—В кн.: СА, 3. 1964, с. 9—10.

³⁰ А. А. Ф о р м о з о в. О соотношении неолитических и энеолитических культур Кавказа.—с. 37—38.

³¹ იქვე.

³² А. И. Джавახишвили. დასახ. ნაშრომი, გვ. XIV—XV.

³³ Р. М. Мунчаев. Кавказ на заре бронзового века, с. 75.

³⁴ ი. კიკვიძე. მიწათმომქმედება და სამიწათმომქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბ., 1976, გვ. 16—25.

მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი დარგი — მესაქონლეობა, მაგრამ ექვი არ ეპარებოდა, რომ წარმოებითი მეურნეობა აქ ძირითადად ემყარებოდა მიწათმოქმედებას³⁵. ზემოხსენებულ მკვლევართაგან განსხვავებით, იგი არ უარყოფდა „ნეოლითური რევოლუციის“ ფაქტს დასავლეთ ამიერკავკასიაში და თვლიდა, რომ მესაქონლეობის არარსებობა არ იძლევა მისი უარყოფის საბაბს, რომ წარმოებით მეურნეობაზე გადასვლას აქაც ისეთივე შედეგი უნდა ჰქონოდა, როგორც წინა აზიაში³⁶ და სხვ.

ჩვენ წინა თავში ვნახეთ, რომ მესაქონლეობა დასავლეთ ამიერკავკასიაში ჩაისახა საკმაოდ ადრე — ადრენეოლითში. აღნიშნულ აგრეთვე მიზეზები ოდიშის კულტურის ღია ნამოსახლარებზე ძვლევანი ნაშთების გაქრობისა. დასავლეთ კავკასიის ჭერჭერობით ერთადერთ მღვიმურ გვიანნეოლითურ ნამოსახლარზე — კამენომოსტსკაიაში — მესაქონლეობა სახეზეა³⁷, ხოლო დასავლეთ საქართველოს მღვიმეების ნეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზე იგი უკვე საკმაოდ განვითარებული ჩანს³⁸. ამიტომ თავისთავად გამოდის დასკვნა, რომ ადრენეოლითში ცხოველთა მოშინაურებისაკენ გადადგმულ ნაბიჯებს გვიანნეოლითში უკვე გარკვეული გზა ჰქონდა გავლილი.

ამასთან დაკავშირებით გასაგები ხდება ადრენეოლითში საფხეკების განსაკუთრებული მნიშვნელობის მიზეზი. როგორც ცნობილია, მათი ფუნქცია ტრადიციულად (პალეოლითი, მეზოლითი) უკავშირდებოდა წანადირევის ტყავების დამუშავებას. მაგრამ ადრენეოლითში ტყავი უკვე მიიღებოდა, როგორც ნადირობის, ისე მესაქონლეობის პროდუქტი, ხოლო რთვა-ქსოვა ან ჩანასახში იყო, ან ჭერ სულ არ არსებობდა³⁹. ასეთ პირობებში გასაგები ხდება საფხეკების სიმრავლისა და მაღალი ხარისხის მიზეზი.

მეურნეობაში მომხდარ ცვლილებებზე უნდა მიუთითებდეს გვიანნეოლითური საფხეკების რაოდენობის შემცირება და ხარისხის გაუარესება. აღნიშნული ცვლილებები განპირობებული უნდა ყოფილიყო მეურნეობაში მომხდარი ძვრებით — დამჯდარ ცხოვრებაზე გადასვლით, მიწათმოქმედების განვითარებით, ნადირობის შემცირებით და მესაქონლეობის მნიშვნელობის ზრდით, ხოლო მასთან დაკავშირებით კი რთვა-ქსოვის ჩასახვით. დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ ძეგლებზე ჭერჭერობით არც ერთი კვირისტავი არ არის დადასტურებული

35 იქვე. გვ. 18.

36 იქვე. გვ. 16.

37 А. А. Ф о р м о з о в. Каменный век и энеолит Прикубанья.

38 ლ. ნ ბ ი ე რ ი ძ ე. დარკვეთის მრავალფენიანი ეხი. გვ. 85—88.

39 ლ. ნ ბ ი ე რ ი ძ ე. დასახელებული ნაშრომი. გვ. 71.

ლი. რთვა საწყის ეტაპზე, შესაძლოა, ხდებოდა უკვირისტავო თითის-ტრებით, როგორც დღევანდლამდე დასტურდებოდა ზოგიერთი რაიონის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, კერძოდ, შატილში. კვირისტავები მოგვიანებით — ენეოლითის ხანაში — ჩნდება.

დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის II საფეხურის ნამოსახლართა მასალები მკაფიოდ გვიჩვენებენ მეურნეობის შერეულ ფორმას, რომელშიც შერწყმულია არქაული და პროგრესული ელემენტები, რაც განპირობებული უნდა ყოფილიყო მითვისებითი და მწარმოებლური მეურნეობის დარგების შერწყმით. არქაული ელემენტები ასახავენ მითვისებითი მეურნეობის დარგების წილს მეურნეობაში, ხოლო პროგრესული — ასაბუთებენ ამ ნამოსახლარებზე მიწათმოქმედების გარკვეულ მნიშვნელობას. მთავარი და წამყვანი ამ მეურნეობაში იყო ახალი, განვითარებადი ელემენტები, რომლებიც სხვადასხვა კომპლექსში განსხვავებული რაოდენობითაა წარმოდგენილი. როგორც ჩანს, მწარმოებლური მეურნეობის ელემენტების ჩასახვის პროცესი ერთი ეპოქისა და რეგიონის ფარგლებშიც ერთდროული არ იყო. ზოგან მითვისებითი მეურნეობა უფრო დიდხანს ინარჩუნებდა თავს.

ყველაზე მკაფიოდ ახალი ეკონომიკის ნიშნები თავს იჩენს ოდიშის, კისტრიკისა და ჩხოროთლის ნამოსახლარებზე. დანარჩენებზე მათი რაოდენობა შედარებით მცირეა. აღნიშნულ ნამოსახლარებზე კარგადაა წარმოდგენილი მაკროლითური ტექნიკის საშუალებით დამზადებული სამიწათმოქმედო დანიშნულების იარაღები — წერაქვისნაირი, თოხისნაირი და წვერწამახული მაკროლითები (ტაბ. XI); ხეხვის, გაპრიალებისა და მოკოდვის კომბინირებული ტექნიკით დამზადებული სახნისისებური იარაღები (ტაბ. XII), სხვადასხვა ტიპის ცულები (ტაბ. XII, 1—2; ტაბ. XIV, 1—6), რომელთა დიდი ნაწილი ახოს ასაღებად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. არ არის გამორიცხული, მათი ერთი ნაწილის მიწის დასამუშავებლად გამოყენებაც⁴⁰. მრავლადაა სამიწათმოქმედო პროდუქტების დასამუშავებელი იარაღები — ხელსაფქვავეები, ქვიჩები, საბეგველები, საცეხველები, სახეხ-სასარესები, სანაყები და სხვ. მკაფიო სერიითაა წარმოდგენილი სამკელი დანის ჩასართები. მეურნეობაში მომხდარ ცვლილებებზე უნდა მიუთითებდეს საფხეკების რაოდენობის შემცირება, მათი დამუშავების ხარისხის გაუარესება, მიკროლითური ტექნიკისა და გეომეტრიული მიკროლითების რაოდენობის შეზღუდვა (ოდიში) და, რაც ყველაზე

⁴⁰ გ. გ რ ი გ ო ლ ი ა. დასახ. ნაშრომი. გვ. 8.

არსებითია, კისტრიკის ნამოსახლარის სამეურნეო ორმოში დანახშირებული მარცვლეულის პონა⁴¹.

მიწათმოქმედების ხასიათის შესახებ მასალა მეტად მცირეა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ დასავლეთ ამიერკავკასიის ნოტიო, სუბტროპიკულ ჰავას, რომელიც ხელს უწყობდა ხშირი ტყის და აქტიური მცენარეული საფარის განვითარებას, უნდა ვიფიქროთ, რომ აქ შესაძლებელი იყო მხოლოდ საახოვე, თოხური, ურწყავი მიწათმოქმედების ჩასახვა-განვითარება. ურწყავი იყო იგი ისტორიულად და ასეთად რჩება იგი დღემდე. ახოს აღებასთან ერთად ტყის მოწვის სისტემაც უნდა ყოფილიყო გამოყენებული. პირველადი მიწათმოქმედება საფუძველში ყველგან ურწყავი იყო⁴². ურწყავი, მაგრამ ინტენსიური იყო იგი ხმელთაშუა ზღვისა და აგრეთვე მთელ რიგ უძველეს აღრესამიწათმოქმედო ქვეყნებში. მიწათმოქმედების ყველაზე პრიმიტიული და გავრცელებული ფორმა იყო საახოვე მიწათმოქმედება⁴³. ს. სემიენოვმა ექსპერიმენტულად დაამტკიცა, რომ საახოვე მიწათმოქმედება ნეოლითში სრულიად შესაძლებელი იყო. დაახლოებით 18—20 სმ დიამეტრის მქონე ხის მოჭრა ერთი ჭეის ცულით 15—18 წუთის განმავლობაში შეიძლებოდა, რის შედეგადაც ცულს სამუშაო პირი მხოლოდ ოდნავ უჩლუნგდებოდა⁴⁴. ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ მითვისებითი მეურნეობის ბაზაზე მხოლოდ საახოვე მიწათმოქმედების წარმოება იყო შესაძლებელი⁴⁵.

დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ კუთხეში და კერძოდ, რაჭა-ლეჩხუმში ახოს სისტემის ფართოდ გავრცელებაზე მეტყველებს დამოწმებული მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა და ტოპონიმია⁴⁶. დასავლეთ საქართველოს სინამდვილეში დადასტურებული საახოვე სისტემა თავისი ფესვებით ნეოლითის ეპოქის პირველყოფილ მიწათმოქმედებას უნდა უკავშირდებოდეს.

უნდა ვიფიქროთ, რომ საახოვე მიწათმოქმედება უფრო მოხერხებული და ხელსაყრელი იყო ნეოლითელი ტომების გავრცელების მიკრორაიონებში — მთისწინა ზოლის ზეგან-ბორცვებზე ან ამავე

⁴¹ Л. Н. Соловьев. Новый памятник культурных связей кавказского Причерноморья в эпоху неолита и Бронзы—стоянки Воронцовской пещеры.— Труды Абх. ин-та литературы и истории. Сухуми, 1956, с. 27.

⁴² Н. Н. Вавилов. Проблемы происхождения мирового земледелия в свете современных исследований. М.—Л., 1932, с. 13.

⁴³ С. А. Семенов. Происхождение земледелия, Л., 1974, с. 122.

⁴⁴ იქვე, გვ. 121.

⁴⁵ იქვე, გვ. 122.

⁴⁶ ნ. ბ რ ე ვ ა ძ ე. მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში. თბ., 1969, გვ. 100—104.

ზოლში მდინარისპირა ტერასულ შემალლებებზე, ვიდრე მთის კალთებსა და ფერდობებზე, სადაც ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მოწმდება საახოვე ნაკვეთების (მაღალახო, ზიახო და სხვ.)⁴⁷ არსებობა.

ამგვარად, დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების II საფეხურის ძეგლების დიდ ნაწილზე მიწათმოქმედება დასტურდება საკმაოდ მკაფიოდ! თუ მანამდე საექვო იყო ოდიშის კულტურის ძეგლების სამიწათმოქმედო იარაღების (ხელსაფეკავების) ნეოლითური ფენებისადმი კუთვნილება⁴⁸, დღეისათვის, უკანასკნელი კვლევა-ძიების შედეგად, უკვე გვაქვს უძრავი კულტურული ფენების მქონე ძეგლები (ხორში, მელოური, დარკვეთი, ჩხორთოლი), სადაც ტიპურ ნეოლითურ კომპლექსთან ერთად დადასტურდა სამიწათმოქმედო იარაღებიც (ხელსაფეკავები, სახნისისებური, თოხისნაირი, წერაქვისნაირი იარაღები).

დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის II საფეხურის ნამოსახლარებზე მიწათმოქმედების უტყუარი ფაქტის დადასტურების შემდეგ, ბუნებრივია, დგება საკითხი, თუ როგორი კულტურების მოყვანას მისდევდნენ ნეოლითელი ტომები. †

პალეობოტანიკური მასალა, რომელიც პირდაპირ პასუხს გაცემდა აღნიშნულ კითხვას ამ ნამოსახლარებიდან არ მოგვეპოვება. წინა თავში აღნიშნული იყო, რომ ადრენეოლითში უკვე დაწყებულია გარეული ფეტვის კულტივირება, რისი მაუწყებელიცაა მდ. კოდორისა და მდ. ამტყელის შესართავის მახლობლად მდებარე ცივ მღვიმეში გარეული ფეტვის აღმოჩენა. აღნიშნული ფაქტი იმის უდავო მოწმობა უნდა იყოს, რომ ამ რაიონის მთისწინა ზოლში გავრცელებული იყო მარცვლეულის ეს სახეობა; რომელსაც საკვებად იყენებდნენ ცივი მღვიმის ბინადარნი.

† ანაკლიის დიხა-გუძუბას ქვედა ფენაში, არახლო I, II, იმირის გორის ნამოსახლარების ძვ. წ. VI—IV ათასწლეულების ფენებში ნაპოვნი კულტივირებული ფეტვი უნდა მიუთითებდეს მისი მოშინაურების დაწყებას ბევრად ადრეულ ხანაში. †

ი. კიკვიძის მიერ გამოთქმული ვარაუდი, რომ დასავლეთ ამიერკავკასიაში მიწათმოქმედებას სათავეს უდებენ ფეტვისნაირები, უნდა საბუთდებოდეს ცივი მღვიმის მასალით. † დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ ნამოსახლარებზე აღმოჩენილი სამიწათმოქმედო დანიშნულების იარაღების შესწავლის საფუძველზე მივიღივართ დასკვნამდე, რომ ნეოლითელი ტომები უკვე გადასულნი იყვნენ მწარმოებლურ

47 ნ. ბ რ ე გ ა ძ ე. დასახ. ნაშრომი. გვ. 102.

48 А. А. Ф о р м о з о в. დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

მეურნეობაზე და განვითარების გარკვეული გზა ჰქონდათ გავლილი. მიწათმოქმედება, + მართალია, პრიმიტიული, მაგრამ პროგრესული იყო⁴⁹. ამის მოწმობაა გვიანნეოლითში მწარმოებლური მეურნეობის ხვედრითი წონის მნიშვნელოვანი ზრდა. მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის გაჩენით საფუძველი ჩაეყარა თვისებრივად ახალ ეტაპს მეურნეობის განვითარებაში. ეს იყო ყველაზე არსებითი გარდატეხა კავკასიის პირველყოფილი საზოგადოების განვითარებაში. მიწათმოქმედების განვითარებას თან ახლდა გადასვლა დამჭლარ ცხოვერებაზე. შეიქმნა ხელსაყრელი პირობები წარმოების სხვა დარგების განვითარებისათვის (მეთუნეობა, ხის დამუშავება და სხვ.).

ი. კიკვიძე თვლიდა, რომ მიწათმოქმედების საწყის ეტაპზე ურწყავი მიწათმოქმედება, განსაკუთრებით ნოტიო კლიმატის პირობებში, არ იყოს სარწყავზე ნაკლებპროდუქტიული. და პირუკუ, შრომის-ნაყოფიერება ურწყავი მეურნეობის პირობებში უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო... მიწათმოქმედება კოლხეთში ყოველთვის ინტენსიური იყო, მორწყვა კი ფაქტორი არასოდეს ყოფილა⁵⁰.

არქეოლოგიურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, თითქოს ჩვენ მწარმოებლური მეურნეობის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ როლს ვანიჭებდეთ სამხრეთის გავლენებს⁵¹, არ არის სწორი. პირიქით, არაერთხელ გვქონდა ხაზი გასმული, რომ დასავლეთ ამიერკავკასიის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები ხელს უწყობდა მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვას⁵² და რომ მწარმოებლური მეურნეობა ჩაისახა ადგილობრივი მითვისებითი მეურნეობის წიაღში⁵³. რაც შეეხება სამხრეთის ქვეყნებს, აღნიშნული იყო მხოლოდ მათთან ურთიერთობა და კონტაქტები⁵⁴. ის ვარაუდი კი, რომ სამხრეთიდან, კერძოდ, ნატუფის კულტურიდან შესაძლებელი იყო გეომეტრიული მიკროლითების ორმხრივდამუშავების ტექნიკის შემოსვლა სულაც არ იძლევა იმის დაშვების შესაძლებლობას, რომ მწარმოებლური მეურნეობა დასავლეთ ამიერკავკასიაში მასთან ერთად უნდა გავრცელებულიყო. მითუმეტეს შეუძლებელია ამგვარი ვარაუდი, რადგან თვით ნატუფის კულტურა მითვისებითი მეურნეობის საფეხურზე იდგა. ასევე ჩვენ ერთ-ერთ ნაშრომში ხაზგასმული გვქონდა, რომ აღ-

49 ი. კიკვიძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 19.

50 იქვე.

51 იქვე. გვ. 13.

52 ლ. ნე ბ ი ე რ ი ძ ე. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი. გვ. 12.

53 იქვე. გვ. 108; მისივე. დარკვეთის მრავალფენიანი ეხი. გვ. 72, 89.

54 ლ. ნე ბ ი ე რ ი ძ ე. დასავლეთ ამიერკავკასიის... გვ. 109.

ნიშნული ტექნიკა საქართველოში დადასტურდა საკმაოდ ადრე (თარო-კლდე, ეძანი), ისეთ ძეგლებში, რომლებშიც მწარმოებლური მეურნეობა არ ივარაუდება⁵⁵. აღნიშნული საკითხების შესახებ საუბარი გვქონდა I თავში, ამიტომ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ დასავლეთ ამიერკავკასიის ძეგლების საფუძველზე უკვე ფიქსირდება ადგილობრივ ნიადაგზე წარმოქმნილი განვითარებული მწარმოებლური მეურნეობა, რომელიც ჩაისახა შავიზღვისპირეთის მთისწინა ზეგან-ბორცვოვან ზოლში, სადაც ყველაზე საუკეთესო პირობები იყო პრიმიტიული მიწათმოქმედებისათვის.

აქვე გვინდა შევეხოთ საკითხს დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურის „ჩამორჩენილობისა და კონსერვატიულობის“ შესახებ⁵⁶. †

დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური ნამოსახლარების შედარებით თხელი ფენებიდან მომდინარე მრავალათასიანი ქვის ინდუსტრიები, შრომის იარაღების მრავალფეროვნებითა და ქვის დამუშავების დახვეწილი ტექნიკით, სულაც არ გამოიყურება ჩამორჩენილად არც ზოგადად ნეოლითური კულტურებისა და არც კერძოდ, სამხრეთის კულტურების ეპოქალური ნიშნების ფონზე. ხოლო რაც შეეხება აღმოსავლეთ ამიერკავკასიის შულავერ-შომუთეფეს ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარების სქელი ფენებიდან მომდინარე შედარებით მცირერიცხოვან და ერთფეროვან კომპლექსებს, ისინი ასევე კარგად ასახავენ ქვის ინდუსტრიის განვითარების უკანასკნელ ეტაპს, კერძოდ, ენეოლითის ხანისათვის დამახასიათებელ განვითარების ზოგად კანონზომიერებებს, ენეოლითის ეპოქალურ ნიშნებს. ამიტომ, ჩვენი აზრით, აღნიშნული კულტურების შედარებისას მკაფიოდ ჩანს მათი სტადიალური განსხვავება და არა დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურის კონსერვატიულობა და ჩამორჩენილობა. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის რეგიონში ნეოლითის სუსტი შესწავლა იმედს იძლევა, რომ მომავალში აქაც აღმოჩნდება ოდიშის კულტურის სინქრონული ძეგლები, რომლებსაც გაცილებით მეტი ეპოქალური მსგავსება ექნება როგორც საერთოდ ნეოლითურ, ისე, კერძოდ, ოდიშის კულტურასთან.

† დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურის (ოდიშის ტიპის ძეგლები) განვითარების დონესა და სტადიალურ კუთვნილებაზე განსაკუთრებულ წარმოდგენას გვიქმნის ნეოლითის ქვის ინდუსტრიებისა და მათი განვითარების ზოგადი კანონზომიერების შედარება

⁵⁵ ლ. ნეზირიძე. მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები საქართველოს ქვის ხანის ძეგლებში. გვ. 93, 94, 98.

⁵⁶ А. И. Джавахишвили. დასახ. ნაშრომი, გვ. XV.

სამხრეთის ზოგიერთი რეგიონების (შუა აზია, ყირიმი) სინქრონულ ქვის ინდუსტრიებთან და მათი განვითარების ზოგად კანონზომიერებებთან.¹

გვინდა შევჩერდეთ ამ საკითხზე, რადგან მისი კვლევის შედეგების გათვალისწინება საკმაოდ მყარ კრიტერიუმს იძლევა ნეოლით-ენეოლითური კულტურების სტადიალური გამოყოფისა და, აქედან გამომდინარე, ნეოლითური კულტურის დონის შეფასებისთვისაც.

დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური ძეგლების შესწავლისას ფართოდ იყო გამოყენებული შედარებით-ტიპოლოგიური მეთოდი, რომლის საშუალებითაც შედარებულ იქნა როგორც შესასწავლი რეგიონის ძეგლები, ისე მომიჯნავე ტერიტორიების სინქრონული კულტურები⁵⁷.

დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური კომპლექსების შეჯერება ყველაზე უკეთ შესაძლებელი გახდა ყირიმის ძეგლებთან, რადგან 60-იანი წლების დასაწყისისათვის უკვე არსებობდა კარგად შესწავლილი და გამოქვეყნებული მრავალფენიანი, ზოგ შემთხვევაში, ეტალონური ძეგლები (ტაშ-აირ I, ზამილ-ყობა II, შან-ყობა და სხვ.)⁵⁸. შედარებისას განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ეპოქალური ნიშნების დამახასიათებელ და დამათარილებელ იარაღთა ტიპების თანხედრობამ. ამჟამად იყო, რომ აღნიშნული რეგიონების კაყის ინდუსტრიებს განვითარების საერთო ზოგადი კანონზომიერებები გააჩნდა. ცხადი იყო, რომ განვითარების სწორედ ამ ერთიანი საერთო გზის გამო ს. ზამიატნინმა⁵⁹ ამ რეგიონების ზედაპალეოლითური კულტურები, წინააზიურთან ერთად, შეიყვანა ერთ დიდ კულტურულ ოლქში. განვითარების ამ საერთო კანონზომიერებების გამო ყირიმისა და კავკასიის ქვის ხანის მკვლევარები აღნიშნულ კულტურებს ურთიერთკავშირში განიხილავდნენ. წუა აზიისა და წინა აზიის ნეოლით-ენეოლითური კულტურების ურთიერთშედარების საფუძველზე, ვ. მასონმა

⁵⁷ ლ. ნ ბ ბ რ ი ძ ე. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი.

⁵⁸ С. Н. Бибиков. К вопросу о неолите в Крыму. — КСИИМК, IV. 1940, с. 26—31; მისივე. Мезолит и неолит Крыма. — Тезисы диссерт. КСИИМК, вып. XIII, 1946; მისივე. Предварительный отчет о работе Крымской экспедиции 1935 г.—СА, I, 1936; Д. А. Крайнов. Пещерная стоянка Таш-Аир I как основа для периодизации палеолитических культур Крыма. — МИА № 9.1, М., 1960.

⁵⁹ С. Н. Замятин. О возникновении локальных различий в культуре палеолитического периода. — В Сб. Происхождение человека и древнее расселение человечества. Труды Ин-та этнографии АН СССР, т. XVI. М.-Л., 1951, с. 131.

60-იანი წლების შუა ხანებში განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოაჩინა მათი განვითარების ზოგიერთი საერთო, ზოგადი კანონზომიერება. /

სამხრეთ-დასავლეთ აზიის ყველაზე უკეთ შესწავლილი, ჩეიტუნის კულტურის ძეგლების მასალების გამოქვეყნების შემდეგ⁶⁰ საშუალება მოგვეცა მათი დეტალური შედარებისა დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლით-ენეოლითური კულტურის ძეგლებთან, რის შედეგადაც მკაფიოდ გამოჩნდა, რომ ჩეიტუნისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები⁶¹, კერძოდ, ფართოდ განვითარებული ლამელური ტექნიკა, გეომეტრიული ფორმის მიკროლითების მნიშვნელოვანი რაოდენობა, თავირბრეტუშირებული ლამელების ფართო გავრცელება და ზოგიერთ შრომის იარაღთა სერია — სახვრეტ-ბურღები, მიკროსახვრეტები და სხვ. — საერთოა აგრეთვე დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურისთვისაც. დასავლეთ ამიერკავკასიის, ყირიმისა და შუა აზიის კულტურების შედარების საფუძველზე ირკვევა, რომ ამ რეგიონებში, სადაც ადგილობრივი მეზოლითური ტრადიციების ნიადაგზე ჩამოყალიბდა ადრესამიწათმოქმედო კულტურები, შეიმჩნევა განვითარების ზოგიერთი საერთო, ზოგადი კანონზომიერება. კერძოდ, მიკროლითური ინდუსტრიის განვითარება ნეოლითში მიდის აღმავალი ხაზით, ლითონის პირველი იარაღებს გაჩენამდე. კომპლექსებში, რომლებშიც ჩნდება ან ივარაუდება პირველი ლითონის ნივთები, კაჟის ინდუსტრიის ხასიათი მკვეთრად იცვლება (ეს კანონზომიერება საყოველთაოდ შეინიშნება სამხრეთის რეგიონებში)⁶²: ფერხდება მიკროლითური ტექნიკის განვითარება, მცირდება გეომეტრიული მიკროლითებისა და მიკროლამელების რაოდენობა, იცვლება იარაღთა შემადგენლობა, ქრება მიკრონაწარმი (მიკროსაფხეკები, მიკროსაჭრისები, სახვრეტები და სხვ.), მატულობს შუბისა და ისრისპირების რაოდენობა, ჩნდება ორმხრივდამუშავებული იარაღები, იხვეწება წნევითი რეტუში და სხვ., ინერგება და ვითარდება ახალი — მაკროლამელური ტექნიკა და რაც უფრო მეტადაა ქრონოლოგიურად დაშორებული კომპლექსი ლითონის პირველი ნივთების გაჩენის დროიდან, მით უფრო კლებულობს ნეოლითის ნიშნები. ახალი მაკროლამელური ტექნიკის განვითარება გარკვეულ პერიოდამდე მიდის აღმავალი ხაზით, მაგრამ ლითონის ფართოდ გამოყენების პერიოდის მოახლოებისას ქვის ინდუსტრია მთლიანად ეცემა.

ნეოლითური და ენეოლითური კულტურების ეს ზოგადი კანონზომიერება მეტ-ნაკლები სისრულით ახასიათებს ყირიმის, კავკასიისა

⁶⁰ В. М. Массон. Поселение Джейтун. М.-Л., 1971.

⁶¹ იქვე. გვ. 33.

⁶² В. М. Массон. Средняя Азия..., с. 84.

და შუა აზიის ქვის ინდუსტრიებს, რაც, თავის მხრივ, პირდაპირ კავშირშია წინა აზიის ქვის ინდუსტრიების განვითარების ზოგად კანონზომიერებებთან. აღნიშნული კანონზომიერებების გათვალისწინება იძლევა კრიტერიუმს ადრესამიწათმოქმედო კულტურების განვითარებაში ქრონოლოგიური განსხვავებების გამოყოფისათვის, ნეოლითური და ენეოლითური საფეხურების გამიჯვნისათვის.

1 აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ოდიშის, ყირიმისა და ჭეიტუნის ნეოლითური კულტურების შედარებისას დადასტურებული სტადიალური ნიშნების იგივეობა არ შეიმჩნევა ტერიტორიულად უფრო ახლო მდგომ შულავერ-შომუთეფეს კულტურასთან შედარებისას. ეპოქალური ნიშნების სიახლოვის თვალსაზრისით ოდიშის კულტურას მეტი საერთო აქვს შუა და წინა აზიის ნეოლითურ ძეგლებთან (ჭეიტუნი, ჯარმო, იერიხონი და სხვ.), ვიდრე შულავერ-შომუთეფეს კულტურასთან და პირიქით, ამ უკანასკნელს საერთო ეპოქალური ნიშნები გააჩნია სიალკ I და ხასუნას სტადიის ძეგლებთან.

რ. ბრეიდელის ზოგადი პერიოდიზაციის მიმოხილვისას ვ. მასონი სრულიად სამართლიანად თვლიდა, რომ იგი არ იძლევა იმ მეურნეობრივი ცვლილებების ასახვის შესაძლებლობას, რომლებიც კარგად ჩანს როგორც ჭეიტუნის, ისე მისი მომდევნო ეტაპის — ნამაზგა I-ის ტიპის ნამოსახლარებში. მისი აზრით, ეს ცვლილებები კარგად ასახვენ ახალი ტიპის მეურნეობის თანდათანობითი ჩამოყალიბების პროცესს⁶³. მისი პერიოდიზაციის მიხედვით ადრეულ საფეხურზე (ნეოლითი) ახალი ტიპის მეურნეობის ჩამოყალიბება დამთავრებული არ არის (ნადირობის დიდი როლი), რის გამოც აქ გვაქვს ნადირობისა და ბინადარი მიწათმოქმედების არქაული ფორმების შერწყმა (ჭეიტუნი, ჯერმო, იერიხონი), ხოლო მეორე საფეხურზე (ენეოლითი) მტკიცედ მკვიდრდება ახალი ტიპის ეკონომიკა (ნადირობას ზღუდავს შესაქონლეობა) და უკვე გვაქვს ჩამოყალიბებული მიწათმოქმედ-მესაქონლეთა მეურნეობა (ნამაზგა I, ხასუნა, სიალკ I და სხვ)⁶⁴. იქვე იგი სავსებით მართებულად აღნიშნავს, რომ ადრესამიწათმოქმედო კულტურების განვითარებაში ამგვარი ეტაპობრივი ცვლილებები შეიმჩნევა მახლობელი აღმოსავლეთის მრავალ ოლქში⁶⁵. აქ ზოგადად და სქემატურად მოცემულია არა მარტო შუა აზიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის მეურნეობის განვითარების ეტაპები, არამედ საერთოდ მთელი მახლობელი აღმოსავლეთისა და მისი ჩრდილო პერიფერიისაც.

⁶³ В. М. Массон. დასახ. ნაშრომი. გვ. 83—84.

⁶⁴ იქვე, გვ. 83.

⁶⁵ იქვე.

1 ვ. მასონისეული პერიოდიზაციის პირველ საფეხურს (ნეოლითი) ზოგადად შეესაბამება ოდიშის კულტურის ძეგლები, მეორე საფეხურს — დასავლეთ ამიერკავკასიის ნამოსახლარებიდან — თეთრამიწის ტიპის ძეგლები, აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან კი შულავერ-შომუთეფეს კულტურის ძეგლები.

რა თქმა უნდა, ეს პერიოდიზაცია ჯერჯერობით ძალიან ზოგადია და მომავალში თითოეულ საფეხურში შესაძლოა გამოიყოს კიდევ ცალკეული ეტაპები, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, დღესდღეობით იგი ხელს უწყობს ადრესამიწათმომქმედო კულტურის ორი დიდი პერიოდის — ნეოლითური და ენეოლითური კულტურების — გამიჯვნას.

ამგვარად, თუ საქართველოს კულტურებს (ოდიში, შულავერ-შომუთეფე) მივუდგებით აღნიშნული ეპოქალური ნიშნებისა და ზოგადი კანონზომიერებების გათვალისწინებით, აშკარად გამოჩნდება, რომ მათი სახით გვაქვს კულტურულად და სტადიალურად განსხვავებული ადრესამიწათმომქმედო კულტურები, ხოლო ოდიშის განვითარებული, თვითმყოფადი და თავისებური კულტურა აღარ იქნება კვალიფიცირებული, როგორც „ჩამორჩენილი და კონსერვატიული“.¹

2. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურის პერიოდიზაციის საკითხისათვის

კავკასიის ნეოლით-ენეოლითური კულტურების პერიოდიზაციისა და ქრონოლოგიის საკითხები სადღეისოდ კვლავ რჩება ამ რეგიონის არქეოლოგიის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად. არქეოლოგიის განვითარების თანამედროვე დონეზე მისი საბოლოო გადაწყვეტა ჯერჯერობით ნაადრევია და წინამდებარე ნაშრომი ამას არც ისახავს. მიზნად ჩვენ გვინდა მხოლოდ უკანასკნელ წლებში ახლად აღმოჩენილი ძეგლების შესწავლისა და გათვალისწინების საფუძველზე შევავსოთ და დავაზუსტოთ ჩვენ მიერ ადრე შემუშავებული დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურის პერიოდიზაცია⁶⁶.

ვიდრე დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითის პერიოდიზაციისა და ქრონოლოგიის საკითხებს შევხებოდით, საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ ტერმინების — „ნეოლითისა“ და „ენეოლითის“ — არსის განსაზღვრის საკითხზე. აღნიშნული საკითხის ირგვლივ არქეოლოგიურ ლიტერატურაში ისევ აზრთა სხვადასხვაობაა, რაც ხელს უშლის ერთიანი პერიოდიზაციის შექმნას. ჩვენ აქ არ შევუდგებით ამ აზრთა მრავალგვარობის აღნუსხვნას, რადგან იგი ხშირად გვხვდება როგორც

⁶⁶ ლ. ნე ბ ი ე რ ი ძ ე. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი. თბ., 1972, გვ. 53.

რუსულ. ისე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში⁶⁷. გვინდა მხოლოდ გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება ამ მთავარი პრობლემა-სადმი, რადგან ზოგად საკითხებში განსაზღვრული პოზიციის უქონლობის გარეშე შეუძლებელია კონკრეტული კულტურების პერიოდიზაციისა და ქრონოლოგიის საკითხებზე მსჯელობა.

ნეოლით-ენეოლითის შინაარსის განსაზღვრისას მკვლევრებს ხშირად აქვთ სხვადასხვა სუბიექტური კრიტერიუმები, რის გამოც იქმნება არაზუსტი ქრონოლოგიური სქემები და პერიოდიზაციები. არის ცდები ორიგინალური სქემების შექმნისა, რის შედეგადაც ჩნდება ერთმანეთის საწინააღმდეგო, ზოგჯერ კი ერთიმეორის მომცველი ცნებები. მაგ., ნეოლითის ადრეული სტადიის აღსანიშნავად იხმარება ადრენეოლითი, უკერამიკო ნეოლითი, პროტონეოლითი და ა. შ. ამგვარ ტერმინებს მხოლოდ არეულობა შემოაქვს და ხელს უწყობს ერთი და იგივე კომპლექსებისა და ძეგლების ნებისმიერ მიკუთვნებას ხან ერთ და ხან მეორე ეპოქისადმი. ნეოლითის მოგვიანო სტადიისა და ენეოლითის აღსანიშნავად აგრეთვე გაჩნდა და დამკვიდრდა სხვადასხვა კრიტერიუმებზე დაფუძნებული მრავალრიცხოვანი ტერმინები. მაგ., გვიან ნეოლითი, განვითარებული ნეოლითი, კერამიკული ნეოლითი, სამიწათმოქმედო, მესაქონლეთა, მონადირე-მეთევზეთა, ტყის ნეოლითი და ა. შ. ასევე ენეოლითი, ხალკოლითი, პროტონეოლითი, პრენეოლითი, პროტოხალკოლითი, ადრესამიწათმოქმედო კულტურა და სულ ბოლოს ადრესამიწათმოქმედო ხანაც კი. უკანასკნელთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი საკმაოდ ფართო ქრონოლოგიური ჩარჩოების მქონეა და მოიცავს ნეოლითს, ენეოლითსა და ადრებრინჯაოს ხანებს, ხშირად კი ამ ტერმინის ქვეშ გულისხმობენ ენეოლითის ერთ-ერთ საფეხურს.

ამჟამად ჩანს, რომ ამგვარი ტერმინები დიდ შესაძლებლობებს იძლევა სუბიექტური მსჯელობისათვის, რაც იწვევს იმას, რომ ნეოლით-ენეოლითის ხანის კულტურების პერიოდიზაცია-ქრონოლოგიის საკითხებზე მსჯელობისას მეცნიერები სხვადასხვა ენაზე საუბრობენ.

აღნიშნული ტერმინების განსაზღვრას მკიდროდ უკავშირდება ამ კულტურების საზღვრების გამიჯვნის საკითხი. ხშირია შემთხვევები, როდესაც კავკასიის ძეგლებს მკვლევართა ერთი ნაწილი ნეოლითს აკუთვნებს, მეორე კი — ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანას. ხშირად

⁶⁷ აღნიშნული საკითხი დეტალურადაა განხილული მ. ფოსს, და კრაინოვისა და სხვათა ნაშრომებში. იხ. М. Е. Фосс. О терминах „неолит“, „бронза“, „культура“.—КСИИМК, вып. ХХІХ. 1949, გვ. 33—39; Д. А. Крайнов. Пещерная стоянка Таш-Аир I как основа для периодизации послепалеолитических культур Крыма.—МИА, № 51. 1930. გვ. 85.

ნეოლითურ ძეგლებს მეზოლითოს მიაკუთვნებდნენ და პირიქით. ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, განაპირობებს ამ ტერმინების არსის ერთიანი კრიტერიუმის უქონლობა.

ამგვარი აზრთა სხვადასხვაობა ძირითადად გამოწვეულია ამ ტერმინებისა და კულტურათა (ნეოლით-ენეოლითი) საზღვრების არსის გაგების ორი განსხვავებული პრინციპით⁶⁸.

მკვლევართა ერთი ჯგუფი „ნეოლითში“ გულისხმობს მატერიალური კულტურის განვითარების სტადიას, რომლის საწყისად ითვლება კერამიკის გაჩენის დრო და ქვის იარაღების დამუშავების მაღალი ტექნიკა. ნეოლითის ხანგრძლივობა იზომება ქვის იარაღების არსებობის პერიოდით. ამ მოსაზრების მომხრეები თვლიან, რომ თუკი სპილენძი და ბრინჯაო უმნიშვნელო რაოდენობით გამოიყენებოდა, ლითონის გაჩენის ფაქტი არ არის მხედველობაში მისაღები, რის გამოც ამგვარი ძეგლები ქვის ხანას უნდა მიეკუთვნოს⁶⁹.

მკვლევართა მეორე ჯგუფი თვლის, რომ ნეოლითი არის ეპოქა, რომელმაც შეცვალა მეზოლითი და რომელიც მთავრდება პირველი ლითონის გაჩენისთანავე, მიუხედავად მისი გამოყენების სიხშირისა. ამიტომ კულტურები, რომლებშიც ჩნდება ლითონი, მიუხედავად ქვის იარაღების საჭიროებისა, უნდა მივაკუთვნოთ არა ნეოლითს, არამედ მის შემდგომ ეპოქას — ენეოლითს ან ბრინჯაოს ხანას⁷⁰.

ეს ორი, ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებული მოსაზრება ნეოლით-ენეოლითის ქრონოლოგიური საზღვრების შესახებ წარმოადგენს აზრთა იმ სხვადასხვაობის მიზეზს, რომელიც დღემდე ხელს უშლის ნეოლით-ენეოლითის ზოგადი პერიოდიზაციის შემუშავებას.

მართებულად გვეჩვენება მეცნიერთა მეორე ჯგუფის მოსაზრება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში იქმნება ობიექტური პირობები სხვადასხვა ეპოქის ძეგლების (ქვისა და ლითონის ხანის) აღრევისა, ერთ ეპოქაში მათი მოთავსებისა.

ვფიქრობთ, საჭირო არ არის მტკიცება იმისა, რომ ლითონის (სპილენძი, ბრინჯაო) აღმოჩენა იყო დიდი მოვლენა, რომელმაც მთელი გადატრიალება გამოიწვია პირველყოფილ ტექნიკაში. არქეოლოგიურ ლიტერატურაში ამ საკითხზე არაერთხელ გამახვილებულა ყურადღება, მაგრამ ამის მიუხედავად მაინც იგრძნობა ამ ფაქტის უგულვებელყოფა. ლითონის აღმოჩენის შტედეგად მომხდარ დიდ ძვრებს ნათლად ასახავს კავკასიური და მანქობელი აღმოსავლეთის მატერიალური კულტურის ძეგლები. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ნეოლით-

⁶⁸ M. E. Ф о с с. დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

⁶⁹ იქვე. გვ. 33.

⁷⁰ იქვე.

ენეოლითური ეპოქების ქვის ინდუსტრიების შესწავლისა და ურთიერთშედარებისას. მასალების ანალიზი მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ ლითონის გაჩენისთანავე ქვის ინდუსტრიაში საყოველთაოდ ხდება ცვლილებები. კერძოდ: ნეოლითისათვის დამახასიათებელი მიკროლითური ტექნიკის მზარდი განვითარება თანდათანობით წყდება. მიკროლითური ინდუსტრია და გეომეტრიული მიკროლითების დამუშავების ტექნიკა განიცდის გადაგვარებას და გაქრობას. ამის შესაბამისად, ადრეოლითონის ხანის ძეგლებში კლებულობს ან საერთოდ ქრება წვრილი, პრიზმული ლამელები, გეომეტრიული მიკროლითები, მიკროსაფხეკები. მიკროსაჭრისები, მიკროსახვრეტები, მიკრობურღები და სხვა მიკროიარაღები. ამის გამო კავკასიის ადრეოლითონის ხანის ძეგლებში მიკროტექნიკის ხვედრითი წონა (ნეოლითთან შედარებით) საგრძობლად მცირდება. ამის მაგალითი მრავლად გვაქვს კავკასიის ლითონის ხანის სხვადასხვა ეტაპის ძეგლებში.

ენეოლითის დასაწყისში ჩნდება, ვითარდება და განვითარების გარკვეულ საფეხურზე აღმავლობას განიცდის „წნევითი“ რეტუშით იარაღების (ისრისპირები, შუბისპირები, ნამგლისპირები) ორმხრივდამუშავების ტექნიკა. ლითონის ხანის კომპლექსებში ნეოლითთან შედარებით იცვლება ქვის იარაღების ხვედრითი წონა, ფორმები, დამუშავების ხარისხი და ასორტიმენტი. რაც უფრო შორსაა ძეგლი ლითონის პირველი ნივთების გაჩენის დროიდან, მით უფრო კლებულობს ნეოლითისათვის დამახასიათებელი ნიშნები. გარკვეულ ცვლილებას განიცდის რიყის ქვის იარაღების დამუშავების ტექნიკაც. ცნობილია და იცვლება იარაღების ზომა და ფორმები. ნეოლითისათვის დამახასიათებელი დიდი ზომის გვერდწახნაჯიან იარაღებს (ცულები, სატეხები, სათლელები) ცვლის ცალპირღესილი, მცირე ზომის სოლისებური მოყვანილობის იარაღები. ზედმიწევნით ვითარდება ქვის იარაღების გახეხვა-გაპრიალების ტექნიკა. ლითონის ხანის ძეგლებში აღსანიშნავია იარაღების დასამზადებლად ქვის სხვადასხვა ქანების გამოყენების გაზრდა (არგილიტი, სერპანტინი, ბაზალტი და სხვ.). ენეოლითის ხანის ძეგლების ქვის მასალის ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ ახალი ტექნიკის (მსხვილი ლამელური, რიყის ქვის გახეხვა-გაპრიალება) განვითარება ერთხანს აღმავალი ხაზით მიდის, მაგრამ ლითონის ნაწარმის მომატებასთან ერთად, მეტალურგიის გაჩენის დროისათვის ქვის ინდუსტრია საგრძობლად იცვლება.

ლითონის ხანის ქვის ინდუსტრიის მოკლე დახასიათებაც კი ცხადყოფს, რომ ლითონის გაჩენის შემდეგ მისი იერი თითქმის მთლიანად იცვლება. იარაღების დამზადების ტექნიკისა და კაყის ნაწარმის ცვლილება პირველი ნიშანია ლითონის ხანის დადგომისა, იმისა, რომ ლითონის გაჩენამ თავისი გავლენა მოახდინა ქვის ნაწარმზე, თუმცა

პრაქტიკულად ლითონი შესაძლოა არც კი იყოს კომპლექსებში. თუ ამგვარ, შეცვლილ კომპლექსებში არ არის ლითონი, ან იგი იშვიათად გვხვდება, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ეს ფაქტი რეალურად ასახავს ლითონის გამოყენების სიხშირეს. ცხადია, ფაქტიური ვითარება სრულიად სხვა უნდა ყოფილიყო. სინამდვილეში ლითონი გამოიყენებოდა უფრო ხშირად, ვიდრე იგი შემორჩა ძეგლებში. უნდა ვიფიქროთ, რომ კომპლექსებში გვხვდება შემთხვევით მოხვედრილი, დაკარგული ნივთები, რადგან ლითონის გაჩენის ადრეულ სტადიაზე იგი ძვირფასი იყო და მას საგანგებოდ უფრთხილდებოდნენ, დაზიანების შემთხვევაში კი — თავიდან ჰედლდნენ ან ასხამდნენ. რადგან ლითონის ნივთების რაოდენობა მატულობდა თანდათან, განვითარების ეტაპების შესაბამისად, ამიტომ მათი რიცხობრივი ზრდა ძეგლებში თავისებურ ქრონოლოგიურ მაჩვენებელსაც წარმოადგენს.

ამგვარად, ლითონის ხანის ქვის ნაწარმის ზემომოტანილი ტიპოლოგიური და ტექნიკური ნიშნები უფლებას გვაძლევს დავუშვათ ამ ნამოსახლარებზე ლითონის ნივთების არსებობა, მიუხედავად იმისა, რომ კომპლექსებში ისინი შეიძლება არც შეგვხვდეს. ამიტომ ქვის ნაწარმის ტექნიკური და ტიპოლოგიური ანალიზი სტრატეგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით შესაძლებლობას იძლევა ასეთი ძეგლები გამოვყოთ ნეოლითურისაგან. ეს კი აუცილებლად უნდა გაკეთდეს, თუ გვინდა, რომ პირველყოფილი საზოგადოების ისტორია შევისწავლოთ სტადიალურად, განვითარების პროცესში. ქვის ინდუსტრიის განვითარების ზემოაღწერილი კანონზომიერება დამახასიათებელია არა მარტო კავკასიის ნეოლით-ენეოლითის ხანის კულტურებისათვის, იგი საერთოა ყირიმის, შუა აზიისა და მახლობელი აღმოსავლეთისათვისაც (რა თქმა უნდა, ყოველ რეგიონს აქვს ლოკალური თავისებურებები). მოტანილი ფაქტები ცხადყოფენ, რომ ჩვენს წინაშეა სამხრეთის ერთ-ერთი დიდი რეგიონის ქვის ინდუსტრიების განვითარების საერთო, ზოგადი კანონზომიერება. ამგვარად, ნეოლით-ენეოლითის ქვის ნაწარმის საგულდაგულო შესწავლა (ძეგლების დანარჩენ ელემენტებთან მჭიდრო კავშირში) აღნიშნული კანონზომიერების გათვალისწინების საფუძველზე საშუალებას იძლევა, გავმიჯნოთ ადრესამიწათმომქმედო კულტურის პირველი (ნეოლითი) და მომდევნო ეტაპის (ენეოლითი) ძეგლები. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება. ამა თუ იმ კულტურის ისტორიული განვითარების სრული სურათის აღდგენა.

ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის 50-იანი წლებისათვის მეცნიერთა განკარგულებაში იყო მხოლოდ რამდენიმე ძეგლი (ოდიში, ურთა, კისტრიკი, თეთრამიწა), რომელთა საშუალებითაც ხასიათდებოდა ნეოლითი. უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი მათგანი არ იყო საფუძვლიანად

გამოკვეთილი, ხოლო მათი თარიღი დაზუსტებას მოითხოვდა. ამასთანავე, ამ ძეგლებზე კულტურული ფენები დარღვეული იყო. სხვა დამატებითი მონაცემები კი სტრატиграფიის აღსადგენად არ არსებობდა.

როგორც ცნობილია, ოდიში იყო კავკასიის პირველი ნეოლითური ძეგლი, რომელზედაც, სამწუხაროდ, უძრავი კულტურული ფენა ნაპოვნი არ ყოფილა. კომპლექსი ხასიათდებოდა მიკროლითების, მაკროლითების, პოლირებული იარაღებისა და კერამიკის შერწყმით. იმ პერიოდის არქეოლოგიურ ლიტერატურაში გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ მიკროლითური ტექნიკა დამახასიათებელი იყო მხოლოდ მეზოლითისათვის, ხოლო რიყის ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღები, მაკროლითები და კერამიკა — ნეოლითისათვის. ამიტომ ამ ელემენტების თანხედრობა კომპლექსში ახსნილი იყო ძეგლის ორფენიანობით. ოდიში მიჩნეული იყო მეზოლითური და ნეოლითური ფენების შემცველ ძეგლად⁷¹. აღნიშნული მოსაზრება ვრცელდებოდა აგრეთვე ოდიშის ტიპის ძეგლებზე. ოდიშის ფენათა რაოდენობის შესახებ არსებობდა საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომ ოდიში და ურთა ერთფენიანი ნეოლითური ძეგლებია⁷². მაგრამ უფრო მყარი არგუმენტების უქონლობის გამო ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა მაშინ შეუძლებელი იყო. თუმცა ყოველთვის ყურადღებას იქცევდა ის გარემოება, რომ აღნიშნული ელემენტების შერწყმა სხვა ძეგლებზეც მეორდებოდა. ამგვარად, ეს საკითხი დიდხანს რჩებოდა სადისკუსიოდ. იგი უნდა გადაწყვეტილიყო მხოლოდ უძრავი ნეოლითური ფენის პოვნის შემდეგად.

1957 წ., აღლერის რაიონის სოფ. ქვედა შილოვკაში აღმოჩენილი და შესწავლილი იქნა ოდიშის ანალოგიური ძეგლი, სადაც დადასტურდა უძრავი ნეოლითური ფენა. მასში ერთად აღმოჩნდა მიკროლითური, მაკროლითური, გახეხილ-გაპრიალებული იარაღები და კერამიკა, რის შედეგადაც გაირკვა, რომ ქვედა შილოვკა და მისი ანალოგიური, დარღვეული ფენების მქონე ოდიშის ტიპის ძეგლები ერთფენიანია⁷³. ოდიშის ტიპის ძეგლები ადრეც და აღნიშნული აღმოჩენის შემდეგაც, კარგაზნანს ადრენეოლითურად იყო მიჩნეული⁷⁴. კავკასიის ნეოლითური ძეგლების კლასიფიკაციის პირველი ცდა ა. ფორმოზოვს

⁷¹ აღ. კალანდაძე. დასახ. ნაშრომი.

⁷² Н. В. Хоштарна. Археологические разведки в бассейне р. Эгури в 1940 г., с. 16 (машиннопись).

⁷³ А. А. Формозов. Неолит Крыма... с. 132—136.

⁷⁴ Н. В. Хоштарна. დასახ. ნაშრომი, გვ. 16; А. А. Формозов. დასახ. ნაშრომი, გვ. 132—134. საქართველოს არქეოლოგია. 1958. თბ., გვ. 54.

ეკუთვნის⁷⁵. იგი დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ ძეგლებს ორ ქრონოლოგიურ ჯგუფად ჰყოფდა. ადრენეოლითში მას შეჰყავდა ოდიში, კისტრიკი, ქვედა შილოვკა, ანასეული II, ხოლო გვიანნეოლითურ საფეხურს ახასიათებდა ისეთი ძეგლებით, როგორცაა „სოჭი-ადლერის ტიპის თოხებიანი“ სადგომები, თეთრამიწა და სხვ. ეს მაშინ სრულიად კანონზომიერი იყო, რადგან ნეოლითის უფრო ადრეული საფეხურის ძეგლები ჯერ არ იყო აღმოჩენილი და შესწავლილი.

1957—62 წწ. ანასეულში (მახარაძის რაიონი) ნეოლითის ორი სხვადასხვა საფეხურის ძეგლების (ანასეული I და ანასეული II) შესწავლამ და აგრეთვე ქვ. შილოვკაში უძრავი კულტურული ფენის პოვნამ ხელი შეუწყო სტრატოგრაფიული სურათის აღდგენას.

განსხვავებული ნეოლითური ძეგლების აღმოჩენამ ერთ გეოგრაფიულ პუნქტში (მანძილი მათ შორის დაახლ. 1 კმ-ია) ცხადყო, რომ ეს სხვაობა ქრონოლოგიური ხასიათისაა და რომ მათი სახით გვექონდა ნეოლითის ორი სხვადასხვა საფეხურის ძეგლი⁷⁶. განსხვავებული საფეხურების გამოსაყოფად დიდი მასალა მოგვეცა როგორც თვით ამ ძეგლების ურთიერთშედარებამ, ისე მათმა შეჭერებამ ყირიმის, კავკასიისა და წინა აზიის სინქრონულ კომპლექსებთან⁷⁷.

ახალაღმოჩენილი ნამოსახლარების მასალის ტიპოლოგიური და შედარებითი შესწავლის შედეგად გაიკვია, რომ ანასეული I-ის სახით აღმოჩნდა კავკასიის პირველი ადრენეოლითური ძეგლი⁷⁸. ანასეული II-ის სახით კი მოგვემატა ოდიშის ტიპის კიდევ ერთი და უფრო სრულყოფილი კომპლექსი. ამავე ჯგუფს განეკუთვნება გურიანთისა და მამათის ნამოსახლარები. აღმოჩნდა აგრეთვე ანასეულ I-თან ქრონოლოგიურად ახლო მდგომი კინტრიშის ნამოსახლარები (ქობულეთი, ხუცუბანი). ანასეული I-ის აღმოჩენამ დააყენა საკითხი ოდიშის ტიპის ძეგლების თარიღის შეცვლისა ნეოლითის ჩარჩოებში. ამგვარად, ახალი ძეგლების აღმოჩენამ შესაძლებელი გახადა ნეოლითურ კულტურაში ორი ქრონოლოგიური ჯგუფის გამოყოფა⁷⁹.

ადრენეოლითურ ჯგუფში გაერთიანდა ანასეული I და ქრონოლოგიურად მასთან ახლო მდგომი კინტრიშის ნამოსახლარები — ქობულეთი და ხუცუბანი. თუმცა იქვე იყო აღნიშნული, რომ ზოგიერთი

⁷⁵ А. А. Формозов. დასახ. ნაშრომი, გვ. 174.

⁷⁶ ლ. ნე ბ ი ე რ ი ძ ე. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი. თბ., 1972.

⁷⁷ ლ. ნე ბ ი ე რ ი ძ ე. ადრენეოლითური ხანის ნაშთები ანასეულიდან. გვ. 151—160; მისივე. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი. გვ. 67—61.

⁷⁸ იქვე.

⁷⁹ ლ. ნე ბ ი ე რ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი. გვ. 67—83.

ნიშნით ეს უკანასკნელნი ქრონოლოგიურად რამდენადმე წინ უსწრებენ ანასეულს⁸⁰.

მეორე ჯგუფში — გვიანნეოლითურში — შეყვანილ იქნა ოდიში, ანასეული II, კისტრიკი, ჭვ. შილოვკა, გურიანთა და მამათი⁸¹. ხოლო რაც შეეხება იმ ძეგლებს, რომლებითაც ადრე ხასიათდებოდა გვიანნეოლითი (სოჭი-ადღერის ტიპის თოხებიანი სადგომები, თეთრამიწა, საგვარჯილე II ფენა და სხვ.) შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზისა და ზოგ შემთხვევაში, სტრატეგრაფიული მონაცემების საფუძველზე, მიკუთვნებული იყო ლითონის ხანის სხვადასხვა პერიოდებისადმი⁸².

დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ კულტურაში ორი ქრონოლოგიური საფეხურის გამოყოფას არსებითად ეთანხმებოდა რ. მუნჩაევი. მაგრამ იგი საჭიროდ თვლიდა კიდევ ერთი ეტაპის დამატებას, რომელშიც სოჭი-ადღერის ტიპის კომპლექსები უნდა გაერთიანებულიყო⁸³. ამჟამად, იგი არ გამოირიცხავდა დას. საქართველოს გვიანნეოლითური ზოგიერთი ძეგლისა და შულავერ-შომუთეფეს კულტურის ადრეული ნამოსახლარების თანადროულობას.

უკანასკნელ წლებში შესამჩნევად იმატა დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური ძეგლების რიცხვმა. მათი შესწავლის საფუძველზე ნეოლითურ კულტურაში სადღეისოდ უკვე გამოიყო განვითარების სამი ძირითადი საფეხური (ადრეული, შუა და გვიანი)⁸⁴. ასევე უკვე მოხერხდა ნეოლითის წინა საფეხურის, ე. ი. გვიანნეოლითიდან ადრენეოლითზე გარდამავალი ეტაპის, გამოყოფა⁸⁵.

ამგვარად, სადღეისოდ დასავლეთ ამიერკავკასიაში უკვე გვაქვს ძეგლების მეტ-ნაკლებად უწყვეტი ჯაჭვი, რომლებიც ასახავენ ნეოლითური კულტურის განვითარების მთელ პროცესს.

ნეოლითური კულტურის შესწავლისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ ეპოქის ქვედა და ზედა ქრონოლოგიური საზღვრების დადგენას. იმის გამო, რომ ნეოლითური ძეგლები ქრონოლოგიურად, კულტურულად და ხშირად გენეტიკურად მჭიდროდ უკავ-

80 ლ. ნე ბ ი ე რ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი.

81 იქვე.

82 დ. თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე. საქართველოს ზოგიერთი „ნეოლითური“ ძეგლის დათარიღებისათვის. გვ. 76—83.

83 P. M. Мунчаев. Кавказ на заре бронзового века. М., 1975, გვ. 72.

84 ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე. დარკვეთის მრავალფენიანი ეხი. თბ., 1978.

85 ს. გ ო გ ი ტ ი ძ ე. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა. გვ. 99; ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი. გვ. 51.

შირდება მისი წინმავალი და მომდევნო ეპოქის ძეგლებს, მათ მატერიალურ კულტურაში დიდი მსგავსება შეინიშნება, რაც ხშირად ართულებს ამ ეპოქების შესაბამისი კომპლექსების გამოკვლას. ამიტომ საჭირო იყო ისეთი კრიტერიუმების მონახვა, რომლებიც ეპოქალური ნიშნების გამოყოფის საშუალებას მოგვცემდა. ეს ნიშნები დადგინდა და კომპლექსები გამოიყო როგორც სტრატეგრაფიული მონაცემების, ისე მრავალრიცხოვანი მეზოლითური, ნეოლითური და ენეოლითური ძეგლების ტიპოლოგიის, დეტალური შესწავლის საფუძველზე. მაგალითად, სტრატეგრაფიულად დადგინდა, რომ რიყის ქვის უხეში (გაუხეხავ-გაუპრიალებელი) იარაღების გამოყენების დასაწყისი გვიანმეზოლითოს ემთხვევა. ეს დაასაბუთა როგორც ამიერკავკასიის (ცივი მღვიმე, დარკვეთი V), ისე აღმოსავლეთ და ჩრდილო კავკასიის მრავალფენიანმა ძეგლებმა (ჩოხი, სოსრუყო). ხოლო ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღების (ულები, სათლელ-სატეხები და სხვ.) დამზადება ადრენეოლითში იწყება (ცივი მღვიმე B₁ ფენა, დარკვეთი IV). თვისებრივ ახალ ნიშნად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე კერამიკის გაჩენა, ან მწარმოებლური მეურნეობის მაჩვენებელი სხვა რომელიმე მყარი ნიშანი და სხვ. ასეთი ეპოქალური ნიშნები საფუძველს იძლევა პერიოდიზაციისათვის.

ამ ათიოდე წლის წინ აღნიშნულ რეგიონში ადრენეოლითი წარმოდგენილი იყო მხოლოდ ცივი მღვიმის ზედა ფენით, ანასეული I-ითა და მასთან ქრონოლოგიურად ახლო მდგომი კინტრიშის ნამოსახლარებით. ახლა დასავლეთ საქართველოში უკვე გვაქვს მრავალფენიანი ძეგლები — დარკვეთის ეხი. აფიანჩას მღვიმე, რომლებშიც დატულია გვიანმეზოლით-ადრენეოლითის კომპლექსები, აგრეთვე მელოური, ხორში — ნაწილობრივ ხელუხლებელი ფენით. ასე რომ, თუ აქანდე ადრენეოლითი გამოიყოფოდა ძეგლების შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზისა და გამორიცხვის მეთოდის საფუძველზე⁸⁶, ახლა უკვე გვიანმეზოლითი და ადრენეოლითი გამოიყო სტრატეგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით⁸⁷.

დარკვეთის ეხისა და ცივი მღვიმის სტრატეგრაფიული და ტიპოლოგიური მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ადრენეოლითის ქვედა საზღვრის დადგენა, რადგან ამ ძეგლებში გვიანმეზოლითურ ფენას სცვლიდა ადრენეოლითური. ამავე დროს. დარკვეთის ეხში ეს ფენები გამოყოფილი იყო სტერილური

⁸⁶ ლ. ნ. ბ. ი. რ. ი. ძ. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი.

⁸⁷ ლ. ნ. ბ. ი. რ. ი. ძ. დარკვეთის მრავალფენიანი ეხი. გვ. 40:

შრით. სწორედ ამ შუალედურმა, სტერილურმა ფენამ შეუწყო ხელი კომპლექსების მკაფიო გამიჯვნას⁸⁸.

დასავლეთ საქართველოს გვიანმეზოლით-ადრენეოლითური კომპლექსების შედარებით-ტიპოლოგიური გამოკვლევა და მრავალფენიანი ძეგლების (დარკვეთი, ცივი მღვიმე, აფიანჩა) სტრატეგრაფიული მონაცემების გათვალისწინება გვიჩვენებს, რომ ადრენეოლითის ქვედა საზღვრად უნდა მივიჩნიოთ გვიანმეზოლითური ძეგლები, რომლებსაც ახასიათებს შემდეგი მთავარი ნიშნები: 1. მიკროჩასართების ტექნიკის განვითარება, ასიმეტრიული სამკუთხედების უპირატესობით. 2. რიყის ქვის უხეში იარაღების გამოყენების დასაწყისი. 3. ფანქრისებური და მიკროკონუსური ნუკლეუსები, სწორწახნაგა მიკროლაშქების ატკეცვის კვალით. 4. კიდურა, ოვალურსამუშაოპირიანი საფხეკები, დამზადებული მოკლე, განიერ ანატეკებზე. 5. გადატეხილი ლამელის ბოლოზე დამზადებული ცალმხრივი ან ორმხრივი მარტივი საჭრისები. 6. საჩხისებური იარაღი. ფაუნა ამ კომპლექსებში ძირითადად წარმოდგენილია: კეთილშობილი ირმით, შვლით, გარეული ღორით, გარეული ცხვრით, გარეული თხით და მურა დათვით.

ცხადია, აღნიშნული ნიშნები სხვადასხვა ძეგლებში სხვადასხვა სიმკვეთრით და ურთიერთშეფარდებით შეიძლება იყოს წარმოდგენილი. ძირითადად კი ამგვარი გვიანმეზოლითური კომპლექსები ქრონოლოგიურად ესაზღვრება ადრენეოლითს.

უკანასკნელ ხანებში, როგორც აღვნიშნეთ, მოხერხდა აგრეთვე გვიანმეზოლითსა და ადრენეოლითს შორის გარდამავალი ძეგლების ჯგუფის გამოყოფა. ესენია კინტრიშის ნამოსახლარები — ხუცუბანი და ქობულეთი. აღსანიშნავია, რომ ქობულეთის ნამოსახლარზე უკვე აღმოჩნდა უძრავი კულტურული ფენა. ხუცუბნისა და ქობულეთის კომპლექსები იარაღთა ფორმებით და ქვის დამუშავების ტექნიკით გარკვეულ სიახლოვეს იჩენენ გვიანმეზოლითურ ძეგლებთან (კვირიკეს ჯგუფი), თუმცა მსგავსება გაცილებით უფრო დიდი და არსებითია ადრენეოლითთან. კერძოდ, ტერიტორიულად მასთან ახლო მდგომ ანასეულ 1-თან. გვიანმეზოლითისაგან (კვირიკე) განსხვავებით, ხუცუბნისა და ქობულეთის მასალებში ყურადღებას იქცევს ნუკლეუსების მრავალფეროვნება. ფანქრისებურის გარდა, აქ გვხვდება პრიზმისებური და კონუსისებური ნუკლეუსები. შეიმჩნევა ქვის პირველადი დამუშავების ტექნიკის გაუმჯობესება, ლამელების ატკეცვის ხარისხის სრულყოფა. ამ ნიშნით კინტრიშის ნამოსახლარები უფრო ახლოსაა ანასეულ I-თან, ვიდრე გვიანმეზოლითურ ძეგლებთან. კინტრიშის ნამოსახლარები საფხეკების ფორმებითა და დამუშავების

⁸⁸ ლ. ნ. ბ. ი. რ. ი. ძ. ე. დასახ. ნაშრომი. გვ. 51.

ტექნიკით უფრო ახლოს დგანან ანასეული I-თან, ვიდრე კვირიკესთან. თუმცა აქ ჭერ კიდევ ვხვდებით გვიანმეზოლითისათვის დამახასიათებელ ფორმებს. კინტრიშის საფხეკებისათვის, ანასეული I-ის მსგავსად, დამახასიათებელია მცოცავი წნევეთი რეტუშით შემადლებული სამუშაო პირი. ეს ანასეული I-ისა და კინტრიშის ნამოსახლარების ქვის დამუშავების ტექნიკის ერთ-ერთი არსებითი და საერთო ნიშანია. დამუშავების აღნიშნული ხერხი დახვეწილ იერს აძლევს იარაღებს, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კინტრიშის ნამოსახლარებზე საფხეკებს ჭერ არ მიუღწევიათ ისეთი სრულყოფისათვის, როგორც ანასეულ I-ში; კინტრიშის ნამოსახლარების ერთ-ერთი არსებითი განსხვავება ანასეულ I-საგან არის რიყის ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღებისა და გეომეტრიული ფორმის მიკროლითების უქონლობა. თუმცა რიყის ქვის უხეში იარაღების გამოყენება უკვე დაწყებული ჩანს (შურდულის ქვები, საწაფი). ამ ნიშნებით კინტრიშის ნამოსახლარები გვიანმეზოლითურ ძეგლებს უახლოვდება.

კინტრიშის ნამოსახლარების ქვის დამუშავების ტექნიკისა და იარაღების ტიპოლოგიური ანალიზი კარგად გვიჩვენებს, რომ ეს ძეგლები დიდ სიახლოვეს იჩენენ გვიანმეზოლითურ ძეგლებთან და თავისი ფესვებით მჭიდროდ უკავშირდებიან მათ. ამავე დროს, მათ, გვიანმეზოლითურთან შედარებით, განვითარების გარკვეული გზა აქვთ გავლილი და მსგავსებას იჩენენ ანასეულ I-თანაც, თუმცა მასთან შედარებით არჩაულად გამოიყურებიან. ძეგლების ზემოთ მოტანილი შედარება ცხადყოფს, რომ კინტრიშის ნამოსახლარებს შუალედური ადგილი უჭირავთ გვიანმეზოლითურსა და ადრენეოლითურ ძეგლებს შორის. თუ აქვე გავიხსენებთ დარკვეთის ეხის სტრატეგრაფიას და იმასაც, რომ დარკვეთის ეხის V და IV ფენებს შორის გვაქვს სტერილური ფენა, მაშინ შესაძლოა დავუშვათ, რომ კინტრიშის ნამოსახლარები შეესატყვისება ამ სტერილური ფენის შესაბამის ქრონოლოგიურ მონაკვეთს. ეს მით უმეტეს გვეჩვენება შესაძლებლად, რომ კინტრიშის ძეგლები, როგორც ქრონოლოგიურად, ისე ტიპოლოგიურად, კარგად თავსდება გვიანმეზოლითისა და ადრენეოლითის შორის და გვაძლევენ გვიანმეზოლითიდან ადრენეოლითზე გადასვლის ერთიან, უწყვეტ სურათს.

ამგვარად, აღნიშნული ძეგლები საშუალებას გვაძლევენ თვალი გავადევნოთ დასავლეთ საქართველოში გვიანმეზოლითიდან ადრენეოლითზე თანდათანობით გადასვლის პროცესს.

განსაკუთრებით ჭირს ადრენეოლითის ზედა საზღვრის დადგენა. დარკვეთის ეხი ამის საშუალებას არ იძლევა. არ იძლევა ამის საშუალებას კავკასიის არც ერთი სტრატეგრაფიული ძეგლი. ამიტომ ადრენეოლითის ზედა საზღვრის გამოყოფა ჭერჭერობით ისევ ტიპოლო-

გიურ ანალიზს ემყარება. ამ უკანასკნელმა კი გვიჩვენა, რომ ადრენეოლითის ზედა საზღვრად უნდა მივიჩნიოთ ხორშის ტიპის ძეგლები (ადრენეოლითის ჩარჩობებში). ამ ნამოსახლარს აქვს დასავლეთ საქართველოს ადრენეოლითური ძეგლებისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი, რომლებიც თითქოს აახლოვებს ხორშის ნამოსახლარის მასალებს ადრენეოლითთან, მაგრამ ამავე დროს მას აქვს ისეთი განმასხვავებელი თავისებურება, რაც ამ ძეგლის განვითარებულობას მოწმობს. ეს არის რიყის ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღების სიჭარბე. ხორშის კომპლექსი შესაძლოა ადრენეოლითის დასასრულს განეკუთვნებოდეს⁸⁹. ადრენეოლითის ზედა საზღვრად ჭერჭერობით უნდა მივიჩნიოთ ხორშის ტიპის ძეგლები.

ნეოლითის შუა საფეხური დასავლეთ საქართველოში ჭერჭერობით წარმოდგენილია მხოლოდ ლუმურიშისა და გალი I-ის ნამოსახლარებით.

ლუმურიშისა და გალი I-ის ნამოსახლარების ქვის იარაღების დამუშავების ტექნიკა და ტიპოლოგია აშკარად გვიჩვენებს გარდამავალ ნიშნებს ადრენეოლითიდან გვიანნეოლითზე. ყველაზე ნათლად ეს ჩანს როგორც გეომეტრიული მიკროლითების, ასევე რიყის ქვის იარაღების მაგალითზე. კერძოდ, დასავლეთ საქართველოს ადრენეოლითური ძეგლებისაგან განსხვავებით, რომლებსაც მხოლოდ ორფერდდამუშავებული ტრაპეციები ახასიათებს, აღნიშნულ ნამოსახლარებზე მათთან ერთად უკვე გვხვდება სამფერდდამუშავებულებიც და საკმაოდ დახვეწილი ფორმის სეგმენტები დაბლაგვებული რკალით, რომლებიც ტაპურია გვიანნეოლითისათვის. უნდა აღვნიშნოთ, რომ გვიანნეოლითისათვის დამახასიათებელი გეომეტრიული მიკროლითების ყველაზე გვიანდელი ფორმა — ზურგათილი მალაი ტრაპეცია და სწორკუთხედი — და აგრეთვე კერამიკა აქ ჭერ არ გვხვდება.

ადრენეოლითური ნამოსახლარებისაგან განსხვავებით მათში მატულობს რიყის ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღების რაოდენობა და ნაირსახეობა, უმჯობესდება დამუშავების ხარისხი. იარაღებს უჩნდება გვერდითი წახნაგები, რაც ფართოდაა დამახასიათებელი გვიანნეოლითისათვის.

როგორც ვხედავთ, გვიანნეოლითის ზოგიერთი ნიშანი უკვე ისახება ლუმურიშის ტიპის ძეგლებში. აღნიშნული კომპლექსების მოკლე ტიპოლოგიური დახასიათებაც კი ნათლად გვიჩვენებს, რომ ისინი ადრენეოლითიდან გვიანნეოლითზე გარდამავალ საფეხურს მიეკუთვნება.

⁸⁹ Г. К. Григолия, Г. И. Мирцхулава, *დასახ. ნაშრომი*, 33- 15.

გვიანნეოლითური საფეხურის კომპლექსები ნეოლითური ძეგლების საერთო მასიდან დღემდე ისევ გამოიყოფა მასალის ტიპოლოგიურ-მედარებითი ანალიზისა და გამორიცხვის მეთოდის საფუძველზე. რადგან ჭერჭერობით არ არის შესწავლილი გვიანნეოლითური ფენების შემცველი არც ერთი მრავალფენიანი ძეგლი. აღნიშნული კომპლექსების ტიპოლოგიურ-მედარებითი შესწავლის შედეგად დადგენილია გვიანნეოლითის ეპოქალური ნიშნები⁹⁰.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამახასიათებელი ნიშნები სხვადასხვა ძეგლში სხვადასხვა თანაფარდობით გვხვდება, იმისდამხედვით, თუ ძეგლს რა ადგილი უჭირავს ამ ეპოქის ქრონოლოგიურ ჩარჩოში. აქედან გამომდინარე, კომპლექსების ტიპოლოგიური ანალიზი საშუალებას იძლევა გვიანნეოლითის ჩარჩოებში ძეგლების ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დადგენისა: კერამიკის საერთო დახასიათებიდან ჩანს, რომ ანასეული II-ის ორნამენტი, დანარჩენ ძეგლებთან შედარებით, ახალ ელემენტებსაც შეიცავდა. მის ძირითად სახედ კვლავინდებურად რჩება „წიწვისა“ და „თავთავისებური“ გამოსახულება, თუმცა მასთან ერთად უკვე ჩნდება ტალღისებური და რელიეფური სახეები, რაც ოდიშსა და გურიანთას არ ახასიათებს. ოდიშთან შედარებით ანასეულ II-ის კერამიკაზე კოპების რაოდენობა და ზომები მატულობს და ჩნდება თითო-ოროლა რქისებური შვერილიც. ოდიშის ნაკეთობებზე კი მცირე რაოდენობით გვაქვს ოდნავ შესამჩნევი ბურცობები, ხოლო რქისმაგვარი შვერილები საერთოდ არ არის. კოპები და შვერილები არ გვხვდება გურიანთისა და მამათის ჭურჭლებზე. ანასეული II-ის ჭურჭლის პირები, შემკულობის მხრივ, დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ჭდეები, ტალღები და ღრმულები უამრავი სახეცვლილებითაა წარმოდგენილი. ანასეულ II-თან შედარებით ოდიშისა და გურიანთის ჭურჭლის ბაკოები ერთგვაროვანია. ოდიშის, გურიანთისა და მამათის ჭურჭლის ძირების უმრავლესობა ხასიათდება ძირიდან კედლებზე ქუსლიანი გადასვლით. ანასეულ II-სა და გურიანთაში კი გვაქვს აგრეთვე შეზნექილი ძირები, რაც არ ახასიათებს ოდიშსა და მამათს. ანასეული II-ის კერამიკა ოდნავ უკეთესადაა გამოქვეყნებული, ვიდრე დანარჩენი ძეგლებისა. ამასთანავე, ეს კერამიკა, ზემოთ ჩამოთვლილი ახალი ელემენტების გაჩენის წყალობით, ოდნავ უფრო ახალგაზრდად გამოიყურება, ვიდრე ამავე ჯგუფის დანარჩენი ძეგლების სამეთუნეო ნაწარმი, რაც უფლებას გვაძლევს ანასეული II-ის კომპლექსი გვიანნეოლითის ჩარჩოებში ყველაზე მოგვიანო ძეგლად მივიჩნიოთ.

⁹⁰ ლ. ნ. ბ. ე. რ. ი. ძ. ე. დასაჯლეთ. ამიერკავკასიის ნეოლითი. გვ. 71—83.

მსგავსი სურათი ჩანს ქვის მასალის განხილვიდანაც. ოდიშში სჭარბობს მარტივი, ორფერდამუშავებული ტრაპეციები და რკალათილი სეგმენტები: მას, ისევე როგორც მეზოლითისა და ადრენეოლითის ძეგლებს, არ ახასიათებს სამგვერდდაბლაგველი დაბალი ტრაპეციები, რაც იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ოდიშში ყველაზე მეტად ინახავს მეზოლითურ და ადრენეოლითურ ტრადიციებს, თუმცა ამავე დროს მასში არის გვიანნეოლითის ყველა ნიშანი (კერამიკა, გახეხილ-გაპრიალებული იარაღები, „მოკოდვის“ ტექნიკა და მაღალი, ზურგათილი სწორკუთხედები). რაც შეეხება ანასეულ II-ს, აქ გეომეტრიული მიკროლითების მთავარი სახეა სამგვერდამუშავებული ტრაპეციები და რკალდაბლაგველი სეგმენტები. მცირე რაოდენობითაა ორფერდამუშავებული ტრაპეციები, ზურგათილი, მაღალი სწორკუთხედები კი ოდიშსა და ანასეულ II-ში მთლიანად ერთნაირია. შედარება გვიჩვენებს, რომ გვიანნეოლითურ ძეგლებში გეომეტრიული მიკროლითები ყველაზე სუსტად ოდიშში ყოფილა განვითარებული, ხოლო ყველაზე მეტად კი ანასეულ II-ში⁹¹.

გვიანნეოლითის ძეგლების ქვის მასალისა და კერამიკის ანალიზიდან ირკვევა, რომ ამ კომპლექსებს შორის ოდიშში უფრო ადრეული უნდა იყოს, ვიდრე ანასეული II, ხოლო დანარჩენი ძეგლები მათ შორის უნდა მოთავსდეს. ცხადია, ამგვარი ქრონოლოგიური თანამიმდევრობა გვიანნეოლითის საზღვრებშია საგულისხმებელი⁹².

უკანასკნელ ოცწლეულში აღმოჩენილმა ახალმა მასალებმა განაპირობეს ნეოლითის ქრონოლოგიური საზღვრების დაძველება. იყო პერიოდი, როდესაც ნეოლითის ზედა საზღვარი, „მტკვარ-არეზისა“ და ნეოლითურ კულტურას შორის შუალედური ძეგლების არარსებობის გამო, უშუალოდ „მტკვარ-არეზის“ კულტურის ძეგლებს ებჯინებოდა, რომლის თარიღადაც ძვ. წ. IV—III ათასწლეულები იყო მიღებული. 60-იანი წლების შუა ხანებში ქვემო ქართლში „მტკვარ-არეზის“ წინარე პერიოდის, ძვ. წ. V ათასწლეულით დათარიღებული ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლების აღმოჩენამ ნაწილობრივ შეავსო ეს ხარვეზი და ამასთან ერთად, პირველად დააყენა საკითხი ნეოლითის ზედა ქრონოლოგიური საზღვრის დაძველების შესახებ⁹³.

როგორც ცნობილია, სადღეისოდ აღმოსავლეთ საქართველოს ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებისათვის უკვე გვაქვს ნახშირ-

⁹¹ ლ. ნე ბ ი ე რ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი. გვ. 82.

⁹² ლ. ნე ბ ი ე რ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი.

⁹³ К. Х. Кушнарeвa, Т. Н. Чубинишвили. დასახ. ნაშრომი: თ. ქ ა თ ა რ ი ძ ე, ა. ქ ა ე ვ ა ხ რ შ ვ ი ლ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

ბადული (C₁₄) თარიღების მთელი სერიები, მათ შორის შესწორებულიც.

დასავლეთ საქართველოს ნეოლითური კულტურის ზედა ქრონოლოგიური საზღვრის დასადგენად, მანამდე, სანამ არ გვექნება ამ პერიოდის ძეგლების ნახშირბადული (C₁₄) თარიღები, ამოსავალ წერტილად ვიყენებთ ტერიტორიულად და ქრონოლოგიურად ყველაზე ახლო მდგომ აღმოსავლეთ საქართველოს ადრესამიწათმოქმედო კულტურის ქვედა აბსოლუტურ თარიღებს.

უქანასკნელი გამოკვლევების მიხედვით, შესწორებული ნახშირბადული (C₁₄) თარიღების საფუძველზე, აღმოსავლეთ საქართველოს ადრენეოლითური ხანის კულტურა ძვ. წ. VI ათასწლ. თარიღდება და ზოგადად თანადროული ჩანს წინა აზიის ადრეხალკოლითის ხანის კულტურებისა. ხოლო მისი საწყისები შესაძლებელია ძვ. წ. VII ათასწლეულში გადადიოდეს⁹⁵. ამგვარი ვარაუდის საფუძველს იძლევა როგორც ძვ. წ. VII ათ. დათარიღებული წინააზიური ანალოგები, ასევე ხრამის დიდი გორისა და არახლოს ზედა ფენების შესწორებული ნახშირბადული (C₁₄) თარიღები, რომლებიც ძვ. წ. VI ათასწლეულის შუახანებით თარიღდება. აღნიშნული ძეგლების კულტურულ ფენათა სიმძლავრე მათი ქვედა ფენების საკმაოდ ადრეულ დათარიღებაზე უნდა მიგვანიშნებდეს⁹⁶. ამდენად, თუ გავიზიარებთ მოსახრებას აღმოსავლეთ საქართველოს ადრენეოლითური კულტურის აბსოლუტური თარიღის დაძველების შესახებ. რაც საკვებით დასაშვებია, მაშინ ისმის საკითხი საქართველოს ნეოლითური კულტურის დაძველების შესახებაც. ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნდა დავუშვათ, რომ გვიანნეოლითის ზედა საზღვარი შეიძლება გადავიტანოთ ძვ. წ. VII ათასწლეულის ბოლოს. ნეოლითის ზედა თარიღის აღნიშნული ცვლილებები გავლენას ახდენს ნეოლითის ქვედა საზღვრის განსაზღვრაზეც. შესაბამისად, ისიც ძველდება. ნეოლითის ადრეული საფეხური შესაძლებელია დაძველდეს ძვ. წ. IX ათასწლეულამდე.

94 გ. ქავთარაძე. საქართველოს ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე. თბ., 1981, გვ. 37.

15 იქვე. გვ. 36.

96 იქვე.

**დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის
განვითარების მესამე საფეხური**

დასავლეთ ამიერკავკასიის ოდიშის ადრესამიწათმოქმედო კულტურაში მომხდარმა ძირეულმა ცვლილებებმა შემდგომი განვითარება განიცადეს. მწარმოებლური მეურნეობის ხვედრითი წონის ზრდის საფუძველზე მკვიდრდება ნეოლითური გარდაქმნების შედეგები. ამ ეკონომიკურმა პროგრესმა, განვითარების გარკვეულმა დონემ განაპირობა შემდგომი არსებითი ცვლილება — ლითონის ვაჩენა. თავის მხრივ, ამ თვისებრივმა სიახლემ გავლენა მოახდინა საზოგადოების კულტურულ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ეს მოვლენები მიზეზშედეგობრივი ურთიერთგანპირობებულობით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი და საბოლოო ჯამში, გვევლინებიან პროგრესული განვითარების მამოძრავებელ ძალად, რამაც განაპირობა საზოგადოების გადასვლა თვისებრივად ახალ (ენეოლითი), უფრო განვითარებულ საფეხურზე.

დასავლეთ ამიერკავკასიური, ენეოლითური კულტურის განვითარება გავრძელდა აღმავალი, სწრაფი ტემპით, მან უფრო ფართო ტერიტორია დაიკავა, ვიდრე ეჭირა ოდიშის გვიანმეზოლითურ კულტურას; მოიცვა მთელი დასავლეთ ამიერკავკასია, გავრცელდა მის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. ყვირილისა და მისი შენაკადების ხეობებში (სამელე კლდე, სამერცხლე კლდე, ძუძუანა, დარკვეთი, „საგვარჯილე“), მოიცვა მთელი რიონის აუზი, სადაც წარმოიქმნა თეთრამიწის ტიპის მკაფიო ადრესამიწათმოქმედო კულტურის ღია ნამოსახლარები (ახალსოფელი — ტყიბულის რ-ნი და ჩიხორი — თერჯოლის რ-ნი და სხვ.) და მღვიმური ძეგლები (თეთრი მღვიმე, საწურბლია, საქაჯია, საკაჯია, ორთვალა). ამავე კულტურამ მოიცვა კოლხეთის დაბლობი და შავიზღვისპირა ზოლი, საიდანაც ცნობილია აგრეთვე ღია და მღვიმური ნამოსახლარები (გვანდრას ქვედა ფენა, ჩაქვი, ოქუმი, ახშთირისა და „ოჩაენის“ მღვიმეები), მდ. რიონის შენაკადთა ხეობების აუზლებით იგი გავრცელდა საქმარო მალალ წერტილებში და როგორც მასალები მოწმობენ, დაიწყო მთიანი ზოლის (ლენტეხის, ცაგერის რ-ები) ათვისება. უკვე ჩამოყალიბებული და მყარ

ნიადაგზე დამდგარი სამიწათმოქმედო კულტურა ინტენსიურად ითვისებს სამიწათმოქმედოდ ხელსაყრელ ზემო იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის მთისძირა პლატოებს და საერთოდ, მთისძირა ზოლს, სადაც ხელსაყრელ ეკოლოგიურ პირობებთან ერთად მრავლად მოიპოვებოდა აგრეთვე მარცვლეულის ენდემური ჯიშები.

აღნიშნული კულტურის ძეგლები აშკარად მოწმობენ, რომ ენეოლითის ხანაში ამ რეგიონში ვითარდებოდა მიწათმოქმედ-მესაქონლე ტომთა კულტურა.

დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის შესამე საფეხურში ძირითადად ვაერთიანებთ ენეოლითის ხანის სხვადასხვა ეტაპის ძეგლებს, რომელთა ქრონოლოგიური გამოიჯნა ადრე-ბრინჯაოს (ადრეული ეტაპი) კომპლექსებისაგან, კვლევის თანამედროვე დონეზე აღნიშნულ ძეგლთა სუსტი შესწავლის გამო, ჯერ საბოლოოდ დასრულებული არ არის. ამიტომ მესამე საფეხურში ენეოლითურ ძეგლებთან ერთად, ზოგიერთ შემთხვევაში, ხვდება აგრეთვე ჯერჯერობით გაუთიშავი გვიანეოლით-ადრეობრინჯაოს ხანის კომპლექსებიც.

დასავლეთ ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურა წარმოდგენილია ძეგლების ორი მკაფიო ჯგუფით: მღვიმური და ღია ნამოსახლარებით, რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ, მოიცავენ მთელ დასავლეთ ამიერკავკასიას, თუმცა შესწავლილი ძეგლების დიდი ნაწილი ჯერჯერობით თავმოყრილია მდ. რიონ-ყვირილასა და მათი შენაკადების ხეობებში.

ენეოლითური კულტურის ძეგლების რაოდენობა სადღეისოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მათი შესწავლისა და გამოქვეყნების საქმე კვლავინდებურად საგრძნობლად ჩამორჩება. კომპლექსების დიდი ნაწილი გამოუქვეყნებელია. აღნიშნული კულტურის მღვიმური ძეგლებიდან მონოგრაფიულად შესწავლილია მხოლოდ სამეღე კლდე და დარკვეთის ეხი¹.

ენეოლითური კულტურის დახასიათებისა და თავისებურების გამოვლენის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზოგადად მიმოვიხილოთ ეს ძეგლები.

იმის გამო, რომ სტრატეგრაფია ყველაზე უკეთ მღვიმურ ძეგლებზეა დაცული და ამასთანავე, ისინი უკეთაა შესწავლილი, ძეგლების მიმოხილვას მღვიმური ნამოსახლარებიდან დავიწყებთ.

პირველი მღვიმური ნამოსახლარი გაითხარა თერჯოლის რ-ში,

¹ გ. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი. დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ისტორიისათვის. საქანდიდატო დისერტაცია. თბ., 1972; ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე დარკვეთის მრავალფენიანი ეხი. თბ., 1978.

მდ. ძვერულას მარცხენა ნაპირზე მდებარე მრავალფენიან მღვიმე „საგვარჯილეში“² (II ფენა).

საგვარჯილეს II ფენა წარმოდგენილი იყო თიხის ჭურჭლის მრავალრიცხოვანი ფრაგმენტებით, კაჟის, ქვისა და ძვლის იარაღებითა და წარმოების ნარჩენებით. კაჟის მასალაში დიდი ადგილი ეკირა საფხეკებს, საჭრისებს, სახერეტებსა და კომბინირებულ იარაღებს. კაჟის ინდუსტრიას მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული ფორმები არ ახასიათებს. აქ მრავლადაა წარმოდგენილი ქვის სხვადასხვა ქანებისაგან დამზადებული გახეხილ-გაპრიალებული სოლისებური ცულები, ტრაპეციის მოყვანილობის სათლელ-საჭრეთლები და სატეხები. საყურადღებოა ქვისა და თიხის სხვადასხვა მოყვანილობისა და განივევების მქონე სამაჯურის ნატეხები. დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი კაჟის სხვადასხვა სახის ყუნწიანი და უყუნწო შუბისპირი და ისრისპირი, ძვლისა (ნემსები, სადგისები, საპრიალებლები და სხვ.) და რქის იარაღები. ამ უკანასკნელთა დიდ ნაწილს ნ. ბერძენიშვილი მიწათმოქმედებას უკავშირებდა³.

კერამიკა აქ ძირითადად ორი განსხვავებული ჯგუფითაა წარმოდგენილი: მონაცრისფროდ გამომწვარი, ბრტყელძირა, მრგვალტანიანი, ძაბრისებურყელიანი ჭურჭლებით და წითელპრიალა, მრგვალძირიანი, სფერულტანიანი, დაბალყელიანი ჭურჭლებით. ბევრია კვირის-ტავები.

საგვარჯილეს II ფენაში ნაპოვნია ლითონის ნივთები: დარიშხანიანი (9,46%) სპილენძისაგან დამზადებული სადგისი, ლითონის ნემსი და ორი პატარა ანკესი. დიდი რაოდენობითაა შინაური და გარეული ცხოველების ძვლები⁴.

საგვარჯილე დიდხანს რჩებოდა ნეოლით-ენეოლითის ფენების შემცველ, კავკასიის ერთადერთ მღვიმურ ძეგლად, რის გამოც მისი თარიღი იწვევდა დავას.

საგვარჯილეს II ფენა ნ. ბერძენიშვილმა (კილაძე) ნეოლითით

2 ნ. კილაძე (ბერძენიშვილი). მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი „საგვარჯილე“.

3 ნ. კილაძე (ბერძენიშვილი). დასახ. ნაშრ. გვ. 57. მისივე პირველყოფილი მიწათმოქმედების ისტორიისათვის საქართველოში. გვ. 275.

4 ნ. ბუჩუაძე (ბერძენიშვილი). საგვარჯილეს გამოქვაბულის (იშერეთი) ხერხემლიანთა შესწავლისათვის. — სპელეოლოგთა X სამეცნიერო სესია. მოხსენებათმ. მოკლე შინაარსი. თბ., 1972, გვ. 9—13.

დაათარიღა⁵. თარიღი წინასწარული იყო, თუმცა იგი მალე დამკვიდრდა არქეოლოგიურ ლიტერატურაში⁶.

როგორც ცნობილია, ნეოლით-ენეოლითური კომპლექსები, ქრონოლოგიური და კულტურული სიახლოვის გამო, დიდ მსგავსებას ამჟღავნებენ ერთმანეთთან (ლითონი კომპლექსებში იშვიათად გვხვდება, შრომის იარაღები კი ძირითადად ქვისაგან მზადდებოდა). აღნიშნულ ვითარებაში მეტად ძნელი იყო ამ ეპოქების დამახასიათებელი და დამათარიღებელი ნიშნების გამოყოფა და მათი გამოიჭენა წინა და მომდევნო ხანის ძეგლებისაგან. ამას ემატებოდა აგრეთვე ის, რომ ნეოლით-ენეოლითის შესწავლის ადრეულ საფეხურზე მთელ კავკასიაში გამოვლენილი იყო მხოლოდ ორიოდე ღია ნეოლითური ნამოსახლარი, ხოლო მღვიმური ენეოლითური ძეგლი მანამდე დას. საქართველოდან უცნობი იყო. ზემოთქმულის გამო, დასავლეთ ამიერკავკასიის მრავალი ენეოლითური ძეგლი (თეთრამიწა, ანშთირი I, „ოჩაენი“ საგვარჯილეს II ფენა), ასევე ჩრდილო კავკასიის ძეგლები (დოლინსკოე, აგუბეკოვო და ნალჩიკის ნამოსახლარები) ნეოლითისადმი იყო მიკუთვნებული, ხოლო „მტკვარ-არეზისა“ და მაიკოპის კულტურები მთლიანად მოქცეული იყო ენეოლითის ეპოქაში.

60-იან წლებში ახალმოჩენილი ნეოლითური ძეგლებისა და საგვარჯილის (II ფენა) ტიპის მღვიმური ნამოსახლარების კომპლექსების დეტალურმა შესწავლამ, ასევე თვით საგვარჯილე II-ის მასალის სტრატиграფიულმა და ტიპოლოგიურმა ანალიზმა საფუძველი შექმნა აღნიშნული ძეგლის გადათარიღებისათვის⁷.

სტრატиграფიული და ტიპოლოგიური⁸ ანალიზისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საგვარჯილის II ფენის უძრავი (in situ) მონაკვეთებიდან მომდინარე მასალასა და აგრეთვე, დარღვეულ ფენებში აღმოჩენილ ნივთებს, რომლებსაც გამთხრელი ნეოლითურად მიიჩნევდა⁹.

5 ნ. კილაძე (ბეჩქენიშვილი). მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი „საგვარჯილე“; მისივე. ახალი ქვის ხანა. საქართველოს არქეოლოგია. § 3. (ტაბ. VI). თბ., 1959.

⁶ Б. Б. Пиотровский. Археология Закавказья. Л., 1949.

⁷ Л. Д. Небнеридзе. Неолит З-підного Закавказья. Автореферат кандидатской диссертации. Тбилизи, 1967, გვ. 12—13; დ. თუშაბრამიშვილი, ლ. ნეპიერიძე. საქართველოს ზოგიერთი „ნეოლითური“ ძეგლის დათარიღებისათვის. გვ. 76—84; ლ. ნეპიერიძე. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი. თბ., 1972, გვ. 84—88.

⁸ დ. თუშაბრამიშვილი, ლ. ნეპიერიძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 77—78.

⁹ სტრატиграფიულად და ტიპოლოგიურად შესწავლილია ს. ჯანაშიას სახ. სა-

როგორც ცნობილია, საგვარჯილეში ნეოლითური უძრავი ფენა, რომლის სიმაღლეც 3 მეტრს აღემატებოდა, შემორჩენილი იყო შესასვლელში, წინა და ნაწილობრივ შიდა ფართობზეც¹⁰.

აღნიშნული ფართობის სხვადასხვა სიღრმიდან მომდინარეობს ნეოლითურად მიჩნეული მასალა¹¹ — ქალის ქანდაკება (კოლ. 1—55—452), ქვის სამაჯური (1—55—679), ძვლის ნემსი (1—55—537) — აღმოჩენილია უძრავი ფენის 1,00 მ, 1,40 მ და 1,50 სიღრმეებზე. იმავე უძრავი ფენის 1,30 მ. სიღრმეზე აღმოჩნდა თიხის სამაჯურის ნატეხი (1—55—800), 1,70 მ სიღრმეზე — ქვის ცული (14—54—211), 1,75 მ-ზე — ისრის პირები (1—55—721), 1,55—1,80 მ-ზე — ქვის სამაჯურის ფრაგმენტები (14—34—166, 247), 1,50 მ — თოხისებური იარაღი, ხოლო 1.60 მ სიღრმეზე ნაპოვნია ლითონის (სპილენძი თუ ბრინჯაო) ლერო (1—55—814).

იგივე სურათი ჩანს დარღვეული (არა in situ) ფენების მასალის სტრატეგრაფიული ანალიზიდანაც: ქვის ცული 1,60 მ სიღრმეზე აღმოჩნდა, სათლელი (1—55—599) — ამავე ფენის 2,80 მ სიღრმეზე, საკიდი (1—55—713) — 1,90 მ სიღრმეზე. 2,20—3,00 მ სიღრმეზე — თიხისა და ქვის სამაჯურები, ბოლოამოღარული ისრისპირი, ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღები; თოხისებური იარაღი (1—55—536) 2,50 მ სიღრმეზე; ამავე ფენის 1,90 მ სიღრმეზე ნაპოვნია ლითონის ნივთის ნატეხი (1—55—841), 2,25 მ — ლითონის ნემსი (1—55—755), 2,20 მ — ლითონის (სპილენძი თუ ბრინჯაო) ორი პატარა ანკესი (1—55—807, 809).

მოტანილი სტრატეგრაფიული მონაცემებიდან ირკვევა, რომ „ნეოლითური“ მასალის დონეზე და უფრო ქვემოთ ლითონის ნივთებია ნაპოვნი. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ საგვარჯილე II-ის კერამიკა თავისი ტიპოლოგიურ-ტექნოლოგიური ნიშნებით ნეოლითზე გვიანდელია და ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანას შეესაბამება.

ამგვარად, საგვარჯილეს II ფენაში მოპოვებული, ნეოლითურად ცნობილი მასალის 90%-ზე მეტი, სინამდვილეში, გაცილებით ახალ-

ქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის ხანის ფონდში დაცული საგვარჯილეს კოლექცია (კოლ. № 14—54 და 1—55). იხ. დ. თუშაბრამიშვილი, ლ. ნე-ბიერძე. დასახ. ნაშრომი.

10 ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 563—566; ი. გრძელი-შვილი, საგვარჯილეს სტრატეგრაფიისათვის. — საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. X!V, № 9, 1953, გვ. 573.

11 ნ. ბერძენიშვილი (კილაძე). მრავალფენიანი არქეოლოგიური ქვე-ლი საგვარჯილე. გვ. 76—84; მისივე. ახალი ქვის ხანა.

გაზრდა და გვიანნეოლითური ხანით (შესაძლოა, აღრებრინჯაოს ეპოქითაც) უნდა დათარიღდეს¹².

სტრატეგრაფიის საფუძველზე მიღებულ დასკვნებს ასაბუთებს აღნიშნული (II ფენა) კომპლექსის შემადგენელი ელემენტების შედარებით-ტიპოლოგიური შესწავლაც¹³.

განვიხილოთ საგვარჯილე II ქვის ინდუსტრიის დამახასიათებელი ნიშნები, მისი შემადგენელი ელემენტები და შევადაროთ ისინი დასავლეთ კავკასიისა და წინა აზიის ნეოლითური და ენეოლითური ძეგლების ქვის დამუშავების ტექნიკის თავისებურებებსა და იარაღთა წამყვან ფორმებს.

საგვარჯილე II-ის ქვის ინდუსტრიის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია მიკროლითური ტექნიკისა და გეომეტრიული მიკროლითების მნიშვნელობის დაცემა, ხმარებიდან მათი გამოსვლა. ეს უკანასკნელი კი ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანია დასავლეთკავკასიური მეზოლითური და ნეოლითური ძეგლებისათვის. ნიშანდობლივია, რომ საგვარჯილეს ქვედა, მეზოლითურ ფენას მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული ფორმები ახასიათებს. ცხადია, ამ ძეგლის II ფენაში მიკროლითური ტექნიკის გაქრობა მისი ქრონოლოგიური ადგილის მაჩვენებელი უნდა იყოს. მიკროლითური ტექნიკის დაცემა, გეომეტრიული ფორმის ჩასართების რაოდენობის მინიმუმამდე შემცირება ან საერთოდ მათი არარსებობა ახასიათებს სამხრეთის რეგიონების ლითონის ხანის (ენეოლითი, აღრებრინჯაო) ძეგლებს. ზოგჯერ თითო-ორიოჯი გეომეტრიული მიკროლითი, გადმონაშთის სახით, კიდევ განაგრძობს არსებობას დასავლეთ ამიერკავკასიის ზოგიერთ ენეოლითურ ნამოსახლარზე (სამეღე კლდე, დარკვეთი), ხოლო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ძეგლებზე მათი რაოდენობა შედარებით მეტია.

საგვარჯილის კაჟის იარაღებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შუბისპირებსა და ისრისპირებს. ისინი გამოირჩევიან სიმრავლითა და ფორმათა მრავალფეროვნებით. ეს ნიშანი განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან ჭერჭერობით არც ერთ ნეოლითურ ძეგლზე არა გვაქვს ისრისპირებისა და შუბისპირების სიჭარბე. პირიქით, ნეოლითურ კომპლექსებში ან საერთოდ არ გვხვდება აღნიშნული იარაღები, ან თუ გვხვდება, ისიც თითო-ორიოჯი. ისრისპირებისა და შუბისპირების დიდი რაოდენობა კი სწორედ ლითონის ხანის ნამოსახლარებისათვისაა დამახასიათებელი. საგვარჯილე II-ის ისრისპირები და შუბისპირები, ისევე როგორც ენეოლითის ხანის მსგავსი იარაღ-

12 დ. თუ შაბრაში შვილი, ლ. ნე ბი ე რ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი. გვ. 77—78.

13 ლ. ნე ბი ე რ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი. გვ. 84—87.

ბი, დამზადებულია ანატკეცებზე ორმხრივდამუშავების ტექნიკით.

კაუის ორმხრივდამუშავებული ნამგლისპირები საგვარჯილე II კომპლექსში, ქრონოლოგიური თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე მეტყველი ელემენტია: მსგავსი იარაღები ცნობილი არ არის კავკასიის, წინა აზიისა და შუა აზიის ნეოლითური ძეგლებიდან. ნეოლითის ხანაში მათ ფუნქციას ასრულებდნენ სწორწახნაგა ლამელები, რომლებიც სამკელი დანების ჩასართებად იხმარებოდა. ორმხრივდამუშავებული ნამგლისპირები არ ახასიათებს აღმოსავლეთ ამიერკავკასიისა (შულავერ-შომუთეფეს კულტურა) და წინა აზიის (ხასუნა, სიალკ II) ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებს. კაუის ორმხრივდამუშავებული ნამგლისპირები გვხვდება „მტკვარ-არეზის“ კულტურის ძეგლებში.

ლითონის ხანის ძეგლების ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი ნეოლითურისაგან არის აგრეთვე კვირისტავები. ჭერჭერობით, დასავლეთ კავკასიის არც ერთ ნეოლითურ ძეგლზე კვირისტავები ნაპოვნი არ ყოფილა. არ გვხვდება ისინი, აგრეთვე, არც სამხრეთის ნეოლითურ კომპლექსებში. დასავლეთ კავკასიაში და, საერთოდ, მთელ ამიერკავკასიაში, აგრეთვე წინა აზიაში, კვირისტავები ლითონის ხანაში ჩნდება (დარკვეთის, სამელე კლდის, სამერცხლე კლდის, თეთრი მღვიმის და ახშთირის ზედა ფენები; მერსინი, ამუკი).

აღსანიშნავია კიდევ ერთი არსებითი ელემენტი საგვარჯილე II კომპლექსისა, ესაა ქვისა და თიხის სამაჯურები. დასავლეთ კავკასიის ნეოლითურ ძეგლებში სამაჯურები არ გვხვდება. მათი გამოჩენა ლითონის ხანას ემთხვევა. დიდი რაოდენობით გვხვდება ისინი მთელი დასავლეთ კავკასიის ლითონის ხანის სხვადასხვა საფეხურის ნამოსახლარებზე (დარკვეთი, სამერცხლე კლდე, თეთრამიწა, „ოჩაენი“, მემოკო, ნალჩიკის სამაროვანი, სკალა, ვესიოლი, კამენომოსტსკოეს ზედა ფენა და სხვ.).

აქ ჩვენ განვიხილეთ საგვარჯილის II ფენის კომპლექსის მთავარი, დამახასიათებელი ელემენტები, რომლებიც განასხვავებენ მას ნეოლითური ძეგლებისაგან. ზემოთ მოტანილი მასალა გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ექცევა, რის გამოც არსებითი მნიშვნელობა აქვს ძეგლის დათარიღებაში. ტიპოლოგიური შედარებიდან ირკვევა, რომ აღნიშნული კომპლექსი ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანას განეკუთვნება.

საგვარჯილეს (II) სხვა დამახასიათებელი ნიშნებიც გააჩნია: იარაღების დიდი ნაწილი დამზადებულია ანატკეცებისაგან, ორმხრივი წნევითი რეტუშის მეშვეობით. ნეოლითურ ძეგლებზე კი იარაღების უმეტესობა ვიწრო, თხელ. სწორწახნაგა ლამელებზეა ჩამოყალიბებული და წნევითი რეტუშით იშვიათია. კოლექციას საჭრისები თითქმის არ ახასიათებს, ნეოლითურ ძეგლებში კი ისინი ჰარბადაა.

აღსანიშნავია საგვარჯილეს (II) რიყის ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღები, რომლებიც ფორმით განსხვავდებიან ნეოლითურისაგან. მათში წამყვანი ადგილი უჭირავს ტრაპეციის ან სამკუთხედის განივკვეთის მქონე, მომალლო სატეხ-სათლელებს, ცულების რაოდენობა კი შედარებით ნაკლებია. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ ძეგლებში — პირიქით, წამყვანი ადგილი ცულებს ეკუთვნის. საგვარჯილის რიყის ქვის იარაღების დიდი ნაწილი ცალპირლესილია, ასეთი იარაღები ცნობილია ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარებიდან (სამელე კლდე, სამერცხლე კლდე, თეთრამიწა, ახშთირი, ვორონცოვის მღვიმე), ხოლო ნეოლითურ ძეგლებში ისინი იშვიათია. ლ. სოლოვიოვი მსგავსებას ხედავდა ვორონცოვისა და საგვარჯილეს მღვიმეების რიყის ქვის იარაღებს შორის¹⁴.

საგვარჯილეს კომპლექსის მსგავსება მეშოკოს (ქვედა ფენა), სკალას, ნალჩიკის სამაროვნისა და ვორონცოვის მღვიმეების მასალებთან აღნიშნულია არქეოლოგიურ ლიტერატურაში¹⁵.

საგვარჯილეს (II ფენა) მასალის ანალიზიდან ჩანს, რომ დასავლეთ კავკასიის გვიანნეოლითის ძეგლები მას ქრონოლოგიურად წინ უსწრებენ. საგვარჯილეში უკვე გვაქვს კარგად განვითარებული სოლისებური ცულები, კაყის ნამგლისპირები, კვირისტავები, ნავისებური ხელსაფქვავები, სამაჯურები, ყურიანი და პირგადაშლილი სხვადასხვა ფორმის თიხის კურქელი¹⁶, ე. ი. ყველა ის ნიშანი, რაც დამახასიათებელია ლითონის ხანის ძეგლებისათვის. თუ ყოველივე ამას დავუმატებთ იმასაც, რომ საგვარჯილეში, აღნიშნული მასალის დონეზე და უფრო ქვემოთაც, ნაპოვნია ლითონის ნივთები, მაშინ უფრო ცხადი ხდება, რომ საგვარჯილის II ფენა ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანას განეკუთვნება.

საგვარჯილის II ფენის კომპლექსი ასე დეტალურად აქ იმითომ განვიხილეთ განმეორებით¹⁷, რომ იგი იყო დასავლეთ ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურის პირველი მღვიმური ძეგლი, რომლის ნეოლითური თარიღი დიდხანს სადავო იყო. ამას გარდა, მისი თარიღის საბოლოო დადგენას გარკვეული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს

¹⁴ Л. Н. Соловьев. Новый памятник культурных связей Кавказского Причерноморья в эпоху неолита и бронзы—Стоянки Воронцовской пещеры.—Труды Абхазского ин-та языка, литературы и истории, т. XXI. Сухуми, 1958, с. 140.

¹⁵ Л. Н. Соловьев. დასახ. ნაშრომი, გვ. 139.

¹⁶ საგვარჯილეს II ფენის კერამიკული მასალის შედარებითი სტრატეგრაფიული ანალიზი გაკეთებულია გ. ფხაკაძის მიერ.

¹⁷ დ. თუშაბარამიშვილი, ლ. ნებიერიძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 76—81.

მის შემდეგ აღმოჩენილი ამავე კულტურის ძეგლების დათარიღებაში-
განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა უკანასკნელ წლებში
ზემო იმერეთში მღვიმური ენეოლითის აღმოჩენამ. ამ ძეგლებს მიმო-
ვიხილავთ მათი აღმოჩენის თანამიმდევრობით.

ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კულტურული ფენების შემცველი
ძველი აღმოჩენილი იყო მდ. ჭრუჭულას მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ზო-
ლის (ჭიათურის რ-ნი) მიდამოებში მდებარე მღვიმე სამეღე კლდე-
ში¹⁸ (ტაბ. 24—25).

აქ დადგინდა სამი კულტურული ჰორიზონტი, რომლებიც ერთ-
მანეთისაგან გამოყოფილი იყო თიხის მოტყეპნილი იატაკის დონე-
ებით. ფენების საერთო სიძლიავე 3,5 მ უდრიდა. სამეღე კლდის
ფენების დიდი ნაწილი დარღვეულია, უძრავ მდგომარეობაში გადარ-
ჩენილია მხოლოდ მცირე ნაწილი. მასალას დავახასიათებთ დაურღვე-
ველი დონეების მიხედვით¹⁹ (ტაბ. XXIV—XXV).

1 ჰორიზონტის (ზედა) ქვის ინვენტარი წარმოდგენილია სხვადა-
სხვა ფორმის ნუკლეუსებით (პრიზმული, კონუსური), ანატაკეც-ანა-
ტეხებით, დანისებური ლამელებით, ორმხრივდამუშავებული შუბის-
პირებითა და ისრისპირებით, კიდურა საფხეკებით, ცალმხრივ- და ორ-
მხრივლესილი სათლელ-სატეხებით. ნაპოვნია ხელსაფქვავეები. ძვლის
იარაღები წარმოდგენილია მახათებით, სადგისებით და რქის იარა-
ღებით. ბევრია უორნამენტო და ორნამენტირებული კვირისტავეები.
ორნამენტი წარმოდგენილია წერტილებიანი, წიწვიანი და სხვივსებუ-
რი ჭდეებით. ეს ჰორიზონტი კერამიკის მრავალფეროვნებით გამოირ-
ჩევა. ჭურჭლების მთლიანად აღდგენა არ ხერხდება, მაგრამ ფორმის
წარმოდგენა შესაძლებელია. ჭურჭელი ძირითადად ქილისებურია, ოდ-
ნავ გამობერილობულნიანებიც გვხვდება. თიხა უხეშადაა ნაზელი, შეი-
ცავს ქარსის, კვარცისა და კირის წვრილ მინარევებს. ყურადღებას
იქცევს დაჭდეულპირიანი, პირთან ნაჩერეტებშემოვლებული, ბრტყელ-
ძირა და აგრეთვე მრგვალძირა ჭურჭლის ნატეხები. გვხვდება ბრტყელ-
ძირა, დაბალქუსლიანი ჭურჭლის ძირებიც, ოდნავ გაშლილპირიანი,
მომრგვალოძირიანი დერგისებური ჭურჭლის ნატეხები. არის სქელ-
კეციანი, სარჩულიანი და ასევე თხელკეციანი თიხის ჭურჭლის ნატე-
ხები. გვხვდება გაპრიალებული კერამიკაც. 1 ჰორიზონტის ქვედა დო-
ნე წარმოდგენილი იყო ბუნარევი, გადალესილი, საკმაოდ მკვრივი,
7—8 სმ. სისქის თიხის იატაკით.

II ჰორიზონტში, პირველთან შედარებით, გაცილებით მეტია კა-
ქის, ქვის, ძვლის, რქისა და კერამიკული მასალა. კლებულობს კვი-

¹⁸ გ. ჭაეახიშვილი. დასახ. ნაშრ.

¹⁹ გ. ჭაეახიშვილი. იქვე.

რისტავების რაოდენობა. კაჟის ინვენტარი წარმოდგენილია ლამელე-
ბით, კიღურა საფხეკებით და წარმოების ნარჩენებით (ნუკლეუსებით
და ანატეკე-ანატეხებით). საყურადღებოა აქ გეომეტრიული მიკრო-
ლითების — ტრაპეციების — პოვნა. ეს ჰორიზონტი ხასიათდება ორ-
მხრივდამუშავებული ყუნწიანი შუბისპირებით. მრავლადაა ძვლის
იარაღები — სადგისები, მახათები, სახვრეტები, საპრიალებლები, რქი-
საგან ნაკეთებია მრავალნაირი მიწის საჩიჩქნები.

ამ ჰორიზონტის კერამიკული მასალა ანალოგიურია I ჰორიზონ-
ტისა, იმ განსხვავებით, რომ აქ მეტია თხელკედლიანი წითელპრიალა
სხვადასხვა ზომის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებიც ჰარბად შეიცავს
კვარცისა და ქარსის მინარევებს. აქ გვხვდება მომრგვალოძირიანი და
ბრტყელოძირა ქუსლიანი ჭურჭლებიც. ჭურჭლის ბაკო ხშირად სწორია,
იშვიათად გადაშლილი. გვხვდება მისი დაქდვის შემთხვევები ტეხილ-
ზოლიანი ორნამენტით.

ამავე ჰორიზონტში 2,60 მ სიღრმეზე აღმოჩნდა ტიგელი, ხოლო
2,50 მ-ზე — სპილენძის ოთხკუთხა განიკვეთის ისრისპირი, მსგავსი
ქვაბულების ისრისა (ძვ. წ. III ათ.). დაახლოებით ამავე პერიოდი-
საა კაჟის ისრისპირები, შუბისპირები და თიხის დაჩვრეტილი, უძირო
ჭურჭელი. სამეღე კლდეში ჭურჭლის პირის დაქდვის შემთხვევები
უფრო ხშირია, ვიდრე დარკვეთის ზედა ფენებში, სამერცხლესა და
ძუძუნანაში. ამასთანავე, ეს პირდაქდული ჭურჭელი ანალოგებს პო-
ლობს ანასეულ II-ისა და ოდიშის მსგავს ნაკეთობებთან. სამეღე
კლდის კერამიკის ერთი ჯგუფი (პირდაქდული ჭურჭლები) ახლო
მსგავსებას ავლენს დას. საქართველოს ნეოლითურ კერამიკასთან. დარ-
კვეთის, სამერცხლესა და ძუძუნანას ზედა ფენებში ამგვარი კერამიკა
არ გვხვდება. ქვედა დონე პირველის მსგავსად წარმოდგენილია თი-
ხით მოლესილი იატაკით.

III ჰორიზონტი სტრუქტურულად არ განსხვავდება მეორისაგან.
აქ განსაკუთრებული სიჭარბეა კაჟისა და ძვლის მასალისა. ხელსაფქვა-
ვები და კვირისტავები თითქმის ქრება. ეს დონე არქაული მასალის
შემცველია, მასში ვხვდებით ქვედა ფენის მასალებსაც. კაჟის მასალა
აქ ზედა ფენის ანალოგიურია და ემატება ტრაპეციები და ბლაგვზურ-
გა ლამელები. ქვის მასალა წარმოდგენილია სოლისებური ცულებით.
ძვლის ნაკეთობებიდან გვხვდება სადგისები, რქისა და ძვლის ღარი-
ანი იარაღები. კერამიკა ხასიათდება დაბალქუსლიანი, ბრტყელოძირა,
ქილისებური ჭურჭლის ფრაგმენტებით. სამეღე კლდის სამივე ჰორი-
ზონტში მრავლადაა ფუნქციური ნაშთები. პალეონტოლოგ ო. ბენ-
დუქიძის განსაზღვრით, მათი ნაწილი ეკუთვნოდა შინაურ ცხოვე-
ლებს (იხ. ცხრილი).

სამელე კლდის I პორიზონტს გ. ჯავახიშვილი, სრულიად მართებულად, ადრებრინჯაოს ხანას აკუთვნებს, სულ ქვედა, მესამეს კი — ნეოლითიდან ენეოლითზე გარდამავალ ხანას²⁰.

ამავე კულტურის შემდეგი ძეგლი აღმოჩნდა ჯრუჭულას ხეობის მარჯვენა ნაპირზე, ს. ქვედა ზოდის (ჭიათურის რ-ნი) მახლობლად მდებარე სამერცხლე კლდეში, ითხრებოდა ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის თბილისის სახ. უნივერსიტეტის რაზმის მიერ (რაზმის უფროსი მ. ნიორაძე) დ. თუშაბრამიშვილის ხელმძღვანელობით. მასში გამოვლინდა სამი კულტურული ფენა, აქედან პირველი ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანითაა დათარიღებული²¹.

სამერცხლე კლდის ზედა ფენაში აღმოჩენილი იქნა მრავალრიცხოვანი კერამიკის ფრაგმენტები, ქვისა და ძვლის იარაღები.

კერამიკაში ძირითადად ორი მკაფიო ჯგუფი გამოიყოფა: 1. წითელპირილა, თხელკეციანი, მუცელგამობერილი, მრგვალძირიანი, ძაბრისებრყურებიანი ჭურჭლები, რომლებიც გარკვეულ მსგავსებას იჩენენ მაიკოპის კულტურის ჭურჭლებთან, და 2. ბრტყელძირა, ცილინდრულყელიანი ჭურჭლები მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი. ჭურჭლების უმრავლესობა ბრტყელძირაა, ძირიდან კედლებზე ქუსლიანი გადასვლით. ძირებზე შეიმჩნევა სპირალისებური წითელი ზოლების ანაბეჭდები. აქვე ნაპოვნია ფიალისებური, მრგვალძირიანი ჭურჭელი. სამერცხლე კლდის ჭურჭლებზე არ გვხვდება ყურები. ბაკოს დაქდევის სამი შემთხვევაა დადასტურებული. არის ნასვრეტებიანი ფრაგმენტები, ორნამენტებიდან აღსანიშნავია მეჭეჭები. სამერცხლე კლდის მასალებში დიდი ადგილი უჭირავს ქვის სხვადასხვა ქანისაგან დამზადებულ ცულებს, სათლელებსა და სატეხებს. იარაღები კარგადაა გახეხილ-გაპირილებული. ისინი განივკვეთში ან ტრაპეციისმაგვარია, ან ოვალური. აქვე ნაპოვნია მათი ნახევარფაბრიკატები. იარაღებიდან სჭარბობს კაჟის ორმხრივდამუშავებული შუბისპირები და ისრისპირები, ზომით ისინი უფრო დიდია, ვიდრე ანალოგიური იარაღები ძუძუნას მღვიმიდან. უმრავლესობას წაგრძელებული სამკუთხედის მოყვანილობა აქვს. შუბისპირები ყუნწიანია, არის უყუნწოც, ჩნდება ფუძემოლარული, დიდი ზომის შუბისპირებიც²².

კვირისტავეები აქ ცოტაა, უორნამენტო და დიდი ზომისა. მიკროლითური ტექნიკა მთლიანად წყვეტს არსებობას. სამერცხლე კლდის

20 გ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 96.

21 დ. თუშაბრამიშვილი. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშები. — საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები. ტ. I—V, 1969—1977.

22 იხ. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ფონდები. კოლ. № 150—970.

ზედა ფენებში აღმოჩნდა ტიგელი და ყალიბი. ფაუნა განსახლვრული არ არის.

ქიათურის რაიონის სოფ. მღვიმევის მახლობლად, ნიკრისის დელის მარჯვენა ნაპირზე გამოვლინდა კიდევ ერთი მრავალფენიანი კარსტული მღვიმე — ძუძუანა. მისი პირველი (ზედა) ფენა ენეოლითადრებრინჯაოს ხანის მასალებს შეიცავდა²³.

ამ ფენაში დიდი რაოდენობით იქნა აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, კაეისა და ქვის სხვადასხვა ქანებისაგან დამზადებული იარაღ-ხელსაწყოები. აღნიშნული მასალები მსგავსია დარკვეთის ხეის ზედა ფენების (II—III ფენა) მასალებსა.

ძუძუანას კერამიკა ძირითადად ორი განსხვავებული ჯგუფის თიხის ნაკეთობებითაა წარმოდგენილი. სუპარობს გაუპრიალებელი, ცილინდრულყელიანი, მრგვალძირიანი ნატეხები, ორნამენტის ერთ-ერთი სახეა „მეჭეჭები“, ერთ შემთხვევაში შეინიშნება რელიეფური მინაძერწი ვიწრო ზოლის სახით. მეჭეჭიანი ორნამენტით შემკული ჭურჭლები გაპრიალებული ყოფილა და ჭარბად ურევია ქარსი. ამ ნიშნით ეს კერამიკა ჰგავს დარკვეთისა და სამერცხლე კლდისას.

მეჭეჭიანი ორნამენტი ძუძუანაში გაცილებით უფრო ხშირია, ვიდრე დარკვეთში: დარკვეთის მესამე ფენაში სულ სამიოდე შემთხვევაა, მეორე ფენაში კი ჭურჭლებზე მეჭეჭები საერთოდ არ გვხვდება. საინტერესო ელემენტია ბაკოს დაქდევა, რისი შემთხვევებიც ძუძუანაში უფრო ხშირია, ვიდრე დარკვეთში. აღსანიშნავია გაპრიალებულ ჭურჭელზე ბაკოს დაქდევისა და მეჭეჭიანი ორნამენტის შერწყმის შემთხვევები. ძირების უმეტესობა მრგვალია, ან მორგვალ-მობრტყელო, ბრტყელი — იშვიათია. ისინი მრგვალად გადადის კედლებზე. ძირები კედლებზე მკაფიო კუთხოვანი გადასვლით თითქმის არ გვხვდება. აღნიშნულ ჭურჭლებზე გვხვდება ამოკაწრული და ღრმულისებური ნაქდევები.

კერამიკის მეორე ჯგუფს ეკუთვნოდა წითელპრიალა თხელკეციანი ჭურჭლები დაბალი, განიერი, გადაშლილი ყელით, მრგვალი ძირითა და სფერული მუცლით. აღსანიშნავია წითელპრიალა სურისებური ჭურჭელი — ერთადერთი მთელი ნაკეთობა — მრგვალი ძირით, მაღალი, მილისებური ყელით და სფერული მუცლით. მეორე წითელპრიალა ჭურჭელს აქვს დაბალი, ცილინდრული ყელი და საკმაოდ სწორად გადაშლილი მხრები.

ძუძუანას კერამიკაზე ხშირად შეიმჩნევა წერნაქის კვალი, მაგრამ იგი აქ ცუდადაა შემონახული. უმეტესად ჩანს ვარდისფრად, გა-

23 დ. თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრომი.

მომწვარ შავსარჩულიან ქურქლებზე. თუმცა არის აგრეთვე მთლიანად მოყვითალო ქურქლების მოწერნაქების შემთხვევებიც. წერნაქი მოყვითალო-მოთეთროა. დარკვეთის ეხის მსგავსად, აქაც ზოგიერთ ქურქელს შიგნიდან წითელი საღებავის კვალი ამჩნევია. გვხვდება აგრეთვე ქურქლების ორივე მხრიდან წითლად შეღებვის შემთხვევებიც.

ძუძუნაში დიდი სიჭარბეა ქვის იარაღებისა. ისინი ძირითადად ბაზალტისა და სერპანტინისაგანაა დამზადებული. ეს იარაღები უმეტესად წარმოდგენილია ცალპირლესილი, ტრაპეციის ან სამკუთხა განივკვეთის მქონე ცულებითა და სათლელ-სატეხებით. იარაღები კარგადაა გახეხილ-გაპირილებული. მათში გამოირჩევა დიდი ზომის, ცალპირლესილი და მცირე ზომის, მინიატურული, ტრაპეციის განივკვეთის მქონე სათლელები, რომლებსაც მუცლის მხარე ბრტყელი აქვთ, ზურგი კი ამობურცული. ძუძუნას შუბისპირები ორმხრივდამუშავებულია, მათი ძირითადი ფორმა ფოთლისებურყუნწიანია. გვხვდება აგრეთვე სამკუთხედისებურყუნწიანი, ფუძე-ამოლარული, სწორფუძიანი და გვერდებამოლარული ცალებიც. გამოიყოფა მოგრძო ლამელებზე დამზადებული დანისებური იარაღები. ნაპოვნია ერთი კირქვის მაკროლითი. ძვლის იარაღები სადგისებითაა წარმოდგენილი. სამაჯურები ფიქალისაა და ოდნავ უფრო მასიური და განიერი, ვიდრე დარკვეთისა. მათი ნახევარფაბრიკატები ნაპოვნი არ არის. კვირისტავები აქ უფრო უხეშია.

ფაუნა საკმაოდ ჭარბად იყო წარმოდგენილი. მასში დადგინდა როგორც შინაური, ასევე გარეული ცხოველების ძვლები²⁴.

დასავლეთ საქართველოს ენეოლითური კულტურის შესასწავლად მნიშვნელოვანი მასალა იყო მოპოვებული მდ. ყვირილას მარცხენა ნაპირზე მდებარე დარკვეთის (ჭიათურის რ-ნი) მრავალფენიან ეხში, სადაც ხუთი კულტურული ფენა დადასტურდა. ეხის მეორე და მესამე ფენები ენეოლითური ხანისაა, ზედა, პირველი კი — გვიანენეოლითადრებრინჯაოსი²⁵. ეხის პირველ სამ ფენაში მოპოვებულ ნაშთებს დავახასიათებთ თანამიმდევრობით, ზევიდან ქვევით.

I ფენა ეხის ფენებს შორის ყველაზე თხელია (9—1410) და მთელ ფართობზე არ ყოფილა შემორჩენილი, ამის გამო ის მცირე მასალის შემცველი გამოდგა. განათხარი ნაშთები ძირითადად მცირეოდენი კაჟის მასალითა და კერამიკითაა წარმოდგენილი. რიყის ქვის იარაღები

²⁴ О. Г. Бендукидзе. Об остатках млекопитающих из пещеры Дзудзуана в Западной Грузии.—*ეურ. საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები*, № 7.

²⁵ ლ. ნ ე ბ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი. გვ. 36—39.

ფენაში არ აღმოჩნდა. კაუის მასალას წარმოების ნარჩენები და სამი-
ოდე იარაღი შეადგენს. ესენია: ტირიფის ფოთლის მოყვანილობის
ფუძემორკალული, ორმხრივდამუშავებული შუბისპირი, ორმაგი სა-
ფხეკი და შუბისპირის ნატეხი. კერამიკა მთლიანად ფრაგმენტებითაა
წარმოდგენილი, რომელთა აღდგენა არ ხერხდება. თიხის ჭურჭლების
დიდი ნაწილი მოშავო-მონაცრისფროდ ან მოყავისფროდ ყოფილა
გამომწვარი და გაპრიალებული. კეცი მკვრივია და ურევია ქარსისა და
კვარცის ნაწილაკები. ყურისა და ძირის ნატეხები ფენაში არ შეგვხვე-
დრია. პირის ორი ნატეხიდან ერთი მასიურია და მომაღლო ყელი გა-
დადის გამობერილ კორპუსზე, მეორე კი ყელდაბალი ჭურჭლისაა,
პირთან ახლოს გადადის სფერულ მუცელზე. ჭურჭლები ხელითაა ნა-
ძერწი. აღნიშნული კერამიკა მსგავსებას იჩენს დასავლეთ საქართვე-
ლოს გვიანეოლით-ადრებრინჯაოს ხანის სამეთუნეო ნაწარმთან.

I ფენის თარიღისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს თიხის
ჭურჭლის ნატეხებს, შემკულს „თევზიფხური“ ორნამენტით. ამგვარი-
ვე ფრაგმენტები ცნობილია ენეოლითის ხანით დათარიღებული ძეგ-
ლებიდან, ახშთირისა და ოქუშის მღვიმეებიდან და ჩაქვის ნამოსახლა-
რიდან²⁶. აღნიშნული ფენის თარიღს ადასტურებს აგრეთვე უყუნწო,
მრგვალფუძიანი ორმხრივდამუშავებული ტირიფის ფოთლის მოყვა-
ნილობის შუბისპირი და თხელი ფიქალის სამაჯური. სამაჯური დასავ-
ლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარებს აღარ ახა-
სიათებს.

ფენაში ნაპოვნია ძვლის ერთადერთი დაზიანებული, ღარიანი,
გაპრიალებული იარაღი, რომლის დანიშნულების გარკვევაც ჭირს, და
გარეული ცხოველის ძვლები.

II ფენა შედარებით უფრო სქელია (30—351 სმ) და მასალაც
მასში მატულობს. მისი ქვედა დონე, ისევე როგორც პირველი ფენი-
სა, იღო თიხის მოტყეპნილ იატაკზე. ამ ფენაში აღმოჩნდა ენეოლი-
თური ხანის კერამიკა, ქვისა და ძვლის იარაღები.

კაუის მასალის უმეტესი ნაწილი აქაც წარმოების ნარჩენებითაა
წარმოდგენილი, იარაღები ცოტაა. სულ სამი კიდურა საფხეკია, ტი-
რიფის ფოთლის მოყვანილობის ფუძემოლარული შუბისპირი და ერ-
თი ორფერდამუშავებული ტრაპეცია. რიყისა და სხვა ქვის იარა-
ღებიც ცოტაა. აქ ნაპოვნია ბაზალტის, ტრაპეციის მოყვანილობის, კარ-
გად გახეხილ-გაპრიალებული სათლელი დაზიანებული ცული, სათლე-
ლების ნატეხები, ოვალური ხელსაფქვავეები და სახრელი. აღსანიშნა-

²⁶ МАЭ-ს კოლექცია № 4699, 5580, დავთარი და სტრატეგრაფიული ჭრილი;
გ. ფხაკაძე. ოქუშის გამოქვაბულის ენეოლითური ნაშთები. — ვრ.: მსკა, V.
1979, გვ. 68—75.

ვია ფიქალის სამაჯურის ფრაგმენტები. ძვლის იარაღები ძირითადად წარმოდგენილია სადგისებით და წვერგათლილი რქებით.

ამ ფენაში გვხვდება კონუსის განივკვეთის მქონე ორნამენტირებული და უორნამენტო კვირისტაეები.

ჭურჭლების ნაწილი მოშავოდ, ნაწილი — მოვარდისფრო-მონაცრისფროდ ყოფილა გამომწვარი. ორნამენტი და ყურები ჭურჭლებზე არ დასტურდება. ზოგიერთი ჭურჭლის შიდა პირი მოყვითალოდ ყოფილა მოწერნაქებული. თიხაში ურევია კირი, კვარცი და ქარსის ნაწილაკები. სჭარბობს სწორი, ცილინდრული ყელის მქონე ნაკეთობები. ჰლეულპირიანი ფრაგმენტი ერთადერთია. ძირები მობრტყელო-მომრგვალოა, არის ბრტყელოძირა ქუსლიანიც. ამავე ფენაში ნაპოვნია მოვარდისფროდ გამომწვარი, კვერცხის ფორმის, ძირისაკენ შევიწროებული ჭურჭლის კორპუსი და წითლად შეღებილი, გაპრიალებული, თხელკეციანი (0,5 სმ სისქისა), განლექილი. თიხისაგან დამზადებული ჭურჭლის ფრაგმენტები. გარეგნული იერით ეს კერამიკა ჰგავს მაიკოპურს. მსგავსი კერამიკა ცნობილია სამერცხლუ კლდისა და ძუძუნას მღვიმეების ზედა ფენებიდან.

III ფენაში მასალის საერთო რაოდენობა საგრძნობლად მატულობს. მრავლადაა ნაპოვნი კაჟის იარაღების წარმოების ნარჩენები. ნუქლეუსები ძირითადად კონუსისებურია, არის პრიზმული ორფუძიანიც. ლამელების რაოდენობა ზედა ფენებთან შედარებით მატულობს. მათი დიდი ნაწილი ვიწრო და თხელია და აქვს ნეოლითური იერი. საფხეკები ამ ფენაში უხეში, მასიური და დაუდევრად ნაკეთებია. დიდი ნაწილი ატიპურია, თუმცა აქვე გვხვდება მინიატურული და ბეჯითად ნაკეთები ცალებიც. არის აგრეთვე მასიური და ატიპური სახოკებიც. საჭრისი ერთადერთია.

III ფენა ყურადღებას იპყრობს შუბისპირების სიმრავლითა და მრავალფეროვნებით. ყველა მათგანი ანატკეცზეა ნაკეთები და ორმხრივ დამუშავებულია წნევითი რეტუმით. მათში გამოირჩევა ყუნწიანი, ქუსლამოლარული, ფრთადაშვებული და გვერდებამოლარული შუბისპირები.

ამ ფენიდან ერთადერთი ჩასართისებური იარაღია. იგი ორმხრივ-დამუშავებულია, დამზადებულია კაჟის თხელ ანატკეცზე. ეს ჩასართის მარტივი ფორმა უნდა იყოს. იგი განსხვავდება ადრებრინჯაოს ხანის ნამგლისპირებისაგან. ნაპოვნია მხოლოდ ორი ტრაპეცია.

ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღები ორიოდე ცალია: სერპანტინისაგან ნაკეთები, ტრაპეციის მოყვანილობისა და ამგვარივე განივკვეთის მქონე, კარგად გახეხილ-გაპრიალებული, პატარა სატეხ-სათლელი; ბაზალტისაგან დამზადებული ძირბრტყელი და ზურგამობურცული სათლელი და სოლისებური ცული, მოკოდილი ზურგითა

და ოვალური სამუშაო პირით. ფენაში ნაპოვნია ქვიშის სახეხები, ხელსაფქვავეები. ქვედა ფენისაგან განსხვავებით, აქ პირველად ჩნდება სამაჯურები. ძვლის იარაღები ძირითადად წარმოდგენილია სადგისე-ბით, ნემსისებური და რქის წვეტიანი იარაღებით.

ამ ფენაში დიდი რაოდენობითაა სამეთუნეო ნაწარმი.

თიხის ქურქელი ძირითადად მოშავო-მონაცრისფროდაა გამომწვარი, მოვარდისფრო ნაკეთობების რიცხვი შედარებით მცირე ყოფილა. მათი დიდი ნაწილი გაპრიალებულია. თიხა კარგად ნაზელი და საკმაოდ მკვრივია, აქვს კირის, კვარცისა და ქარსის მინარევები. გვხვდება ვარდისფერზედაპირიანი და შავსარჩულიანი ქურქლის ფრაგმენტები. არის მთლიანად შავი ნაკეთობების ნაწილებიც. ქურქლების დიდ ნაწილს დაბალი ყელი ჰქონდა, რომელიც თანდათანობით გადადიოდა სფეროსებრ კორპუსზე. პირების უმეტესობა არათანაბრადაა გამოყვანილი და კარგად არაა მოსწორებული. ნაპირები გადმოუშლელია. მცირე ნაწილს სწორი პირი და ცილინდრული ყელი ჰქონდა.

ნაკეთობათა უმრავლესობა დერგები და ქოთნები უნდა ყოფილიყო. ცოტაა ჯამის ფრაგმენტები.

ფენაში ნაპოვნია სამიოდე ქურქლის პირის ნაწილი, რომლებსაც ბაკო დაქლეული აქვს. არის აგრეთვე გამჭოლხვრელიანი პირის ფრაგმენტი, ხვრელს ემჩნევა, რომ სველ თიხაზე, გამოწვამდეა გაკეთებული. გვხვდება ისეთი ფრაგმენტებიც, რომლებსაც ხვრელი გამოწვის შემდეგ გაუკეთდა.

ამავე ფენაში ნაპოვნია კაპებიანი და რქისებურშვერილიანი თიხის ქურქლის პირები. ძირები გვხვდება ბრტყელი და სფერული; ოდნავ მობრტყელო; სკარბობს ბრტყელძირა ქუსლიანი და კუთხოვანი ძირები. ძირის ერთ ფრაგმენტზე შეიმჩნევა ქსოვილის (ქილოფის) კვალი. ანალოგიური ქურქლის ძირი ცნობილია სამერცხლე კლდიდან. ამ ფენაში აღსანიშნავია თიხის ქურქლები შედებილი შიდაპირით. გვხვდება მოვარდისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, ორივე მხრიდან კარგად გაპრიალებული, თხელკეციანი ქურქლის ფრაგმენტები შემკული ე. წ. „თევზიფხური“ ორნამენტით. ცომი მკვრივია და კარგადაა ნაზელი. შიდა და გარეთა პირზე შეიმჩნევა კირისა და ქარსის ნაწილაკები, ფრაგმენტები სამ სხვადასხვა ქურქელს უნდა ეკუთვნოდეს. გამოწვა თანაბარია. ქურქლები ხელითაა ნაძერწი. მსგავსი ფრაგმენტი ნაპოვნი იყო აგრეთვე ეხის ზედაპირზე, გათხრების დაწყების წინ და ერთი ფრაგმენტი I ფენაში.

III ფენაში ნაპოვნია წითლადშეღებილი, გაპრიალებული, თხელკეციანი, განლქილი თიხისაგან დამზადებული ქურქლის ნატეხები.

თიხა კარგადაა ნაზელი, ცომი მკვრივია და ერთგვაროვანი. შიდაპირსა და ზედაპირზე შეიმჩნევა ქარსის ნაწილაკები.

მეკეპიანი ორნამენტით შემკული სულ სამოდე ჭურჭელია. ეს ნაკეთობები ძირითადად დიდი ზომის, თხელკეციანი, ხელით ნაძერწი დერგებია. ბაკო უსწორმასწოროა. ორნამენტი (მეკეპი) სველ თიხაზე, ჭურჭლის შიგნიდან, წვეტიანი იარაღით გამოუყვანიათ. მეკეპების არასწორი მწკრივი ჭურჭლის პირს შემოუყვება. თიხის ნაკეთობებს შორის აღსანიშნავია ორნამენტირებული და უორნამენტო კვირისტავეები. დარკვეთის II, III, IV ფენებში დადასტურდა როგორც შინაურ. ისე გარეულ ცხოველთა ძვლები (განსაზღვრა ო. ბენდუქიძემ და ნ. ბურჩაყ-აბრამოვიჩმა).

როგორც მასალის დახასიათებიდან ჩანს, დარკვეთის ეხის II და III ფენებმა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. მოგვცეს კულტურულად მსგავსი მასალები. ამ ფენების ნაშთებს შორის განსხვავება შეინიშნება რაოდენობრივ შეფარდებაში. ამასთანავე, მათი ტიპოლოგიური შედარებიდან კარგად ჩანს მეკევიდრეობითობა.

დარკვეთის ეხის მესამე და მეორე ფენებში, წინასთან (IV ფენა) შედარებით, კაჟის ინდუსტრია მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის იარაღთა დამუშავების ტექნიკასა და ფორმებში. კაჟის ნაწარმში მკაფიოდ შეინიშნება მიკროლითური ტექნიკის დაცემა, გეომეტრიული მიკროლითების მნიშვნელობის შემცირება, ვითარდება იარაღების ორშხრივი დამუშავება წნევეითი მცოცავი რეტუშით. თუ დავაკვირდებით ტრაპეციების რაოდენობრივ შეფარდებას, დარკვეთის ეხის ფენებში დაინახავთ შემდეგ კანონზომიერებას: იარაღების ეს სახე ფეხს იკიდებს გვიანმეზოლითის ბოლოს, ადრენეოლითში კი მნიშვნელოვან განვითარებას აღწევს, რასაც მოწმობს მათი რაოდენობრივი ზრდა. ხოლო რაც შეეხება III ფენას, მასში ნაპოვანია მხოლოდ ოთხი ტრაპეცია, II ფენაში — 1 ცალი, I ფენაში კი ისინი საერთოდ არ გვხვდება. მოტანილი მონაცემები მკაფიოდ მოწმობს მოგვიანო პერიოდში, კერძოდ, ენეოლითის ხანაში მიკროლითური ტექნიკის მნიშვნელობის დაცემას. სამაგიეროდ, ეხის მესამე და მეორე ფენებში გვხვდება სხვადასხვა ფორმის ორმხრივდამუშავებული შუბისპირები. II და III ფენების სამაჭურები ფორმებით ერთნაირია, განსხვავება მხოლოდ რაოდენობაში. III ფენაში სამაჭურების რაოდენობა მეტია, ვიდრე მეორეში. ძვლის მასალაც ტიპოლოგიურად მსგავსია. III ფენაში მეტია ძვლის იარაღები და წითლად გაპრიალებული თხელკეციანი ჭურჭლის ნატეხები. II ფენისაგან განსხვავებით, III ფენის ჭურჭელზე გვხვდება რქისებური შვერილი და ჭურჭლის პირზე კოპი. არის ჭურჭლის პირის დაქდვის შემთხვევები.

აღნიშნული ფენები უნდა შეესატყვისებოდეს ენეოლითური კულტურის ორ სხვადასხვა ჰორიზონტს, რომელთა შორის დიდი ქრონოლოგიური შუალედი არ უნდა იყოს.

დარკვეთის ეხის ზედა ფენების შედარებითი ასაკის გარკვევაში, მასალის ტიპოლოგიურ-შედარებით ანალიზთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამავე ეხის სტრატეგრაფიულ მონაცემებსაც.

დარკვეთის ეხის ზედა ფენების (I—III) შედარებითი თარიღისათვის გასაღებს იძლევა ამავე ეხის რამდენიმე კვადრატის (მე-10, 11, 12) II და III ფენებში ჩაშვებული „მტკვარ-არეზის“ კულტურის ადრეული ეტაპის სამარხები²⁷. უკანასკნელთა ჩაშვება დარკვეთის ეხში უნდა მომხდარიყო, ამ ფენების, კერძოდ, I ფენის, ცხოვრების შეწყვეტისა ან ეხის მიტოვების შემდეგ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი განსხვავებული კულტურის მიცვალებულთა აქ დაკრძალვა.

ჩაშვებული სამარხების მასალა ანალოგებს პოულობს აღმოსავლეთ საქართველოში, „მტკვარ-არეზის“ კულტურის ადრეული ეტაპის ძეგლებთან (კიკეთი, დიდუბე). აქედან აშკარა ხდება, რომ დარკვეთის ეხის I ფენის წარმოქმნა წინ უნდა უსწრებდეს „მტკვარ-არეზის“ კულტურის ადრეულ ეტაპს. ეს მითუმეტეს ითქმის ეხის II და III ფენების შესახებ.

დასავლეთ საქართველოს აღნიშნული პერიოდის მღვიმური ძეგლებიდან ყველაზე ადრეული ფენები მოგვცა წყალტუბოს მიდამოებში მღებარე, კარსტული წარმოშობის მიწისქვეშა თეთრმა მღვიმემ, რომელიც ითხრებოდა 1974 წლიდან აღ. კალანდაძის, ხოლო 1977 წლიდან კ. კალანდაძის ხელმძღვანელობით²⁸.

მღვიმეში დადგინდა ორი კულტურული ფენა: ზედა — ენეოლითური და ქვედა — ზედაპალეოლითური.

თეთრი მღვიმის ენეოლითური ფენა წარმოდგენილია 30—45 სმ სისქის მუქი ფერის მკვრივი თიხებით, რომელსაც ზემოდან ფარავს დაახლ. 10 სმ კალციტის ქერქი. ენეოლითისა და ზედაპალეოლითურ ფენებს შორის დაახლ. 1,5 მ სისქის სტერილური თიხებია. მღვიმე შედგება სტალაქტიტ-სტალაგმიტიანი 3 დარბაზისაგან, რომლებშიც

²⁷ ლ. ნებერიძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 32—33.

²⁸ А. Н. Каландадзе, К. С. Каландадзе и др. Итоги работ Цхалтубской археологической экспедиции. — ПАИ в 1976 году. 1979, с. 15—17; К. С. Каландадзе, Л. Д. Небиеридзе и др. Итоги работ Цхалтубской археологической экспедиции. — ПАИ в 1979 году. 1982, с. 25—26; К. С. Каландадзе, М. К. Габуния. Цхалтубская археологическая экспедиция. — ПАИ в 1980 году. 1982.

ენეოლითური ფენა სხვადასხვა სისქისაა. მესამე დარბაზში მისი სისქე დაახლ. 40 სმ-ია, ხოლო პირველი დარბაზის ზოგიერთ ადგილას— 1,5 მეტრსაც კი აღწევს. აღნიშნული დარბაზის ენეოლითურ ფენაში გამოიკვეთა სტრუქტურულად ერთმანეთისაგან განსხვავებული სამი ჰორიზონტი.

ძველის გამთხრელი კ. კალანდაძე თვლის, რომ მასალა ჰორიზონტების მიხედვით არ განსხვავდება და მას ერთობლიობაში განიხილავს.

ენეოლითურ ფენაში, კერის მიდამოებში აღმოჩნდა წითლადგამომწვარი თიხატყეპნილი იატაკის ნაწილები. კერები წარმოადგენდა დაახლ. 30—40 სმ დიამეტრის მქონე ნაცროვან და ნახშიროვან ლინზებს, რომლის მიდამოებში ნაპოვნი იყო თიხის ქურჭლის ნამტკრევები, ქვისა და ძვლის იარაღები. აღნიშნულ ფენაში გაიწმინდა დაახლ. 30—40 სმ დიამეტრის მქონე გაურკვეველი დანიშნულების მრგვალი ორმოები.

კერამიკა წარმოდგენილია ძირითადად დიდი და საშუალო ზომის, ხელით ნაძერწი, მსხვილკეციანი (დაახლ. 1—1,5 სმ), არათანაბრად გამომწვარი, მოვარდისფრო-მონაცრისფრო, უყურო, სუსტადგაპრიალებული, მრგვალიძირიანი, სფერულმუცლიანი, ოდნავ პირგადაშლილი ქურჭლებით. რომლებსაც კეცში ქარბად ურევია ქარსისა და კვარცის მინარევები. აღნიშნული კერამიკის საერთო მასაში მკაფიოდ გამოიყოფა თხელკეციანი, განლექილი თიხის, კარგად გამომწვარი, წითლადგაპრიალებულზედაპირიანი თიხის ქურჭლის ნატეხები. კერამიკის ფრაგმენტულობის გამო, ქურჭლის მთლიანი აღდგენა არ ხერხდება. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ერთი მთელი, მოწითალოდ გამომწვარი ფილა²⁹. კერამიკა ძირითადად უორნამენტოა, მხოლოდ ორ ნატეხზე არის მარტივი ნაკაწრი სახეები, იშვიათად გვხვდება სპირალური ორნამენტი. არის გამჭოლნაჩვრეტებიანი ფრაგმენტებიც.

თიხის დანარჩენი ნაკეთობები წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი (დაახლ. 50 ც.) კონუსური და ბიკონუსური, ორნამენტირებული და უორნამენტო კვირისტაგებით, ანტროპომორფული და ზოომორფული (ცხვარი, ხარი, თხა, დათვი) ქანდაკებებით, კერამიკული წრეებით (2,5—5 სმ დიამეტრი), რომლებსაც გამთხრელები „სარიტუალო“ კვერბად მიიჩნევენ, და ბათქაშის ნატეხები ლასტის კვალით.

თეთრიმღვიმის ქვის იარაღები ძირითადად დამზადებულია კაჟისა და რიყის ქვისაგან, იშვიათად გვხვდება ობსიდიანის, არგილიტისა და ბაზალტისაგან ნაკეთები.

ქვის მასალა წარმოდგენილია კაჟის დანებით, საფხეკებით, საკრი-

²⁹ А. Н. Каландадзе, К. С. Каландадзе и др. Итоги работ Цхалтубской археологической экспедиции. Таб. VI₉.

სებით, ისრისპირებითა და შუბისპირებით, ლამელებითა და წარმოების მრავალრიცხოვანი ნარჩენებით — ანატეც-ანატეხებით, კონუსური და პრიზმული ნუკლეუსებით. ისრისპირები ძირითადად მცირე ზომისაა, სამკუთხა მოყვანილობის, ყუნწიანი. შუბისპირები წარმოდგენილია ფოთლისებური, ყუნწიანი ცალებით, ისრისპირებისა და შუბისპირების ზედაპირის მთლიანი ორმხრივდამუშავების შემთხვევაში.

რიყის ქვის იარაღები წარმოდგენილია სათლელებით, ხელსაფქვევებით, საბეგველებით, საღესებით, სახეხებით, ძვლისა და რქის მასალა — წვერწამახული სადგისებით, ნემსებით, საპრიალებლებით, ირმის რქის წვერწათლილი იარაღით, რეტუშორებით, სახვრეტებით, საქსოვი ჩხირებით, სამკაულებით — სამკუთხა გახვრეტილი ფირფიტები და ლულოვანი ძვლის საკიდები.

თეთრი მღვიმის I ფენაში ნაპოვნ მრავალრიცხოვან ძვლოვან მასალაში დადასტურებული იყო როგორც შინაურ, ისე გარეულ ცხოველთა ძვლები (განსაზღვრა ა. ვეკუამ).

რიონ-ყვირილის აუზის მღვიმური ძეგლების სია სრული არ იქნებოდა, თუ არ დავეუმატებდით ამჟამად შესწავლის პროცესში მყოფ ძეგლებს: წყალტუბოს რაიონში მდ. გუბისწყლის მარცხენა ნაპირზე, ს. ყუმისთავში მდებარე მღვიმე საწურბლიას და ამავე რაიონში, მდ. მღერის წყლის მარცხენა ნაპირის მღვიმე საქაჯიას, რომელშიც აგრეთვე დადასტურდა აღნიშნული კულტურის ნაშთების არსებობა. ამ კულტურის შესატყვისი თხელი ფენები აღმოჩნდა აგრეთვე მდ. წყალწითელას ხეობის მღვიმე საქაჯიასა და ორთვალაში³⁰.

აღნიშნული კულტურის საზღვრები არ შემოიფარგლება მარტო რიონ-ყვირილის აუზით, მისი ნაშთები აღმოჩენილია შავიზღვისპირეთშიც — ვალის რაიონის ოქუმის მღვიმეში, ადღერის რაიონში, მდ. კუდეპსტას სათავეებთან მდებარე ვორონცოვის ორსართულიანი მღვიმის ქვედა მწკრივის მღვიმე „ოჩაენში“ და მდ. მზიმთას ნაპირზე ახშთირის მღვიმეში.

ოქუმის კარსტული მღვიმე მდებარეობს მდ. ოქუმის კანიონის მარჯვენა მხარეს, ლემურიშის ნეოლითური ნამოსახლარის მახლობლად. ოქუმის მღვიმე გათხარა შავიზღვისპირეთის ქვის ხანის შემსწავლელმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით. კლდოვან იატაკამდე დაყვანილ საძიებო თხრილში დადგინდა 1,5 მ სისქის კულტურული ფენები, რომლებშიც გამოიყო

³⁰ М. Г. Н и о р а д з е. Археологические исследования в ущелье р. Цхалцитла.—ПАИ в 1980 году. 1981, с. 9.

მ პორიზონტი. ზედაპალეოლითური ფენის თავზე აღმოჩნდა ბრექჩი-ის ორ ფენას შორის მოქცეული უძრავი, დაახ. 10—12 სმ სისქის, ენეოლითური ნაშთების შემცველი ჰუმუსის ფენა. ოქუშის მღვიმის ენეოლითური ფენის მასალა მკირერიცხოვანია, მაგრამ იგი საინტერესოა სტრატეგრაფიული თვალსაზრისით. აქ გვაქვს უძრავი, სუფთა ფენა³¹.

მასალა ძირითადად წარმოდგენილია კაჟის ინდუსტრიით და მკირეოლენი კერამიკის ფრაგმენტებით. რიყის ქვის იარაღები აქ თითქმის არ არის. ნაპოვნია მხოლოდ საპრიალებელი და სათლელის ნამზადი. კაჟის მასალა წარმოდგენილია პრიზმული ნუკლეუსით, უხეშ და უწყესო ანატექცებზე დამზადებული არატიპური საფხეკებით, ორმაგი საფხეკებითა და კომბინირებული იარაღით. აქ მთელი სერიაა ლამელებისა, მათ შორის გვხვდება თავსწორრეტუშიანი და თავირიბრეტუშიანი ცალები. მიკროლითური ტექნიკის ნაწარმი წარმოდგენილია ორი ტრაპეციით (მათგან ერთი სამფერდამუშავებულია), ერთი სეგმენტით და ერთი ბლაგვეკერდა ლამელით. აღნიშნულ კაჟის მასალაში გვხვდება მუსტიეური იგრის მასალაც.

კერამიკის ერთი ნაწილი წარმოდგენილია უხეში, მსხვილკეციანი ფრაგმენტებით. რომლებსაც ჰარბად ურევია ქარსისა და კვარცის ნაწილაკები. ნატეხების მეორე ჯგუფი თხელკეციანია. თიხა უკეთესადაა ნაზელი, ურევია ქარსი და სილა. თიხის ნაკეთობების უმეტესობა, როგორც ჩანს, მოვარდისფროდ ყოფილა გამომწვარი. მკირე რაოდენობითაა მოშავო-მონაცრისფრო ჰურქლის ფრაგმენტები. გვხვდება როგორც ვარდისფერი, ისე მონაცრისფრო სარჩულიანი ნატეხები. კეცის გადანატეხში შეიმჩნევა რამდენიმე ფენა. კერამიკა სუსტადაა გამომწვარი, ფხვიერია, კარგად შეიმჩნევა წერნაქი და გაპრიალების კვალიც. ზოგჯერ ზედაპირს მოლესვაც ეტყობა. ფორმების აღდგენა ჰირს. სულ რამდენიმე ძირისა და ყელ-პირის ნატეხია. ძირები ბრტყელია. კედლებზე ქუსლიანი გადასვლით. ჰურქლების ყელი ცილინდრული უნდა ყოფილიყო. გვხვდება ნაძვისებურად ამოკაწრული და წერტილოვანი ორნამენტი.

კერამიკა კეცის ფაქტურით, ფორმებითა და ორნამენტით (ნაძვისებური და ღრმულუბიანი) ემსგავსება იმერეთისა და აფხაზეთის მღვიმეების ენეოლითური ფენების მასალებს (ახშთირი I, დარკვეთი I, სამელე კლდე). ოქუშის მღვიმის ზედა ფენის მასალები ენეოლითური ხანითაა დათარიღებული³². აღნიშნული კულტურის შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მღვიმე „ოჩაენი“. იგი მდებარეობს ადღერის რ-ში, მდ. კუდეპსტას სათავეებთან, ვო-

31 გ. ფხაკაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 68—75.

32 იქვე. გვ. 76.

რონცოვის ორსართულიანი მღვიმის ქვედა მწკრივში. მის მიმართ განსაკუთრებული ყურადღება გამოწვეულია მისი გეოგრაფიული მდებარეობით, სიახლოვით ბელორეჩენსკის უღელტეხილთან და მისი ახლო ანალოგებით კავკასიონის გადაღმა მდ. ბელაიას სათავეებთან მდებარე ძეგლებთან³³.

ვორონცოვის მღვიმის კომპლექსებს შორის „ოჩაენი“ ყველაზე არქაულია. ამავე კულტურის უფრო მოგვიანო ეტაპის ძეგლები — „კოლოკოლნი“ და „ზალოჟენი“ — მდებარეობენ ვორონცოვის მღვიმის მეორე მწკრივში.

„ოჩაენის“ ქვის კომპლექსი ხასიათდება კაჟის ყუნწიანი ისრისპირებით, საფხეკებით, ქვის სხვადასხვა ქანებისაგან დამზადებული გახეხილ-გაპრიალებული ცულებით, სათლელ-სატეხებით, ქვის სამაჯურებით, მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული ფორმის იარაღები კომპლექსს არ ახასიათებს.

თიხის ჭურჭელი მრგვალიძირიანი, ძაბრისებურყელიანი, კვერცხისებური ფორმის მკვეთრად გადმოღუნული პირით. ჭურჭელი სქელკეციანია, გაუპრიალებელი. ამ კერამიკის რამდენიმე ფრაგმენტს აქვს მეჭეჭიანი ორნამენტი. აქვე არის ყელის ნატეხები ღრმულებიანი სახეებით.

„ოჩაენის“ სამაჯურები ანალოგებს პოულობენ მეშოკოს, იასენოვა პოლიანას, ვესიოლისა და სკალას ნამოსახლარებთან³⁴.

„ოჩაენიში“, დარკვეთის მსგავსად, მეჭეჭიანი ორნამენტი ცოტაა და ამასთანავე იგი განლაგებულია ჭურჭლის ყელზე და არა მხრებზე, როგორც ეს ახასიათებს მდ. ბელაიას ნამოსახლარების კერამიკას. აღნიშნულ განსხვავებას ა. ფორმოზოვი ლოკალურ თავისებურებად მიიჩნევს და ამ ძეგლებს სინქრონულად თვლის³⁵. მეჭეჭიანი ორნამენტი ჭურჭლის ყელზეა განლაგებული აგრეთვე სამერცხლე კლდისა და ძუძუნის ჭურჭლებზეც. „ოჩაენიში“, სამერცხლე კლდისა და ძუძუნისა მსგავსად, ბევრია ქვის იარაღი. როგორც ვხედავთ, კერამიკისა და ქვის ინვენტარის ზოგი თავისებურებით „ოჩაენი“ მეტ სიახლოვეს იჩენს დასავლეთ საქართველოს ძეგლებთან (სამერცხლე კლდე, ძუძუნა, დარკვეთი). განსხვავება იმაშია, რომ ამ უკანასკნელებში უკვე ჩნდება გაპრიალებული ჭურჭელი და „წითელპრიალა“, ე. წ. იმპორტული კერამიკა. ანალოგიური ნაკეთო-

³³ Л. Н. Соловьев. Новый памятник культурных связей Кавказского Причерноморья в эпоху неолита и бронзы—стоянки Воронцовской пещеры.

³⁴ იქვე. ტაბ. I, II, V.

³⁵ А. Формозов. Каменный век и энеолит Прикубанья, с. 83.

შეგი ჩნდება ვორონცოვის მღვიმის ზედა მწკრივის მოგვიანო ძეგლებში — „კოლოკოლისა“ და „ზალაქენის“ მღვიმეებში. ეს, რა თქმა უნდა, ქრონოლოგიური ნიშანია, რის გამოც „ოჩაქენის“ ძირითად ფენას ი. სოლოვიოვი ნეოლითურად მიიჩნევდა. შემდეგ ა. ფორმოზოვა, მდ. ბელაიაზე ჩატარებული გათხრების საფუძველზე, იგი გადაათარიდა და ადრემაიკოპის ეტაპს მიაკუთვნა³⁶. იგი თვლის, რომ „ოჩაქენის“ ძირითადი ფენა, მიუხედავად იმისა, რომ მასში მექვექიანი ორნამენტი ცოტაა, მეშოკოს ზედა ფენისა და სკალას თანადროულია. ა. ფორმოზოვი ამ ძეგლებს ერთ ქრონოლოგიურ, კერძოდ, შუა ჯგუფში ათავსებს. „ოჩაქენის“ ზედა ფენაში ნაპოვნია ოქროს სპირალისებური საკიდი, მას ა. ფორმოზოვი ნოვოსვობოდნაისა და კოსტრომსკაიას საკიდებს უკავშირებს. ამ უკანასკნელთან ერთად იგი „ოჩაქენის“ ზედა ფენას მაიკოპის კულტურის პერიოდიზაციის მესამე ჯგუფში ათავსებს.

ენეოლითური კულტურის ნამოსახლარი აღმოჩენილი იყო აგრეთვე ახშტირის მრავალფენიან მღვიმეში მდ. მზიმთას მარჯვენა ნაპირზე, ს. ახშტირის მოპირდაპირე მხარეს (ადლერის რ-ნი). ძეგლს იკვლევდა ს. ზამიატინი³⁷, შემდეგ კი გააგრძელა ე. ვეკილოვამ.

ახშტირის მღვიმეში, ხუთი მეტრი სისქის დანალექებში გამოიყო ხუთი კულტურული ფენა (მუსტიე — შუასაუკუნეები). ზედა, პირველი ორი ფენა ენეოლითის ნაშთებს შეიცავდა (პირველ ფენაში შუა საუკუნეების მასალის მინარევით).

ზედა ფენა ს. ზამიატინის მიერ ჯერ ნეოლითურად იქნა მიჩნეული, ხოლო შემდეგ კი ენეოლითურად³⁸.

ზედა ფენა მეშოკოს ზედა ჰორიზონტის ასაკისაა, ქვედა კი უფრო ადრეული და შესაძლოა, ენეოლითის ადრეულ საფეხურს ეკუთვნოდეს. ქვის მასალა ამ ფენაში უფრო არქაულად გამოიყურება. აქ ნაპოვნია ტრაპეციები, თავრეტუშიანი ლამელები, დიდი ზომის ცალკპირლესილი ცულები, გახეხილ-გაპრიალებული, სამკუთხაგანივკვეთიანი სათლელი, რიყის ქვის ღარიანი საპრიალებელი, რეტუშით წვერაგამოყვანილი სახვრეტები და ფოთლისებური, ორმხრივდამუშავებული შუბისპირი.

თიხის ჭურჭელი ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი. კერამიკა სტრუქტურით ახლოსაა დასავლეთ ამიერკავკასიის მღვიმეების ზე-

³⁶ იქვე.

³⁷ მასალა დატულია ლენინგრადის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში (МАЭ). კოლექციის № 4699, 5580.

³⁸ ეს კარგად ჩანს МАЭ-ს ახშტირის კოლექციის ს. ზამიატინის მიერ შედგენილი: დიფთიდიან, ანგარიშიდან და ფენების სტრატგრაფიული კრილიდან.

და ფენების კერამიკასთან. ქურქლები ბრტყელძირა, კედლებზე ქუსლიანი გადასვლით, პირგადაშლილი, ოდნავ გამობერილი კორპუსით უნდა ყოფილიყო. ორნამენტი იშვიათია, მაგრამ საინტერესოა, რომ აქ ნაპოვნია, დარკვეთისა და ოქუმის ზედა ფენების მსგავსი, ამოკაწრული, „თევზიფხური“ სახეები. ანშტირის მასალა დღემდე გამოუქვეყნებელია, ამიტომ ჭირს მასზე უფრო ფართოდ მსჯელობა.

მღვიმური კულტურის თანადროული, მაგრამ უფრო მკაფიო ადრესამიწათმოქმედო კულტურის კომპლექსები მოგვცა დასავლეთ საქართველოს ღია ნამოსახლარებმა, რომლებსაც ქვემოთ მიმოვიხილავთ.

დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პირველი ღია ნამოსახლარი აღმოჩენილი იყო მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე, ქ. ქუთაისის მიდამოებში მდებარე თეთრამიწის გორაზე (ზღვის დონიდან 293 მ). აქ ზედაპირული მასალების მრავალწლიანი შეგროვების შედეგად მოპოვებული იყო მრავალრიცხოვანი კოლექცია³⁹, რომელიც შეისწავლა და გამოაქვეყნა ნ. ბერძენიშვილმა (ვილაძე). თეთრამიწა მან ნეოლითის შუა საფეხურით დაათარილა⁴⁰. მასალის გამოქვეყნებამდე ძეგლზე გათხრები არ ჩატარებულა, ამიტომ მისი სტრატოგრაფია გაურკვეველი იყო. თეთრამიწის კოლექციის მასალა კი აშკარად მოწმობდა, რომ ძეგლი მრავალფენიანია და შეიცავს სხვადასხვა ეპოქის მასალებს⁴¹ (მუსტიე-ანტიკური ხანა). როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, თეთრამიწის კოლექციის ნაწილი, „რომელიც ქვის ხანის არა სპეციალისტებისათვის ადვილი ამოსაცნობი ყოფილა — მაგალითად, კაყის ისრისპირები, ხელცულები, ხელსაფეკვავები და ა. შ., გამოუყვიათ შედარებით უსახო ქვის მასალიდან და ცალკე გაუტარებიათ მუზეუმის კატალოგებში, ხოლო სხვა მასალა ... დაუტოვებიათ აღრიცხვის გარეშე, ამის გამო კოლექციის ერთი ნაწილი დიდხანს იყო თვალს მიფარებული“⁴², მისთვის ხელმისაწვდომი ყოფილა მხოლოდ კატალოგში გატარებული ნაშთები⁴³.

აღნიშნულიდან ცხადი ხდება მიზეზი, რამაც გამოიწვია თეთრამიწის კოლექციის დანაწევრება და მისი თარიღის პრობლემატურობა.

39 მასალა 1924—1934 წწ. შეგროვებული იყო ადგილობრივი მხარეთმცოდნის პ. ჰაბუკიანის მიერ.

40 ნ. კილაძე (ბერძენიშვილი). ახალი ქვის ხანის ძეგლები თეთრამიწიდან. — გვ. 262, 264.

41 დ. თუშაბრამიშვილი, ლ. ნებიერიძე. საქართველოს ზოგიერთი „ნეოლითური“ ძეგლის თარიღისათვის. გვ. 76—83.

42 ნ. ბერძენიშვილი. ქვედაპალეოლითური ნაშთები ქუთაისის მიდამოებიდან — კრ.: მსკა, VI. თბ., 1974, გვ. 6.

43 იქვე. გვ. 6, სქოლიო 13.

ძეგლის მრავალფენიანობა დღეს უკვე ეჭვს აღარ იწვევს. დ. თუშ-
აბრამიშვილმა⁴⁴ და შემდეგ თვით ნ. ბერძენიშვილმა ამ კოლექციიდან
გამოყვეს მუსტიეური მასალა⁴⁵, რომელიც თეთრამიწის საერთო კო-
ლექციის დაახლოებით 60%-ს შეადგენდა. როგორც ჩანს, ეს გორა
უძველესი დროიდან (მუსტიე) დღემდე არის გამოყენებული სამოსახ-
ლოდ. ასეთ ვითარებაში ჩვენ არ გამოვრიცხავთ ძეგლზე ნეოლითური
ფენის არსებობის შესაძლებლობას. ამის საბუთს თითქოს იძლევა კი-
დეც თეთრამიწის გამოუქვეყნებელი მასალა, რომლის აღნიშნული
კუთხით შესწავლა მომავლის საქმეა; მიუხედავად ძეგლის მრავალფე-
ნიანობისა, გამოქვეყნებული კოლექციის დანარჩენი ნაწილი ენეო-
ლითურ ხანას განეკუთვნება (ტაბ. XVI).

1977 წ. თეთრამიწაზე ჩატარდა მოკლევადიანი სადაზვერვო გა-
თხრები⁴⁶, რომლის დროსაც ბორცვის ერთ მონაკვეთში (კირქვის კა-
რიერის მახლობლად) დადასტურდა ენეოლითური უძრავი კულტურ-
ული ფენა. აქ სულ გაითხარა 4 კვადრატი (1 მ×1 მ). ჭრილში შემ-
დეგი სტრატოგრაფია დადასტურდა: I. ჰუმუსის ფენა — 15 სმ. II;
მუქი ყვითელი თიხები — 0,80 მ; III. განამარხებული ჰუმუსი —
0,70 სმ; IV. ბაცი ყვითელი თიხნარი, რომელიც დედაქანის კირქვებზე
იღო — 0,20 მ.

II კულტურულ ფენაში, რომელიც განამარხებულ ნიადაგზე იყო,
აღმოჩნდა ენეოლითური ხანის მასალა. კერამიკა წარმოდგენილი იყო
ხელით ნაძერწი, სუსტად გამომწვარი, კირის ჭარბი მინარევიანი თი-
ხის ჭურჭლის ფრაგმენტებით. ფენის ზედა ნაწილში ნაპოვნია ფიჭა-
ლის სამაჯურის ნატეხი — დარკვეთისა და სამერცხლე კლდის ტიპისა;
ხელსაფქვავის ფრაგმენტები; რიყის ქვის სათლელისებური იარაღი
და ცულის ფრაგმენტები; კაყის იარაღებიდან მხოლოდ კიდურა სა-
ფხეკია ნაპოვნი. აღმოჩნდა აგრეთვე წარმოების ნარჩენები.

განამარხებული სტერილური ნიადაგის ზედა ნაწილში, ზედა ფე-
ნის საზღვართან აღმოჩნდა ჯიხვისა და ხარის ძვლები (განსაზღვრა
ა. ვეკუამ) და მცირეოდენი მასალა, ფენების სტრატოგრაფიული გან-
ლაგება და თვით მასალაც მოწმობს, რომ გორის ამ მონაკვეთში ექს-
პედიციამ მიაკვლია ენეოლითის უძრავ კულტურულ ფენას, რომელიც
უშუალოდ წარმოიქმნება ჰუმუსზე, და მოახდინა მისი განმარხება.

თეთრამიწის კოლექცია (ტაბ. XVI) წარმოდგენილია შრომის მრავ-

44 დ. თუშაბრამიშვილი, ლ. ნებერიძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 76—
83.

45 ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ. 3—21.

46 გათხრებში მონაწილეობდნენ: ნ. ბერძენიშვილი, კ. კალანდაძე, ა. ვეკუა და
ლ. ნებერიძე.

ვალრიცხოვანი იარაღებით, რომელთა დასამზადებლად გამოიყენებოდა ძირითადად კაჟი და ქვის სხვადასხვა ქანები. შედარებით ნაკლებად იყენებდნენ ობსიდიანს. კოლექციაში მზა იარაღების გარდა წარმოდგენილია ნამზადები, ნახევარფაბრიკატები და წარმოების ნარჩენები — ნუკლეუსები, ლამელებისა და ანატყეც-ანატყეხების სახით. კაჟის ნაწარმში უპირატესობა ენიჭება მასიურ ანატყეცებსა და ლამელებისებურ ანატყეცებზე დამზადებულ კიდურა საფხეკებს ოვალური ან ირიბი სამუშაო პირით⁴⁷. შედარებით მცირე რაოდენობითაა საჭრისები, სახვრეტები და კომბინირებული იარაღები. გეომეტრიული ფორმის მიკროლითები და მიკროლითური ტექნიკა ამ კომპლექსისათვის დამახასიათებელი არ არის. ყველაზე მკაფიოდ მასში წარმოდგენილია მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული იარაღები⁴⁸ (ტაბ. 16). პირფართო და წვერწამახული, დიდი ზომის წერაქვისებური და თოხისებური მაკროლითები მიწის სათხრელ იარაღებს უნდა წარმოადგენდნენ. აქვე გვხვდება თოხი „სოკი-ადღერის“ ტიპისა. მისი გვერცელების უკიდურესი აღმოსავლეთის საზღვარი ჭერჭერობით თეთრამიწაა. განსაკუთრებული სიჭარბეა ხელსაფქვავეებისა (30 ფრაგმენტი). ისინი მოგრძო, ოვალური ფორმისაა, ბრტყელი, ნახეხი ზედაპირით. ნაპოვნია ქვიჩები, საბეგველ-საცეხველები და ცალპირა, დაკბილული ნამგლის ჩასართები. აღნიშნული მასალა მეტყველი საბუთია მიწათმოქმედების განსაკუთრებული როლისა ამ ტომების მეურნეობაში. კოლექციაში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი შუბისა და ისრისპირები (34 ცალი). მათში გამოიყოფა ყუნწიანი, სწორფრთიანი და ფრთაამოღარული ცალები, არის სამკუთხა მოყვანილობის ფუძემოღარული შუბისპირებიც⁴⁹.

ქვის იარაღებიდან ყველაზე ჰარბადაა წარმოდგენილი გახეხილ-გაპრიალელებული იარაღები — სოლისებური ცულები, სათლელ-საჭრეტლები და სატეხები⁵⁰. კოლექციაში მრავლადაა ქვის სამაჭურები.

კერამიკა კომპლექსში მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი და ისიც იმდენად ფრაგმენტული სახით, რომ არ ხერხდება მსჯელობა მის ფორმებზე. ჩანს, რომ იგი უხეში, სქელკეციაანი და ცუდად გამომწვარი ყოფილა. თიხა დიდი რაოდენობით შეიცავდა კირის მინარევეს.

ტერიტორიულ და ქრონოლოგიურ სიახლოვეს თეთრამიწის კომ-

47 ნ. კილაძე (ბერძენიშვილი). ახალი ქვის ხანის ძეგლები თეთრამიწიდან. ტაბ. I.

48 ნ. კილაძე-ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 246, სურ. 7, ტაბ. VI, VIII ბ.

49 ნ. კილაძე-ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრომი. ტაბ. IX, X.

50 იქვე. ტაბ. IV, V; გვ. 245. სურ. 5—6, სურ. 8.

პლექსთან იჩენს ტყიბულის მახლობლად, ს. ახალსოფელში⁵¹ აღმოჩენილი ენეოლითური ნამოსახლარი. ძეგლზე ფენები დარღვეულია წყალსაცავისაგან. ზედაპირული მასალის შეგროვების შედეგად მოპოვებული იყო მრავალრიცხოვანი კოლექცია. მისი წინასწარული, შედარებით-ტიპოლოგიური შესწავლა მოწმობს, რომ ძეგლი მრავალფენიანი უნდა ყოფილიყო. მასში ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კომპლექსებთან ერთად გამოიყო აგრეთვე ტიპური ზედაპალეოლითური კოლექცია⁵².

ენეოლითური კომპლექსი (ტაბ. XIX—XX), წარმოდგენილია კაჟის ორმხრივდამუშავებული მრავალრიცხოვანი შუბისპირებითა და ისრისპირებით, რომლებიც დამზადებულია წნეებითი რეტუშის მეშვეობით. შუბისპირების უმეტესობა ყუნწიანია, ფოთლისებური მოყვანილობის, ფორმების დიდი ვარიაციებით. არის მცირე ზომის ისრისპირები, ნაწილობრივი ორმხრივი დამუშავებით, მრავალადა კაჟის ორმხრივდამუშავებული ნამგლისპირები, რომელთა შორის არის როგორც დაუბილავი, ისე დაკბილული ცალები. ისინი წარმოდგენილია სწორკუთხა და სამკუთხა ჩასართებით. კიდევ უფრო ბევრია რიყის ქვის გახეხილ-გაპრიალებული ცალპირლესილი ცულები, სატეხ-სათლელები, რომელთა უმრავლესობას ტრაპეციის ფორმა და განიჯკვეთი აქვს. კოლექციაში არის გახვრეტილი, მრგვალი კერამიკის და ქვიშაქვის წრეები.

კერამიკა თიხის ჭურჭლების ორი განსხვავებული ჯგუფითაა წარმოდგენილი. ესენია მოვარდისფროდ გამომწვარი, ქილისებური ფორმის ბრტყელძირა ნაკეთობები, კვარცისა და ქარსის მინარევით და შავპრიალა, ვარდისფერსაარჩულიანი ჭურჭლების ფრაგმენტები, რომლებსაც აგრეთვე ურევია კვარცისა და ქარსის ნაწილაკები და აქვთ ნახევარსფერული ყურები.

პირველი ჯგუფის კერამიკა ახლოსაა დასავლეთ საქართველოს მღვიმეების ენეოლითურ კერამიკასთან, მეორე კი — დასავლურ ქართულ ადრებრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლებთან (ჩიხორი).

მკვიდრ მიწათმოქმედ-მესაქონლეთა კულტურის შესასწავლად მნიშვნელოვანი მასალა მოგვცა თერჯოლის რ-ში აღმოჩენილმა, ამჟამად ჩერჯერობით შესწავლის პროცესში მყოფმა ჩიხორის ნამოსახ-

⁵¹ ძეგლი აღმოჩენილი იყო 1984 წელს ტყიბულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლების მიერ.

⁵² Г. О. Тортладзе. Новые находки верхнего палеолита в Западной Грузии (ხელნაწერი).

ლარმა ⁵³ (ტაბ. XVII—XVIII). ძეგლი მდებარეობს მდ. ძუსას (ყვირილის მარჯვენა შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე, ს. ჩიხორში მდებარე მაღალ კონცხისებურ გორაზე, რომლის სიმაღლე მდინარის დონიდან 75 მ-ია, ზღვის დონიდან კი 320 მ. აღნიშნული გორის თხემზე აღმოჩენილი იყო დარღვეული ფენების მქონე ნამოსახლარი. მასალის შედარებით-ტიპოლოგიურმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ აქ მოპოვებული იყო განსხვავებული კულტურული ფენებიდან მომდინარე — გვიანენეოლითური და ადრებრინჯაოს ხანის გვიანი ეტაპის — კომპლექსები. ამ უკანასკნელს პარალელები მოეძებნება ქვაცხელების B ფენასთან. აქ ჩვენ განვიხილავთ გვიანენეოლითურ კომპლექსს, რომელიც ხასიათდება კაჟის მრავალრიცხოვანი, ორმხრივდამუშავებული ნამგლისპირებით — სწორკუთხა და სამკუთხა ჩასართებით, მათი უმრავლესობა დაუკბილავია და სამუშაო პირზე აქვს ინტენსიური გამოყენების კვალი; დიდი რაოდენობითაა კაჟის ორმხრივდამუშავებული შუბისპირები და ისრისპირები, რომლებიც ფორმათა მრავალრიცხოვნებით ხასიათდება — ყუნწიანი ფოთლისებური, ყუნწიანი ფრთაამოლარული, ფუძეამოლარული, ფუძემორკალული და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მიკროლითური ისრისპირები. მრავალადაა უხეშ ანატეცებზე ნაკეთები სხვადასხვა ტიპის საფხეკები, შედარებით ნაკლებია საჭრისები, გვხვდება სახვრეტები, დაკბილული და საჩხისებური იარაღები. გეომეტრიული ფორმის მიკროლითები, რიყის ქვისაგან დამზადებული გახეხილ-გაპრიალებული იარაღები, კვირისტავები და სამაჯურები ჩიხორის ნამოსახლარს არ ახასიათებს.

ნამოსახლარზე დიდი რაოდენობით იყო ნაპოვნი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებშიც ძირითადად ორი ჯგუფი გამოიყოფა. პირველ ჯგუფში ერთიანდება ხელით ნაძერწი, მოვარდისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, უყურო, პირგადაშლილი, ბრტყელძირა, ხაოიანი ზედაპირის მქონე ჭურჭლები, რომლებსაც კეცში ურევია კირი, ქარსი და კვარცი. ეს კერამიკა ანალოგებს პოულობს დასავლეთ საქართველოს მღვიმეების ენეოლითური ფენის მასალებთან (სამელე კლდე, სამერცხლე კლდე, დარკვეთი, ძუძუანა და სხვ.), იმ განსხვავებით, რომ ამ მრავალრიცხოვან ფრაგმენტებში არ გვხვდება წითელპრიალა, განლეჟილი თიხისაგან დამზადებული, თხელკეციანი, ე. წ. „იმპორტული“ ჭურჭლების ნატეხები, რომლებიც ცნობილია აღნიშნული მღვიმეებიდან.

კერამიკის მეორე ჯგუფი უფრო მოგვიანოდ გამოიყურება. ესაა დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის შავპრიალა, ვარდის-

⁵³ Л. Д. Небнеридзе. Работа Терджольской археологической экспедиции — ПАИ в 1981 году. Тбилиси. 1984, с. 7—10.

ფერსარჩულიანი ჭურჭლის ფრაგმენტები, ნახევარფერული ყურე-ბით. ეს ნაკეთობები ადგილობრივი თიხისაგანაა დამზადებული და ასევე ჰარბად შეიცავენ კირის, კვარცისა და ქარსის მინარევებს. ეს „მტკვარარეული“ კერამიკის გავლენით დამზადებული ადგილობრივი ნაწარმა. მაგრამ ამასთანავე ნამოსახლარზე ნაპოვნი იყო აგრეთვე ტიპური „მტკვარარეული“ კერამიკის რამდენიმე ფრაგმენტი. აღნიშნულ ნაწარმთან კავშირში უნდა იყოს კერამიკული გახვრეტილი წრე-ები, სპილენძის ოთხწახნაგა ისრისპირი და მცირე ზომის, წელშეზნე-ქილი საკიდი, ქვაცხელას B ფენის ანალოგიური. ჩიხორის ნამოსახ-ლარზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა შინაური ცხოველების ძვლები (ხარი, ცხვარი, თხა, ღორი, ძაღლი), მცირე რაოდენობით დადასტურ-და გარეულ ცხოველთა ძვლები — ტახის, კურდღლის, კვერნას (გან-სახლერა ი. ბურჩაყ-აბრამოვიჩმა).

ჩიხორის ნამოსახლარზე აღმოჩენილი ნამგლისპირების ტრასო-ლოგიური შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ისინი ნახმარი იყო მარცვლეული კულტურების სამკელად (ტრასოლოგიური ანალიზი გა-აკეთა გ. კორობკოვამ).

როგორც ვხედავთ, ჩიხორელების მეურნეობის საფუძველს შეად-გენდა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. ნადირობას უმნიშვნელო როლი ენიჭებოდა.

ქვემო სვანეთსა და ლეჩხუმში ნეოლით-ენეოლითის ეპოქები ჯერ-ჯერობით შეუსწავლელია. აღნიშნული ძეგლების კვლევა-ძიება ამ რეგიონში ინტენსიურად არ მიმდინარეობს, ამიტომ მასალების აღმო-ჩენას ჯერჯერობით ისევ შემთხვევითი ხასიათი აქვს. აღნიშნულ ვი-თარებაში დასავლეთ საქართველოს ნეოლით-ენეოლითური კულტურ-ის კვლევაში და მასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ მხარეებში აღმოჩენილ პირველ მასალებს.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძ. შ. ჩართოლა-ნი) ლენტეხის რაიონის სოფ. რცხმულურში, ადგილ „ლაზგაზე“ 1978 წ. აღმოჩენილი ნამოსახლარიდან მომდინარე რიყის ქვისა და კაჟის იარაღ-ხელსაწყოებისა და წარმოების ნარჩენებისაგან შემდგა-რი კოლექცია (ტაბ. XXIII). აღნიშნული მასალა არაერთგვაროვანი და ამასთანავე ნაკლებია⁵⁴, მაგრამ მიუხედავად ამისა, გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ნეოლით-ენეოლითური კულტურის გავრცე-ლებაზე მთის რეგიონში.

⁵⁴ კოლექცია ჩვენ მიერ იყო დამუშავებული. სხვადასხვა მიზეზების გამო არ მოხერხდა ქვის კომპლექსის თანმხლები კერამიკის ვაცნობა.

XXI—XXII ტაბულაზე მოცემული ნივთების ჩანახატები გადმოგვცა არქეო-ლოგმა ლ. წერეთელმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

კოლექციაში წარმოდგენილია ქვის სხვადასხვა ქანებისაგან დამზადებული ცალპირლესილი, კარგად ნახეხ-ნაპრიალები ცულები, სათლელ-სატეხები, საჩეხები, სახეხ-სასარესები, საბეგველ-საცეხველები, ფილთაქვები, ოვალური ხელსაფქვაკები; კაჟის მასალა — ფრთაამოღარული და სამკუთხა, ორმხრივდამუშავებული ყუნწიანი ისრისპირები, ფოთლისებური, ორმხრივდამუშავებული შუბისპირი, მასიურ ანატკეცებზე დამზადებული საფხეკები და საქრისები, ზურგიანი და ნები, განიერი ლამელები, წარმოების ნარჩენები — პრიზმული და კონუსური ნუკლეუსები, ანატკეც-ანატეხები.

კოლექციაში განსაკუთრებით გამოირჩევა ბლაგვგვერდა მიკროლამელა, მიკროლითური საფხეკი, თავრეტუშიანი ლამელა და ობსიდიანის ფანქრისებური ნუკლეუსი მიკროლამელების ატკეცვის კვალით.

სტრატეგრაფიული მონაცემების უქონლობის გამო, „ლაზგას“ კოლექციის შედარებითი დათარიღებისას ძირითადად ვიფარგლებით ტიპოლოგიური მონაცემებითა და პარალელებით. დათარიღებას ართულებს აგრეთვე ამ ძეგლის მრავალფენიანობა, კოლექციაში სხვადასხვა ფენის ნივთების მოხვედრის შესაძლებლობა. ძეგლის მთლიანად გაუთხრელობა და კოლექციის სიმცირე ხელს უშლის კომპლექსში ზოგიერთი ადრეული იერის მქონე მასალის ხასიათის გარკვევას. კერძოდ, ესა თუ ის ადრეული ფორმა გადმონაშთური ელემენტია, თუ საქმე გვაქვს უფრო ადრეული ფენის მასალის შემორჩევის ფაქტთან.

მასალის ტიპოლოგიური ანალიზისას თავისებურად გამოიყურება იარაღების ერთი ჯგუფი, რომელსაც შედარებით ადრეული იერი აქვს. ასეთია მიკროლითური საფხეკი შემადლებული ფრჩხილის ფორმის პირითა და ფაქიზი რეტუშით დამუშავებული გვერდებით. ამგვარი იარაღები ცნობილია მეზოლით-ადრენეოლითური ძეგლებიდან. ადრეული იერის მატარებელია ბლაგვგვერდა მიკროლამელაც, რომელიც გადმონაშთის სახით გვხვდება გვიანმეზოლით-ადრენეოლითის ძეგლებში. საინტერესოა თავიორბრეტუშიანი, მცირე ზომის ლამელა, რომელიც სერიებადაა წარმოდგენილი ნეოლითურ ძეგლებში. მაგრამ აქაური ლამელა დამუშავების დეტალებით თავისებურად გამოიყურება. კერძოდ, თავი რეტუშირებულია როგორც ზურგის, ასევე მუცლის მხრიდან და ერთ-ერთი გვერდი მუცლის მხრიდან მთლიანად დამუშავებულია ფაქიზი რეტუშით. ამგვარი თავიორბრეტუშიანი ლამელა აღნიშნული სერიებიდან ცნობილი არ არის. ამავე ჯგუფს მიეკუთვნება ადრეული იერის ფანქრისებური ნუკლეუსი, მიკროლამელების ატკეცვის კვალით. მსგავსი ნუკლეუსები ცნობილია მეზოლითური და ადრენეოლითური ძეგლებიდან.

განსხვავებულად გამოიყურება იარაღების მეორე ჯგუფი, რომ-
ელსაც პირველთაგან შედარებით მოგვიანო იერი აქვს. ესაა რიყის
ქვისაგან დამზადებული მცირე ზომის, კარგად გაპრიალებული ქედ-
შემადლებული ტრაპეციის ფორმის სათლელები, რომლებიც დამახა-
სიათებელია ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებისათვის (თეთრი
მღვიმე, სამერცხლე, სამელე კლდე, დარკვეთი და ძუძუნას ზედა
ფენები).

ამავე ჯგუფს მიეკუთვნება ისრისა და შუბისპირები. ფრთადაშვე-
ბული, მცოცავი წნევეთი რეტუშით ორმხრივდამუშავებული ისრის-
პირები ძირითადად გვხვდება ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებ-
ში. რცხმელურის ისარს გვერდები ხერხისებური ფაქიზი რეტუშით
აქვს დამუშავებული. ეს რეტუშის მოგვიანო სახეა და იშვიათად
გვხვდება დასავლეთ საქართველოს ენეოლითურ ძეგლებზე, იგი საერ-
თოდ ლითონის ხანას უკავშირდება. კომპლექსში არსებული რომბი-
სებური მოყვანილობის შუბისპირი აახალგაზრდავებს ძეგლს. მსგავსი
იარაღები ცნობილია დასავლეთ ამიერკავკასიის ენეოლითის ძეგლები-
დან.

კოლექციაში არსებული ცული დამუშავებულია გახეხვა-გაპრია-
ლებისა და მოკოდვის კომბინირებული ტექნიკით. აღსანიშნავია უხეშ
ანატექცებზე დამზადებული საფხეკები და ხიწვიანი საქრისი. ამ უკა-
ნასკნელების ცალკე პოვნის შემთხვევაში ისინი შეიძლებოდა პალეო-
ლითისათვის მიგვეკუთვნებინა, მაგრამ თუ გავიხსენებთ იმას, რომ
ენეოლითის ძეგლებში, როდესაც ქვის ტექნიკა ეცემა, იარაღებს ხში-
რად უხეში, ზედაპალეოლითური იერი აქვთ, შეიძლება ისინი ერთ
კომპლექსად მივიჩნიოთ.

კოლექციაში არა გვაქვს გეომეტრიული ფორმის მიკროლითები
და მიკროლამელები. იმის გამო, რომ ძეგლი ბოლომდე გათხრილი არ
არის და ხელთ არა გვაქვს სრული კოლექცია, მასალის ტიპოლოგიუ-
რი ანალიზი ჭერჭერობით მხოლოდ წინასწარული დათარიღების საშუა-
ლებას იძლევა. ვითვალისწინებთ რა კოლექციის ტიპოლოგიურ შემად-
გენლობას, მას ფართო ქრონოლოგიურ, კერძოდ ნეოლით-ენეოლი-
თის ჩარჩოებში ვათავსებთ. ძეგლის შემდგომი გათხრები და მისი
მთლიანი შესწავლა დააზუსტებს როგორც ძეგლის თარიღს, ისე ამ
ორი სხვადასხვა ჯგუფის მასალების ურთიერთმიმართებასაც.

არანაკლებ საინტერესო მასალას იძლევა ცაგერის მხარეთმცოდ-
ნეობის მუზეუმში დაცული ამავე რაიონის სხვადასხვა პუნქტებიდან
(ნაკურალეში, აღვი, საქორია, ლაილაში) მომდინარე ენეოლითის ხა-
ნის მასალები (ზოგიერთი ნივთი შესაძლოა ადრებრინჯაოს ხანის
კომპლექსსაც კი ეკუთვნოდეს) (ტაბ. XXI—XXII).

მასალები ძალიან მკაფიოა და ექვს არ იწვევს ამ რეგიონში ენეო-ლითური ხანის ძეგლების არსებობა.

აღნიშნული მასალა წარმოდგენილია კაეის ორმხრივდამუშავებულ-ლი, ფუქემოდარული შუბისპირებითა და მკაფიო კბილანების მქონე ორმხრივდამუშავებული ნამგლით. აქედან ცნობილია ბარის ენეო-ლითური ძეგლებისათვის დამახასიათებელი ფოთლისებური, ორ-მხრივდამუშავებული შუბისპირებიც, სამაჯურის ფრაგმენტი, დიდი ჩაოღენობითაა ქვის გახეხილი სათლელ-სატეხები.

განსაკუთრებით საყურადღებოდ მიგვაჩნია ს. ლაილაშში დადას-ტურებული ტოპონიმები — გრძელახო და ახოსთავი, და სწორედ ამ უკანასკნელზე ენეოლითური ხანის ხელსაფქვავის ფრაგმენტისა და რიყის ქვის დაზიანებული ცულის ნატეხის პოვნის ფაქტი.

მკაფიო ადრესამიწათმომქმედო კულტურა გამოვლინდა კავკასი-ის შავიზღვისპირეთში — სოკი-ადღერის მხარეში. აქ უკვე დასტურ-დება მრავალრიცხოვანი ნამოსახლარები ე. წ. „სოკი-ადღერის“ ტი-პის თოხებით⁵⁵. აღნიშნული კულტურის ძეგლები ცნობილია მდ. მზი-მთას ტერასაზე კახაჩი ბროდიდან, ს. ახშთირიდან, მოლდოვკადან; სო-ჭის მახლობლად — ბატარეიკა, პლასტუნკა, აეკა და ბოჩაროვ რუ-ჩეიდან; იმერეთის ყურედან და სხვა. მოგვიანებით გაიკვია, რომ ეს კულტურა მოიცავს არა მარტო სოკი-ადღერის მხარეს, არამედ იგი უფრო სამხრეთითაც ვრცელდება და ოჩამჩირემდე აღწევს⁵⁶.

თოხები მზადდებოდა ბრტყელი, ოვალური რიყის ქვების შუაზე გაბობილი ნაწილებისაგან, რომლებსაც ცალ ბოლოზე უხეში ათლით ყუა უკეთდებოდა ტარში ჩასამაგრებლად, ოვალური სამუშაო პირი კი ოდნავ უმუშავდებოდა დამატებით.

მსგავს იარაღებს მესოპოტამიიდან ე. დე მორგანი ცულებად მი-იჩნევდა⁵⁷, ხოლო ა. ფორმოზოვი მათ ადრე გამოსულ ნაშრომში სა-თლელების ფუნქციას მიაწერდა და თვლიდა, რომ კავკასიის ქვიანი

⁵⁵ А. А. Формозов. О датировке неолитических стоянок Черноморского побережья Кавказа.—КСИИМК, 67, 1957; И. К. Недоля. Орудия земледелия эпохи неолита из района Адлера.—Ижв. с. 142—143; Л. И. Соловьев. Новый памятник культурных связей Кавказского Причерноморья в эпоху неолита и бронзы, с. 137—138; В. Н. Марковин, Р. М. Мунчаев. О двух типах каменных орудий Северного Кавказа —КСИА, 84, 1961, с. 27—29; А. А. Формозов. Неолит Крыма и Черноморского побережья Кавказа, с. 126—128; В. В. Бжаниа. Древнейшая культура Абхазии. Автореферат канд. диссер., М, 1966.

⁵⁶ Л. Н. Соловьев. Энеолитическое селище у Очамчирского порта в Абхазии.—Тр. Абх. НИИ Груз. ФАН СССР, вып. 15. Сухуми, 1939.

⁵⁷ J. de Morgan. La prehistoire orientale, t. III, Paris, 1927, p. 70 — 71.

წიდაგების დასამუშავებლად ისინი არ გამოდგებოდა⁵⁸, მოგვიანებით კი მან ეს იარაღები თოხებად მიიჩნია⁵⁹.

სოჭი-ადღერის ტიპის თოხებთან ერთად აღნიშნულ ნამოსახლარებზე ნაპოვნი იყო აგრეთვე ორმხრივდამუშავებული ნამგლისპირები, ხელსაქვეავები, გახეხილ-გაპრიალებული რიყის ქვის იარაღები, საწაფები, შუბისპირები და ისრისპირები. გეომეტრიული მიკროლითები აქ არ აღმოჩენილა. აქვე (იმერეთის ყურე) დასტურდება დარღვეული ნამოსახლარის ქვის საძირკვლები და კერების ნაშთები⁶⁰.

აღნიშნული ტიპის თოხების შესახებ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ისინი იხმარებოდა მათი გავრცელების რაიონში არსებული მსუბუქი წიდაგების დასამუშავებლად⁶¹.

სოჭი-ადღერის ტიპის თოხებს პარალელები მხოლოდ წინა აზიასში მოექმნება — სუზა 1, ჯემდეთ-ნასრი⁶², ხასუნა⁶³, სიალკი⁶⁴, რასაც ა. ფორმოზოვი სამართლიანად ხსნის იმ ურთიერთობით, რომელიც არსებობდა კავკასიასა და წინა აზიას შორის უძველესი პერიოდებიდან⁶⁵. მაგრამ შავიზღვისპირეთის თოხებს იგი ძვ. წ. IV—III ათასწლეულებით ათარიღებს.

სოჭი-ადღერის ტიპის თოხების წინააზიური პარალელები თავსდება ძვ. წ. VI—IV ათასწლეულების საზღვრებში. მართებულად გვეჩვენება ამასთან დაკავშირებით რ. მუნჩაევის მოსაზრება, რომ წინააზიური კულტურის ელემენტები კავკასიაში შესაძლებელია შემოსულიყო მხოლოდ იმ დროს, როდესაც ისინი გავრცელებული იყო წინა აზიაში⁶⁶. უკანასკნელი სპეციალური გამოკვლევების მიხედვით სოჭი-ადღერის ტიპის თოხები ენეოლითის ხანას განეკუთვნება⁶⁷, თუმცა ეს იარაღები ზოგიერთ ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარზეც (ოჩამჩირე) გვხვდება⁶⁸.

⁵⁸ А. А. Формозов. О датировке....., с. 139.

⁵⁹ მისივე. Каменный век, с. 61.

⁶⁰ И. К. Недоля. დასახ. ნაშრომი, გვ. 143.

⁶¹ იქვე.

⁶² E. Mackay. Report on excavation at Jemdet Nasr, Iraq-Field. Museum of natural history-Anthropology, memoirs, v. I. N 3. Chicago, 1931, tab. I.XXV.

⁶³ Saton Loyd and Fuad Safar. Tell Hassuna.—Journal of Near Eastern Studies, V, IV, N 4. Chicago, 1945, pict. 19, 20.

⁶⁴ R. Chirshmann. Fouilles de Sialk de Kashan, V, I, Paris, 1938, tab. LVII, 2.

⁶⁵ А. А. Формозов. Каменный век., с. 61.

⁶⁶ Р. М. Мунчаев. დასახ. ნაშრომი, с. 71.

⁶⁷ იქვე. გვ. 84.

⁶⁸ Н. Н. Соловьев. დასახ. ნაშრომი.

საინტერესო მასალა მოგვცა მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიაზე მდ. ოცხეს მარჯვენა, პირველ ტერასაზე, ყანობილის მთის ძირში აღმოჩენილმა ნამოსახლარმა⁶⁹, რომელიც აღნიშნულ კულტურას უნდა ეკუთვნოდეს. ნამოსახლარი ზღვის დონიდან 1300 მ სიმაღლეზე მდებარეობს. კულტურული ფენები მასზე 2 მ-ის სისქის ნაღებების ქვეშ იყო მოქცეული. აქ დადასტურებული იყო ნაშალი კლდისაგან ნაგები (მშრალი წყობა) მოგრძო, სწორკუთხა ნაგებობების ნაშთი, დამწვარი ძვლების ანაბეჭდიანი ბათქაშით. კ. კალანდაძე ვარაუდობს, რომ ამ ნაგებობას ბანური გადახურვა უნდა ჰქონოდა⁷⁰. ნაგებობის ცენტრში კერის ნაშთი იყო ნაპოვნი. მასალა წარმოდგენილი იყო კაჟის, რიყის ქვისა და ძვლის იარაღებითა და კერამიკით. ნაპოვნი იყო მოგრძო, ოვალური ხელსაფქვაავი, ყუნწიანი და ფოთლის ფორმის ორმხრივ-დამუშავებული ისრისპირები, საფხეკი, სახოკები, დანები, დანა-სახოკები, სახვრეტები, დაკბილული იარაღები, ბაზალტის საჩეხი იარაღი, რიყის ქვის სათიხრები, არგილიტის სათლელ-სატეხი, შურდულის ქვა და სხვ.

ნამოსახლარზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ქილისებური, ქოთნისებური, დერგისებური და ჯამისებური — ნაკეთობების ნატეხები. ჭურჭელი მორუხო-მონაცრისფროა, ცუდად გამომწვარი, აქვს კვარცისა და ქარსის მინარევეები. ზოგიერთს ეტყობა ქილოფის ანაბეჭდი. ჰარბობს ბრტყელძირა ჭურჭლები ძირიდან კედლებზე კუთხოვანი გადასვლით. იშვიათია ქუსლიანძირიანი და მრგვალძირიანი ნაკეთობები. არის სწორპირიანი, პირმოყრილი და პირგადაშლილი, უმეტესად დაბალყელიანი ჭურჭლები, გამონაკლისია ერთი ცილინდრულყელიანი⁷¹.

განსხვავებულად გამოიყურება სფერულტანიანი, მრგვალძირიანი, წითელპირილა, თხელკეციანი, კარგად გამომწვარი, დაბალყელიანი და პირგადაშლილი ჭურჭელი. მსგავსი ჭურჭლები ცნობილია სამეღე კლდის, სამერცხლე კლდისა და ძუძუნას ზედა ფენებიდან⁷².

ძეგლების ზემომოტანილი მიმოხილვიდან ჩანს, რომ კომპლექსები ძირითადად ერთგვაროვანია, მაგრამ საერთო, ზოგადი მსგავსების გარდა აქვთ აგრეთვე მრავალრიცხოვან ქრონოლოგიურ (კულტურის ჩარჩოებში) თუ მეურნეობრივ თავისებურებებთან დაკავშირებულ განსხვავებებშიც, რომლებსაც გზადაგზა ვუსვამთ ხაზს.

⁶⁹ კ. კალანდაძე. აღრემიწათმოქმედი ტომების კულტურის ნაშთები აბას-თუმანში. — საისტორიო კრებული, 1961, წ. გვ. 371—381.

⁷⁰ იქვე. გვ. 375—378.

⁷¹ იქვე. გვ. 374.

⁷² იქვე.

აღნიშნულ ძეგლებს, იმისდა მიხედვით, თუ რა ადგილი უჭირავთ ეპოქის ქრონოლოგიურ ჩარჩოში, ესა თუ ის ელემენტი სხვადასხვა რაოდენობით ახასიათებს, განსხვავებაა აგრეთვე იარაღების დამუშავების ხარისხსა და ფორმებშიც.

ყველაზე მთავარი საერთო ნიშანი მღვიმური და ღია ნამოსახლარებისა არის საბრძოლო-სანადირო იარაღების სიჭარბე. ისინი წარმოდგენილია კაყის ორმხრივდამუშავებული შუბისპირებითა და ისრისპირებით. ახასიათებთ ფორმათა მრავალგვარობა — გვხვდება ყუნწიანი და უყუნწო, სწორფრთიანი, მომრგვალებულფრთიანი, ფრთადაშვებულ-ამოღარული შუბისპირები და ისრისპირები, არის გვერდ-ამოღარულებიც. საკმაოდაა უყუნწო, სამკუთხედის ფორმის სწორ-ფუძიანი და ფუძემოღარული ცალები.

აღნიშნულ ძეგლებში კაყის ინდუსტრია ნეოლითური ძეგლები-საგან განსხვავებულია. ხმარებიდან გამოდის და იშვიათად გვხვდება ისეთი იარაღები, როგორცაა საფხეკები, საჭრისები, სახვრეტები, კომბინირებული იარაღები, დანები; მათი დამუშავების ხარისხი ეცემა. მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული ფორმის მიკროლითები მხოლოდ ზოგიერთ ძეგლში (სამელე კლდე, დარკვეთი, ოქუმი), თითო-ოროლა გადმონაშთის სახით გვხვდება. სამაგიეროდ ვითარდება და იხვეწება წნევეთი რეტუშით იარაღების ორმხრივი დამუშავება (შუბისპირები, ისრისპირები, ნამგლისპირები).

მიმოხილული ძეგლები ხასიათდება ქვის სხვადასხვა ქანებისაგან (რიყის ქვა, არგილიტი, სერპანტინი, ბაზალტი) დამზადებული, გახეხილ-გაპრიალებული იარაღებით (ცულები, სატეხ-სათელელები). მათი უმრავლესობა ბრტყელი და ცალპირლესილია, იშვიათად გვხვდება ორპირლესილებიც; თეთრამიწაზე ამგვარი იარაღები ძალიან ბევრია, შედარებით ნაკლებია ისინი ტყიბულის ახალსოფლის კომპლექსში, ხოლო ჩიხორში, რომელიც ამ ძეგლებთან შედარებით მოგვიანოა, ამგვარი იარაღი არც ნამოსახლარსა და არც სახელოსნოში ნაპოვნი არ ყოფილა.

ღია ნამოსახლარებზე გვხვდება რიყის ქვისაგან დამზადებული წერაქვისებური და თოხისებური იარაღები (თეთრამიწა, სოჭი-აღლე-რის ნამოსახლარები).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ღია ნამოსახლარებზე (თეთრამიწა, ახალსოფელი, ჩიხორი) კაყის ორმხრივდამუშავებული ნამგლისპირების სიჭარბე და მრავალგვარობა. მღვიმურ ძეგლებში ამგვარი იარაღები არ გვხვდება. მღვიმეებში არ გვხვდება აგრეთვე მიწის დასამუშავებელი ქვის იარაღებიც. აქ ბევრია ძვლისა და რქის წვერწა-

მახული და სატარებელი იარაღები, რომლებსაც ნ. ბერძენიშვილი სამიწათმოქმედო იარაღებად მიიჩნევდა⁷³.

ძელისა და რქის იარაღები უფრო დიდი რაოდენობით გვაქვს მღვიმეებიდან. ისინი წარმოდგენილია სადგისებით, მახათებით, სახერტებით, მიწის სათხრელი იარაღებით, საპრიალებლებით და სხვ.

სამკაულების ყველაზე გავრცელებული სახეა ფიქალისაგან დამზადებული ფირფიტისებური, გახეხილ-გაპრიალებული სამაჭურები, რომლებსაც უმეტესად ოთხკუთხა, იშვიათად სამკუთხა განიგვეთი აქვს. ისინი იშვიათად მზადდებოდა აგრეთვე თიხისაგან (საგვარჯილე). სამაჭურების ნახევარფაბრიკატები ყვირილის ხეობის ძეგლებში ნაპოვნი არ არის. აღსანიშნავია, რომ თეთრ მღვიმეში, ოქუშსა და სამერცხლე კლდეში ამგვარი სამკაულები არ გვხვდება. არ ყოფილა ისინი ნაპოვნი არც ჩიხორის ნამოსახლარზე.

მღვიმურ ძეგლებზე ათეულობითაა ნაპოვნი კონუსური და ბიკონუსური, ორნამენტური და უორნამენტო კვირისტავეები. ორნამენტად გამოიყენებოდა წერტილები, ფრჩხილისებური და სხივისებური ქდეები. ღია ნამოსახლარებზე აღნიშნული ნივთები ან საერთოდ არ გვხვდება, ან იშვიათად. აქ აღსანიშნავია კერამიკული ან ქვიშაქვის გახვრეტილი წრეების პოვნის ფაქტი (ახალსოფელი, ჩიხორი), რომელთა დანიშნულება გაურკვეველია. შესაძლოა, მათ ავგაროვნების ფუნქცია ეკისრებოდათ.

თიხის ნაკეთობებიდან აღსანიშნავია ქალისა და სხვადასხვა ცხოველთა ქანდაკებების ფრაგმენტები (თეთრი მღვიმე, საგვარჯილე, ძუძუანა) და ასევე ე. წ. „სარიტუალო კვარები“ (თეთრი მღვიმე).

ორივე ტიპის ნამოსახლარებზე ყველაზე დიდი რაოდენობით გვხვდება სამეთუნეო ნაწარმი. კერამიკა მათზე ძირითადად ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი, რომელთა აღდგენა იშვიათად ხერხდება. უმეტესად შესაძლებელი ხდება მათი დაჯგუფება ცალკეული ნიშნების მიხედვით და ისე დახასიათება. ზემოთ ჩვენ, ცალკეული ძეგლების მიხედვით, დავახასიათეთ ყველა მნიშვნელოვანი კერამიკული ჯგუფი, ამიტომ აქ მხოლოდ ზოგადად წამოვწევთ იმ არსებით ნიშნებს, რომლებსაც მღვიმური ძეგლების ქრონოლოგიური ადგილის მონახვის ან კულტურული ურთიერთობის საკითხების კვლევისათვის ექნება მნიშვნელობა.

ამ მრავალრიცხოვან და მრავალგვარ სამეთუნეო ნაწარმში ყველაზე

⁷³ ნ. კილაძე (ბერძენიშვილი). პირველყოფილი მიწათმოქმედების ისტორიისათვის საქართველოში. გვ. 275.

ჰარბად გვხვდება მოყავისფრო-მონაცრისფროდ ან მოვარდისფროდ, ხშირად არათანაბრად გამომწვარი, უხეში, ხელით ნაძერწი, კეცში კვარცის, ქარსისა და კირის მინარევებიანი, უყურო, უორნამენტო, ბრტყელძირა, პირგადაშლილი, ხშირად უყულო, ზოგჯერ სწორკედლა, უმეტესად კი მრგვალმუცლიანი ან კვერცხისებური კორპუსის მქონე თიხის ნაკეთობების ცალკეული ნაწილები. მათი მიხედვით შესაძლებელი გახდა თავდაპირველი ფორმების დადგენა. აქ უნდა ყოფილიყო ქილისებური, ქოთნისებური, დერგისებური, ჯამისებური და ღრმა გობისებური ნაკეთობები.

ფრაგმენტების დიდ ნაწილს ეტყობა წითელი საღებავის კვალი. ბევრი მათგანი მოწერნაქებულია და გაპრიალებული. ქილებსა და ქოთნებს ზოგჯერ ჰედური ბაკოები აქვთ (დარკვეთი, სამელე, თეთრი მღვიმე). დარკვეთისა და სამელეს ქურჭლებზე პირის მახლობლად პარა შეერილები შეიმჩნევა. სამერცხლე კლდის დიდი ზომის, ღრმა, გობისებურ და სამელე-კლდის ქოთნისებურ ქურჭლებს პირთან ნაჩერტები შემოუყვება.

მეჭეჭისებური ორნამენტი გვხვდება დარკვეთის III ფენაში, ძუძუნაში. სამერცხლე კლდესა და „ოჩაყნიში“. მაგრამ ისევე მცირე რაოდენობით. როგორც ადრემედიკოპურ ძეგლებში. მათი რაოდენობა მატულობს მოგვიანო ძეგლებში („ზალოყენი“, „კოლოკონი“). მეჭეჭები კეთდებოდა სველ თიხაზე, ქურჭლის შიგნიდან და შემდეგ იგლისებოდა თიხით. დასავლეთ საქართველოს კერამიკაზე მეჭეჭები შიგნიდან მოგლესილი არ არის. ძუძუნაში არის გაუპრიალებელი ქურჭლები, რომლებსაც ეტყობა ქილისებური ფორმიდან კვერცხისებურზე გადასვლა. დარკვეთის ერთ კერამიკულ ფრაგმენტზე შეიმჩნევა ქილოფის ანაბეჭდი.

განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიყოფა თხელკეციანი, წითელპრიალა, განლექილი თიხისაგან დამზადებული, მხოლოდ ქარსის მინარევების მქონე, უყურო, სფერულმუცლიანი და მრგვალძირიანი, დაბალყელიანი, პირგადაშლილი, ან სურისებური (ძუძუნა) მოყვანილობის ქურჭლები. მათი ფრაგმენტები დასავლეთ ამიერკავკასიაში ჯერჯერობით მხოლოდ მღვიმურ ძეგლებშია ნაპოვნი. წოფიდან და აბასთუმნიდან კი ანალოგიური კერამიკა ცნობილია.

სტრატოგრაფიულად ჩანს, რომ სამერცხლე კლდეში წითელპრიალა კერამიკა და მეჭეჭიანი ორნამენტი ფენის ზედა ნაწილს უკავშირდება.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მიმოხილულ მღვიმურ და ღია ნაშოსახლარებზე მოპოვებული ლითონის ნაწარმი.

ძუძუნაში, სამელე და სამერცხლე კლდეში აღმოჩენილია თიხი-საგან დაშვადებული ლითონის საღობი ტიგელები, ხოლო სამელე და სამერცხლე კლდეში ყალიბიცაა ნაპოვნი. მღვიმეებში (სამელე კლდე, საგვარჯილე, თეთრი მღვიმე)⁷⁴ ნაპოვნია შემდეგი ლითონის ნაწარმი: ისრისპირები, ოთხწახნაგა სადგისები, ანკესები, ხვია; ჩიხორის⁷⁵ ნამოსახლარზე კი — სპილენძის ოთხწახნაგა სადგისები და წელშეზნეკილი მცირე ზომის საკიდი.

ცხრილი 1

სპექტრული ანალიზის შედეგები

ნიეთის დასახელება	აღმოჩენის ადგილი და წელი	Cu	As	Sn	Zn	Mg	Al	Mn	Si	Pt	Ag
ისრისპირი	თეთრი მღვიმე	ძ. ბ. 0,7	კვ.	კვ.	კვ.	კვ.	კვ.	კვ.	მკ რე რაოდ.	კვ.	—
სადგისი	საგვარჯილე	97,0	0,46	—	0,68	—	—	—	—	—	—
სადგისი ოთხწახნაგა	ჩიხორი 1981	ძ. ბ. 0,8	—	კვ.	—	—	—	—	—	—	—
სადგისი ოთხწახნაგა	ჩიხორი 1982	ძ. ბ. 1,6	—	—	კვ.	—	—	კვ.	—	კვ.	—

პირობითი აღნიშვნა: ძ. ბევრი — 20—100%-მდე, კვალი —%-ის მესაღედი ნაწილი. ბევრი — 1,5%-ის ზევით. ცოტა —%-ის მესამედი. არის — 1%-მდე.

ხელოვნურად დარიშხანის მირევის ზღვარად მიჩნეულია ლითონში 2%-ზე ან 4%-ზე მეტი რაოდენობის დარიშხანის არსებობა. აღნიშნულ ნიეთებში დარიშხანის მინარევი ბუნებრივი უნდა იყოს (ც. აბესაძე).

ამგვარად, ზემომოტანილი ფაქტობრივი მასალა გვიჩვენებს, რომ დასავლეთ ამიერკავკასიაში მცხოვრები ენეოლითელი ტომები უკვე იცნობდნენ ლითონს და ადგილობრივად ამზადებდნენ მას. ამას მოწმობს ნამოსახლარებზე ნაპოვნი ლითონის ნაწარმი და მათ წარმოებასთან დაკავშირებული ნიეთები (ტიგელები, ყალიბები).

⁷⁴ А. Н. Каландадзе, Н. С. Каландадзе. Древнейшие металлические оружия из пещеры „Тетри мғвиკე“,—В сб : Археология и новострґйки в Советской Грузии, т. II. с. 3—12.

⁷⁵ ჩიხორის ლითონის ნიეთების სპექტრული ანალიზი გაკეთებული იყო აკად. ს. ჭანაშვილის სახ. სახელმწიფო მუზეუმის ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში, რისთვისაც მის თანაშრომლებს უღრმეს მადლობას მოვასხენებთ.

საფიქრებელია, რომ ლითონის წარმოება იყო აგრეთვე ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც განაპირობებდა მღვიმეებში ცხოვრებას.

მიმოხილული ძეგლებისა და მათი მატერიალური კულტურის დახასიათებიდან ჩანს, რომ დასავლეთ ამიერკავკასიის მღვიმეებში ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანაში გავრცელებული იყო მკაფიო და ერთგვაროვანი კულტურა, რომლის გავრცელების საზღვრები საკმაოდ ფართოა. მართალია, იგი ჯერჯერობით მთლიანად არაა გამოვლენილი და სრულად შესწავლილი, მაგრამ სადღეისოდ არსებული მასალები მოწმობენ, რომ მისი გავრცელების უკიდურესი აღმოსავლეთი საზღვარი ჭიათურა-საჩხერის რაიონებზე გადიოდა. იგი მოიცავდა მთელ იმერეთს (თერჯოლის, წყალტუბოს, ქუთაისის რაიონები), ვრცელდებოდა შავიზღვისპირეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ზოლში, სოჭი-ადღერის რაიონებში (ახშთირი, ვორონცოვის მღვიმეები). ამავე კულტურის ძეგლი აღმოჩნდა მესხეთ-ჯავახეთში (აბასთუმანი).

ღია ნამოსახლარები ჯერჯერობით ცოტაა გამოვლენილი, ამიტომ მათი გავრცელების საზღვრებზე მსჯელობა ჭირს. არსებული მასალებიდან ერთი კი ჩანს, რომ ისინი მოიცავდნენ იმერეთს, ზღვისპირეთს და მთიან რაიონებსაც აღწევდნენ (ცაგერი, ლენტეხი).

დასავლეთ ამიერკავკასიის მღვიმეებში აღმოჩენილი ენეოლითური ნასახლარების მეურნეობის საკითხი დიდხანს ბუნდოვანი იყო (მიუხედავად იმისა, რომ ეს ძეგლები უკვე საკმაო ხანია, რაც აღმოჩნდა). მის გარკვევას ართულებდა ამ ნამოსახლარებზე მოპოვებული მრავალრიცხოვანი ძვლოვანი ნაშთების შეუსწავლელობა.

მწარმოებლური მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი დარგის — მეცხოველეობა-მესაქონლეობის — წარმოშობა-განვითარების პრობლემის კვლევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნეოლით-ენეოლითური ხანის ნამოსახლარებზე მოპოვებულ ოსტეოლოგიურ მასალას. მის გარეშე შეუძლებელია მიწათმოქმედ-მესაქონლე ტომების მეურნეობის თავისებურებათა სრულყოფილი შესწავლა. სამწუხაროდ, დასავლეთ კავკასიის ნეოლითურ ძეგლთა უმრავლესობა შავიზღვისპირეთის ღია ნამოსახლარებია, რომლებზედაც ადგილობრივი, სპეციფიკური ბუნებრივი პირობების (ნიადაგების მაღალი მეურნეობის ჭარბი ტენიანობა) გამო არ შემოინახა მწარმოებლური მეურნეობის მაჩვენებელი პირდაპირი მასალა (ფაუნისტური და მარცვლეული ნაშთები), ხოლო მღვიმეებსა და ეხებში უკანასკნელ დრომდე ნაკლებად იყო გამოვლენილი ნეოლით-ენეოლითის ხანის კულტურული ფენები. ამიტომ დასავლეთ ამიერკავკასიის ადრეული მეცხოველეობა-მესაქონლეობის შესახებ მსჯელობა ხდებოდა ან სინქრონული, პარალელური

(ჩრდილო-დასავლეთ კავკასიური) მასალების საფუძველზე⁷⁶, ან მეურნეობის ეს დარგი საერთოდ იყო უარყოფილი დასავლეთ ამიერკავკასიაში⁷⁷.

მეცხოველეობისა და ნადირობის დამადასტურებელი პირველი ძელოვანი მასალა დასავლეთ კავკასიაში აღმოჩენილი იყო ყუბანის-პირეთში, მდ. ბელაიას აუზში, მღვიმე კამენომოსტსკაიაში (მაიკოპის რ-ნი, კრასნოდარის მხარე). აღნიშნული ძეგლის უძრავ, გვიანნეოლითურ ფენაში გარეული ცხოველების (კეთილშობილი ირემი, შველი, დათვი, კურდღელი და სხვ.) ძვლებთან ერთად ნაპოვნი იყო შინაური ცხოველების — ხარის, თხისა თუ ცხვრის, ღორისა და ძაღლის — ძვლები⁷⁸.

კამენომოსტსკაიაში აღმოჩენილი ფაუნისტური ნაშთები იყო პირველი პირდაპირი საბუთი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში როგორც ნადირობის, ისე მწარმოებლური მეურნეობის არსებობისა გვიანნეოლითში.

კამენომოსტსკაიას ქვის იარაღთა კომპლექსის სიახლოვე დასავლეთ ამიერკავკასიის გვიანნეოლითური ნამოსახლარების მასალებთან გვაპარაუდებინებდა, რომ დასავლეთ კავკასიაში, ნეოლითის ხანაში მწარმოებითი მეურნეობა მიწათმოქმედებასთან ერთად მესაქონლეობასაც ეყრდნობოდა⁷⁹. მსგავსი ვარაუდი აღნიშნული მასალის საფუძველზე გამოთქვა აგრეთვე რ. მუნჩაევმა⁸⁰.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ერთადერთი ძეგლის მონაცემებზე დაყრდნობით დასავლეთ კავკასიაში, ნეოლითის ხანაში მესაქონლეობის ვარაუდი არასწორად იქნა მიჩნეული ი. კიკვიძის მიერ⁸¹, ვინაიდან შინაური ცხოველების ძვლები არ იყო დადასტურებული ენეოლითურ (მღვიმურ) ნამოსახლარებზე.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ძეგლებზე არც ნადირობის დამადასტურებელი ძელოვანი მასალა გვექონდა, მაგრამ მიუხედავად ამისა ნადირობას ამ ტომთა მეურნეობაში არავინ გამორიცხავდა.

სინამდვილეში კი ფაქტიური ვითარება სხვაგვარი იყო. როგორც აღვნიშნეთ, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოში

76 ლ. ნე ბ ი ე რ ი ძ ე. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი. გვ. 107, P. M. Мунчаев. Кавказ на заре бронзового века, с. 75.

77 ი. კიკვიძე. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. გვ. 15.

78 А. А. Формозов. დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

79 ლ. ნე ბ ი ე რ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი. გვ. 107.

80 P. M. Мунчаев დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

81 ი. კიკვიძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 75.

დასავლეთ საქართველოში მღვიმეების ნეოლით-ენეოლითურა
ფენების ძელოვანი ნაშთები

ცხოველთა სახეები	მ ღ ვ ი მ ე ე ბ ი							ძუძუნა
	დარკვეთი ნეოლითი	დარკვეთი ენეოლითი	იეთრი მ.ე.მე	სამელე-კლდე			სამგარ- ჯლე	
				I პო- რიბ.	II პო- რიბ.	III პო- რიბ.		
ძროხა— <i>Bos taurus</i>	5/2	2/2	246/15	13;2	12/3	—		64/2
ლორი— <i>Sus domesticus</i>	47/5	46/4	159/11	45/8	44/10	6/2		10/2
წვირილდუხა რქოს. სა- ქონელი— <i>Ovis aut</i> <i>Carpa</i>	17/3	8/2	136/11	5/1	11/3	—		16/2
ძაღლი— <i>Canis famili- aris</i>	1/1	1/1	11/4	—	1/1	—		—
ცხენი— <i>Equus</i>	—	—	—	—	—	—		6/1

უკვე გათხრილი იყო ენეოლითური და ადრებრინჯაოს ხანის მღვიმე-
რი ნაშოსახლარები (საგვარჯილე, სამელე კლდე, ძუძუნა, დარკვეთი,
თეთრი მღვიმე და სხვ.), ძელოვანი მასალა დიდხანს შეუსწავლელი
რჩებოდა, რაც ართულებდა აღნიშნული პრობლემის კვლევას.

სამელე კლდიდან იმ დროისათვის განსაზღვრული იყო მხოლოდ
საცდელი გათხრის დროს მოპოვებული მცირე მასალა, რომელშიც
შემთხვევით მხოლოდ გარეული ფაუნა და ერთადერთი შინაური
მსხვილფეხა საქონლის ძვალი მოხვდა⁸². მისი შემსწავლელები აღნიშ-
ნავდნენ, რომ ყურადღებას იქცევს სამელე კლდის მასალაში თითქმის
სრული არარსებობა შინაური ცხოველების ძვლებისა. თუმცა გამო-
თქვამდნენ იმედს, რომ მღვიმის შემდგომი გათხრისას მოსალოდნე-
ლი იყო შინაური ცხოველების ძვლების მომატება და ცხოველთა სა-
ხეების საბოლოოდ დადგენა⁸³.

აღნიშნულ ნაშრომზე დაყრდნობით სამელე კლდეში მცხოვრებ
ტომთა მეურნეობიდან გამოირიცხა მესაქონლეობა, მეურნეობის ძი-
რითად დარგებად კი მიჩნეულ იქნა მიწათმოქმედება და ნადირობა⁸⁴.

სამელე კლდის შემდგომი გათხრების დროს, მართლაც, აღმოჩნდა

⁸² Н. И. Бурчак-Абрамович, О. Г. Бендукидзе. К изучению фауны позвоночных раннего энеолита, найденных в пещере Самеле Кледе.—საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 53, № 2, 1969, გვ. 493—496.

⁸³ იქვე, გვ. 496.

⁸⁴ გ. ჯავახიშვილი. დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ისტორიისათვის. საკანდიდატო დისერტაცია. 1971, თბ., გვ. 50.

შინაური ცხოველების ძვლები⁸⁵. მოგვიანებით, შინაური ცხოველების ძვლები აღმოჩენილი და შესწავლილი იყო თითქმის ყველა ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ძეგლზე, როგორც მღვიმურ (ძუძუნა, დარკვეთი, თეთრი მღვიმე), ასევე ღია ნამოსახლარზე (ჩიხორი). თეთრამიწის საცდელ თხრილში აღმოჩნდა შინაური მსხვილფეხა საქონლისა და ჯიხვის ძვლები (განსაზღვრა ა. ვეკუამ).

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა დარკვეთის მრავალფენიანი ეხის გათხრასა და შესწავლას. იგი იყო დასავლეთ ამიერკავკასიის პირველი ძეგლი, რომელმაც მოგვცა ფაქტობრივი მასალა ნეოლითის ეპოქის მეცხოველეობისა და ნადირობის შესახებ. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დარკვეთის ადრენეოლითურ ფენაში (IV ფენა) გარეული ცხოველების მრავალრიცხოვან ძვლებთან ერთად აღმოჩნდა შინაური ცხოველების ძვლებიც.

დარკვეთის ადრენეოლითური ფენიდან განსაზღვრული 419 ძვლიდან 349 ძვალი 33 გარეული ცხოველს ეკუთვნის, 70 ძვალი კი 11 შინაურ ცხოველს. აღნიშნული მასალის რაოდენობრივმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ დარკვეთის მცხოვრებლების მეურნეობაში წამყვანი ადგილი ნადირობას ეჭირა (83,29%), ხოლო მეცხოველეობას კი, როგორც ახალ ჩასახულ დარგს, შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა (16,7%).

შინაური ცხოველების სახეობათა რაოდენობრივი ურთიერთმედარება გვიჩვენებს, რომ ნეოლითის ხანაში დარკვეთელების მეურნეობაში წამყვანი ადგილი ღორების მოშენებას ეჭირა. შემდეგ თანაბარი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსან საქონელს.

ენეოლითელი ტომების მეურნეობის შესახებ საინტერესო მონაცემები მივიღეთ დარკვეთის ეხის ზედა ფენებიდან: განსაზღვრული ძვლების საერთო რაოდენობიდან (307 ძვალი — 27 ინდივიდიდან) გარეული ცხოველების ძვლები (250/18) შეადგენს 81,4%; შინაურ ცხოველთა ძვლები (57/9) კი — 18,6%-ს.

აღნიშნული მონაცემებიდან ჩანს, რომ ნადირობას ჭერ კიდევ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დარკვეთის ეხის მცხოვრებთა მეურნეობაში.

დარკვეთის ეხის ენეოლითური ფენის შინაურ ცხოველთა ძვლების ურთიერთშეთარღების ცხრილი წარმოდგენას იძლევა ჭოგის შემადგენლობის შესახებ. როგორც ცხრილი გვიჩვენებს, დარკვეთელები

⁸⁵ გ. ჭავჭავაძის მიერ. დასახ. ნაშრომში.

ენეოლითში, ნეოლითის მსგავსად შინაურ ცხოველთა შორის ღორს ანიჭებდნენ უპირატესობას. შემდეგ ადგილზე თანაბარი რაოდენობით გამოდის მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი საქონელი. ძვლოვანი მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ აქ უნდა გვექონდეს საოჯახო მას-შტაბის მესაქონლეობა, რაც დააკმაყოფილებდა დარკვეთის ეხში მცხოვრებ ერთ ოჯახს.

ანალოგიური დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა დანარჩენ მღვიმეთა ძვლოვანი მასალის ანალიზიც. მათში ყველგან ჰქარბობს გარეულ ცხოველთა ძვლები.

სამელე კლდის სამივე პორიზონტში შინაური ცხოველებიდან ჰქარბობს ღორი, შემდეგ ადგილზეა მსხვილფეხა რქოსანი საქონელი და ბოლოს წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი.

მეცხოველეობის განვითარების ადრეულ საფეხურზე ღორების მოშენებისათვის უპირატესობის მინიჭება ბუნებრივად გვეჩვენება, რადგან დასავლეთ ამიერკავკასიის ეკოლოგიური პირობები, წიფლისა და მუხის ტყეების დიდი მასივები, მათში ამ ცხოველის გარეულ სახეთა სიჭარბე, აგრეთვე ამ უკანასკნელთა თვისებები (იოლი მოშინაურება, დიდი ნამატი, ადვილად გამოსაკვები) ხელს უწყობდა მეცხოველეობის ამ დარგის განვითარებას. ოდნე განსხვავებული სურათია თეთრ მღვიმეში. იქ უპირატესობა მსხვილფეხა საქონელს ენიჭებოდა, შემდეგ ღორს და ბოლოს წვრილფეხა რქოსან პირუტყვს.

5. ბურჩაქ-აბრამოვიჩის მიერ შესწავლილი იყო საგვარჯილეს მღვიმის მეორე ფენის (ენეოლით-ადრებრინჯაო) ფაუნისტური მასალა⁸⁶.

აღნიშნული ფენა მისი გამთხრელის, ნ. ბერძენიშვილის მიერ დათარიღებული იყო ნეოლითით. ახალი მონაცემების მიხედვით, იგი ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანას განეკუთვნება.

საგვარჯილედან შესწავლილია 1125 ძვალი. მათგან დომინირებს ძუძუმწოვართა ნაშთები, მხოლოდ 7 ძვალი ეკუთვნის ფრინველებს. ძვლების საერთო რაოდენობის თითქმის 90% ნახევრად ზრდასრულ ცხოველებს ეკუთვნის, ახალგაზრდებს კი — 2%.

5. ბურჩაქ-აბრამოვიჩის მონაცემებით, საგვარჯილის II ფენის ოსტეოლოგიურ მასალაში ძვალთა საერთო რაოდენობის 56% გარეულ ფაუნას ეკუთვნის, ხოლო 34%-ს შეადგენს შინაური ცხოველების ძვლები. 10% — გაურკვეველია. ველური ფაუნის ინდივიდთა შესაძლებელი მინიმალური რიცხვია — 69, შინაურისა — 10. სანადირო მნიშვნელობის ცხოველთა შემადგენლობაში ჰქარბობენ გარეული ჩლი-

⁸⁶ ნ. ბურჩაქ-აბრამოვიჩი. საგვარჯილის გამოქვაბულის (იმერეთი) ბურჩაქ-აბრამოვიჩის შესწავლისათვის. — სპელეოლოგია X სამეცნიერო სესია. მოხსენებათა შოკლე შინაარსი. 1972, გვ. 9—13.

ქოსნები. მაგალითად, ღორს გარეული ცხოველების ძვლების რაოდენობის 32,5% ეკუთვნის და ძვლების საერთო რაოდენობის 18,4%; კეთილშობილ ირემს — 28,1%, 16,8%; კავკასიის შველს — 10,%, 6,2%; კავკასიის ღომბას — 3,6%, 2%. კავკასიის ჯიხვს — 2,3%, 1,3% და სხვ.

ამგვარად, ნადირობის მთავარ ობიექტს წარმოადგენდა ჩლიქოსანთა სამი სახე — გარეული ღორი, კეთილშობილი ირემი და შველი, რომელთა ძვლებიც ძვალთა საერთო რაოდენობის 41,1%-ს, ხოლო გარეული ფაუნის საერთო რაოდენობის 72%-ს შეადგენდა. სხვა ცხოველებს — დათვი, ჯიხვი და ღომბა — როგორც ჩანს, ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა.

შინაურ ცხოველთაგან უმთავრესი სამეურნეო მნიშვნელობა მსხვილფეხა რქოსან საქონელს ჰქონდა. მას ეკუთვნის შინაურ ცხოველთა ძვლების 49,8%, ცხოველების ძვლების საერთო რაოდენობის 26,5%. რაოდენობრივად ის ჰარბობდა ცალკე აღებულ შინაურ და გარეულ ცხოველთა სახეობებს, მაგრამ სანადირო მნიშვნელობის გარეულ ჩლიქოსანთა სამი სახე (ღორი, ირემი, შველი) ერთად სჭარბობდა მას⁸⁷.

როგორც ვხედავთ, საგვარჯილეში შინაურ ცხოველთა რაოდენობა პროცენტულად მატულობს, ხოლო წამყვანი ადგილი, თეთრი მღვიმის მსგავსად, აქაც მსხვილფეხა საქონელს უჭირავს.

დასავლეთ საქართველოს მღვიმეების ზედა ფენების (ენეოლით-ადრებრინჯაო) ფაუნისტურმა ნაშთებმა ცხადყო, რომ ზემო იმერეთში, ნეოლით-ენეოლითის ხანაში არსებული ხელსაყრელი პირობები ცხოველთა მოშინაურებაზე გადასასვლელად უკვე წარმატებით იყო გამოყენებული ადგილობრივი ტომების მიერ.

შინაურ ცხოველთა მსგავს სახეობათა შემადგენლობა ახასიათებს დასავლეთ საქართველოს უფრო მოგვიანო ნამოსახლარებსაც, სადაც მესაქონლეობა უკვე კარგადაა განვითარებული.

ოჩამჩირის ნამოსახლარზე ჰარბობს მსხვილფეხა საქონლის ძვლები, შემდეგ მოდის ღორისა და ბოლოს, უმნიშვნელო რაოდენობით წვრილფეხა რქოსნების ძვლები⁸⁸. ანაკლიის დიხა-გუძუბაზე ნ. ვერეშჩაგინმა განსაზღვრა ხარის (258/17). ღორის (103/17) და წვრილფეხა საქონლის ძვლები (47/5)⁸⁹.

განსხვავებული სურათია (მღვიმეებისაგან) ენეოლით-ადრებრინ-

⁸⁷ ნ. ბ. უ. რ. ჩ. ა. კ. ა. ბ. რ. ა. მ. ო. ე. ი. ნ. დ. ს. ა. ხ. ნ. შ. რ. ო. მ. გ. 5—12.

⁸⁸ Л. Н. Соловьев. Энеолитическое селение..., с. 52.

⁸⁹ Н. К. Верещагин. Млекопитающие Кавказа. М.-Л., 1959; с. 210.

ჯაოს ხანის ჩიხორის ღია ნამოსახლარზე. აქ ძელოვანი მასალის 90% შინაურ ცხოველებს ეკუთვნის და მხოლოდ 10% — გარეულ ფაუნას. შინაურ ცხოველებში პირველი ადგილი მსხვილფეხა საქონელს ეჭირა — 50%, მეორე ადგილზე შინაური ღორი იყო, შემდეგ კი წვრილი რქოსანი პირუტყვი (ცხვარი და თხა). მოტანილი ფაქტობრივი მასალა მოწმობს, რომ მესაქონლეობა დასავლეთ საქართველოში საკმაოდ ადრე (ნეოლითი) ჩაისახა. განვითარების ადრეულ საფეხურზე მას საოჯახო მასშტაბი ჰქონდა და შინაურ ცხოველთა შორის უპირატესობა ღორს ენიჭებოდა. შემდეგ თანდათანობით მატულობს მესაქონლეობის ხვედრითი წონა მეურნეობაში, თუმცა მას მაინც საოჯახო ხასიათი უნდა ჰქონოდა. ამასთანავე, იცვლება ჯოგის შემადგენლობა. ზოგიერთ მღვიმეში (საგვარჯილე, თეთრი მღვიმე) უკვე შეიმჩნევა მსხვილფეხა საქონლის უპირატესობა დანარჩენებთან შედარებით. გვიანწოლით-ადრებრინჯაოს ხანაში (ჩიხორი) მესაქონლეობა უკვე ერთ-ერთ წამყვან დარგადაა ქცეული (ნადირობის როლი შემცირებულია 10%-მდე), თუმცა ცხოველთა წამყვან სახეობად ისევ მსხვილფეხა საქონელი რჩება.

დასავლეთ საქართველოს მღვიმური ენეოლითური ძეგლების ანალოგიური ცხოველთა სახეობები იყო დადასტურებული ადრეტრიპოლიეს ნამოსახლარზე — ლუკა ვრუბლევეცკაიაზე. აქ ვ. ბიბიკოვას მიერ განსაზღვრული იყო ღორი — 49.2%, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი — 22.2%, თხა — 17,4%, ცხვარი — 2,8%⁹⁰.

მსგავსი შემადგენლობაა ჯოგისა ყირიმის ტაშ-აირ 1 მღვიმეში⁹¹. ნეოლითურ ფენაში ნაპოვნია ღორის — 193 ძვალი, ხარის — 23 ძვალი და წვრილფეხა რქოსნების — 12 ძვალი.

ამავე მღვიმის ბრინჯაოს ხანის ფენიდან განსაზღვრულია ღორის 65 ძვალი, ხარის — 35 ძვალი, წვრილფეხა რქოსნების — 4 ძვალი.

საინტერესო მასალას მესაქონლეობის შესწავლის თვალსაზრისით იძლევა მაიკოპის კულტურის ადრეული ნამოსახლარები. მიუხედავად იმისა, რომ მესაქონლეობა აქ უკვე განვითარებული ჩანს და ნადირობას და მიწათმოქმედებას უმნიშვნელო როლი ეკუთვნის⁹², შინაურ ცხოველთა სახეობების ურთიერთშეფარდება დასავლეთ საქართველოს მღვიმეების ანალოგიურ სურათს იძლევა.

მეშოკოს ნამოსახლარზე შინაური საქონლიდან უპირატესობა

⁹⁰ В. И. Бибикова. Фауна раннетрипольского поселения Лука-Врублевская.—МИА, 1953, № 38.

⁹¹ Е. Б. Дмитриева. Фауна Крымских стоянок Тамил-Кобз II и Таш-Аир I.—МИА, 1960, № 91.

⁹² А. А. Формозов. დასახ. ნაშრომი, გვ. 88—90.

ღორს ენიჭებოდა (52,4%), შემდეგი ადგილი ეკირა მსხვილფეხა რქოსან საქონელს (28,4%) და ბოლოს, წვრილფეხა რქოსან პირუტყვს (17,6%); 1,6% მოდიოდა ძაღლებზე. ცხოველთა მსგავსი შემადგენლობა დადასტურდა ვესიოლისა და იასენოვა პოლიანას ნამოსახლარებზე⁹³.

შინაური საქონლის ჯოგის ამგვარი შემადგენლობა (ღორისა და მსხვილფეხა საქონლის უპირატესობა) გამოირიცხავს მომთაბარულ მესაქონლეობას⁹⁵. მითუმეტეს უნდა გამოირიცხოს მომთაბარული მესაქონლეობა დასავლეთ საქართველოს ღია და მღვიმურ ენეოლითურ ნამოსახლარებზე, სადაც მესაქონლეობის როლი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიასთან შედარებით მცირე იყო, ხოლო ცხოველთა შემადგენლობა კი ანალოგიური.

ამგვარად, მოტანილი მონაცემები მოწმობენ, რომ დასავლეთ ამიერკავკასიის ენეოლითელი ტომების მეურნეობაში გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა მესაქონლეობას. თუმცა მეურნეობის ტრადიციულ დარგს, ნადირობას ჯერ კიდევ საკმაო ადგილი ეკირა, რაც შეეხება მიწათმოქმედებას მღვიმეების მოსახლეთა მეურნეობაში, მაიკოპის კულტურის ნამოსახლარების⁹⁶ მსგავსად, ნაკლები ხვედრითი წონა ჰქონდა.

მღვიმეების კულტურულ ფენებზე თვალის გადავენება გვიჩვენებს, რომ მათში ცხოვრება ზოგან ზედაპალეოლითში (სამერცხლე კლდე, თეთრი მღვიმე, ძუძუანა, საკაჟია), ზოგან კი მეზოლითში (წონა, ქვაქარა, ჯამპალი და სხვ.) წყდება. იშვიათ შემთხვევაში ცხოვრება გრძელდება ადრენეოლითამდე (ცივი მღვიმე, აფიანჩა, დარკვეთი). აღნიშნული ეპოქების შემდეგ ამ მღვიმეებში ცხოვრება წყდება და ღიდ ნაწილში ისევ იწყება ენეოლითის ხანაში.

ისმის საკითხი — რა იწვევს ცხოვრების განახლებას მღვიმეებში? რატომ უბრუნდება მას ადამიანი ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანაში? მაშინ. როდესაც შუა- და გვიან ნეოლითის ფენები არც ერთ მათგანში დადასტურებული არ ყოფილა.

ზოგიერთი მკვლევარი ამის მიზეზად მიწათმოქმედების ჩამორჩენას და კულტურის კონსერვატიულობას მიიჩნევს⁹⁷. ი. კიკვიძე კი, სვამს რა საკითხს, თუ რატომ გვაქვს წარმოებითი მეურნეობის დროს მღვიმური დასახლება, მაშინ, როდესაც დასავლეთ საქართველოში მი-

⁹³ იქვე.

⁹⁴ იქვე. გვ. 90—91.

⁹⁵ იქვე.

⁹⁶ იქვე.

⁹⁷ А. И. Джавахишвили. დასახ. ნაშრომი, გვ. XV.

წათმოქმედება საკმაოდ განვითარებულია, ამის მიზეზად სამშენებლო ტექნიკის დაბალ დონეს მიიჩნევს, რაც განპირობებული იყო კლიმატური პირობებითა და მეურნეობის ხასიათით⁹⁸.

მღვიმეებისაკენ მობრუნება, ჩვენი აზრით, არავითარ კავშირში არ არის მიწათმოქმედების სპეციფიკასთან და არც კულტურული ჩამორჩენილობაა ამისი მიზეზი. მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში საკმაოდ განვითარებულია (თეთრამიწა) და ძეგლების მაგალითზე კარგად ჩანს, რომ ვითარდება აღმავალი ხაზით (ახალსოფელი, ჩიხორი). კულტურის ჩამორჩენილობა რომ იყოს მიზეზი მღვიმეების საცხოვრებლად გამოყენებისა ენეოლითში, მაშინ არ შეინიშნებოდა მასიურად მათი მიტოვება მეზოლით-ადრენეოლითში და, რაც მთავარია, მღვიმეებში გვექნებოდა შუა- და გვიანნეოლითის ხანის ფენები, რისი არც ერთი შემთხვევა ჭერჭერობით არ დასტურდება ჩვენში.

ამის მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ლითონის წარმოების დასაწყისი ენეოლითის ხანაში, რაც კიდევაც დასტურდება მღვიმეებში. როგორც ლითონის ნაწარმის (ისრისპირები, ანკესები, ნემსი; ოთხწახნაგა „სადგისები“. ხვია და სხვ.), ისე მათ წარმოებასთან დაკავშირებული ნივთების (ტიგელები, ყალიბი) აღმოჩენით. როგორც ჩანს, მღვიმეების დიდ ნაწილში ცხოვრობდნენ პირველი მელოთონეები, რომელთა მეურნეობა ძირითადად დამყარებული იყო მესაქონლეობასა და ნადირობაზე.

არ არის გამორიცხული, რომ სწორედ აქ იყოს საწყისები ყვირილის ზემო წელზე (საჩხერე) ადრებრინჯაოს ხანაში დადასტურებული მეტალურგიის მაღალი დონისა.

განსაკუთრებით საყურადღებოა აღნიშნულ პერიოდში ღია და მღვიმურ ნამოსახლარებზე კაუის შუბისპირებისა და ისრისპირების სიმრავლე. ამ იარაღებს მარტო სანადირო ფუნქცია არ უნდა ჰქონოდა, ისინი პირველ რიგში, შესაძლოა, საბრძოლო იარაღები იყვნენ. ამ ტომებს აღნიშნულ ეპოქაში უკვე უნდა ჰქონოდათ გარკვეული „ქონება“ (საქონლის, ლითონის ნაწარმის სახით), რასაც დაცვა სჭირდებოდა.

მღვიმეების დიდი ნაწილი პლატოების ძირში მდებარეობდა, რომლებზედაც მესაქონლეობისათვის კარგი საკვები ბაზა უნდა არსებულიყო, ამასთანავე, მღვიმეები ყველაზე შენიღბულ და მკვიდრ თავშესაფარს წარმოადგენდნენ.

დასავლეთ საქართველოს ენეოლითის ხანის ღია ნამოსახლარებზე მოპოვებული მასალები მკაფიოდ გვიჩვენებენ, რომ აქ მოსახლე ტო-

მების მეურნეობაში, მესაქონლეობასთან ერთად, დიდი ხვედრითი წონა ჰქონდა მიწათმოქმედებას. თეთრამიწის, ახალსოფლის, ჩიხორის ნამოსახლარებზე განსაკუთრებული სიჭარბე შეიმჩნევა მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული იარაღებისა. მრავლადაა ხელსაფქვეავის ფრაგმენტები. აღსანიშნავია ისიც, რომ ძეგლებზე დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი კაჟის ორმხრივდამუშავებული ნამგლისპირები, რომელთა ტრასოლოგიური შესწავლით დადასტურდა, რომ ისინი მარცვლეულის ასაღებად გამოუყენებიათ. მიწის დასამუშავებლად გამოიყენებოდა წერაქვისებური მაკროლითები და რიყის ქვისაგან დამზადებული თოხებიც.

ამგვარად, დასავლეთ ამიერკავკასიაში, ნეოლითის ხანაში ჩასახული მწარმოებლური მეურნეობა აღმავალი ხაზით ვითარდებოდა და შემდგომ პერიოდში (ენეოლითი) შეიმჩნევა ამ კულტურის საფუძველზე აღმოცენებულ (რისი მაჩვენებელიცაა ნეოლით-ენეოლითური კულტურების მჭიდრო გენეტიკური კავშირი) მიწათმოქმედ-მესაქონლე ტომთა ნამოსახლარების ფართოდ გავრცელება, რომლებიც მთიან (ცაგერი, ლენტეხი) რაიონებსაც აღწევდნენ.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მღვიმურ ძეგლებზე მესაქონლეობის (ცხვარი) დადასტურებამ, აგრეთვე კვირისტავეებისა და საქსოვი ჩხირების (თეთრი მღვიმე) პოვნამ რთვა-ქსოვაში გამოყენებული ნედლეულის საკითხი წვრილფეხა საქონლის ბეწვის (და არა სელის) სასარგებლოდ გადაწყვიტა.

დასავლეთ ამიერკავკასიის მღვიმური ენეოლითური ნამოსახლარები დიდ სიახლოვეს ამქავედებენ მაიკოპის კულტურის ძეგლებთან.

ჩვენ აქ არ შევეუდგებით მაიკოპის კულტურის დახასიათებას, რადგან იგი ფართოდაა შესული მეცნიერულ მიმოქცევაში და მასზე უამრავი ლიტერატურა არსებობს. შევეხებით მხოლოდ იმ ფაქტობრივ მონაცემებს, რომლებსაც გარკვეული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს დასავლეთ საქართველოს მღვიმური კულტურის ხასიათის გაგებისათვის.

მაიკოპის კულტურა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ჩამოყალიბებულად ითვლება, მისი უადრესი ძეგლები ყუბანისპირეთშია გამოვლენილი და აქედან მოხდა მისი სწრაფი განფენა აღმოსავლეთით — დაღესტანამდე და სამხრეთ-დასავლეთით — ტამანის ნახევარკუნძულამდე და სოჭი-აღღერის მხარემდე.

მაიკოპის კულტურის პირველი საფუძვლიანი პერიოდიზაცია ა. იესენს ეკუთვნის. მან აღნიშნული კულტურის ძეგლები შეიტანა „ყუბანის დიდი ყორანების“ წრეში და ლითონის ნივთების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავა ამ კულტურის სამარხეული ძეგლების ძირითადი ჯგუფების — აღრეული (მაიკოპური) და მოგვიანო (ნოვო-

სვობოდნაია) — შედარებითი პერიოდიზაცია⁹⁹, რომელიც მკვლევართა უმეტესობამ გაიზიარა.

მოგვიანებით, მაიკოპის კულტურის ნამოსახლარების შესწავლაზე დაყრდნობით, ა. ფორმოზოვმა მოგვცა ახალი პერიოდიზაცია¹⁰⁰. მან ამ კულტურაში სამი ეტაპი გამოყო: პირველში შეიტანა — მეშოკოს ქვედა ფენა, მაიკოპის ყორღანი, ზემო აკაპისა და ტულსკაიას მე-II ყორღანი; შუა ეტაპში — მეშოკოს ზედა ფენა, იასენოვა პოლიანა, ვესიოლი, სკალა, „ოჩაენი“; მესამეში — ხაჯოხი, კამენომოსტსკაიას მღვიმე, ვორონცოვის მღვიმის II ჯგუფი და „ოჩაენის“ ზედა ფენა, ნოვოსვობოდნაიას ყორღანები, დოლინსკოე და სხვ. (იხ. ტაბ. II)¹⁰¹.

რ. მუნჩაევის მიერ ახალი სამარხეული მასალების გათვალისწინების საფუძველზე ორ ძირითად ქრონოლოგიურ ჯგუფს შორის გამოყოფილ იქნა მესამე — შუალედური (უსტ-ჟეგუტინსკის ადრეული ყორღანები)¹⁰².

მაიკოპის კულტურას მეცნიერთა ერთი ჯგუფი ერთ მთლიან კულტურად მიიჩნევდა და მასში ორ ეტაპს (მაიკოპის და ნოვოსვობოდნაიას) გამოყოფდა. მეორე ჯგუფი კი ამ ეტაპებს დამოუკიდებელ კულტურებს აკუთვნებდა (ლ. ლავროვი, ა. სტოლიარი, ბ. ლატინინი, ნ. ნიკოლაევა, ვ. საფრონოვი).

მიჩნეული იყო, რომ მეშოკოს ნამოსახლარის გათხრამ გადაჭრა ეს საკითხი. მეშოკოს ქვედა დონეზე დადასტურდა მაიკოპის შესატყვისი მასალა, ხოლო ზედაში კი — ნოვოსვობოდნაიას ტიპის¹⁰³.

უკანასკნელ ხანებში თითქოს საბუთდება კიდევ ქრონოლოგიური წყვეტილის არსებობა მაიკოპის ყორღანის კომპლექსებსა და ნოვოსვობოდნაიას შორის¹⁰⁴.

აბსოლუტურ ციფრებში მაიკოპის კულტურა თავსდება ძვ. წ. 2500—2000 წლებს შორის. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ მისი შედარებით ადრეული ძეგლები ძვ. წ. III ათ. I ნახევარშიც გადადიოდეს¹⁰⁵. მაიკოპის კულტურის საწყისებს მ. ანდრეევა ძვ. წ. IV ათ-ის II ნახევრის წინააზიურ ძეგლებში პოულობს¹⁰⁶.

⁹⁹ А. А. Иессен. К хронологии «больших кубанских курганов». — СА, 1950, XII. с. 157—200.

¹⁰⁰ А. А. Формозов. ДАСХ. ნაშრომი, გვ. 74—84.

¹⁰¹ იქვე, გვ. 83.

¹⁰² Р. М. Мунчаев. ДАСХ. ნაშრომი, გვ. 335.

¹⁰³ А. А. Формозов. ДАСХ. ნაშრომი, გვ. 75—78.

¹⁰⁴ М. В. Андреева. К вопросу о южных связях майкопской культуры. — СА, 1977, I. с. 42.

¹⁰⁵ Р. М. Мунчаев. ДАСХ. ნაშრომი, გვ. 335.

¹⁰⁶ იქვე, გვ. 41.

მკვლევართა დიდი ნაწილი მაიკოპის კულტურის ჩამოყალიბებაში სამხრეთულ გავლენებს ანიჭებდა ვადამწყვეტ მნიშვნელობას, უნიკალურ ნივთებს კი სამხრეთში უძებნიდნენ პარალელებს.

ჯერ კიდევ ა. იესენი ვარაუდობდა მაიკოპის კერამიკის არაადგილობრივ წარმოშობას¹⁰⁷. რ. მუნჩაევის აზრით ამ კერამიკას აქვს მესოპოტამური წარმომავლობა¹⁰⁸.

ძლიერი წინააზიური გავლენები, რომლებიც აისახა მაიკოპის როგორც უნიკალურ ნივთებში, ისე რიგით მასალაში, ასევე ზოგიერთ ნივთთა კატეგორიების შინაგანი ერთიანობა უფლებას აძლევს მ. ანდრეევას დაუშვას, რომელიც ძველალმოსავლური, ერთი გარკვეული ცენტრის არსებობა, რომლის ზემოქმედების შედეგად ჩამოყალიბდა მაიკოპური კულტურა¹⁰⁹. მისი აზრით, ჩრდილო კავკასიაში მაიკოპური ძეგლების გაჩენა უნდა ემთხვეოდეს ძვ. წ. IV ათ-ის II ნახევარს, როდესაც ძველალმოსავლურ სამყაროში გვიანხალკოლითური კულტურების ფართო კავშირები დასტურდება ცალკეულ რაიონებს შორის. აღნიშნული პერიოდი ხასიათდება ამიერკავკასიის სამხრეთით (ჩრდილო მესოპოტამია, სირია, ანატოლია) მოუხატავი კერამიკის უპირატესი გავრცელებით, ნელი სამეთუნეო ჩარხის გაჩენით და მდიდრული სამარხებით (გავრა)¹¹⁰.

აღნიშნული არგუმენტებისა და მასალების ღრმა ტიპოლოგიურ-შედარებითი ანალიზის საფუძველზე მაიკოპის კულტურის საწყისებს იგი ეძებს ძვ. წ. IV ათ-ის II ნახევრის მესოპოტამიის, სირიისა და პალესტინის ძეგლებში¹¹¹. ადრემაიკოპური და აღმოსავლეთ ანატოლიის, სირიისა და მესოპოტამური ძვ. წ. IV ათ-ის II ნახევრის ნამოსახლარების მასალების მსგავსების საფუძველზე ნეოარაუდევია წინააზიური ელემენტების შეჭრა ჩრდილო კავკასიაში და გარკვეული გენეტიკური კავშირი მაიკოპისა ამუქ-გავრასთან¹¹².

მაიკოპის კულტურის სამხრეთული წარმომავლობის დაშვებისას მრავალი მკვლევარი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა წინააზიურ კავშირებს, რომლებიც ამიერკავკასიის გზით ვრცელდებოდა¹¹³. გამოთქმული იყო აგრეთვე საწინააღმდეგო მოსაზრება, რომლის მიხედვით

¹⁰⁷ А. А. Иессен. დასახ. ნაშრომი, გვ. 175—177.

¹⁰⁸ А. М. Мунчаев. დასახ. ნაშრომი, გვ. 329.

¹⁰⁹ Р. М. Мунчаев. დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

¹¹⁰ იქვე, გვ. 55.

¹¹¹ იქვე.

¹¹² М. В. Андреева. დასახ. ნაშრომი, გვ. 55—56.

¹¹³ А. А. Формозов. დასახ. ნაშრომი, გვ. 208.

ეს კონტაქტები ზღვით ან ბალკანეთის გზით ხორციელდებოდა¹¹⁴. მკვლევართა ერთი ნაწილი თვლიდა, რომ ჩრდილო კავკასიაში გავრცელებული დასავლეთ საქართველოს ენეოლითური კულტურა საფუძვლად დაედო მაიკოპის კულტურას და რომ „მტკვარ-არეზის“ კულტურის ტომთა მოწოლამ გამოიწვია დასავლეთის მღვიმეების კულტურის გავრცელება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში¹¹⁵.

მაიკოპის კულტურის ჩამოყალიბებაში სამხრეთულ კავშირებთან ერთად, რომლებიც კარგად დასტურდება. გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ჩრდილო შავიზღვისპირა სტეპებიდან, „ძველი ორმოსამარხების“ კულტურიდან მომდინარე გავლენებს.

დასავლეთ კავკასიაში ნეოლითის ხანაში გავრცელებული იყო ერთმანეთთან ახლომდგომი კულტურები. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ნეოლითური ძეგლები (კამენომოსტსკაია, ოვეჩკა) დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს დასავლეთ ამიერკავკასიურ სინქრონულ კომპლექსებთან (ქვედა შილოვკა, კისტრიკი, ოდიში და სხვ.). ეს იყო ის ადგილობრივი სუბსტრატი, რომლის ნიადაგზეც დასავლეთ კავკასიაში ამოიზარდა ძლიერი ნეოლითური ტრადიციების მქონე მსგავსი ენეოლითური კულტურები. აღნიშნულ პერიოდში ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ენეოლითურ კულტურას უნდა განეცადა ჩრდილოური, მესაქონლეთა კულტურების მოჭარბებული გავლენა. ცნობილია, რომ ყუბანისპირეთში უკვე ნეოლითის ხანაში დასტურდება მესაქონლეობა. მართალია, ჭერჯერობით ძნელია იმის თქმა, თუ როგორია ნეოლითური მეცხოველეობის წარმოშობის გზები ამ რეგიონში, ადგილობრივი თუ ჩრდილო შავიზღვისპირეთის მესაქონლური ცენტრის გავლენით ჩასახული. ყოველ შემთხვევაში მისი არსებობა ნეოლითის ხანაში უკვე ფაქტია. უნდა ვიფიქროთ, რომ ენეოლითის ხანაში ადგილობრივი ნეოლითური ტრადიციების მქონე კულტურისა და ჩრდილო მესაქონლეთა ტომების ურთიერთქმედების შედეგად ჩამოყალიბდა სინთეზური კულტურა, რომელიც აერთიანებდა ადგილობრივ ნეოლით-ენეოლითური კულტურების ტრადიციებს და ჩრდილოურ ელემენტებს. ახალი, წინამაიკოპური კულტურის მეურნეობის საფუძველს განვითარებადი მესაქონლეობა წარმოადგენდა.

¹¹⁴ В. Г. Марковин. К вопросу о происхождении доменной культуры Западного Кавказа в связи с происхождением абхазо-адыгов, с. 340.

¹¹⁵ А. И. Джавахишвили, Г. Джавахишвили, Я. А. Киквидзе, Д. М. Тушабрачишвили. Некоторые итоги полевых работ 1964 года урбнической и каврильской археологических экспедиций. — აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXV—В. 1968, გვ. 10; ო. ჭაფარიძე. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხებზე საფ. თბ., 1979, გვ. 204.

ეს უკანასკნელი კარგად დასტურდება როგორც კამენომოსტკაი-
ას მონაცემებით, ისე მაიკოპის ადრეული ნამოსახლარების ძვლოვანი
მასალის ა. ფორმოზოვისეული ანალიზით, რომელმაც დამაჯერებლად
დაასაბუთა, რომ ამ ნამოსახლარების მცხოვრებთა მეურნეობა დამყა-
რებული იყო მესაქონლეობაზე¹¹⁶.

ამ თვალსაზრისით საინტერესო მონაცემები იყო მიღებული მაი-
კოპის კულტურის ნამოსახლარის — სვობოდნოეს (კრასნოდარის მხა-
რე) — კაჟის ნამგლისპირების ტრასოლოგიური შესწავლის შედეგად
(შეისწავლა გ. კორობკოვამ). გაირკვა, რომ ეს იარაღები გამოყენე-
ბული ყოფილა მხოლოდ ბალახის სათიბად. ე. ი. ისინი ძირითადად
მესაქონლეობას ემსახურებოდნენ¹¹⁷.

ამ ორი კულტურის ურთიერთშეხების ზონა გამოვლენილია ე. კრუ-
პნოვისა და ნ. მერპერტის მიერ მდინარე თერგზე¹¹⁸. აქ ერთ-ერთ ყორ-
ღანურ ჯგუფში აღმოჩენილია მაიკოპური და ორმოსამარხები¹¹⁹. ორ-
მოსამარხთა კულტურის ერთ-ერთი ძველი დადასტურდა კრასნოდარის
მხარეში — ყორღანები სტ. კანევსკაისთან. აქ ნაპოვნი იყო ორმოსა-
მარხებისათვის ტიპური წვეტიანძირიანი ჰურჭელი და ძვლის მძივე-
ბი. ა. ფორმოზოვი ვარაუდობს, რომ კრასნოდარის მხარეში გამო-
ვლინდება ამ კულტურის ურთიერთმოქმედების რაიონი¹²⁰. ტამანის
ნახევარკუნძულზე დადასტურდა მაიკოპური და სტეპური კულტურე-
ბის შეხვედრები.

ორმოსამარხთა და მაიკოპური კულტურების კავშირზე უნდა მე-
ტყველებდეს დაკრძალვის რიტუალის მსგავსება. მკვლევართა ნაწი-
ლი, ყორღანული სამარხების წარმოშობას სტეპებს მიაწერს, სადაც
ისინი ადრეული პერიოდიდანაა გავრცელებული¹²¹. ჩ. ბიორნი ყორ-
ღანებს ჩრდილოური წარმოშობისად მიიჩნევს და მასში ძველი ორმო-
სამარხების ტრადიციებს ხედავს¹²². ანატოლიაში ყორღანული სამარ-
ხების გავრცელებას სტეპური კულტურის გამოჩენას უკავშირებენ¹²³.

¹¹⁶ А. А. Формозов დასახ. ნაშრომი, გვ. 151.

¹¹⁷ ცნობა მოგვაწოდა ძველს გამოხრელმა ა. ნეხაევმა, რისთვისაც მას მად-
ლობას მოუახსენებთ.

¹¹⁸ А. А. Формозов. დასახ. ნაშრომ. გვ. 139.

¹¹⁹ იქვე.

¹²⁰ იქვე.

¹²¹ Н. Я. Мерперт. Древнейшие скотоводы Волжско-Уральского
междуречья. М., 1974, с. 131.

¹²² Ch. A. Burney, D. M. Lang. The peoples of the Hills, ancient
Ararat and Caucasus, 1971, p. 77.

¹²³ J. Mellaart. Anatolia before c 4000 B. C. and c 2300/1700
B. C. Cambridge, 1964, p. 36.

წინამიყოპური კულტურების განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე, განვითარებული მესაქონლეობის საფუძველზე უნდა მომხდარიყო ამ ტომების მიერ გარკვეული „ქონების“ დაგროვება და გვაროვნული ზედაფენის გამოყოფა¹²⁴, რომლებიც ებმებიან ძველადმოსავლეთის გვიანეოლითური კულტურებისათვის დადასტურებულ ფართო ურთიერთობაში მეზობელ რაიონებთან¹²⁵. აღნიშნულ პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიური ტომების სამხრეთული კავშირები და ამ სამხრეთული ცენტრების ზემოქმედების შედეგად უნდა ჩამოყალიბებულიყო მაიკოპური კულტურა¹²⁶.

დასავლეთ ამიერკავკასიის (იმერეთისა და აფხაზეთის) მღვიმეების მასალები მჭიდრო კავშირს ავლენენ ადრემაიკოპურ კულტურასთან.

აღნიშნულ კულტურებს აქვთ სხვადასხვა ხასიათის საერთო ნიშნები, რომელთა ერთი რიგი ტრადიციულია, მეორე კი — ინოვაციური.

ორივე კულტურის მთავარი და საერთო ნიშანია მათი ნამოსახლარების აღმოჩენა მღვიმეებში. მართალია, ამგვარი ძეგლები დასავლეთ ამიერკავკასიაში უფრო მეტია გამოვლენილი, ვიდრე ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, მაგრამ მთავარი აქ უეჭველად მაინც უნდა იყოს ის საერთო მიზეზი, რამაც აღნიშნულ პერიოდში განაპირობა მღვიმური დასახლებები.

მეორე საერთო ნიშანი ამ კულტურებისა სამეურნეო ბაზაა. ორივე კულტურის მეურნეობის საფუძველს წარმოადგენდა მესაქონლეობა. ნიშანდობლივია, აგრეთვე, მსგავსება მესაქონლეობის წამყვანი დარგისა (მელორეობა. მსხვილფეხა რქოსანი საქონელი).

ყველაზე მყარ მასალას კულტურების ადგილობრივი ფესვების ძიებაში ქვის ინდუსტრია იძლევა. მაგრამ მასშიც არის ტრადიციული და ინოვაციური კომპონენტები.

ამ კულტურების ძირითად, ტრადიციულ კომპონენტებს მიეკუთვნება კაყის ინდუსტრიის შემორჩენა, ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღები და მიკროლითური ტექნიკის გადმონაშთები. ეს ტრადიციული კომპონენტები ორივე კულტურას ახასიათებს, მაგრამ მათში ამავე დროს კარგად ჩანს ლოკალურობაც. მაიკოპის ადრეულ ჯგუფს ახასიათებს სოლისებური მოყვანილობის ქვის სხვადასხვა ქანებისაგან დამზადებული გახეხილ-გაპრიალებული იარაღები, დასავლეთ საქართველოს მღვიმეებში კი მათ უმეტესად ტრაპეციის მოყვანილობა და ტრაპეციისავე განიკვეთი აქვთ. გეომეტრიული მიკროლითები ადრე-

¹²⁴ А. А. Формозов. დასახ. ნაშრომი.

¹²⁵ М. В. Андреева. დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

¹²⁶ იქვე.

მაიკობის კულტურაში ძირითადად სეგმენტებითაა წარმოდგენილი. დასავლეთ საქართველოს მღვიმეებში კი ძირითადად ტრაპეციებით. ეს ნიშნები ტრადიციულია და ლოკალური ხასიათი აქვთ.

აღნიშნული კულტურების ქვის ნაწარმში არის აგრეთვე ინოვაციური ელემენტიც, რომელიც წინამორბედ კულტურას გენეტიკურად ვერ უკავშირდება. ესაა კაყის ორმხრივდამუშავებული შუბისპირები და ისრისპირები. ორივე კულტურას ახასიათებს ამ იარაღების სიჭარბე და მრავალფეროვნება. უნდა ვივარაუდოთ მათი საერთო წარმომავლობა ჭერჭერობით უცნობი წყაროდან.

მეტად მკაფიო სახე აქვთ ამ კულტურებში სხვა ინოვაციურ ელემენტებსაც. კერძოდ, ორივე კულტურას ახასიათებს ქვის გახეხილ-გაპრიალებული სამაჯურები (მსგაისი ფორმები და დამზადების წესი). უნდა ვიფიქროთ, რომ მათი წარმომავლობა სამხრეთულ წყაროს უკავშირდება (სამაჯურები ცნობილია ჯარმოდან, ზაგროსის თეფე ასიაბიდან, სიალკის ქვედა ფენებიდან და სხვ.) და არა ამ რეგიონების წინამორბედ კულტურებს. ამავე ხასიათის საერთო ნიშნებს განეკუთვნება აგრეთვე კვირისტავეები. მათ არა აქვთ გენეტიკური კავშირი წინამორბედ კულტურასთან, აღნიშნულ კულტურებში ისინი უეცრად ჩნდებიან. ნიშანდობლივია, რომ დასავლეთ საქართველოში ისინი უპირატესად მღვიმეებიდანაა ცნობილი.

ყველაზე მკაფიოდ ამ კულტურების ინოვაციები კერამიკაში ფიქსირდება. მათში ადგილობრივ ნიმუშებთან ერთად (რომლებსაც ლოკალური ხასიათი აქვთ) გვაქვს აგრეთვე იმპორტული კერამიკა — წითელპრიალა, თხელკეციანი, განლექილი თიხისაგან დამზადებული, თითქმის უმინარევებო, უორნამენტო, უყურო, სფერულმუცლიანი და მრგვალძირა ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებსაც საერთო წარმომავლობა უნდა აკავშირებდეს.

ამგვარად, ამ კულტურების ქვის ინდუსტრიებისა და კერამიკის ანალიზის შედეგად კარგად ჩანს, რომ დასავლეთ ამიერკავკასიასა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ნეოლით-ადრენეოლითის ხანაში გავრცელებული იყო განვითარების საერთო გზის მქონე, ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთობაში მყოფი ადგილობრივი კულტურები, რომლებსაც ჰქონდათ ლოკალური, წინამორბედ კულტურასთან გენეტიკურ კავშირში მყოფი ტრადიციული ელემენტები. ამ ადგილობრივი სუბსტრატის ანარეკლი კარგად ჩანს ორივე კულტურაში. თვალსაჩინოა აგრეთვე ადგილობრივი კულტურების სამხრეთულ კულტურებთან ურთიერთმოქმედების შედეგად შექმნილი მრავალი ინოვაცია, რომლებმაც გარკვეული სახე მისცეს ამ კულტურებს. როგორც ჩანს, ამ გარეგანი ფაქტორის, ე. ი. ინოვაციების წყაროს, ზემოქმედების ხარისხი ორივე კულტურაზე თანაბარი არ იყო. არ არის გამორი-

ცხული, რომ აქ გარკვეული მნიშვნელობა ჰქონოდა ადგილობრივი ტრადიციის მდგრადობისა და სიძლიერის ხარისხს, რის შედეგადაც ინოვაციების მიღებისა და მასთან შერწყმის პროცესი ამ კულტურებში განსხვავებული ხარისხისა იყო.

მღვიმეების დათარიღებისათვის მნიშვნელოვან მასალას იძლევა დარკვეთის ენეოლითურ (I—III) ფენებში ჩაშვებული „მტკვარ-არეზის“ კულტურის ადრეული სამარხები. აღნიშნული ფაქტი გასაღებს უნდა გვაძლევდეს მღვიმის ზედა თარიღისათვის.

„მტკვარ-არეზის“ კულტურის ენეოლითური საფეხური IV ა-ის II ნახევარს მოიცავდა¹²⁷. რადგან დარკვეთში ჩაშვებული სამარხების მასალა „მტკვარ-არეზის“ კულტურის ადრეულ ეტაპს განეკუთვნება, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ სამარხების ჩაშვება დაახ. ძვ. წ. IV ა-ის ბოლოს მაინც უნდა მომხდარიყო, თუ არა ძვ. წ. IV ა-ის II ნახევარში. თუ ამ საფეხურის ზედა ზღვრად ძვ. წ. IV ა-ის ბოლოს მივიჩნევთ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ დარკვეთის ზედა ფენების წარმოქმნა და შემდეგ მათი ცხოვრების შეწყვეტა წინ უსწრებდა განსხვავებული კულტურის სამარხების ჩაშვებას. აქედან გამომდინარე, ჩვენ რომ უკიდურესი დაშვებები გავაკეთოთ კიდევაც და დარკვეთის I ფენა ჩაშვებული სამარხების თანადროულად მივიჩნიოთ, ხოლო მისი წინა ორი ფენის წარმოქმნისათვის სულ მცირე 30—30 წელიწადი ვივარაუდოთ, მაშინ მესამე ფენის წარმოქმნის ქვედა ზღვარმა ძვ. წ. IV ა-ის I ნახევარში უნდა გადაიწიოს.

დარკვეთის ენეოლითურ ფენებზე უფრო იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ მათში (განსაკუთრებით მესამე ფენაში) კარგად ჩანს კავშირი მაიკოპის კულტურის ადრეული ჯგუფის მასალებთან (წითელპირიალა კერამიკა, ქვის სამაჯურები, მექეპების ნიმუშები და სხვ.), რამაც შესაძლოა მხარი დაუჭიროს მაიკოპის კულტურის ადრეული ეტაპის თარიღის ძვ. წ. IV ა-ს I ნახევარამდე დაძველებას. ამას აგრეთვე ადასტურებს თითქოს მაიკოპის კულტურის ნამოსახლარების ადრეული მასალებიც.

127 ო. ჯ ა ფ ი რ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი. გვ. 89.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში თვალი გავადევნეთ დასავლეთ ამიერკავკასიის კულტურულ-სამეურნეო განვითარებას გვიანმეზოლითიდან ადრებრინჯაოს ეპოქამდე.

გვიანმეზოლით-ადრენეოლითური ძეგლების კავკასიის მასშტაბით განხილვამ წარმოაჩინა საერთო კანონზომიერებებზე დამყარებული ზოგადკავკასიური კულტურულ-სამეურნეო მოდელის არსებობა (მითვისებით-კომპლექსური მეურნეობა თავისი სამივე დარგით), რომელიც მოიცავდა ლოკალური თავისებურებებით განპირობებულ კონკრეტულ სამეურნეო მოდელებს (რომელთა შორის ურთიერთდამოკიდებულება არსებობს). სწორედ ამ ზოგადკავკასიური კულტურულ-სამეურნეო მოდელის წიაღში შეიქმნა წინაპირობები მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვისათვის.

დასავლეთ ამიერკავკასიის გვიანმეზოლითური, მეზოლითიდან ნეოლითზე გარდამავალი და ადრენეოლითური ძეგლების მთელ ჯაჭვზე თვალის გადავინებამ გვიჩვენა ამ საწყისების თანდათანობითი, ადგილობრივი განვითარების პროცესი, რომელიც მისი ხანგრძლივობისა და უთანაბრობის მიუხედავად, უნდა წარმოვიდგინოთ. როგორც ერთიანი ისტორიული პროცესი, რომელიც ჩაისახა გვიანმეზოლითში, ხოლო ადრენეოლითში დაიწყო მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა, მისი ცალკეული დარგების (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა) წარმოქმნა.

დასავლეთ ამიერკავკასიაში, უკვე გვიანმეზოლითიდან და განსაკუთრებით მეზოლითიდან ნეოლითზე გარდამავალ ხანაში, დაიწყო ინტენსიური ათვისება მდინარისპირა ტერასებისა, ხოლო ადრენეოლითში უკვე ათვისებულია მთისწინა ბორცვოვანი და შუა მთის ზონა. როგორც ჩანს, ამ რეგიონის ხელსაყრელმა ეკოლოგიურმა პირობებმა შექმნა რეალური შესაძლებლობა მწარმოებლური მეურნეობის ადრეული ჩასახვისათვის, რასაც ასაბუთებს ტრასოლოგიური ანალიზის შედეგად ადრენეოლითში (ანასეული I) დადასტურებული, მარცვლეულზე გამოყენებული სამკელი დანები¹. ამავე პერიოდში (დარკვეთი IV) უკვე ვაჭვს ფაქტობრივი მასალა მწარმოებლური მე-

¹ Г. Ф. Коробкова, К. М. Эсакия. Первые жатвенные ножи: Кавказа (ხელნაწერი).

ურნეობის მეორე დარგის — მესაქონლეობის — დამადასტურებელი.

ამგვარად, დასავლეთ ამიერკავკასიის უძველესმა ტომებმა ადრენეოლითში შექმნეს საფუძველი მწარმოებლური მეურნეობის ჩამოყალიბებისათვის, რამაც განაპირობა შემდგომ ეპოქებში საზოგადოების გადასვლა განვითარების უფრო მაღალ, პროგრესულ საფეხურზე. ჩასახული მწარმოებლური მეურნეობის განვითარების შემდგომი გზა ხასიათდებოდა მწარმოებლური ეკონომიკის ხვედრითი წონის თანდათანობითი ზრდით, კომპლექსური ტიპის მეურნეობის მქონე, მეტად თავისებური, გვიანნეოლითური კულტურის ჩამოყალიბებით (ოდიშის კულტურა). მასალები ჭერჯერობით მცირეა, მაგრამ ისინი მაინც გარკვევით გვიჩვენებენ ოდიშის კულტურის გავრცელებას შავიზღვისპირეთის (აქარიდან მოკიდებული ადღერის რ-მდე) მთისწინა ბორცვოვან ზოლში და მათ მჭიდრო კავშირს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ნეოლითურ ძეგლებთან (კამენომოსტსკაიას შუა ფენა, ოვეჩკა).

გვიანმეზოლით-ენეოლითური ეპოქების ძეგლებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ადრენეოლითის შემდეგ აღარ დასტურდება ზოგადკავკასიური კულტურულ-სამეურნეო მოდელის არსებობა. მხოლოდ გვიანნეოლითის ხანაში ჭერ კიდევ შეინიშნება დასავლეთკავკასიური მასშტაბის საერთო ზოგადი, კულტურულ-სამეურნეო ნიშნები, რაც ენეოლითის ხანაში, როგორც ჩანს, ტომთა ფართო კულტურულ-ეკონომიკური კავშირების წყალობით ნაწილობრივ ირღვევა.

ენეოლითის ხანა დასავლეთ ამიერკავკასიაში იყო ნეოლითის შედეგების დამკვიდრების, ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარების უფრო ფართოდ გავრცელების პერიოდი, რომელიც დამთავრდა ადრებრინჯაოს ხანის დასავლური, მიწათმოქმედ-მესაქონლე ტომთა მკაფიო და თვითმყოფადი კულტურის წარმოქმნით.

დიდი ხნის წინათ მიტოვებული მღვიმეების ხელახლა ათვისება ენეოლითის ხანაში საზოგადოების გარკვეული ჯგუფების მიერ უნდა უკავშირდებოდეს ამ ეპოქაში მომხდარ ძვრებს (მელითონეობა, მესაქონლეობა). არ არის გამორიცხული, რომ ამ პროცესს ნაწილობრივ აგრეთვე განაპირობებდა ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი ტომთა ფართო ურთიერთობების რთული პროცესებიც.

დასავლეთ ამიერკავკასიაში მთისწინა ბორცვოვანი ზოლის, მდინარისპირა გორებისა და ტერასების დასახლება ადრენეოლითიდან იწყება და გრძელდება გვიანნეოლითსა და ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანაში. ამ რეგიონის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარების ტოპოგრაფიაში ცვლილებები არ ხდება, მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში შომუთეფე-შულავრისა და „მტკვარ-არეზის“ კულტურის ძეგლების ტოპოგრაფია ერთმანეთისაგან ძირითადად განსხვავებულია.

დასავლეთ ამიერკავკასიის უძველესი კულტურების (მეზოლითი, ნეოლითი, ენეოლითი) განვითარებაზე თვალის გადავინებისას, პირველ რიგში, თვალში საცემია მათ შორის არსებული მემკვიდრეობითი ხაზი და აშკარა გენეტიკური კავშირი. აღნიშნული კულტურების კაჟის ინდუსტრიების, განსაკუთრებით კი მიკროლითური ტექნიკისა და გეო-შეტრიული ფორმების, განვითარების შესწავლამ დასავლეთ ამიერკავკასიის ძეგლების მაგალითზე, ადრეზედაპალეოლითიდან ადრებრინჯაომდე, გვიჩვენა, რომ აღნიშნულ რეგიონში, მთელი ამ ხანგრძლივი ეპოქების მანძილზე, ვითარდებოდა ერთიანი, უწყვეტი საწარმოო ტრადიციების მქონე კულტურები მკაფიოდ გამოხატული მემკვიდრეობითი ნიშნებით. გვიანმეზოლითური და ადრენეოლითური კულტურების გენეტიკურ კავშირს კარგად ავლენს მათ შორის შუალედური, გარდამავალი ძეგლები, რომელთა მაგალითზე ვლინდება უწყვეტი განვითარება.

სრულიად სხვა სურათია აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. აქ ადრესამიწათმოქმედო კულტურის მემკვიდრეობითი კავშირი წინმაველ, მეზოლითურ კულტურასთან არ ჩანს. იგრძნობა ამ კულტურებს შორის არსებული ქრონოლოგიური წყვეტილი.

არსებული მასალები გვიჩვენებენ, რომ დასავლეთ ამიერკავკასიისა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის კულტურულ-ისტორიული განვითარება უძველესი დროიდან ერთი გზით მიდიოდა². განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აღნიშნულ კულტურათა კავშირის ღრმა ფესვები, რომლებიც პალეოლითს უკავშირდება³. ყუბანისპირეთის ზედაპალეოლითური ძეგლები, კომპლექსის შემადგენელი ელემენტების მიხედვით, იდენტურია იმერეთის ძეგლებისა⁴. შემდგომ ეპოქებში (მეზოლითი, ნეოლითი), როგორც ჩანს, კავშირი ძლიერდება⁵. ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანაში კი ეს კულტურები ვითარდებოდნენ მჭიდრო ურთიერთნემოქმედების პირობებში და კავშირი ჰქონდათ თავის სამხრეთელ და ჩრდილოელ მეზობლებთან, რომელთაგან იქნდნენ კულტურის მიღწევებს.

დასავლეთ ამიერკავკასიის უძველესი კულტურების შესწავლა გვიჩვენებს, რომ აღნიშნულ რეგიონში არსებობდა მწარმოებლური მეურნეობის უძველესი კერა, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის უძველეს მიწათმოქმედ-მესაქონლეთა კულტურების ჩამოყალიბებაში.

² А. А. Формозов. Каменный век и энеолит Прикубанья. М., 1965, с. 154.

³ იქვე.

⁴ იქვე.

⁵ იქვე.

РАННИЕ СТУПЕНИ РАЗВИТИЯ ЗАПАДНОЗАКАВКАЗСКОЙ РАННЕЗЕМЛЕДЕЛЬЧЕСКОЙ КУЛЬТУРЫ

(поздний мезолит — энеолит)

Резюме

Изучение раннеземледельческих культур является одной из важных проблем археологии Кавказа. Среди некоторых аспектов этой проблемы особое внимание уделяется изучению вопросов зарождения, становления и путей развития производящего хозяйства в Западном Закавказье.

Благодаря интенсивным поискам здесь выявлены и исследованы несколько десятков мезолитических, неолитических и энеолитических памятников, уже частично проливших свет на эту проблему.

В представленной работе исследовано культурно-хозяйственное развитие Западного Закавказья в эпоху от позднего мезолита до ранней бронзы.

В развитии раннеземледельческой культуры Западного Закавказья выделяются три ранние ступени, наглядно характеризующие зарождение, становление и последующее развитие производящего хозяйства.

Первая ступень охватывает памятники позднего мезолита-раннего неолита (Памятники рассмотрены в масштабе Кавказа). Во второй — рассматриваются памятники среднего и позднего неолита Западного Закавказья, на протяжении которого развивались новые отрасли хозяйства. В третьей ступени рассмотрены пещерные и открытые поселения, эпохи энеолита-ранней бронзы.

Для характеристики отдельных ступеней и восстановления экологической среды, в которой зародилась и развивалась древнейшая культура земледельческо-скотоводческих племен, привлекаются археологические, палеонтологические, палеоботанические материалы и данные трасологического анализа. В работе прослежено не только зарождение новых отраслей производящей экономики, но также уровень развития присваивающего хозяйства, в недрах которого зародились истоки новой экономики. Для исследования указанных вопро-

сов в научный оборот вводятся как раннеоткрытые, так и новые памятники.

Итоги изучения неолитических памятников позволяют наметить истоки производящей экономики — усложненные способы собирательства и дифференцированные формы рыболовства и охоты.

Исследование позднемезолитических и раннеолитических памятников в масштабе Кавказа выявило существование общекавказской культурно-хозяйственной модели (в позднем мезолите — кемплексное присваивающее хозяйство, а в раннем неолите хозяйство смешанного-присваивающе-производящего типа), основанных на общих закономерностях развития, охватывающие конкретные хозяйственные модели, обусловленные локальными особенностями. Именно в недрах общекавказской хозяйственно-культурной среде возникли предпосылки для зарождения производящего хозяйства.

Анализ Западно-кавказских позднемезолитических, переходных от мезолита к неолиту и раннеолитических памятников показал постепенное, местное развитие производящего хозяйства, которое несмотря на длительность и неравномерность представляется как единый исторический процесс, начавшийся в раннем неолите и завершившийся переходом на производящее хозяйство, возникновением ее отдельных отраслей (земледелие, скотоводство).

Материалы указывают, что с раннего периода закладывается основа для перехода от присваивающей экономики к производящей. На базе развитого охотничьего хозяйства и усложненного собирательства создается основа для перехода к одомашниванию животных и к искусственному выращиванию местных эндемных видов злаковых культур. Животноводство документируется фаунистическими остатками домашних животных из даркветского навеса. На основе этих материалов выясняется, что в раннем неолите в некоторых районах Грузии уже был одомашнен как крупнорогатый, так и мелкорогатый скот, свинья и собака. Предпосылки приручения животных, этого длительного и сложного процесса надо искать в позднем мезолите.

Существование земледелия документирует материал как раннего, так и позднего неолита и энеолита. Особое внимание заслуживают инновации раннего неолита: жатвенные ножи и мотыговидные орудия, полированные и шлифованные топоры, долота и тесла (Анасеули I), зернотерки, терочники (Дарквети, Мелуори); зерна дикого проса (холодный грот).

В раннеолитических слоях навесов и гротов встречаются реговые землекопалки.

В среднем и позднем неолите совершенствуются земледельческие орудия и увеличивается их ассортимент. Появляются мотыговидные и кирковидные макролиты (Одиши, Урта, Кистрик), сохovidные орудия (Хорши, Одиши, Чхортоли, Ткибули), встречаются зернотерки, ступки, терочники. В хозяйственной яме кистрикского поселения были обнаружены обугленные зерна. К вышеуказанным орудиям в эпоху энеолита-ранней бронзы прибавляются двусторонне обработанные вкладыши изогнутых серпов (Тетрамица, Чихори, Ахалсопели и др.).

Все эти данные в совокупности дают возможность проследить длительный процесс зарождения и развития земледелия.

С позднего мезолита, а особенно с переходной эпохи от мезолита к неолиту началось интенсивное освоение приречных террас и холмов, а в раннем неолите уже освоена предгорная холмистая часть. Материалы указывают, что этот процесс продолжался в позднем неолите и в эпохе энеолита-ранней бронзы. В топографии древнейших поселений этого региона изменения не замечаются.

В предгорной холмистой части Западного Закавказья, которая к северу частично примыкает к предгорьям Эгрисского и Кодорского хребтов, а на юге — к предгорной части Месхетского хребта существовал благоприятный естественный фон (теплый субтропический климат, эндемные виды флоры и фауны), где создались все условия для раннего зарождения и становления производящего хозяйства, что обусловило переход общества на более высокую прогрессивную ступень.

Путь развития зародившегося производящего хозяйства характеризуется постепенным ростом удельного веса производящей экономики, становлением своеобразной поздненеолитической Одишской культуры с хозяйством смешанного типа (производящее и присваивающее).

Материалы указывают на распространение Одишской культуры в предгорной холмистой полосе Причерноморья (начиная с Аджарии до р-на Адлера) и ее тесную связь с памятниками Северо-Западного Кавказа (Каменноостская, Овечка).

Путь развития памятников эпох позднего мезолита — энеолита показал, что после раннего неолита не документировано наличие общекавказской культурно-хозяйственной модели. Только в эпоху позднего неолита в Восточном Причерноморье еще существует единая культурно-хозяйственная модель, которая в эпоху энеолита-ранней бронзы, частично распадается в связи с расширившимися межплеменными культурно-экономическими связями.

Энеолит Западного Закавказья был эпохой утверждения результатов «неолитической революции», эпохой широкого расселения племен ранней земледельческой культуры, которая завершилась созданием Западногрузинской земледельческо-скотоводческой самобытной и яркой культуры ранней бронзы.

В эпоху энеолита-ранней бронзы повторное заселение давно заброшенных пещер определенными группами общества должно быть связано со сдвигами в этой эпохе (металлургия, скотоводство). Не исключено, что оно также связано с более сложными процессами племенных взаимоотношений.

Проследив развитие древнейших культур (мезелит, неолит, энеолит) первым делом бросается в глаза существовавшая между ними генетическая связь. Изучение развития кремневой индустрии показало, что на территории Западного Закавказья на протяжении этих исторических эпох развивались культуры, имевшие единые производственные традиции с ярко выраженной преемственностью. Генетическая связь позднемезолитической и раннеэнеолитической культур ярко отражена в переходных памятниках, отображая единое непрерывное развитие культуры.

Единая линия развития лучше всего видна в каменной индустрии, а в особенности, в развитии микролитической техники и геометрических форм орудий, что ярко в памятниках прослеживается в памятниках от верхнего палеолита до от верхнего палеолита до ранней бронзы.

Материалы указывают, что историческое развитие Западного Закавказья и Северо-Западного Кавказа с древнейших времен шло единым путем (палеолит, мезолит, неолит). В эпоху энеолита-ранней бронзы эти культуры развивались в тесном взаимодействии и имели связи с южными и северными соседями, от которых приобретали также культурные навыки.

Исследование древнейших культур показало, что Западное Закавказье играло огромную роль в деле становления раннеземледельческой культуры Закавказья.

На некоторых неолитических поселениях Западного Закавказья (Хорши, Кобулет, Чхортоли, Анасули I, II) зафиксирован фрагментный материал (обмазка со следами прутьев, ряд неглубоких (25 см) ям для деревянных столбов), указывающий на то, что эти поселения состояли из наземных плетенных или деревянных строений прямоугольной конструкции легкого типа с глиняной обмазкой, внутри которого имелся очаг.

Наблюдение над топографией раннеземледельческих поселений (неолит-энеолит) Западного Кавказа показало, что эти племена расселялись небольшими поселками площадью примерно в 1 га, в основном на предгорных холмах, мысах

плато, а также на речных и морских террасах. Следует предположить, что на неолитических поселениях Западного Закавказья, в наземных деревянных или плетенных сооружениях с глиняной обмазкой, проживали отдельные семьи (Хорши, Кобулет), что отдельные семьи в раннем неолите также занимали гроты и навесы (Холодный грот, Апианча, Дарквети). Площадь Даркветского навеса, Апианча, Холодного грота, а также домов Хорши и Кобулет настолько мала, что наводит на мысль о проживании лишь одной семьи, которая вероятно, представляла социальную основу неолит-энеолитического общества.

შემოკლებათა განმარტება

ენიმეი — ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი
იეხი — ისტორია, არქეოლოგია, ენეოგრაფია, ხელოვნება

ВДИ — Вестник древней истории

ИЯЛИ — Институт языка, литературы и истории

ИАН ТССР — Известия Академии наук Туркменской ССР

ИНКВА — Международный конгресс по изучению четвертичного периода

КСИА — Краткие сообщения Института археологии Академии наук СССР

КСИИМК — Краткие сообщения Института истории материальной культуры Академии наук СССР

МИА — Материалы и исследования по аналогии СССР

МАЭ — Музей Антропологии и Этнографии

ПАИ — Полевые археологические исследования

СА — Советская археология

СЭ — Советская этнография

ტაბულების აღწერილობა


1. დასავლეთ ამიერკავკასიის მეზოლით-ენეოლითური ძეგლების გავრცელების რუკა.
2. მიკროლითური იარაღები საქართველოს ზედაპლეოლითური ძეგლებიდან:
 - 1—8 — სენათა საიანე; 9—12 — ზერგულის კლდე; 13—22 — თაროკლდე;
 - 23—32 — დევის ზერელი; 33—34 — საყაია; 45—53 — გვარჯილას კლდე.
3. მიკროლითური იარაღები საქართველოს მეზოლითური და ნეოლითური ხანის ძეგლებიდან: 1—41 — ანასეული II (გვიანნეოლითი); 42—53 — ეძანი; 54—62 — ქვაპარა; 63—65 — ჯამბალი; 66—69 — დარკვეთის მე-5 ფენა.
4. მიკროლითური იარაღები საქართველოს ნეოლითური და ენეოლითური ხანის ძეგლებიდან: 1—6 — მელიორი; 1—9 — ლეშა; 10—13 — ანასეული I; 14—25 — ოდიში; 26—37 — კისტრიკი; 38—41 — არახლო I; 42 — არახლო III; 43—44 — წოფი; 45—49 — ჩხოროთლი.
5. ხეცუბანი: 1—2 — ნუკლეუსები; 3—19 — საფხეკები; 20—21 — ლამელები; 22—24 — თავრეტუშიანი ლამელები; 25—35 — საკრისები; 37—39 — დაკბილული იარაღები, 40 — სახერტი.
- ქობულეთი: 41—43 — ნუკლეუსები; 44—48 — საფხეკები; 49—53 — საკრისები; 54—სახერტი; 55—57 — დაკბილული იარაღები; 58—60 — ლამელები; 61—62 — ლამელის განივკვეთები.
6. ანასეული I: 1 — სახეხ-სამრიალებელი, 2 — თოხი, 3—6 — სამკელი დანები, 7 — ცული, 8 — სახეხი.
7. მელიორი: 1 — ცული; 2—3 — სათლელები; 4 — სახეხი; 5 — ხელსაფქვაკვი; 6 — ნამგლისპირი.
8. ხორში: 1 — ნამოსახლარის გეგმა; 2 — რიყის ქვის იარაღები (გ. გრიგოლიას მიხედვით); ოდიში — 4 — სახეხები.
9. გალი I: 1—3 — ნუკლეუსები; 4—11 — ტრაპეციები; 12—15 — საფხეკები; 16 — საკრისები; 22—25, 28—30 — თავრეტუშიანი ლამელები; 26—27 — დაკბილული იარაღები; 31—32, 34—35 — სახეხები; 33 — ცულის ყუა; 36 — სახრელი (ე. კალანდაძის მიხედვით).
10. ლუმურიში: 1—2 — ნუკლეუსები; 3—7 — ტრაპეციები; 8—9 — სეგმენტები; 10 — სახერტი; 11—14 — საფხეკები; 15—19 — საკრისები; 20 — სამკელი დანა; 21—24 — თავ- და გვერდრეტუშიანი ლამელები; 25 — ცულის ფრაგმენტი, 26—27 — სახეხები; 28—სათლელი (ე. კალანდაძის მიხედვით).
11. ოდიში: 1—3 — თოხისებური და წერაქვისებური იარაღები.
12. ოდიში: 1—2 — ცულები; 3 — სახნისისებური იარაღი, 4 — სათლელი; 5—6 — სატეხები; 7 — ხელსაფქვაკვის ქვა; 8 — სახეხი.
13. ოდიში: 1—7 — თოხის კურკლის ორნამენტირებული ფრაგმენტები; 8—9 — თოხის კურკლის ძირები.
14. კისტრიკი: 1—6 — ცულები; 7 — თოხი (ა. ლუკინის მიხედვით).

15. ჩხორთოლი: 1 — ნუკლეუსი; 2—3 — საფხეკები; 4—5 — საკრისები; 6 — თაერეტუშიანი ლამელა; 7—8 — დაკბილული იარაღები; 9 — ხელსაფქვევის ფრაგმენტი; 10, 13 — სახეხები; 11 — ცული; 12 — სატეხი; 14 — თიხის კურკლს პირის ნატეხი; 15 — სახნისისებური იარაღი; 16 — თოხი; ვალი 1—1—17 — ხელსაფქვევის ფრაგმენტი. (კ. კალანდაძის მიხედვით).
16. თეთრაშიწა: 1 — ცული; 2 — ხელსაფქვევი; 3 — თოხი; 4 — სათლელი; 5 — წერაქვისებური იარაღი; 6 — მაკროლითები; 7—24 — ისრისპირები და შუბისპირები; 25—26 — ნამგლისპირები; 27 — სამაჭურები.
17. ჩიხორი: 1 — ნამგლისპირები; 2 — შუბისპირი და ისრისპირი; 3 — ძელის ნიეთები; 4 — ძელის თოხი; 5 — ლითონის ნიეთები.
18. ჩიხორი: 1 — საფხეკი; 2—5 — ძელის იარაღები; 6—10 — საკიდები; 11 — თიხის კურკელი; 12 — თიხის კურკლის ფრაგმენტები.
19. ტყიბული (ახალსოფელი): 1—11 — შუბისპირები და ისრისპირები;
20. ტყიბული (ახალსოფელი): 1—3 — სათლელები; 4—5 — საკიდები; 6—11 — ნამგლისპირები.
21. ცაგერის რ-ნი: ნაკურალეში — 1—2 — შუბისპირები; ლაილაში — 3 — შუბისპირი; საქორია — 4—5 — სათლელი და ცულის ფრაგმენტი.
22. ცაგერის რ-ნი: ნაკურალეში — 1,10 — ნამგლისპირები; ალვი — 2 — სამაჭურის ფრაგმენტი. ნაკურალეში — 3—9 — ცულები და სათლელ-სატეხები; ალვი — 11 — ცული.
23. ლენტეხის რ-ნი: რცხმელური. — 1,4,8 — ცულები; 3 — სათლელი; 6—7 — ისრისპირი და შუბისპირი (შ. ჩართოლანის მიხედვით).
24. სამელე კლდე (გ. ჭავჭავიშვილის მიხედვით).
25. სამელე კლდე (გ. ჭავჭავიშვილის მიხედვით).

ОПИСАНИЕ ТАБЛИЦ


- Таб. 1. Карта распространения мезолит-энеолитических памятников Западного Закавказья.
2. Микролитические орудия из верхнепалеолитических памятников Грузии. 1—8 — Сванта саване, 9—12 — Хергулис клде, 13—22 — Таро Клде, 23—32 — Девис Хврели, 33—34 — Сакажия, 45—53 — Гварджилас Клде.
 3. Микролитические орудия из мезолитических и неолитических памятников Грузии. 1—41 — Анасеули II (поздний неолит), 42—53 — Эдзани, 54—62 — Квачара, 63—65 — Джампали, 66—69 — Дарквети 5 слой.
 4. Микролитические орудия из неолитических и энеолитических памятников. 1—6 — Мелоури, 7—9 — Лемса, 10—13 — Анасеули I, 14—25 — Одиши, 26—37 — Кистрик, 38—41 — Арахло I; 42 — Арахло III, 43—44 — Цопи; 45—49 — Чхортоли.
 5. Хуцубани: 1—2 — Нуклеусы, 3—19 — скребки, 20—21 — пластины, 22—24 — пластины с ретушированным концом, 25—35 — резцы, 37—39 — зубчатые орудия, 40 — проколка.
Кобулет: 41—43 — Нуклеусы, 44—48 — скребки, 49—53 — резцы, 54 — проколка, 55—57 — зубчатые орудия, 58—60 — пластины, 61—62 — сечения пластины.
 6. Анасеули I: 1 — полировальник, 2 — мотыга, 3—6 — вкладыши жатвенных ножей, 7 — топор, 8 — терочник.
 7. Мелоури: 1 — топор, 2—3 — тесла, 4 — терочник, 5 — зернотерка, 6 — вкладыш серпа.
 8. Хорши: 1 — план поселения. 2 — орудия из галечника (по Григолия); Одиши: 4 — терочник.
 9. Гали I: 1—3 — нуклеусы, 4—11 — трапеции, 12—15 — скребки, 16—21 — резцы, 22—25, 28—30 — пластины с ретушированным концом, 26—27 — зубчатые орудия, 31—32, 34—35 — терочники, 33 — фрагмент обуха топора, 36 — каменный предмет (по К. Каландадзе).
 10. Гумуриши: 1—2 — нуклеусы, 3—7 — трапеции, 8—9 — сегменты, 10 — сверло, 11—14 — скребки, 15—19 — резцы, 20 — жатвенный нож, 21—24 — пластины с ретушированным краем, 25 — фрагмент топора, 26—27 — терочники, 28 — тесло (по К. Каландадзе).
 11. Одиши: 1—3 — Мотыговидное и кирковидные орудия.
 12. Одиши: 1—2 — топоры, 3 — сохovidное орудие, 4 — тесло, 5—6 — долота, 7 — фрагмент зернотерки, 8 — терочник.


13. Одиши: 1—7 — орнаментированные фрагменты глиняных сосудов, 8—9 — днища сосудов.
14. Кистрик: 1—6 — топоры, 7 — мотыга (по Лукину).
15. Чхортоли: 1 — нуклеус, 2—3 — скребки, 4—5 — резцы, 6 — пластина с ретушированным концом, 7—8 — зубчатые орудия, 9 — фрагмент зернотерки, 10—13 — терочники, 11 — топор, 12 — долото, 14 — фрагмент венчика сосуда, 15 — сохovidное орудие, 16 — мотыга (по К. Каландадзе).
Гали I: 1—17 — фрагмент зернотерки; (по К. Каландадзе); Гурнианта I — фрагмент зернотерки.
16. Тетрамица: 1 — топор, 2 — зернотерка, 3 — мотыга, 4 — тесло, 5 — кирковидное орудие, 6 — макролиты, 7—24 — наконечники стрел и копий, 25—26 — вкладыши серпа, 27 — фрагменты каменных браслетов.
17. Чихори: 1 — вкладыши серпов, 2 — наконечники копий и стрел, 3 — костяные предметы, 4 — мотыга, 5 — металлические предметы.
18. Чихори: 1 — скребок, 2—5 — костяные орудия, 6—10 — подвески, 11 — глиняный сосудик, 12 — фрагменты глиняных сосудов.
19. Ткибули (Ахалсепели): 1—11 — наконечники копий и стрел.
20. Ткибули (Ахалсепели): 1—3 — тесла, 4—5 — подвески, 6—11 — вкладыши серпов.
21. Цагерский р-н: с. Накуралеши — 1—2 — наконечники копий; с. Лаилаши — 3 — наконечник копья; с. Сагория — 4—5 — тесла и фрагмент топора.
22. Цагерский р-он: с. Накуралеши — 1, 10 — вкладыши серпов; с. Агви — 2 — фрагмент браслета; с. Накуралеши — 3—9 — топоры, тесла, долота, 11 — топор.
23. Лентехский р-он: с. Рцхмелури — 1, 4, 8 — топоры, 3 — тесло, 6—7 наконечники стрелы и копья (по Чартолани).
24. Самеле Кзде (по Г. Джавахишвили).
25. Самеле Кзде (по Г. Джавахишвили).




მ ა 3 0
 მ ღ 3 ა


- ▲ ავტოლითი
- ◆ ად ნოლითი
- ბ 3 ნოლითი
- ნ ნოლითი







IV












VIII




1





2





3




























3




4




5




2







1




2




3



6




4



5



7



8




9




10



11




1



3


4



5



1





3




4




5



6



7



8



9f



10



11





1



2



3



4




5


6




7



8





შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	3
თავი I. დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების უადრესი საფეხური	10
1. კავკასიის გვიანმეზოლით-ადრენეოლითის პრობლემისათვის	10
2. მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრული მიკროლოთები საქართველოს ქვის ხანის ძეგლებში	55
თავი II. დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების მეორე საფეხური	79
1. შუა და გვიანი ნეოლითი	79
2. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურის პერიოდიზაციის საკითხისათვის	104
თავი III. დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების მესამე საფეხური	119
დასკვნა	174
Ранние ступени развития западнокавказской раннеземледельческой культуры (поздний мезолит-энеолит) (резюме)	177
შემოღობათა განმარტება	182
ტაბულების აღწერილობა	183
Описание таблиц	185
ტაბულა	187

Небнеридзе Ламара Диомидовна
РАННИЕ СТУПЕНИ РАЗВИТИЯ
ЗАПАДНОКАВКАЗСКОЙ
РАННЕЗЕМЛЕДЕЛЬЧЕСКОЙ КУЛЬТУРЫ
(на грузинском языке)

«МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1986

სბ 2998

გამომცემლობის რედაქტორი ლ. ჭევენიავა
მხატვარი ნ. გაბუნია
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექნიკური რედაქტორი ც. ქამუშაძე
კორექტორი გ. გრძელიშვილი

გადაეცა წარმოებას 16.VI.86; ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.11.86;
ქალაქის ზომა 60×90/16; ქალაქი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 13.3; პირ. საღ-ფატ. 13.7;
საარტიკვო-საგამომცემლო თაბახი 11.5.
უფ 10373; ტირაჟი 1000; შეკვეთა 2931;
ფასი 1 მან. 70 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Медниереба», Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19